

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნათელა დონაბე

ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები გარდამავალ საზოგადოებაში  
(თანამედროვე საქართველოს მაგალითზე)

დისერტაცია

სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ, სრული პროფესორი,  
სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ამირან ბერძენიშვილი, თსუ, ასოცირებული  
პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა  
კანდიდატი

თბილისი  
2010

## სარჩევი

შესავალი ----- 4

### თავი I. სოციალური ხასიათი, როგორც პიროვნების შემადგენელი ელემენტი

§ 1. პიროვნება და მისი ჩამოყალიბების პროცესი ----- 10  
§ 2. საზოგადოება, სოციალური ხასიათი და პიროვნება ----- 15

### თავი II. სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია

§ 1. ერთკ ფრომის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია ----- 18  
§ 2. დევიდ რისმენის „ეული მასა“ ----- 25  
§ 3. საზოგადოებისა და სოციალური ხასიათის ურთიერთდამოკიდებულება დევიდ რისმენის მიხედვით ----- 28  
§ 4. დევიდ რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია ----- 30  
    1) ტრადიციონური მართული სოციალური ხასიათი და საზოგადოება  
    2) საკუთარ თავზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი და საზოგადოება  
    3) სხვაზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი და საზოგადოება  
§ 5. სოციალური ხასიათის ჩამოყალიბების ფაქტორები ----- 36  
§ 6. დ. რისმენის პოლიტიკური სტილის ტიპები ----- 54  
§ 7. დ. რისმენის უნივერსალური ტიპები ----- 57  
დასკვნა ----- 70

### თავი III ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე, გარადამაგალი პერიოდის საქართველოში

§ 1. გენდერი და მისი არსი ----- 73  
§ 2. თანამედროვე ქართული საზოგადოება სტუდენტურ ფოკუსში ----- 78  
§ 3. თანამედროვე საქართველოს ქალების სოციალურ ხასიათთა ტიპები სტუდენტურ ფოკუსში ----- 120  
§ 4. თანამედროვე საქართველოს ქალების სოციალურ ხასიათთა ტიპები ექსპერტთა ფოკუსში ----- 138  
§ 5. ქალთა ისტორიები ----- 146  
დასკვნა ----- 157

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე – საქართველოში პირველადაა გაანალიზებული გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგის დევიდ რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, აღნიშნული ტიპოლოგიის საფუძველზე, დაადგინოს ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.**

**ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა – ნაშრომის მეცნიერულ დირებულებას განაპირობებს ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების დადგენა დღევანდელ, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.**

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა – კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და დასკვნები. ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესახებ ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ მთავრობის პოლიტიკის შემუშავებას, ამ პრობლემასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებას, იმ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვ. პირობების შექმნას, რომლებიც განაპირობებს XXI საუკუნის სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას.**

ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პიროვნების სოციალური ხასიათის ემპირიკო-მაკროეკონომიკური, აგრეთვე, ქალთა საკითხების კვლევით დაინტერესებულ ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებსა.

**კვლევის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში ქალთა სოციალური ხასიათის შესწავლა, ქალთა სოციალური ტიპების დადგენა გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგის დევიდ რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიის მიხედვით.**

**მიზნის მისაღწევად დასმული ამოცანები:** “სოციალური ხასიათის“, როგორც კომპლექსური კვლევის საგნის ანალიზი, დევიდ რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიის განხილვა, სტუდენტთა შეხედულებებისა და შეფასებების სოციოლოგიური გამოკვლევა ტრიანგულაციური მიდგომით – ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფისა და ქალთა ისტორიების ანალიზის მეთოდების საშუალებით.

## შესაგალი

საქართველო დღეს, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულს, გარდამავალ ხანაში იმყოფება. ტრანსფორმაციული პროცესები ქართული სოციუმის, სოციალური სისტემის ყველა სფეროში მიმდინარეობს და მის ყველა ელემენტს მოიცავს. გარდამავალი პერიოდი ძალიან რთული, მტკიცნეული, კომპლექსური და, ამავე დროს, ძალიან ხანგრძლივი სოციალური პროცესია. დროის ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში, მიმდინარეობს ორი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, პოლიტიკური და კულტურული ლირებულებების დაპირისპირება, თანაარსებობა და, ზოგჯერ, შერწყმაც. ტრანზიცია<sup>\*</sup> ქართულ საზოგადოებას შექმნა არა მარტო მაკრო დონეზე – სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, არამედ მიკრო დონეზეც – სოციალურ ჯგუფებსა და ცალკეულ ინდივიდებს. იცვლება ადამიანების ცნობიერება და ცხოვრების წესი, მათი დამოკიდებულება ცხოვრების საზრისისადმი, სამყაროსა და საზოგადოებაში თავად ადამიანის დანიშნულებისადმი. ტრანსფორმაციული პროცესები სოციალური სტრუქტურის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტში (ნაწილში) განსხვავებული ფორმით, შინაარსით, ტემპითა და სიღრმით მიმდინარეობს. თანდათან იცვლება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სოციუმის დაყოფა სხვადასხვა ფენად; იცვლება საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, სამართლებრივი, აღმზრდელობითი ინსტიტუტები და მათი ფუნქციები, ხდება ახალი რეალობის ჩამოყალიბება.

“ტრანზიციის პარადიგმა, გარკვეულწილად, სასარგებლო იყო მსოფლიოში მომხდარი დიდი მნიშვნელობის მქონე, ხშირად, საოცარი, პოლიტიკური აღმაფლობის დროს. მაგრამ სულ უფრო ნათელი ხდება, რომ რეალობა უკვე აღარ შეესაბამება მოდელს. ბევრი ქვეყანა, რომლებსაც პოლიტიკის შემქმნელები და პრაქტიკული დამხმარეები დაჟინებით უწოდებენ “ტრანზიტულს“, არ იმყოფება

\* ზოგადად, ტრანზიცია (transition) ნიშნავს პირობების, არსებობის წესის, მდგომარეობისა და სხვ. ერთობლიობიდან მეორეში გადასვლას, შეცვლას /The Universal English Dictionary (2000). (Published by Routledge and Kegan Paul, Limited). London/; ტრანზიცია გულისხმობს ერთი პოზიციიდან, პირობებიდან, მდგომარეობიდან, პერიოდიდან, ფაზიდან, სტადიიდან, ეტაპიდან, საფეხურიდან, საკითხიდან, თემიდან, ობიექტიდან, სუბიექტიდან, კონცეფციიდან, ცხებიდან, იდეიიდან მეორეზე გადასვლას, მოძრაობას ან შეცვლას /Webster’s Unabridged Dictionary. (1999). Random House Inc. London/; ტრანზიცია არის ერთი მდგომარეობის ან პირობების ერთობლიობის მეორეთი შეცვლა, ცვლილება /Hornby, A.S. Oxford Student’s Dictionary of Current English. (1984). Oxford. Oxford University Press/.

დემოკრატიისაკენ მიმავალ ტრანზიციაში, ხოლო დემოკრატიული ტრანზიტი კი, რომელიც ხორციელდება, არ მიმდინარეობს მოდელის შესაბამისად“.\*

რადგან ტრანზიციის პარადიგმამ ვერ ასახა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით, პოსტ - საბჭოთა სივრცის ხოციალურ-პოლიტიკური რეალობა, დღის წესრიგში დადგა მისი ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული მიდგომით. ამერიკელმა მეცნიერმა ქრისტიან ჰარპერმა სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა ახალი მიდგომა – “ტრანსფორმაციული“. იგი მიიჩნევს, რომ XXI საუკუნეში ზოგ ქვეყანაში მიმდინარეობს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ტრანსფორმაცია. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს არის ტრანსფორმაცია ტოტალიტარული რეჟიმიდან პლურალისტურ დემოკრატიაში, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით – დაგეგმარებაზე დამყარებული, მბრძანებლური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ტრანსფორმაცია, აგრეთვე, გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ქ. ჰარპერის აზრით, ტერმინი “ტრანსფორმაცია” უფრო მიესადაგება პოსტკომუნისტური ცვლილებების სპეციფიკის ინტერპრეტაციას, ვიდრე ცნება “ტრანზიცია“.\*

ტრანზიცია გულისხმობს კომუნისტური პოლიტიკური სისტემიდან ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით სვლას, პროცესს ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე. “ტრანზიცია“ თავის თავში შეიცავს პოლიტიკური განვითარების ნათლად გამოხატულ მიზანს – პლურალიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას.

ქ. ჰარპერი ტრანზისტოლოგიურ მიდგომას სტატიკურს უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ ტრანსფორმაციულ მიდგომაში პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციული პროცესები განიხილება, როგორც დია პროცესები, სადაც აწმყოსა და მომავალს ერთმანეთთან არ აკავშირებს მკაცრი აუცილებლობა. ასეთ აუცილებლობაზე კი ტრანზისტოლოგიის პარადიგმა ამახვილებს ყურადღებას. მეცნიერი აკრიტიკებს ცნებას “ტრანზიცია“ და ერთმანეთს უპირისპირებს ცნებებს “ტრანსფორმაცია“ და “ტრანზიცია“. იგი მიიჩნევს, რომ ცნება “ტრანზიცია“ უნდა შეიცვალოს ცნებით “ტრანსფორმაცია“.

“ტრანსფორმაცია არ არსებობს ტრანზიციის გარეშე, რომელიც იმ ცვლილებების მიმართულების ამსახველია, რაც ტრანსფორმაციის შინაარსს წარმოქმნის, ხოლო ტრანზიცია კი ვერ განხორციელდება იმ ცვლილებების გარეშე, რა-

\* Carothers, Th. (2002). The End of the Transition Paradigm. //Journal of Democracy. Vol. 13. No. 1. p. 6.

\* Haerpfer, C. W. (2002). Democracy and Enlargement in Postcommunist Europe. New York. p. 3.

საც ტრანსფორმაცია გულისხმობს. ტრანსფორმაცია წარმოშობს ტრანზიციას, ხოლო ტრანზიცია კი ტრანსფორმაციის საფუძველზე ხორციელდება.”\*

ცნებები “ტრანზიცია”, “მოდერნიზაცია”, “დემოკრატიზაცია”, “ტრანსფორმაცია” ასახავს განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული რეალობის პროცესებს.

„არ შეიძლება ერთმანეთისგან გამოვყოთ და ერთმანეთს დაგუპირისპიროთ ტრანზიცია, დემოკრატიზაცია და ტრანსფორმაცია, რადგან ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. როგორც ტრანზიცია, ისე დემოკრატიზაცია, ტრანსფორმაციის მიმართულებას წარმოადგენენ. ამავე დროს, ტრანზიცია და დემოკრატიზაცია ტრანსფორმაციის საფუძველზე ხორციელდება.”\*\*

როგორც აღვნიშნეთ, ტრანზიციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია ცენტრალიზებული, სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზო, კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა, მნიშვნელოვანია საზოგადოების ერთი პოლიტიკური წყობის – კომუნისტური წყობის შეცვლა მეორე პოლიტიკური წყობით – დემოკრატიული წყობით. ხდება ზოგიერთი ტრადიციული დირექტულებების გადაფასება და დირექტულებათა ახალი სისტემის ჩამოყალიბება და დაფუძნება.

გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ჩვენი ეპოქის მთავარი მახასიათებლის – ცვლილებების წარმოშობასა და დამკვიდრებას.

გლობალიზაცია არის მსოფლიოში სხვადასხვა ადამიანს, რეგიონსა და ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა.\*

გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მსოფლიო ხდება ერთიანი რეალობა (ორგანიზმი, სუბიექტი), საკუთარი უფლებების დამკვიდრებით.\*

გამოჩენილი ინგლისელი სოციოლოგი ე. გიდენსი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი წარმონაქმნის, განხილვა. წარსულშიც კი, საზოგადოებები, სინამდვილეში, არ არსებობდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულად.

\* დოლიძე, ვ. (2011). ტრანზიცია, დემოკრატიზაცია, ტრანსფორმაცია. რატომ „მოკვდა“ ტრანზიცისტოლოგია? თბილისი. გვ. 8.

\* იქვე. გვ. 11

• Giddens, A. (1997). Sociology. Cambridge. Polity Press. (Original Work Published 1989). p.582

• Smelzer, N.J. (1995). Sociology. New Jersey. Prentice Hall. (Original work published 1981). p.56

ე. გიდენსის აზრით, “გლობალიზაციის ქვეშ იგულისხმება ის უბრალო ფაქტი, რომ ჩვენ ყველანი – არა მხოლოდ ორგანიზაციები ან მთელი ერები, არამედ კაცობრიობის ცალკეული წარმომადგენლებიც, ვცხოვრობთ „ერთ მსოფლიოში“, ეს კი ნიშნავს, რომ სულ უფრო ურთიერთდამოკიდებულები ვართ.”

ურთიერთდამოკიდებულების ზრდა განაპირობა სამმა ძირითადმა ფაქტორმა: კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სატრანსპორტო საშუალებების სფეროებში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა.

ე. გიდენსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ გლობალიზაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა. ეკონომიკური ძალები წარმოადგენს გლობალიზაციის შემადგენელ, მაგრამარა ერთადერთნაწილს. გლობალიზაციაარისპოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგი.

გლობალიზაციის წარმოშობასა და განვითარებას ხელი შეუწყო, ძირითადად, შემდეგმა ფაქტორებმა: საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის სისტემების არნახულმა ზრდამ (საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვამ) და მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესმა.

ცნობილი ქართველი სოციოლოგის ე. კოდუას აზრით, ამა თუ იმ საზოგადოების გლობალიზაციის დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: ტექნიკისადმი და მოკიდებულებითა და მეცნიერების განვითარებით.

გლობალიზაციის არსებ წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევს გლობალური პროცესების ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ახლა, გლობალიზაციის შედეგად, ადამიანი თავის თავს აღიქვამს არა მხოლოდ თავისი წრის, სოციალური ჯგუფის, სოციალური ერთობის, საზოგადოების წევრად, არამედ მთელი მსოფლიოს ნაწილად.

გლობალიზაცია ცვლის ადამიანის არა მარტო ყოფიერებას, არამედ მის ცნობიერებასაც. ადამიანის წინაშე იშლება თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების უკიდეგანო შესაძლებლობები, ახალი, ინფორმაციული საზოგადოების შესაბამისი პიროვნების ფორმირება.

• Giddens, A. (1997). Sociology. Cambridge. Polity Press. (Original Work Published 1989). p.p. 62-64

• პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში. (2002). (სტატია – კოდუა, ე. გლობალიზაცია და ეროვნული კულტურა). თელავი (გამოქვეყნდა სამოქალაქო განათლების პროგრესის მიერ). გვ. 12

დღეს გლობალიზაცია ყველაზე გავრცელებული თემაა მეცნიერებასა და უოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მოვლენას სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს და მის გამომწვევ მიზეზებად განსხვაბებულ ფაქტორებს ასახელებს. ისინი აგრეთვე, განსხვავებულად აფასებენ მის შედეგებს.

გლობალიზაცია ეხება სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტს – ეკონომიკას, განათლებას, პოლიტიკასა და სხვ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციამ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა კულტურაზე.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი და დიპლომატი რალფ ჯორჯ ფელტჰემი, რომ ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს ისეთი გარდაქმნები, რომელთა ანალოგი კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს. მისი აზრით, გარდაქმნათა ეპოქაში ცხოვრება ძალიან შემაშფოთებელი და ამაღლებელი გახდა.\*

როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ავტორი გლობალიზაციის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებად სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს.

ზოგადად, 3 ფაქტორს გამოყოფენ: 1. ტექნიკური პროგრესი, რომელმაც გამოიწვია სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება. ტელეკომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის შექმნა, რომელმაც რევოლუციური გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრებაზე, 2. ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური ფორმების ლიბერალიზაცია, 3. მრავალრიცხოვანი საერთაშორისო, სახელმწიფო-თაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა.

გლობალიზაციის პროცესების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მომსახურების სხვადასხვა სფეროს – ფინანსური, იურიდიული, ინფორმაციული და სხვ. – გაზრდა და სრულყოფა, აგრეთვე, სოციალური მობილობა.

გლობალიზაცია შეეხო მრავალ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, რომელიც თანდათან, თანამიმდევრულად ერთვება მსოფლიოს გლობალურ მოვლენებსა და პროცესებში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტრანსფორმაციულ პერიოდს თან სდევს საზოგადოებისა და პიროვნებათა ტიპების ცვლილებები. ტრანსფორმაციას განიცდის სოციალური ხასიათიც, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების დამაკავშირებელი რგოლი. გარდაქმნებს შორის მნიშვნელოვანია როგორც გენდერული როლების, იდენტობის, იდეალების, ისე გენდერული ღირებულებების ცვლილებები.-

\* Фельхем, Р. Дж. (2002)ю Настольная книга дипломата. Москва. стр. 11-12.

უფრო მეტიც, იცვლება ადამიანთა ოკითხნობიერება და მათი დამოკიდებულება გენდერული, ზოგადად, და, კეძოდ, ქალთა საკითხებისადმი.

დისერტაციაში მოკლედ არის განხილული გენდერული და ქალთა პრობლემები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

ჩემი ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს თანამედროვე, ტრანსფორმაციული პერიოდის საქართველოს ქალთა სოციალური ხასიათი, ამიტომ, მასში ყურადღება გამახვილებულია სოციალური ხასიათის რაობახა და სპეციფიკაზე, მის გავლენაზე პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, საზოგადოებისა და სოციალური ხასიათის ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგანპირობებულობაზე. დისერტაციაში განხილულია ზოგიერთი გამოჩენილი სოციოოგის თვალსაზრისი სოციალური ხასიათის შესახებ.

ნაშრომში დაწვრილებით არის გადმოცემული და გაანალიზებული ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის დევიდ რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია, რადგან იგი წარმოადგენს ჩვენი ემპირული კვლევების თეორიულ საფუძვლს.

ნაშრომის ემპირიულ ნაწილში გაანალიზებულია ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგები, განხილულია სტუდენტთა თვალით დანახული თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველო და ქალთა სოციალური ხასიათი, აგრეთვე, ექსპერტთა შეფასებები ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესახებ.

# თავი I

## სოციალური ხასიათი, როგორც პიროვნების შემადგენელი ელემენტი

### § 1. პიროვნება და მისი ჩამოყალიბების პროცესი

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის – სამყაროს ურთელესი ფენომენის – პრობლემა. ამ საკითხისადმი თეორიული მიდგომა კომპლექსურია. მას სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები სწავლობენ. ფილოსოფოსები, ანთროპოლოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვ. ადამიანის პრობლემას სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ.

ადამიანი საზოგადოებრივ-ისტორიული მოდგაწეობისა და კულტურის სუბიექტია. იგი ცოცხალი სისტემაა, წარმოადგენს ფიზიკურისა და სულიერის, ბუნებრივისა და სოციალურის, მემკვიდრეობითისა და სიცოცხლეში შეძენილის ერთიანობას. ბიოლოგიურისა და სოციალურის თანაფარდობის გარკვევა ადამიანის პრობლემის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. პრობლემის ცენტრს წარმოადგენს საკითხი ადამიანის არსების შესახებ. ადამიანი ბუნებრივი არსება, მაგრამ მის არსს ქმნის სოციალური ურთიერთობების ერთობლიობა.

„თითოეული კულტურის წარმომადგენელი ყოველთვის არის ადამიანის ბუნების გამოვლენა, მაგრამ ეს განსაზღვრულია იმ სოციალური პირობებით, რომლებშიც ის ცხოვრობს“.\*

გარემოსთან ურთიერთობაში ადამიანი თავისი ფსიქიკური ორგანიზაციის სირთულის მიხედვით შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც: ა) ინდივიდი, ბ) სუბიექტი და გ) პიროვნება. ამ თვალსაზრისით, ადამიანის განვითარების პროცესი არის მისი სოციალური ჩამოყალიბების პროცესი, მისი სოციალიზაცია.

ტერმინი „ინდივიდი“ (ლათინური სიტყვისაგან „individuum“ – „განუყოფელი“, რაც ბერძნული ცნების „ატომის“ ლათინური თარგმანია) აღნიშნავს ერთეულს, განსხვავებით ერთობლიობისაგან, მასისაგან. ინდივიდი, ცალკეული ადამიანი კოლექტივის, სოციალური ჯგუფის, მთლიანად, საზოგადოების შემადგენელი, მაგრამ შედარებით დამოუკიდებელი ნაწილია. იგი, როგორც ორგანიზმი, გარე სინამდვილესთან ბიოლოგიური მოთხოვნილებებით არის დაკავშირებული. სინამ-

\* Fromm, E. (199) The Sane Society. New York p. 370

დვილესთან ურთიერთობის პროცესში ხდება ინდივიდის შემდგომი დიფერენცირება სინამდვილისაგან. სინამდვილესთან ფსიქიკური აქტივობის შემდგომ მაღალ დონეზე ადამიანის ურთიერთობა მასთან სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების სახეს იდებს. ამ დროს სინამდვილე ადამიანისათვის შემეცნების ობიექტად იქცევა, თვითონ კი სუბიექტი ხდება.\*

სუბიექტი (ლათინური სიტყვისაგან *subjectus* – ქვევით მდებარე, საფუძველში მყოფი) აღნიშნავს საგნობრივ-პრაქტიკული საქმიანობისა და შემეცნების მატარებელს (ინდივიდს ან სოციალურ ჯგუფს), აქტივობის წყაროს, მიმართულს ობიექტისაკენ.\*

ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდია, ამავე დროს, სუბიექტსაც წარმოადგენს. იგი, როგორც სუბიექტი, უფრო მეტადა არის დიფერენცირებული სინამდვილისაგან.

ინდივიდის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ძირითადად, პრაქტიკულ-გამოყენებითია, ხოლო სუბიექტის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, უმთავრესად, თეორიულია.

ადამიანი არა მხოლოდ ცოცხალი ინდივიდი და სუბიექტია, არამედ იგი პიროვნებაცაა.

პიროვნება ნიშნავს კონკრეტულ ინდივიდს, როგორც საქმიანობის სუბიექტს, მისი ინდივიდუალური თვისებებისა და სოციალური როლების ერთობლიობაში. მეორე მხრივ, პიროვნებას განსაზღვრავენ, როგორც ინდივიდის სოციალურ თვისებას, როგორც მასში ინტეგრირებული, სოციალურად – ნიშნადი თვისებების ერთობლიობას, თვისებებისა, რომლებიც წარმოიქმნება მოცემული პირის სხვა ადამიანებთან პირდაპირი და ირიბი ურთიერთქმედების პროცესში. ისინი, თავის მხრივ, ხდიან მას შრომის, შემეცნებისა და ურთიერთობის სუბიექტად.\* სწორედ ცნების ეს ასპექტია მნიშვნელოვანი სოციოლოგიის თვალსაზრისით, რადგან მას აინტერესებს არა ცალკეული ადამიანი თავისთავად, არამედ როგორც გარკვეული საზოგადოების, სოციალური ჯგუფის წევრი, რომელიც ზოგიერთი სოციალურად ტიპური თვისების მქონეა. თუმცა, ეს ორი ცნება – პირი, როგორც ადამიანის ერთიანობა (მთლიანობა) (*ლათ. persona*) და პიროვნება, როგორც მისი

\* ნადირაშვილი, შ. (1975). პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 62-106.

\* Философский энциклопедический словарь. (1983). Москва.

\* Кон И.С. (1967). Социология личности. Москва. Издательство политической литературы. стр. 93-100

სოციალური და ფსიქოლოგიური იერსახე (ლათ. personalitas), ტერმინოლოგიურად სრულიად განსხვავდება, მაგრამ ისინი, ზოგჯერ, იხმარება როგორც სინონიმები.

ე.ი. პიროვნება არის მყარი სისტემა სოციალურად – ნიშნადი თვისებებისა, რომლებიც ახასიათებს ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების ან ერთობის წევრს.\*

პიროვნება არის ინდივიდის სოციალური თვისება. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია. ადამიანის პიროვნება წარმოადგენს ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური ელემენტების ინტეგრალურ ერთიანობას.

ადამიანის პიროვნება ყალიბდება გარშემო მყოფებთან ყოველდღიური ურთიერთქმედების პროცესში: პიროვნება არის ერთდროულად “ობიექტი-სუბიექტი”. თუმცა, პიროვნება ყოველთვის ასრულებს გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს, ის არ შეიძლება, უბრალოდ, დავიყვანოთ ამ ფუნქციებამდე. პიროვნება არის ისტორიულად კონკრეტული, სოციალურად მოქმედი ადამიანი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური თვისებები. ეს თვისებები ყალიბდება და მუდავნდება მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მეტად რთულია. იგი მრავალ სტადიას გაივლის. ახალდაბადებულს არ გააჩნია სოციალური გამოცდილება. იგი ადამიანური პიროვნების მხოლოდ პოტენციაა. შემდგომი ცხოვრების მანძილზე კი ხდება სოციალური როლებისა და კულტურის გარკვეული სისტემის შეთვისება. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ სოციალურ მექანიზმებს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა. სოციალური გარემოს სხვადასხვა ელემენტის (სოციალურ-ეკონომიკური პირობების, კულტურული გარემოცვის, ოჯახის, სკოლის, თანატოლთა ჯგუფის, მასმედიისა და ა.შ.) მნიშვნელობა არა-ერთგაროვანია სოციალიზაციის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, აგრეთვე, სხვადასხვა საზოგადოებაში და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების შეთვისება, რომლის დროსაც იქმნება კონკრეტული პიროვნება, ე.ი. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება უნდა განვიხილოთ როგორც სუბიექტის სოციალიზაციის პროცესი.

\* Философский энциклопедический словарь. (1983). Москва.

\* Шибутани Т. (1960). Социальная психология. Москва. стр. 43

სოციალიზაცია (ლათ. *socialis* – საზოგადოებრივი) არის ინდივიდის მიერ იმ გარკვეული ცოდნის სისტემის, ნორმებისა და ღირებულებების ათვისების პროცესი, რომლებიც მას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ.

ამერიკელი მეცნიერი ტ. შიბური ასე განმარტავს სოციალიზაციას: “სოციალიზაცია არის საკომუნიკაციო პროცესი. სოციალიზაცია მიეკუთვნება იმ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ინდივიდები ეფექტურად მონაწილეობენ სოციალურ ჯგუფებში. სოციალიზაცია კომუნიკაციის უწყვეტი პროცესია, რომლის დროს ახალბედას შერჩევით შეაქვს თავის ქცევის სისტემაში ის მოდელები, რომლებიც სანქცირებულია ჯგუფის მიერ. სოციალიზაცია განვითარების პროცესია, რომელიც გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე.”<sup>\*</sup>

სოციალიზაცია არის გარემოს ის გაფლენები, მთლიანობაში, რომლებიც ინდივიდს ხდის საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილედ, ასწავლის მას თავისი კულტურის გაგებას, ჯგუფებში, ერთობებში ჩაბმას, სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობას, თვითრეალიზაციასა და თვითდამკვიდრებას, სხვადასხვა სოციალური როლის შესრულებას. სოციალიზაცია არის არა მარტო ჩვევების თანდათანობითი გამომუშავება, არამედ ცოცხალი ორგანიზმის – ადამიანის – გარემოსთან უწყვეტი ადაპტაცია.

ერთ ფრომი, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და სოციოლოგი, მიიჩნევს, რომ სოციალიზაციის პროცესი იმ წამიდან იწყება, როდესაც ადამიანი ავლენს საკუთარ თავს და სხვებისადმი საკუთარ დამოკიდებულებებს ადამიანური ურთიერთობების წესებისა და ფორმების მეშვეობით ამჟღავნებს.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის რ. ლინტონის, კულტურული ანთროპოლოგის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აზრით, პიროვნება არის “ინდივიდისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური პროცესებისა და მდგომარეობის ორგანიზაციული აგრეგატი”.<sup>\*</sup> პიროვნების მსგავს განმარტებას გვაძლევს ჯ. ჯილინი – “პიროვნება ეს არის ემოციათა, ურთიერთობათა, აზრის ფორმირებისა და მოქმედების ტენდენციათა შინაგანი ორგანიზაცია”.<sup>\*\*</sup>

\* Шибутани Т. (1969). Социальная психология. Москва. стр. 380

\* Linton, R. (1945). The Cultural Background of Personality. New York. p. 84.

\* Gillin, F. (1948). The Ways of Men. New York. p. 573.

ზიგმუნდ ფროიდმა (Freud, Sigmund – 1856-1939), ცნობილმა მეცნიერმა და ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა, შეიმუშავა პიროვნების სტრუქტურისა და მისი დინამიკის თეორია. იგი მიიჩნევს, რომ პიროვნება შედგება სამი პირველადი სფეროს ანუ ძალის სისტემისაგან: Id (იგი), Ego (მე) და Superego (ზე-მე). Id არის სიამოვნების მისაღებად მიმართული ენერგია. „იგი” არაცნობიერ ინსტინქტურ მისწრაფებათა კომპლექსია და ქმნის პიროვნების მამოძრავებელ ძალებს. Ego მოიცავს პიროვნების ფსიქიკურ ფუნქციებს. ის აკონტროლებს ადამიანის ქცევას, ეხმარება მას, ორიენტაცია მოახდინოს გარემომცველ სამყაროში. ის აკონტროლებს Id-ის ბრმა ძალებს და აკმაყოფილებს მათ რეალობის მოთხოვნათა შესაბამისად. Ego არის პიროვნების ცენტრალური ნაწილი. პიროვნების მესამე სფერო – Superego ასრულებს ზნეობრივ და შეფასებით ფუნქციებს. იგი იქმნება მორალური ნიშან-თვისებებისა და ქცევის ნორმების კომპლექსისაგან. „ზე-მე” არეგულირებს პიროვნების ქცევას და ისწრაფვის მისი სრულყოფისაგან (ჯერ მშობლების, შემდეგ კი, მთელი საზოგადოების სტანდარტების შესაბამისად.)

ფსიქოანალიტიკოსების შეხედულებას პიროვნების შესახებ, ხშირად, ხუმრობით, “პიდრავლიკურ მოდელს” უწოდებენ, რადგან თითოეული პიროვნება განხილულია, როგორც ემოციური ენერგიის ფიქსირებული რაოდენობა.

პიროვნების სოციოლოგიური კონცეფციები ადამიანთა ქცევებს სოციალური ფაქტორების ზეგავლენით ხსნის.

სოციოლოგიური მიდგომის მიხედვით, პიროვნება წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტს; იგი, აგრეთვე, არის აქტიური, შემოქმედებითი სუბიექტი.

პიროვნება არის ადამიანის სოციალური და ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობა. აქტიური საქმიანობისა და ურთიერთობების საშუალებით, საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალური ურთიერთობების სისტემაში ჩართვით, ინდივიდი ხდება პიროვნება. პიროვნება ყალიბდება ინდივიდის მიერ სოციალური ფუნქციების ათვისებისა და თვითცნობიერების განვითარების პროცესში.

გამოჩენილი პოლონები სოციოლოგის იან შჩეპანსკის მიხედვით, სოციალური პიროვნება არის ინდივიდის იმ მყარი თვისებების კომპლექსი, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ქცევაზე, წარმოიქმნებიან ბიოლოგიური და ფსიქიკური

თვისებების საფუძველზე და გამომდინარეობენ იმ ერთობათა კულტურისა და სტრუქტურის გავლენიდან, რომლებშიც ინდივიდი აღიზარდა და მონაწილეობს.\*

პიროვნების სტრუქტურა განსაზღვრავს ადამიანის არა მხოლოდ აზრებსა და გრძნობებს, არამედ მის მოქმედებასაც.

ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი ონტოგენეზში შეიძლება განვიხილოთ 2 მხრიდან: 1. როგორც იმ თვისებების თანდათანობითი თვითგახსნა, რომლებიც თვით ინდივიდშია და 2. როგორც გარეგანი ზემოქმედების შედეგი, მიმართული და არამიმართული აღზრდის შედეგი.

პიროვნების სტრუქტურას შეადგენენ პიროვნების კულტურული იდეალი, სოციალური როლები, სუბიექტური „მე“ და ასახული „მე“. ამ ელემენტების ინტეგრირებული კომპლექსი ქმნის ინდივიდის სოციალურ პიროვნებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციოლოგიური მიდგომის თანახმად, პიროვნება შეისწავლება სამ განზომილებაში:

1. პიროვნება, როგორც სოციალური ურთიერთობებისა და პროცესების სუბიექტი. აქ ყურადღება გამახვილებულია პიროვნებაზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტორზე, მის სოციალურ საქმიანობაზე.

2. პიროვნება, როგორც სოციალური ურთიერთობებისა და პროცესების ობიექტი. აქ შეისწავლება საზოგადოების ზემოქმედება პიროვნებაზე.

3. პიროვნება, როგორც სოციალური სისტემა.

პიროვნება სოციალურ ურთიერთობათა სუბიექტიც და ობიექტიცაა ერთდროულად, ამავე დროს, იგი არის სოციალური სტრუქტურის, სოციალური სისტემის შემადგენელი ნაწილი. პიროვნება თავადაც სოციალური სტრუქტურას, რომელიც შედგება ისეთი ელემენტებისაგან, როგორიცაა სოციალური როლები, სოციალური ხასიათი, ინდივიდუალური ხასიათი და სხვა.

## §2. საზოგადოება, სოციალური ხასიათი და პიროვნება

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პიროვნება ყოველთვის გულისხმობს სხვებთან ურთიერთობებს (ინტერაქციას). კონკრეტული პიროვნების გასაგებად არ არის საკმარისი მხოლოდ ადამიანებთან მისი ურთიერთობების აღწერა. უნდა დავიწყ-

\* შჩეპანსკი, ი. (1997). სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბილისი. „მეცნიერება“. გვ. 54

ოთ საზოგადოებიდან, როგორც მთელიდან. პიროვნება, როგორც საზოგადოების ნაწილი, მისი შემადგენელი ელემენტი, განსაზღვრულია მთელის, ე.ი. საზოგადოების კანონზომიერებებით. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ურთიერთობა წარმოადგენს სოციოლოგიური თეორიის ყველაზე საინტერესო პრობლემას. ისტორიული განვითარების მსვლელობაში იცვლებოდა არა მარტო პიროვნების გავრცელებული, გაბატონებული სოციალური ტიპები, მათი დირექტულებითი ორიენტაციები, არამედ ურთიერთდამოკიდებულებაც თვით პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

XX საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩენილმა ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ კინგ მერტონმა (Robert King Merton – 1910-2003), სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჩამოაყალიბა პიროვნებათა ტიპოლოგია. მან პიროვნებათა ტიპების კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო სოციალური სტრუქტურების ორი ამოცანა: 1. ისინი განსაზღვრავენ საზოგადოების მიზნებს და 2. ისინი განსაზღვრავენ და უზრუნველყოფენ ამ მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს. ამ ორი ამოცანის თანაფარდობის საფუძველზე რ. მერტონმა გამოყო შემდეგი ტიპები: კონფორმული ტიპი (იგი აღიარებს და იზიარებს მოცემული საზოგადოების კულტურულ მიზნებსა და ინსტიტუციურ საშუალებებს), ნოვატორი (იგი აღიარებს და იზიარებს საზოგადოებაში მიღებულ მხოლოდ მიზნებს), რიტუალისტი (იგი აღიარებს მხოლოდ მიზნების მიღწევის საშუალებებს), რეტრეატისტი (იგი უარს ამბობს როგორც კულტურულ მიზნებზე, ისე მათი მიღწევის საშუალებებზე), მეამბოხე (იგი უარსოფს როგორც კულტურულ მიზნებს, ისე მათი მიღების სოციალურად მოწონებულ საშუალებებს, მაგრამ ცდილობს ძველი მიზნებისა და საშუალებების ახლით შეცვლას). აღსანიშნავია, რომ მოცემული 5 სოციალური ტიპიდან ბოლო 4 ს დევიანტურს უწოდებენ. ზოგჯერ, ამ ტიპოლოგიას დევიანტური ტიპების კლასიფიკაციად მიიჩნევენ.

გერმანელი სოციალური ფსიქოლოგი ე. შპრენგერი (E. Spranger) განასხვავებს პიროვნებათა შემდეგ ტიპებს: თეორიული, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ნეოფროიდისტული სკოლის ანუ კულტურული ფსიქოანალიზის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ერიქ ფრომი (Erich Fromm – 1900-1980) სოციალურ ხასიათს მიიჩნევს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის დამაკავშირებელ რგოლად. მისი აზრით, სოცია-

ლურ ხასიათში სხვადასხვა ცნობიერი და არაცნობიერი განწყობაა ურთიერთდა-  
კავშირებული.

სოციალური ხასიათი – ეს არის შუალედური რგოლი სოციალურ-ეკონომი-  
კურ სტრუქტურასა და საზოგადოებაში გაბატონებულ იდეებსა და იდეალებს  
შორის. ამასთანავე, ის არის შუამავალი ორივე მიმართულებით: ეკონომიკური  
ბაზისიდან იდეებამდე და იდეებიდან ეკონომიკურ ბაზისამდე; ე.ი. არა მარტო  
ეკონომიკური ბაზისი ქმნის გარკვეულ სოციალურ ხასიათს; სოციალური ხასია-  
თიც, თავის მხრივ, ქმნის ზოგიერთ იდეას. ერთხელ შექმნილი იდეები, აგრეთვე,  
მოქმედებენ სოციალურ ხასიათზე და, გაშუალებულად, საზოგადოების სოცია-  
ლურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე.\*

---

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 335.

## II თავი. სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია

### § 1. ერთ ფრომის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია

ერთ ფრომის აზრით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა (ეკონომიკური ფაქტორი, როგორც ყველაზე მყარი, სოციალური ხასიათის გენეზისში პირველხარისხოვან როლს თამაშობს) აყალიბებს ადამიანის ხასიათს; მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის ბუნებაც ზემოქმედებს იმ სოციალურ პირობებზე, რომლებშიც ის ცხოვრობს. იქამდე, სანამ საზოგადოებისა და კულტურის ობიექტური პირობები სტაბილური რჩება, სოციალური ხასიათი, უპირატესად, ასრულებს სტაბილიზაციის ხელშემწყობ ფუნქციას. თუ გარეგანი პირობები იმგარად იცვლება, რომ ადარ შეესატყვისება ტრადიციულ სოციალურ ხასიათს, წარმოიქმნება განხეთქილება, ერთმანეთისაგან მოწყვეტა, რომლის შედეგად სოციალური ხასიათი ხდება არა სტაბილიზაციის, არამედ დეზინტეგრაციის ხელშემწყობი ელემენტი, ცემენტის დუღაბიდან (როგორიც ის უნდა იყოს საზოგადოებაში) ის გადაიქცევა დინამიტად.\*

მეცნიერი მიიჩნევს, რომ “სოციალური ხასიათი” საზოგადოების ფუნქციონირების ძირითადი ელემენტია. ამავე დროს, ის არის ამძრავი (მამოძრავებელი) დველი ეკონომიკურ სტრუქტურასა და მასში გავრცელებულ იდეებს შორის.

ცნებით “სოციალური ხასიათი” ე. ფრომი აღნიშნავს ხასიათის სტრუქტურის ბირთვს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობისათვის. სოციალური ხასიათის ცნება არ არის სტატისტიკური, ე.ი. ის არ არის, უბრალოდ, ხასიათის იმ თვისებების ჯამი, რომლებიც მოცემული კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი. მისი გაგება შეიძლება მხოლოდ სოციალური ხასიათის ფუნქციასთან კავშირის მეშვეობით.\*

“სოციალური ხასიათი” არის სპეციფიკური წესი (ხერხი), რომლის საშუალებითაც ადამიანების ენერგია მიემართება გარკვეულ კალაპოტში.

ერთ ფრომი გამოყოფს სოციალური ხასიათის რამდენიმე ტიპს, რომლებიც, ზოგადად, რეპრეზენტატულია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის: რეცეპტული, ექსპლოატატორული, დამგროვებელი, საბაზრო და პროდუქტიული.

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 330.

• Тамже . стр. 330

ახლა განვიხილოთ, რას წარმოადგენს სოციალური ხასიათის თითოეული ტიპი და რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

**აღმქმელი (რეცეპტული, შემთვისებელი) სოციალური ხასიათის ადამიანი** მიიჩნევს, რომ “ყველაფერი კარგის წყარო” ადამიანის გარეთ არსებობს. მას სწამს, რომ მისთვის სასურველის (იქნება ეს მატერიალური ან სულიერი, სიყვარული, ცოდნა ან სიამოვნება) მიღწევის ერთადერთი გზა არის მისი მიღება გარე წყაროდან. რეცეპტული სოციალური ხასიათი არის სენტიმენტალური, დამოკიდებული და პასიური. მისი აზრით, ის სხვებს უნდა უყვარდეთ და არა, პირი ქით, მას უყვარდეს სხვები.

**ექსპლოატატორული სოციალური ხასიათის ადამიანის, ისევე, როგორც აღმქმელს, მიაჩნია,** რომ ყველაფერი კარგის წყარო მის გარეთ არსებობს. სწორედ იქ უნდა ეძებოს ადამიანმა ყველაფერი ის, რის მიღებაც მას შეუძლია. იგი მიიჩნევს, რომ ადამიანს არაფრის გაკეთება შეუძლია. ექსპლოატატორული ტიპი, აღმქმელისგან განსხვავებით, არ ელოდება, რომ სხვა ადამიანებისაგან მიიღებს რამეს საჩუქრის (ნაბომების) სახით. იგი ამას ძალითა და ეშმაკობით აღწევს. მისი ასეთი ორიენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში ვრცელდება. ის იყენებს და ექსპლოატაციას უწევს ყველასა და ყველაფერს, ვისგან ან რისგან შეუძლია რადაცის “გამოწურვა”.

**დამგროვებელი სოციალური ხასიათის ადამიანისათვის დამახასიათებელია** მომჟირნეობა (ზოგჯერ, სიძუნწეც), სიჯიუტე. ყაირათიანობა არის მისი ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულება და იდეალი. მისი ცხოვრების წესი არის დაზოგვა და არა ხარჯვა, მფლანგველობა და ხელგაშლილობა. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანასწორობა. მას სურს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს ერთნაირი კეთილდღეობა. აღსანიშნავია, რომ იგი ორიენტირებულია წარსულზე.

**საბაზრო სოციალური ხასიათის ადამიანი** სხვა ადამიანებისგან უკიდურესად გაუცხოებულია. იგი თავის თავს მიიჩნევს ნივთად, საქონლად (პროდუქტად), რომლის ყიდვა და გაყიდვა შეიძლება. ის ისწრაფვის, რაც შეიძლება კარგად გაყიდოს საქუთარი თავი ბაზარზე. ე. ფრომის აზრით, XX საუკუნის ბაზარზე ორიენტირებული ინდივიდი ეპოქისთვის დამახასიათებელი კონფორმიზმის შედეგია. ხდება პიროვნების გადაფასება, რომლის აზრი შემდეგია: „მე ვარ ის (ისეთი), როგორიც თქვენ გინდათ, რომ მნახოთ“. საბაზრო სოციალური ხასიათის

ადამიანის თვითშეგნება და თვითშეგრძნება გამომუშავდება არა საქმიანობის პროცესში, არამედ გამომდინარეობს მისი სოციო-ეკონომიკური როლიდან.\*

ყველა ეს ოთხი სოციალური ხასიათი არაპროდუქტიული ტიპია.

**პროდუქტიული სოციალური ხასიათის პიროვნებისათვის დაზოგვაზე** (შენახვაზე) ორიენტირებული ფილოსოფია არის “ჭუჭყიანი“. მისთვის მისაღებია ისეთი იდეები, რომლებშიც აქცენტი კეთდება შემოქმედებით ძალისხმევასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამდიდრებენ ცხოვრებას.

მხოლოდ პროდუქტიული სოციალური ხასიათი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების მიზანს. იგი არის პატიოსანი, წყნარი, მშვიდი, მოსიყვარულე, შემოქმედებითი, ყოველთვის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მოქმედი.

ერთ ფრომის აზრით, ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის განვითარება განაპირობებს სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას, ე.ი. ორიენტაციების სტაბილურ და ნათლად გამოხატულ სისტემებს. სოციალიზაციის ხუთი წესის შესაბამისად (მაზოხიზმი, სადიზმი, დესტრუქტივიზმი, კონფორმიზმი, სიყვარული), წარმოიშობა სწორედ ზევით განხილული ადაპტაციის ხუთი წესი: რეცეპტული, ექსპლოატატორული, დამგროვებლური, საბაზრო და პროდუქტიული.

ე. ფრომი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის სოციალური ხასიათისათვის დამახასიათებელი იყო პრინციპული მიმართულება – “ქონა“, XX საუკუნის სოციალური ხასიათის მიზანია – “გამოყენება“. დაგროვების სოციალური ხასიათი შეცვალა საბაზრო სოციალურმა ხასიათმა, თუმცა, ამ ცვლილებას ფლობაზე ორიენტაცია ნულამდე არ დაუყვანია, მაგრამ გამოიწვია მისი მოდიფიკაცია.\*

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ხასიათი სრულიად განსხვავებულია. ახლანდელი ეკონომიკა ეფუძნება არა მოხმარების შეზღუდვას, არამედ მის გაფართოებას.

ე. ფრომის თანამედროვე ინდუსტრიულმა საზოგადოებამ შექმნა ისეთი სოციალური ხასიათი, რომლისთვისაც შინაგანად დამახასიათებელი უნდა იყოს დისციპლინა, წესრიგი, წესიერება, სიზუსტე, თანაც ისეთი ხარისხითა და ზომით, რაც უცხო იყო სხვა კულტურებისთვის. ასეთ საზოგადოებაში შრომა ძალიან დიფერენცირებულია. იგი თავისუფალი ადამიანების საქმიანობით ხასიათდება. შრომა აქ არ შეიძლება მუქარით ან იძულებით. შრომის პუნქტუალობისა

\* Fromm, E (1959). The Same Society. New York, pp. 141-142.

\* Фромм, Э. (1991). Иметь или Быть. Москва. стр. 77-79.

და სიზუსტის მოთხოვნილება ადამიანის შინაგანი სურვილია. პატიოსნება არის თავისუფალი ბაზრის ძირითადი კანონი.\*

ე. ფრომი ჯგუფის წევრთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელ საერთო – ზოგად ნიშან-თვისებათა ერთობლიობას სოციალურ ხასიათს უწოდებს.

სოციალურ ხასიათში შედის ხასიათის მხოლოდ იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული სოციალური ჯგუფის წევრთა უმრავლესობისათვის და რომლებიც წარმოიშვა მათთვის ტიპური ზოგად-საერთო განცდებისა და გრძნობების, ცხოვრების ზოგად-საერთო წესის საფუძველზე.

ე. ფრომის აზრით, სოციალური ხასიათის ცნებას მთავარი მნიშვნელობა აქვს სოციალური პროცესების გასაგებად.

სოციალური ხასიათი ადამიანური ენერგიის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც წარმოიქმნება განსაზღვრულ საზოგადოებაში ცხოვრების განსაზღვრული წესისადმი ადამიანურ მოთხოვნილებათა დინამიკური ადაპტაციის პროცესში. სოციალური ხასიათი განსაზღვრავს ინდივიდის აზროვნებას, გრძნობებსა და მოქმედებებს.

ინდივიდთა სოციალური ხასიათი ყალიბდება მოცემული საზოგადოების ცხოვრების წესით, მაგრამ ამ ხასიათის უმთავრესი ნიშნები, თავის მხრივ, ხდება შემოქმედებითი ძალები, რომლებიც აყალიბებენ ცხოვრების წესს.

ერთ ფრომი აღნიშნავს, რომ მოცემულ საზოგადოებაში ერები, სოციალური ერთობები ან კლასები ფლობენ მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ხასიათს. თუმცა, საზოგადოებაში შეიძლება იყოს ინდივიდთა გარკვეული რაოდენობა, ვისი ხასიათის სტრუქტურა, საერთოდ, არ განიცდის იმ უფრო ფართო ნიმუშების, სტანდარტების გავლენას, რომლებიც საერთოა მთელი ჯგუფისთვის.

თუ მოცემული საზოგადოების წევრების უმრავლესობის ენერგია მიედინება ერთი და იმავე მიმართულებით, მაშინ მათ ერთი და იგივე მოტივაცია გააჩნიათ, უფრო მეტიც, ისინი ერთსა და იმავე იდეალებსა და იდეალებს ითვისებენ.

ერთ ფრომის აზრით, საზოგადოების, სხვადასვა კლასისა და სოციალური ჯგუფის წევრები იძულებული არიან, მოიქცნენ ისე, რომ პქონდეთ სოციალური სისტემის მოთხოვნების შესაბამისად ფუნქციონირების საშუალება. სწორედ ამაშია სოციალური ხასიათის ფუნქცია – საზოგადოების წევრთა ენერგია იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ ქცევის ნორმებისა და წესების არჩევის დროს მათ არ

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 328-335.

დასჭირდეთ, შეგნებულად მიიღონ გადაწყვეტილება – საჭიროა თუ არა, იმოქმედონ სოციალური ნიმუშების შესაბამისად. სოციალური ხასიათის ფუნქციაა, აგრეთვე, რომ ადამიანებს ჰქონდეთ სურვილი, იმოქმედონ ისე, როგორც უნდა იმოქმედონ. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანები სიამოვნებას დებულობდნენ, როდესაც მოქმედებენ მოცემული კულტურის მოთხოვნების შესაბამისად. სოციალური ხასიათის ფუნქცია არის ის, რომ ჩამოაყალიბოს და წარმართოს ადამიანის ენერგია მოცემული საზოგადოების შიგნით, ამ საზოგადოების ფუნქციონირების გაგრძელების მიზნით.

სოციალური ხასიათი არის სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც ადამიანური ენერგია სპეციფიკურად ფორმირდება. საზოგადოება ამას თავის მიზნებისთვის იყენებს.

სოციალური ხასიათი, აგრეთვე, არის ბაზისი, რომლის მეშვეობითაც გარკვეული იდეები და იდეალები თავიანთ ძალასა და მიმზიდველობას იძენს.

ე. ფრომი ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტორებს, რომლებიც, ერთი მხრივ, პასუხისმგებელი არიან სოციალური ხასიათის შინაარსზე, და, მეორე მხრივ, იმ ხერხებზე (წესებზე), რომელთა საშუალებითაც იქმნება სოციალური ხასიათი. საზოგადოების სტრუქტურა და მასში ინდივიდის ფუნქცია განსაზღვრავენ სოციალური ხასიათის შინაარსს.\*

მოკლედ, მოცემულ საზოგადოებაში პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირებულებითი ორიენტაციების ერთობლიობას, გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებების ერთობლიობას ეწოდება სოციალური ხასიათი. სოციალური ხასიათის სტრუქტურა განსაზღვრავს ადამიანების არა მარტო ქცევებს, არამედ მათ აზრებსა და იდეებს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხასიათს, ის ისეთი სახის ხასიათია, რომლის საშუალებით ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.\*

თავის შრომებში ე. ფრომი აანალიზებს არა მარტო სოციალურ ხასიათს, არამედ საზოგადოებასაც, ძირითადად, კაპიტალისტურ საზოგადოებას. იგი აღნიშნავს, რომ თითოეულ საზოგადოებას გააჩნია გარკვეული სტრუქტურა და ფუნქციონირებს გარკვეული წესით იმ აუცილებლობის შესაბამისად, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური პირობებით. ე. ფრომი ასეთ პირობებად მიიჩნევს წარმოების წესს, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებს, კულ-

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 335.

• Fromm, E. (1963). The Sane Society. New York. p. 78

ტურულ ტრადიციებსა და იმ გარეგან გავლენებს, რომლებსაც საზოგადოება განიცდის.\*

ე. ფრომი მართებულად აღნიშნავს, რომ არ არსებობს საზოგადოება ზოგადად, არის მხოლოდ სპეციფიკური სოციალური სტრუქტურები, რომლებიც მოქმედებენ გარევეული წესების მიხედვით. თუმცა, ეს სოციალური სტრუქტურები იცვლება ისტორიული განვითარების მსვლელობაში, ისინი შედარებით სტაბილურები არიან თითოეულ მოცემულ ისტორიულ პერიოდში. თითოეული საზოგადოება შეიძლება არსებობდეს, თუ ის მოქმედებს თავისი სპეციფიკური სტრუქტურის ფარგლებში.

მეცნიერი ერთმანეთს ადარებს და აანალიზებს XIX და XX საუკუნეების საზოგადოებებს. ის ზუსტად აღნიშნავს, რომ ამ საუკუნეების კაპიტალისტური საზოგადოებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. XIX საუკუნეში კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელი იყო კაპიტალის დაგროვება. ამის მისაღწევად საჭირო იყო მომჭირნეობა, დისციპლინის განმტკიცება და სტაბილურობა, რასაც ხელს უწყობდა ავტორიტარულობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, როგორიცაა: ოჯახი, ეკლესია, მრეწველობა, სახელმწიფო და სხვ. აქ, ძირითადად, „დაგროვების ორიენტაციის“ სოციალური ხასიათი არსებობს.

XX საუკუნისთვის დამახასიათებელია „მაშინიზაცია“, „კომპიუტერიზაცია“ და „რობოტიზაცია“. ე. ფრომის აზრით, ტექნოლოგიური განვითარება ალტრუზის გარეშე სოციალურად დამანგრევებელია. მეცნიერისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ანტიტექნიზმი.

ერთ ფრომმა თავისი შრომებით („თავისუფლებიდან გაქცევა“ – „The Escape from Freedom“ – 1941, „დავიწყებული ენა“ – „The Forgotten Language“ – 1951, „გონიერი საზოგადოება“ – „The Sane Society“ – 1955, „სიყვარულის ხელოვნება“ – „The Art of Loving“ – 1956, „ილუზიების ტყვეობიდან“ – „Beyond the Chains of Illusion“ – 1962, „ადამიანის სული“ – „Die Seele des Menschen“ – 1964 და სხვა) იმპულსი მისცა XX საუკუნის პუმანისტურ აზროვნებას. მან თავისი მეცნიერებლი მოღვაწეობით წარუშლებული კვალი დატოვა არა მარტო მის კოლეგებსა და მოწაფეებზე, არამედ შემდეგი თაობის მეცნიერებზეც.

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 330-331.

ბევრი სოციოლოგი და ფსიქოლოგი (განსაკუთრებით, გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი დევიდ რისმენი) სამართლიანად მიიჩნევს, რომ მათი მეცნიერული შეხედულებები დიდადაა დამოკიდებული ერის ფრომის ნააზრევზე, მის მიერ ჩამოყალიბებულ მოძღვრებაზე სოციალური ხასიათისა და თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ.

ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ, სოციალური ხასიათისა და საზოგადოების შესახებ ე. ფრომის მეცნიერული კონცეფციის განხილვა.

\* \* \*

ცნობილი რუსი სოციოლოგის ი. კონის აზრით, მოცემულ საზოგადოებაში პიროვნებისთვის დამახასიათებელი ტიპური დირებულებითი ორიენტაციების ერთბლიობას ეწოდება სოციალური ხასიათი. ამავე დროს, ისინი ინდივიდუალურები არიან, რადგან მათში აკუმულირდება მოცემული პირის განუმეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების თავისებურება.\*

სოციალურ ხასიათს განიხილავდნენ, აგრეთვე, აბრამ კარდინერი (Abram Kardiner), მარგარეტ მიდი (Margaret Mead), რუთ ბენედიქტი (Ruth Benedict), გორდონ ალპორტი (Gordon Allport) და სხვ. ა. კარდინერი და რ. ლინგონი ტერმინის „სოციალური ხასიათი“ ნაცვლად იყენებენ ცნებას „პირითადი პიროვნება“, ხოლო გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი ა. ინკელსი – ცნებას „მოდალური პიროვნება“.

სოციალური ხასიათის მეცნიერულ ანალიზს იძლევა, აგრეთვე, გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი დევიდ რისმენი. იგი აანალიზებს ცნებებს „პიროვნება“, „ხასიათ“ და „სოციალური ხასიათი“ და აღნიშნავს, რომ როცა ლაპარაკია „სოციალურ ხასიათზე“, აქ არ იგულისხმება არც „პიროვნება“ და არც „ხასიათი“. დ. რისმენის აზრით, „სოციალური ხასიათი“ „ხასიათის“ ის ნაწილია, რომელსაც იზიარებენ მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფებში და რომელიც, როგორც ამას განსაზღვრავს თანამედროვე სოციოლოგთა უმეტესობა, ამ გამოცდილების შედეგია. არსებობს კლასების, ჯგუფების, რეგიონებისა და ერების სოციალური ხასიათი“.\*

\* Кон, И. С. (1967). Социология Личности, Москва. Издательство Политической Литератури. Стр. 28  
\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950).p. 18.

## § 2. დევიდ რისმენის „ეული მასა“

ჩვენი ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დევიდ რისმენის მიერ შემუშავებული სოციალური ხასიათის ტიპოლოგია, რომელიც მოცემულია მის წიგნში “ეული ბრბო“.

სანამ უშუალოდ ტიპოლოგიას განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია, რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ დევიდ რისმენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ფაქტი.

დევიდ რისმენი დაიბადა 1909 წელს ფილადელფიაში. მამამისი იყო პენსილვანიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი. დ. რისმენი სწავლობდა ჰარვარდის კოლეჯში, რომელიც დაამთავრა 1931 წელს და მიიღო ბიოქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სამწლიანი სწავლის შემდეგ, 1934 წელს, მან დაამთავრა ჰარვარდის სამართლის სკოლა და გახდა იურისპრუდენციის პროფესორი. 1937-1941 წლებში ასწავლიდა სამართალს ბუფალოს უნივერსიტეტში. 1941 წლიდან მოღვაწეობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში და ეწეოდა კვლევით მუშაობას, რომლის შედეგები გამოაქვეყნა წიგნებში “სამოქალაქო უფლებები გარდამავალ პერიოდში“ და “დემოკრატია და დიუმაცია“<sup>\*</sup> (ადსანიშნავია, რომ კოლუმბიის სამართლის სკოლაში დ. რისმენს შესაძლებლობა ჰქონდა, განეხილა კომპარატიული (შედარებითი) სოციალური საკითხები ცნობილ ანთროპოლოგებთან მარგარეტ მიდსა და რეთ ბენედიქტთან, ფილოსოფოსთან პანა არენდესა და ლიტერატურის კრიტიკოსთან ლაიონელ ტრილინგთან ერთად. მოგვიანებით ის სწავლობდა ფსიქოანალიზს ერიქ ფრომსა და პარი სტეპ სალივანთან) /Ken Gewertz, Harvard University Gazette Staff/. 1949 წელს დევიდ რისმენი მიიწვიეს ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც სათავეში ჩაუდგა მასობრივი კომუნიკაციების შემსწავლელ კვლევით პროექტს. ამ კვლევის შედეგია წიგნები “ეული მასა“ (1950 წ.) /ნათან გლეიზერსა და რიუელ დენისთან ერთად/ და „სახეები მასაში“ (1952 წ.) /ნათან გლეოზერთან ერთად. /6. გლეიზერი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ამ წიგნების ნამდვილი ავტორი იყო დევიდ რისმენი/. შემდეგი დიდი შრომა დ. რისმენმა მიუძღვნა თორნსტეინ ვებლენის მოღვაწეობის ანალიზს – „ო. ვებლენი – კრიტიკული ინტერპრეტაცია“ (Thornstein Weblen – 1857-1929, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, სოციოლოგი და სოციალური კრიტიკოსი, რომელმაც დააფუძნა “ინსტიტუციური

\* დივამაცია (ლათინური - სახელს ვუტეხ) რომელიმე პიროვნების სახელის გასატეხი ცნობების (ნამდვილის ან მოგონილის) პრესაში გამოქვეყნდა.

პოლიტიკონომიის“ სახელით ცნობილი მიდგომა). დ. რისმენი ავტორია მრავალი სოციალური გამოკვლევისა, რომლებშიც ის ბევრ სხვადასხვა საკითხს განიხილავს, მაგრამ მისი მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის მთავარი მიზანი იყო, დახმარებოდა ინდივიდებს, თანამედროვე საზოგადოებაში მოქოვებინათ თავისუფლება და ადამიანები მიეღოთ ისეთებად, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან.\*

დ. რისმენი გარდაიცვალა ბინგჰემტონში, (Binghamton, NY) 2002 წლის 10 მაისს, 92 წლის ასაკში.

დ. რისმენის ყველაზე უფრო ცნობილი წიგნი “ეული მასა“ მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგია. იგი დაიწერა 1948-1949 წლებში იელის უნივერსიტეტის ეროვნული პოლიტიკის კომისიის (The Yale University Committee on National Policy) ხელშეწყობითა და დოტაციით და გამოქვეყნდა 1950 წელს იელის უნივერსიტეტის გამომცემლობის (Yale University Press) მიერ. წიგნმა გამოსვლისთანავე დიდი პოპულარობა და აღიარება მოიპოვა. შემდეგ იგი რამდენჯერმე გამოიცა და ერთგვარი სოციოლოგიური ბესტსელერი გახდა ამერიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში (მისმა ტირაჟმა 500 000-ს გადააჭარბა).

“ეულ მასას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო წრეებში. მან დ. რისმენის ბევრი კოლეგის აღვრთოვანება გამოიწვია. მათ წიგნს მაღალი შეფასება მისცეს. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანის შეხედულებას. გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგის ტალკოტ პარსონსის (Talcott Parsons – 1902-1979) აზრით, “დევიდ რისმენი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტიმულის მომცემი და შორსმჭვრეტელი ავტორი სოციალური და ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის დარგში“. ტ. პარსონსი მიიჩნევდა, რომ “ეული მასა“ უმჭველად თვალსაჩინო ადგილს დაიკავებდა, როგორც თანამედროვე საზოგადოების ბევრი მიმართულების გამოცდილი და სტმულის მიმცემი ინტერპრეტაცია. ლაიონელ ტრილინგი (Lionel Trilling) წერდა: „მე მგონია, “ეული მასა“ არის ამერიკის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წიგნი, რომელიც ოდესმე წამიკითხავს“. რობერტ რედფილდის (Robert Redfield), ჩიკაგოს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორის, აზრით, “ეულ მასაში“ თანამედროვე ადამიანის გაგების მიზნით წამოყენებულია დიდი და სტიმულის მომცემი იდეა, რომელიც შორს გაგრცელდება და

\* Руткевич Е.Д. Типология социального характера Д. Рисмена. Социологические исследования. 1993. №3. с. 118-121.

დიდხანს გაძლებს. უ. კორნჰაუზერი (W. Kornhauser) კრებულში „პულტურა და სოციალური ხასიათი”, რომელიც მიეძღვნა „ეული მასის” გამოსვლის ათი წლისთავს, მიუთითებს, რომ დევიდ რისმენის „ეული მასა” ყველაზე მეტი პოპულარობით ხარგებლობს ამერიკელ სოციოლოგებსა და ინტელიგენციის ფართო წრებს შორის. იგი აღნიშნავს, რომ ამ წიგნმა ყველაზე დიდი აღიარება ლიბერალებში მოიპოვა.

“ეული მასის” პოპულარობა განსაკუთრებით განაპირობა მასში მოცემულმა სოციალური ხასიათის ტიპოლოგიამ, რომელსაც საფუძვლად დაქმდო ცვალებადი ამერიკული ხასიათის შესწავლა. როგორც თავად დ. რისმენი აღნიშნავს, წიგნი ეხება სოციალურ ხასიათსა და სხვადასხვა ქვეყნის, ეპოქისა და ჯგუფის ადამიანების სოციალური ხასიათების განსხვავებას. მასში განხილულია ის გზები, რომელთა მეოხებით სხვადასხვა ტიპის სოციალური ხასიათი, საზოგადოების წიაღში ჩამოყალიბების შემდეგ, კლინდება და ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ბავშვის აღზრდაში, მუშაობაში, გართობასა და პოლიტიკაში.

დ. რისმენი აანალიზებს ცნებას “სოციალური ხასიათი” და მის მიმართებას ცნებებისადმი “პიროვნება” და “ხასიათი”. “პიროვნება” სოციალურ ფსიქოლოგიაში აღნიშნავს მთლიან „მე“-ს (Self), მისი მემკვიდრეობით მიღებული ტემპერამენტით და ნიჭით, მისი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური კომპონენტებით, მისი როგორც წარმავალი, არახანგრძლივი, ისე მეტ-ნაკლებად უცვლელი ატრიბუტებით. რაც შეეხება “ხასიათს”, იგი ეხება პიროვნების მხოლოდ ნაწილს – იმ ნაწილს, რომელიც ყალიბდება არა მემკვიდრეობითობის, არამედ გამოცდილების საშუალებით. ხასიათი, ამ მნიშვნელობით, წარმოადგენს ინდივიდის მისწრაფებებისა (drives) და მათი დაკმაყოფილებების მეტ-ნაკლებად უცვლელ, სოციალურად და ისტორიულად განპირობებულ ორგანიზაციას – “განწყობის” (set) სახეს, რომლითაც ის კონტაქტს ამყარებს სამყაროსა და ადამიანებთან.

დევიდ რისმენი მიიჩნევს, რომ “სოციალური ხასიათი” არის “ხასიათის” ის ნაწილი, რომელიც საერთოა მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფებისა და მისი წევრებისათვის და რომელიც ამ ჯგუფების გამოცდილების შედეგია”\*

მეცნიერი სწორად ამტკიცებს, რომ ცნება “სოციალური ხასიათი” ბევრი ორაზნოვნებითა და გაურკვევლობით ხასიათდება. ხშირად, მნელია იმის დადგე-

\* Riesman, D. (1953). The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 18.

ნა, სოციალური ხასიათი გამოცდილების შედეგია თუ მემკვიდრეობითობით არის განპირობებული. არ არსებობს იმის ემპირიული დასაბუთება, რომ სოციალური ხასიათი რეალურად არსებობს. რთულია, აგრეთვე, იმის დადგენა, ის უფრო მნიშვნელოვანია თუ ხასიათისა და პიროვნების ელემენტები, რომელთა ერთი ნაწილი აერთიანებს ადამიანებს, სხვა ელემენტები კი იწვევენ ინდივიდების განცალკევებას, დაპირისპირებას.

### **ჰ3. სოციალური ხასიათისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება დ. რისმენის მიხედვით**

დ. რისმენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალური ხასიათისა და საზოგადოების დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ ყოველი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს ისეთი სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას, რომელიც მას სჭირდება ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თავისი შეხედულების განსამტკიცებლად მას მოჰყავს ცნობილი გერმანელი სოციალური ფსიქოლოგისა და ფსიქოანალიტიკოსის ერიქ ფრომის (Erich From – 1900-1980) მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით: “იმისათვის, რომ ყოველ საზოგადოებას შეეძლოს კარგად ფუნქციონირება, მისმა წევრებმა უნდა შეიძინონ ისეთი სახის ხასიათი, რომელიც მოანდომებს მათ, იმოქმედონ ისე, როგორც უნდა იმოქმედონ, როგორც საზოგადოების ან განსაკუთრებული კლასის წევრებმა მის შიგნით. მათ უნდა სურდეთ ის, რის გაკეთებაც მათთვის ობიექტურად აუცილებელია. გარეგანი ძალა შეცვლილია შინაგანი იძულებით და ადამიანური ენერგიის განსაკუთრებული სახით, რომელიც გადადის ხასიათის თვისებებში“.\*

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ კავშირი სოციალურ ხასიათსა და საზოგადოებას შორის არ არის ერთადერთი, მაგრამ ეს კავშირი ყველაზე მნიშვნელოვანია. საზოგადოება უზრუნველყოფს კონფორმულობის გარკვეულ ხარისხს იმ ინდივიდებში, რომლებიც ამ საზოგადოებას შეადგენენ. ყოველ საზოგადოებაში კონფორმულობის უზრუნველყოფის ასეთ წესსა და ფორმას უნერგავენ ბავშვს და შემდეგ, უფრო გვიანი, სრულასაკოვანი გამოცდილების შედეგად, იგი ან უფრო განვითარდება ან, პირიქით, დაირღვევა.

დ. რისმენი ტერმინებს “კონფორმულობის წესი“ და “სოციალური ხასიათი“ ურთიერთშენაცვლებით იყენებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ კონფორმულობა მთლი-

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 19

ანად სოციალური ხასიათი არ არის. “შემოქმედებითობის (კრეატიულობის) წესი”, აგრეთვე, არის მისი ნაწილი. დ. რისმენი მიიჩნევს, რომ საზოგადოებებსა და ინდივიდებს საკმაოდ კარგად შეუძლიათ, იარსებონ შემოქმედებითობის გარეშე (თუმცა, პროზაულად), მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ შეძლონ არსებობა კონფორმულობის წესის გარეშე, მაშინაც კი, თუ ეს იქნება ამბოხის კონფორმულობა.

საზოგადოებასა და “სოციალურ ხასიათს“ შორის არსებული კავშირის ჩვენებისა და სოციალიზებული ტიპების დახასიათების მიზნით, დ. რისმენი იყენებს დემოგრაფიიდან აღებულ რამდენიმე კატეგორიას, მათ შორის, მოსახლეობის ზრდას. იგი ცდილობს, ერთმანეთს დაუკავშიროს ზოგიერთი სოციალური და ხასიათის ცვლილებები, როგორც მიზეზი და შედეგი, მოსახლეობის რაოდენობის გარკვეულ ცვლილებას.

დ. რისმენმა სოციალურ ხასიათთა კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო ფრენკ ჟ. ნოუტსტეინის მიერ აგებული მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მრუდი - S ფორმის მრუდი, რომელიც მიუთითებს მოსახლეობის რაოდენობაზე სხვადასხვა პერიოდში. ამ მრუდის ქვედა, პორიზონტალური ხაზი, აჩვენებს, რომ ადრეულ საუკუნეებში დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობა არ იზრდებოდა ან იზრდებოდა ძალიან ნელა, რადგან შობადობის რაოდენობა თითქმის უტოლდებოდა სიკვდილიანობის მაჩვენებელს. ორივე, როგორც შობადობა, ისე სიკვდილიანობა, ძალიან მაღალი იყო. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ასეთი საზოგადოებები “მოსახლეობის ზრდის მაღალი პოტენციალის” ფაზაში არიან, რადგან, თუ შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული ზომების მიღება სიკვდილიანობის მაღალი კოეფიციენტის შესამცირებლად – მაგ., კვების პროდუქტების რაოდენობის გაზრდა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, ავადმყოფობათა შემცირება და ა.შ., – ამას შედეგად მოჰყვებოდა “მოსახლეობის აფეთქება” და მოსახლეობის რაოდენობა ძალიან სწრაფად გაიზრდებოდა. ზემოთ აღნიშნული დონისძიებების გატარებამ დასავლეთში, XVII საუკუნიდან დაწყებული, გამოიწვია მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი გაზრდა, განსაკუთრებით, ევროპასა და ევროპელებით დასახლებულ ქვეყნებში. ეს მდგომარეობა მრუდზე გამოსახულია S-ის გერტიკალური ხაზით. ამ მეორე ფაზას დემოგრაფები უწოდებენ “მოსახლეობის გარდამავალი ზრდის” სტადიას. ამ სტადიაში შობადობისა და სიკვდილიანობის პროცენტი თითქმის თანაბარია და ორივე შემცირებულია. მესამე ფაზაში იწყება მოსახლეობის ზრდის სიჩქარის შემცირება. ამ ფაზას დემოგრაფები უწოდებენ

დებენ „მოსახლეობის შემცირების დაწყებას“. ამ ფაზაში მყოფი საზოგადოებები გამოხატულია S-ის ზემო პორიზონტალური ხაზით. ასეთ საზოგადოებებში მთელი მოსახლეობის ზრდა მცირეა, როგორც პირველში, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იმით არის გამოწვეული, რომ დაბალია როგორც შობადობა, ისე სიკვდილიანობა. მნიშვნელოვანია, რომ „მოსახლეობის შემცირების დაწყება“ არ გადაიქცა „მოსახლეობის შემცირებად“.

ამ სამი ფაზის შედარების დროს ნიშანდობლივია ერთი მოვლენა. I ფაზაში მყოფ საზოგადოებებში ახალგაზრდა თაობის წილი მთელ მოსახლეობაში ძალიან დიდია, ხოლო თაობათა ცვლის ტემპი ძალიან სწრაფი. II და III ფაზებში თანდათან იზრდება შეახნისა და მოხუცებული ადამიანების რიცხვი, შესაბამისად, თაობათა ცვლის ტემპი არ არის სწრაფი.

განიხილავს რა ფრენკ უ. ნოუტსტეინის მიერ მოცემულ მოსახლეობის მრუდს, დ. რისმენი ასკვნის, რომ ეს მრუდი უფრო აჩვენებს იმას, რაც მოხდა დასავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე, იმ ქვეყნებში, რომლებზეც დასავლეთმა ზეგავლენა მოახდინა. იგი ნაკლებად წარმოადგენს მოსახლეობის ზრდის თეორიას.

დ. რისმენის აზრით, მოსახლეობის მრუდის თითოეული ფაზის შესაბამისი საზოგადოებები განსხვავებულ კონფორმულობასა და სოციალურ ხასიათს აყალიბებენ.

#### § 4. დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია

ახლა განვიხილოთ დ. რისმენის მიერ ჩამოყალიბებული სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი აღიარება მოიპოვა არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებაში, არამედ სოციალური საკითხებით დაინტერესებულ წრეებშიც.

დ. რისმენის კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს სამი ტიპის საზოგადოება და მათი შესაბამისი სამი ტიპის სოციალური ხასიათი.

მოსახლეობის ზრდის მაღალი პოტენციალის მქონე საზოგადოება თავის ტიპურ წევრებში აყალიბებს ისეთ სოციალურ ხასიათს, ვისი კონფორმულობა განსაზღვრულია მათი მისწრაფებით, დაიცვან ტრადიცია. ასეთ ადამიანებს დ. რისმენი უწოდებს ტრადიციით მართულებს (ტრადიციაზე ორიენტირებულებს), ხო-

ლო საზოგადოებას, სადაც ისინი ცხოვრობენ, ტრადიციით მართვაზე დამოკიდებულ (ტრადიციაზე ორიენტირებულ) საზოგადოებას.\*

რაც შეეხება მოსახლეობის გარდამავალი ზრდის საზოგადოებას, იგი თავის ტიპურ წევრებს უყალიბებს ისეთ სოციალურ ხასიათს, ვისი კონფორმულობა უზრუნველყოფილია მათი მისწრაფებით, ცხოვრების ადრეულ საფეხურზე მიაღწიონ ინტერნალიზებულ (გათავისებულ) მიზნებსა და ამოცანებს. ასეთ ადამიანებს დ. რისმენი უწოდებს შინაგანად მართულებს (საკუთარ თავზე ორიენტირებულებს), ხოლო საზოგადოებას, სადაც ისინი ცხოვრობენ, შინაგან მართვაზე დამოკიდებულ (საკუთარ თავზე ორიენტირებულ) საზოგადოებას.

დაბოლოს, საზოგადოება, სადაც იწყება მოსახლეობის შემცირება, თავის წევრებში ავითარებს სოციალურ ხასიათს, ვისი კონფორმულობა უზრუნველყოფილია მათი მისწრაფებით, იყვნენ მკრძნობიარენი სხვების მოლოდინებისა და უპირატესობათა მიმართ. ისინი სხვაზე/სხვებზე ორიენტირებული ადამიანები არიან, ხოლო საზოგადოება, სადაც ისინი ცხოვრობენ, სხვების მიერ მართვაზე დამოკიდებული საზოგადოებაა.

დ. რისმენი როგორც საზოგადოების, ისე სოციალური ხასიათის სხვადასხვა ტიპს “იდეალურ ტიპებს“ უწოდებს.

ახლა განვიხილოთ ის ნიშან-თვისებები, რომლებითაც ხასიათდება ეს 3 განსხვავებული საზოგადოება და სოციალური ხასიათი.

### ტრადიციით მართული საზოგადოება და სოციალური ხასიათი

ტრადიციით მართული ადამიანების ქცევა ზუსტადაა რეგულირებული გარედან, ტრადიციული კულტურული ნორმებით, სტანდარტებით, ნათესაური კავშირებით, რელიგიით, ცერემონიალებით, წეს-ჩვეულებებითა და სხვ. მათი დახასიათებული ნიშანია კონფორმულობა ქცევის გარეგან ნორმებთან, მათი საზოგადოებრივი ჯგუფის ეთიკასთან.

ტრადიციით მართულ საზოგადოებაში დომინანტურია ტრადიციებისადმი მორჩილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი უნარების განვითარება, ინიციატივის გამოჩენა, მისწრაფებების დაკმაყოფილება. ინდივიდებს ძალიან აფასებენ, განსაკუთრებით, ხანშიშესულებს სცემენ პატივს. ტრადიციით მართული პიროვნება თავის თავს, ძირითადად, არ აღიქვამს ინდივიდუულ

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 23.

მად. თუმცა, ზოგიერთ ტრადიციით მართულ საზოგადოებაში გარკვეულ ინდივიდებს, განსაკუთრებით, თუ ისინი მაღალი წრის ოჯახებს ეკუთვნიან, ბავშვობიდან ამზადებენ, რომ ინდივიდუალურ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. აღსანიშნავია, რომ ტრადიციით მართულ საზოგადოებაში არჩევანის შესაძლებლობა მინიმალურია. ასევე მინიმალურია სოციალური მოთხოვნილება (საჭიროება) ინდივიდუალური ხასიათის მქონე ადამიანებზე. ასეთ საზოგადოებაში ხასიათის სტრუქტურა, უმეტესად, „შემგუებელია“. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა უმეტესობას დადებითი განწყობა აქვს სოციალური ინსტიტუტებისადმი და ეგუება მათ. ზრდის მაღალი პოტენციალის საზოგადოება ხასიათდება სოციალური მობილობის ძალიან დაბალი დონით. ეს ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მობილობას.

დ. რისმენის აზრით, ტრადიციით მართული ადამიანი ტიპურია „უცვლელი, მყარი საზოგადოებებისათვის. დასავლეთის ისტორიაში შუა საუკუნეები არის მიჩნეული ტრადიციით მართვის მთავარ პერიოდად, სადაც ადამიანთა დიდი უმრავლესობა ტრადიციით იყო მართული.

დ. რისმენი მიიჩნევს, რომ ზრდის მაღალი პოტენციალის ფაზა ახასიათებს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ტრადიციაზე მართული სოციალური ხასიათი გაბატონებულია ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში (დ. რისმენის ეს მოსაზრებები გამოთქმულია XX საუკუნის შუა პერიოდში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში, გარდა სამხრეთ ევროპისა, სიტუაცია XXI საუკუნეშიც დიდად არ შეცვლილა. აქ, ზოგიერთ ქვეყანაში, ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია).

სხვა ავტორები მსგავსი ტიპის საზოგადოების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ: მაგ. „ხალხური საზოგადოება“ (folk society), „სტატუსის საზოგადოება“ (“status society”), „გემაინშაფტი“ (“gemeinshaft” – ფ. ტიონისი), „აგრარული საზოგადოება“ (“agricultural society” – გ. და ჯ. ლენსკები) და სხვ. ასეთი ტიპის საზოგადოებებისათვის საერთოა ის, რომ მათ ახასიათებოთ ცვლილებათა ნები ტემპი, ოჯახის დომინანტური მდგომარეობა, ნათესაურ ერთობებზე დამოკიდებულება და დირექტულებათა მჭიდრო ქსელი.

**საკუთარ თავზე თრიენტირებული საზოგადოება და სოციალური ხასიათი**  
საზოგადოებები, სადაც მოსახლეობის გარდამავალი ზრდაა, ძირითადად, რენესანსისა და რეფორმაციის შედეგია. ასეთი ტიპის საზოგადოებას დ. რისმენი

“შინაგანად მართულ“ (“საკუთარ თავზე ორიენტირებულ“) საზოგადოებას უწოდებს.

გარდამავალი ზრდის მოსახლეობის საზოგადოება თავის ტიპურ წევრებში ავთარებს სოციალურ ხასიათს, ვის კონფორმულობას განაპირობებს ცხოვრების აღრეულ ეტაპზე შეძენილი და ინტერნალიზებული მიზნები, ამოცანები და პრინციპები. ასეთ ადამიანებს რისმენი უწოდებს “შინაგანად მართულებს“ („საკუთარ თავზე ორიენტირებულებს“). შინაგანად მართულ საზოგადოებას ახასიათებს პიროვნული, ინდივიდუალური მობილობის ზრდა, კაპიტალის სწრაფი დაგროვება და მუდმივი ექსპანსია. დ. რისმენის აზრით, შინაგანად მართული ტიპები, ძირითადად, სჭარბობენ ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქებსა და სოფლებში, ჩრდილო-დასავლეთ ეკროპისა და კანადის ქალაქებში, ცენტრალურ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, თურქეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ტრადიციით მართული (“ტრადიციაზე ორიენტირებული“) ადამიანებისაგან განსხვავებით, შინაგანად მართული ადამიანები მგრძნობიარენი არიან არა მკაცრი, მომთხოვნი და საყოველთაო ტრადიციების მიმართ, არამედ იმ ნორმებისადმი, რომლებიც უფროსებმა მათ ცხოვრების საწყის ეტაპზე ჩაუნერგეს. ხდება ღირებულებების გადაფასება. თუ ტრადიციით მართულ საზოგადოებაში სოციალური ხასიათი, ძირითადად, ოჯახში ყალიბდება, შინაგანად მართვაზე დამოკიდებულ საზოგადოებაში (საკუთარ თავზე ორიენტირებულ საზოგადოებაში) იგი, უმთავრესად, ყალიბდება სამუშაო ადგილზე, მუშაობის დროს და მუშაობისათვის, ადამიანები თავიან საქმიანობის განხორციელების დროს ხელმძღვანელობენ “პროტესტანტული ეთიკით“ (მ. ვებერი).

### სხვაზე ორიენტირებული საზოგადოება და სოციალური ხასიათი

მესამე ტიპის საზოგადოებას დ. რისმენი უწოდებს სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებას. ამ ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის შემცირების დაწყება. სხვებზე ორიენტირებული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზმი, ურბანიზაცია, ცენტრალიზაცია და ბიუროკრატიზმი. სხვაზე ორიენტირებული ხასიათი, თავდაპირებელი, ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ დიდ ქალაქში (მაგ. ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, ცინკინატსა და სხვ.) მცხოვრებ მაღალი საშუალო კლასის ოჯახებში.

სხვაზე ორიენტირებული საზოგადოება თავის ტიპურ წევრებში ავითარებს სოციალურ ხასიათს, ვის კონფორმულობას განსაზღვრავს მათი ტენდენცია, იყვნენ მგრძნობიარენი არა ტრადიციებისა და გათავისებული (ინტერნალიზებული) მიზნებისა და ამოცანების, არამედ სხვა ადამიანების მოლოდინების მიმართ. ასეთ ადამიანებს და რისმენი უწოდებს სხვაზე ორიენტირებულებას (სხვების მიერ მართულებს). სხვაზე ორიენტირებულებისათვის მათი თანამედროვენი და არა წინაპრები წარმოადგენენ თრიენტაციის წყაროს. თავიანთი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების დროს ისინი უპირატესობას ანიჭებენ სხვების შეხედულებებსა და აზრებს (და არა ტრადიციულ ლირებულებებსა და თავიანთ შინაგან პრინციპებს). დ. რისმენის აზრით, “ადამიანი ყოველთვის განიცდის მოთხოვნილებას, მოსწონდეს გარშემომყოფებს, მაგრამ მხოლოდ თანამედროვე, სხვაზე ორიენტირებულმა (სხვების მიერ მართულმა) პიროვნებამ გადააქცია ეს მოთხოვნილება თავისი მოქმედების პირველ მიზეზად, პიროვნული განცდების უმაღლეს ფორმად“. მეცნიერი აღნიშნავს, რომ სხვაზე ორიენტირებული პიროვნების პორტრეტის შექმნას ხელი შეუწყო ე. ფრომის მიერ აღწერილმა “ბაზარზე ორიენტაციამ“ (უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. ფრომმა ბევრად განსაზღვრა დ. რისმენის შრომების მიმართულება და მისი დასკვნები. “ეული მასის“ 1960 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში დ. რისმენი მიუთითებს, რომ იგი ბევრი რამით არის დავალებული ე. ფრომისაგან. მაგრამ თავად ე. ფრომის აზრით, დ. რისმენის “სხვაზე ორიენტაცია“ არის ცნება, რომელიც არსებითი ნიშნებით არ ემთხვევა “ბაზარზე ორიენტაციის“ მის საკუთარ კონცეფციას).

სხვაზე ორიენტირებული ადამიანების ხასიათი, ძირითადად, მათი თანატოლებისა და თანამედროვეების მაგალითზე ყალიბდება. ისინი ზემოქმედებენ სხვაზე ორიენტირებულებზე, რომლებიც ნაკლებ ყურადღებიანი არიან თავიანთი საკუთარი გრძნობებისა და მისწრაფებების მიმართ. სხვაზე ორიენტირებული ადამიანები ხალხს, მასას პპადავენ, იზიარებენ მის ლირებულებებსა და ქცევის ნორმებს.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ სხვაზე ორიენტირებული ხასიათი, ძირითადად, დამახასიათებელია იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მაღალი შემოსავლის ჯგუფებს მიეკუთვნებიან და ცხოვრობენ ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში. მკვლევარს მიაჩნია, რომ ამერიკაში ხასიათის ამ ტიპის ჩამოყალიბება განაპირობა საზოგადოების გარკვეულმა უნიკალურმა საფუძვლებმა – ევროპელების იმიგრაციამ და ფეოდალური წარსულის არქონამ.

დ. რისმენის აზრით, საზოგადოების სოციალური კლასების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი მართვა ტიპური ხასიათია “ძველი“ საშუალო კლასისთვის – ბანკირებისთვის, ვაჭრებისთვის, წვრილი ანტრეპრენიორებისათვის, ტექნიკური დარგის ინჟინერებისა და სხვ, ხოლო სხვაზე ორიენტირებული ხასიათი ტიპური ხდება “ახალი“ საშუალო კლასისთვის – ბიუროკრატებისათვის, ბიზნესში დასაქმებული (ჩართული) მოსამსახურებისა და სხვ. სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში მომსახურების სფერო, განათლება, დასვენება, მასმედია ხელმისაწვდომია არა მარტო მმართველი ფენისთვის, არამედ მთელი მოსახლეობისთვის.

დ. რისმენი ზემოთ განხილულ სოციალური ხასიათის ტიპებს “ისტორიულ ტიპებს“ უწოდებს. ის მიიჩნევს, რომ თითოეული ტიპი ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი საზოგადოების გარკვეული ტიპისათვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მეცნიერი ტერმინს “სოციალური ტიპები“ („პიროვნების ტიპები“) ისტორიული პერსპექტივით იყენებს, ის განიხილავს შეგუებისა და ცვლილებების მნიშვნელოვან სოციალურ პროცესებს.

თავად დ. რისმენი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ სოციალური ხასიათის რომელიმე ტიპი, მისი ნიშნები, ინდიკატორები (მაჩვენებლები). ამიტომ, ხშირად, ამა თუ იმ ტიპის განმასხვავებელი ნიშნები ზუსტად არაა დადგენილი და ჩამოყალიბებული. ნიშანდობლივია, რომ სინამდვილეში არ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მთლიანად ან შინაგანად მართულები ან სხვებზე ორიენტირებულები არიან. ამა თუ იმ მოცემულ კულტურაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სხვადასხვა სახის სოციალური ტიპები.

დ. რისმენს მიაჩნია, რომ საჭიროა, საზოგადოები განვასხვავოთ მათი ეკონომიკური განვითარების მიხედვით. მისი აზრით, კოლინ კლარკის (Colin Grant Clark – 1905-1989) მიერ მეურნეობის დაყოფა “პირველად“, “მეორად“ და “მესამეულ“ სფეროებად შეესატყვისება საზოგადოებების დაყოფას დემოგრაფიული მახასიათებლების (ინდიკატორების) საფუძველზე. “პირველადი“ სფერო მიუთითებს ნადირობაზე, თევზის ჭერაზე, მიწათმოქმედებასა და წიაღის დამუშავებაზე, “მეორადი“ სფერო – მანუფაქტურაზე, “მესამეული“ სფერო – ვაჭრობაზე, კომუნიკაციებსა და მომსახურებებზე (სერვისებზე). „ზრდის მაღალი პოტენციალის“ ფაზაში მყოფ საზოგადოებებში გაბატონებულია “პირველადი“ სფერო, „ზრდის გარდამავალ“ ფაზაში სჭარბობს “მეორადი“ სფერო, ხოლო “მოსახლეობის შემცირების დაწყების“ ფაზაში გაბატონებულია “მესამეული“ სფერო. დ. რისმენი

სამართლიანად აღნიშნავს, რომ არც ერთი ქვეყანა მთლიანად არ წარმოადგენს რომელიმე მათგანის ადეკვატურ ნიმუშს, არც მოსახლეობის მახასიათებლებისა და არც ეკონომიკის თვალსაზრისით. ამა თუ იმ საზოგადოების სხვადასხვა რეგიონი და სხვადასხვა ჯგუფი განვითარების სხვადასხვა საფეხურს, ფაზას შეესატყვისება; სოციალური ხასიათი კი ასახავს ამ განსხვავებებს.

## § 5. სოციალური ხასიათის ჩამოყალიბების ფაქტორები

წიგნში “ეული მასა“ დ. რისმენი აღწერს სოციალური ხასიათის ჩამოყალიბების ფაქტორებსა და ცვლილებებს ამ ფაქტორებში.

მეცნიერი დაწვრილებით განიხილავს ხასიათის ფორმირების პროცესსა და ხასიათის ფორმირების აგენტების ცვლილებებს.

ავტორის აზრით, მოსახლეობის მრუდები და ეკონომიკური სტრუქტურები ხასიათის ფორმირების ეკოლოგიის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს. ამ ფაქტორებსა და უკვე ჩამოყალიბებულ სოციალურ ხასიათს შორის დგანან ხასიათის ჩამოყალიბების ადამიანური აგენტები (ფაქტორები): მშობლები, მასწავლებლები, თანატოლთა წრის წევრები და მთხოვობლები (დღეს მათ კომუნიკაციის მასობრივ საშუალებებს უწოდებენ). ისინი არიან სოციალური მემკვიდრეობის გადამცემი და მათ დიდი გავლენა აქვთ ბავშვებზე, მათ ცხოვრებაზე და, ამიტომ, მთელ საზოგადოებაზე.

დ. რისმენი არ იზიარებს იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებიც ხასიათის ჩამოყალიბებაში გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ძალიან ადრეულ ბავშვობას. ის მიიჩნევს, რომ ხასიათი შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ადრეული პერიოდის შემდეგ, რადგან კულტურულმა აგენტებმა უფრო დიდი როლი ითამაშონ სოციალიზაციის პროცესში, ვიდრე მშობლებმა.

დ. რისმენის აზრით, ბავშვები ცხოვრობენ ერთმანეთის შემცვლელი სტადიების წინა ხაზზე. მათ, გარკვეული აზრით, ყველაზე მეტი პლასტიურობა ახასიათებთ და პირველები აღიქვამენ მომავალი საზოგადოების სოციალურ ხასიათს.

კულტურა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. კულტურები ერთმანეთისაგან განსხვავდება სოციალური ხასიათის ფორმირების განსხვავებული საშუალებებით, საფეხურებით, გარკვეულ დროში მათი შეთანხმებული ქმედებებით, აგრეთვე, იმ აგენტებით, რომლებსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ საფეხურზე. დ. რისმენი აღნიშნავს, რომ

“თითოეული ახალი ისტორიული ფაზა მოსახლეობის მრუდზე ხასიათდება სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სოციალიზაციის პერიოდის გაზრდით – ე.ი. იმ პერიოდით, სანამ ადამიანი მთლიანად მოირგებს უფროსის სოციალურ და ეკონომიკურ როლებს“.\*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლებს გარკვეული როლი ეკუთვნით ბავშვის (შვილის) სოციალური ხასიათის ფორმირებაში. დ. რისმენი დაწვრილებით განხილავს მშობლების როლს შვილების სოციალიზაციის პროცესში და ამ როლის ცვლილებებს სხვადასხვა საზოგადოებაში.

ტრადიციით მართულ საზოგადოებაში ხასიათის ფორმირების მთავარი ფაქტორია ოჯახი, მათ გარშემო მყოფი ჯგუფი, გვარი ან ტომი. ტრადიციაზე თრიენტირებულ საზოგადოებაში ბავშვობა ადრე მთავრდება და ბავშვები ადრე „ირგებები“ უფროსების როლს. მოზრდილების როლი კი თითქმის უცვლელია თაობიდან თაობამდე. ბავშვები ადრეულ ასაკში სწავლობენ უფროსებისგან, ადევნებენ რა თვალყურს მათ ყოველდღიურ საქმიანობას., თუმცა, ამ დროს არც სწავლებაა გამორიცხული. სოციალური სიმწიფე, როგორც წესი, ბიოლოგიური მოწიფულობის შედეგია. ზოგჯერ, სოციალური სიმწიფე წინ უსწრებს ბიოლოგიურ მოწიფულობას. ადრეულ ასაკში ბავშვების ბიოლოგიურ მოწიფულობას უფროსების სექსუალური ცხოვრებისა და მათი სხვა ფუნქციების ცოდნა განაპირობებს. საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ გამოცდილების მისაღებად (ჩვეულებრივ, მათი საცხოვრისი /სახლები/ შედგება ერთი ოთახისაგან, სადაც არ ხდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის განცალკევება).

მოკლედ, ტრადიციით მართულ საზოგადოებაში ბავშვები ადრე ამთავრებენ ზრდას, რომ მიიღონ უფროსების როლი. ისინი ბაძავენ ირგვლივ მყოფი მოზრდილების (უფროსების) ქცევის მოდელების, ნიმუშების შედარებით მცირერიცხეს, რადგან, თავისთავად, მათი უშუალო სოციალური გარემო ძალიან პატარად. სწორედ ეს მიკროგარემო არის ტრადიციით მართული ბავშვისა და მოზარდის სოციალური ხასიათის ფორმირების ძირითადი ფაქტორი.

მშობლები ბავშვებს წვრთნიან არა იმდენად სოციალურ სისტემაში ჩართვის, გარკვეული ამოცანებისა და წარმატების მიღწევის მიზნით, არამედ როგორც მათ მემკვიდრეებს, მომავალ თაობას.

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p.p. 54-55

შეიძლება დავასკვნათ, რომ ხასიათის ფორმირების მთავარი აგენტი ტრადიციით მართულ საზოგადოებებში არის გაფართოებული ოჯახი და მისი ჯგუფი ან კლანი. მიბაძვის ობიექტები არიან უფროსები, ზოგადად, და არა მხოლოდ მშობლები. ამის შედეგად ისინი უფრო ჭკვიანები და ტრადიციის ინტერპრეტატორები ხდებიან.

საკუთარ თავზე ორიენტირებულ ფაზაში იზრდება ადამიანების სოციალური და გეოგრაფიული მობილობის შესაძლებლობები. მათ მეტი არჩევანის თავისუფლება აქვთ. ადამიანები ისტრაფვიან ისეთი ღირებულებებისაკენ, როგორიცაა სიმდიდრე და ძალაუფლება, თუმცა მათი რესურსები ძალიან შეზღუდულია. ეს იწვევს დიდ კონკურენციას. ისინიც კი, ვინც არ ისტრაფვის სიმდიდრისა და ძალაუფლების მოპოვებისაკენ, იძულებული არიან, ჩაერთონ კონკურენციაში, რათა არ დაეშვან დაბლა სოციალური სისტემის იერარქიაში. სოციალური სისტემა უფრო დიად.

რაც უფრო სრულყოფილი ხდება სამუშაოს განაწილება, მით უფრო რთულდება როლები და მათი შესრულება. ბავშვთა გარკვეული რაოდენობა მათი მშობლების როლებს აღარ აღიქვამს, როგორც მისაბაძ მოდელს. ხასიათის ცვლილება დასავლეთში, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მამაკაცებს. დედები და ბებიები ქალიშვილებს კვლავ ზრდიდნენ ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად და მათ მხოლოდ ქალური როლების შესასრულებლად ამზადებდნენ.

მშობლები საკუთარ თავზე ორიენტირებულ საზოგადოებებში არ არიან დარწმუნებული, როგორი იქნება მათი შვილების სამუშაო როლი და ცხოვრების წესი. მოსალოდნელი როლები მოითხოვს უფრო დიდ ყურადღებას ფორმალური ხასიათის ჩამოსაყალიბებლად და გასაწვრთნელად. დ. რისმენი აღნიშნავს, რომ ხასიათის წვრთნა განათლების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, განსაკუთრებით, პროტესტანტულ საზოგადოებებში.\*

გაზრდილი სოციალური მობილობის გამო შექმნილი ახალი სიტუაცია მოითხოვს, რომ ბავშვების სოციალზარია იმგვარად მოხდეს, რომ მათ შეითვისონ არა მათი მშობლების როლები, არამედ ის როლები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. თავის თავზე ორიენტირებულ ბავშვებს უნდა ასწავლონ “ბუდიდან გაფრენა”, თუმცა მათი მიზანი, დანიშნულება და ბედი გაურკვეველია. დ. რისმენის აზრით, ბუნებრივია, რომ ბევრი იკაროსის ბედს იზიარებს. მიუხედავად ამისა, ბავშვებს ადრე შთააგონებენ, იცხოვრონ იდეალების შესაბამისად, დამოუ-

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 59

კიდებლად გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობები და არ დაიცვან ტრადიციები.

თავის თავზე ორიენტირებული მშობელი ბევრს მოითხოვს თავისი შვილისა-გან, ზუსტად ისევე, როგორც საკუთარი თავისაგან. გაფართოებული ნათესაური ოჯახი თანდათან ქრება, თუმცა, მშობლები თვალყურს აღევნებენ თავიანთ შვილებს, იცავენ და აკონტროლებენ მათ. მშობლები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ქცევითი კონფორმულობით (როგორც ეს ტრადიციულ საზოგადოებაშია), ისინი მოითხოვენ სხვაგვარ, უფრო დახვეწილ კონფორმულობას, ხასიათის შესატყვისობასა და თვითდისციპლინას.

ბავშვების საკუთარ თავზე ორიენტირებული ხასიათის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ახალი ტიპის საცხოვრისის შექმნა. ის იზრდება სახლში, სადაც არის კედლები, რომლებიც წარმოადგენს მშობლების გაბატონებული მდგომარეობის, საიდუმლოების სიმბოლოს. კედლებმა ერთმანეთისაგან გამოყო, განაცალკევა მშობლები და შვილები, ოფისი და სახლი. ბავშვებისთვის მთავარი გახდა არა ის, რასაც მშობლები აკეთებენ (რაც, ხშირ შემთხვევაში, დამალულია მათვის), არამედ ის, რასაც ისინი ამბობენ. საკუთარ თავზე ორიენტირებულ საზოგადოებაში სიტყვებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი იქცა გაცვლის, მართვისა და კონტროლის საშუალებად. შინაგანად ორიენტაციის დროს მოზარდი შორდება სახლის გავლენას, სუსტდება ოჯახის, მშობლების როლი. იგი ხვდება ისეთ სიტუაციებში, რაც ადრე უჩვეულო იყო მისთვის, აუცილებელი ხდება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

საკუთარ თავზე ორიენტირებული მშობლები თავიანთ შვილებს აიძულებენ, იმუშაონ, ეკონომიკა გააკეთონ, დაალაგონ სახლი, ზოგჯერ ისწავლონ, ზოგჯერ ილოცონ. ნაკლებად პურიტანულ, საკუთარ თავზე მართულ სხვა მშობლებს სურთ, რომ მათი ბიჭები მამაკაცურები იყვნენ, ხოლო გოგონები – ქალურები და უმწიდესობი. ისინი ცხოვრობენ გაფართოებულ ოჯახებში, დიდ სახლებში, რომელთა მოვლასაც დიდი შრომა და ენერგია სჭირდება. მშობლები მუხლჩაუხერჯლი მუშაობისა და სწავლის მაგალითს აძლევენ თავიანთ შვილებს. ამაში მათ სკოლაც ეხმარება. მათ სჯერათ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება მოხდეს აღმავალი მობილობა როგორც ამ ქვეყნად, ისე იმ ქვეყნად.\*

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 79

ბავშვს ადრე ასწავლიან დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებას, დასახული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო საშუალებების შერჩევა-მოპოვებას. საქუთარ თავზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ბავშვებისადმი მოთხოვნები ძალიან მაღალია, შესაბამისად, მის აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა. აღზრდის მიზანია თავშეკავების, ხასიათის სიძლიერის, ინიციატივისა და მობილიზების გამომუშავება – იმ თვისებების გამომუშავება, რომლებიც აუცილებელია ისეთ საზოგადოებაში, სადაც შესაძლებელია სავსებით მოულოდნელი როლების წარმოშობა. ხასიათის ჩამოყალიბება თავისუფალია სპონტანურობის ყოველგვარი გამოვლენისაგან, აქ მოქმედებს იგივე რაციონალიზმი, რაც გაბატონებულია წარმოების სფეროში.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ შინაგანად მართულ საზოგადოებაში ბავშვის აღზრდის პროცესი უფრო მკაცრია და სოციალიზაცია უფრო დიდხანს გრძელდება. ის მიიჩნევს, რომ ზ. ფროიდმა შესანიშნავად აღწერა ეს სიტუაცია. ზ. ფროიდის მიხედვით, superego (ზე-მე) არის სოციალიზაციის ფხიზელი აგენტი, ფაქტორი, რომელიც ინკორპირებულია (ჩანერგილია) ბავშვში და მას მთელი ცხოვრება თან ახლავს. ეს კონცეფცია მხოლოდ საშუალო კლასს ახასიათებს, ისიც მხოლოდ დასავლეთის შინაგანად ორიენტირებულ საზოგადოებაში. შეიძლება, ვინმეს მიაჩნდეს, რომ შინაგანად მართული პიროვნების ხასიათის სტრუქტურა შედგება superego-ს („ზე-მე“), ego-სა („მე“) და id-ს („ის“) შორის დაძაბულობისგან. დ. რისმენის აზრით, ახლანდელი კლიმეს მიხედვით, ბავშვებს უფრო „ზრდიან“ და არა „სიყვარულით ზრდიან“. ისინი სახლის დატოვების შემდეგაც განაგრძობენ თავიანთი თავის აღზრდას, რადგან მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძნობენ, რომ მათ აუცილებლად უნდა იმუშაონ თავიანთი ხასიათის სრულყოფაზე. ამ მოვალეობას მათ მშობლები აკისრებენ. თვითდაკვირვება და ხასიათის წვრთნა მათი ერთ-ერთი ვალდებულება და მიზანია.

„მე“-ს (Self-ის) გაცნობიერება იმ ფაქტის მიზეზი და შედეგია, რომ არჩევანის გაკეთება აღარ ხდება ავტომატურად, პირველადი ჯგუფის სოციალური გარემოს მიერ. ახალ პირობებში თავად ინდივიდმა უნდა გადაწყვიტოს, რა გააკმოს, საერთოდ, და, კერძოდ, საკუთარი თავისთვის. მას უწნდება პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა, უწნდება იმის შეგრძნება, რომ ის არის ინდივიდი, მისი ოჯახისა და კლანისაგან დამოუკიდებელი პიროვნება. ამ შეგრძნების გამო ის მგრძნობიარე (სენსიტიური) ხდება მისი ინტერნალიზებული (გათავისებული) იდეალების სიგნალებისადმი. საქუთარ თავზე ორიენტირებულ პიროვნებას აქვს

უნარი, დაინახოს ინდუსტრიული და კომერციული შესაძლებლობები და იმუშაოს გულმოდგინედ.

დ. რისმენი დაწვრილებით განიხილავს მშობელთა როლს სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, სადაც იწყება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება და მნიშვნელოვნად იზრდება წინსვლის, დაწინაურების პირობები.

პირითადად, საკუთარ თავზე ორიენტირებულ (შინაგანად მართულ) პიროვნებას შეუძლია, დაინახოს არსებული ეკონომიკური შესაძლებლობები. ის ბეჯითად და თავდაუზოგავად შრომობს. რაც შეეხება სხვაზე ორიენტირებულ პიროვნებას, მას არ სჭირდება ასეთი ზედმეტი გულმოდგინება და არც ასეთი დამოუკიდებლობა. ბიზნესი, ხელისუფლება, პროფესიები ზედმეტად ბიუროკრატიზებულია. ასეთ პირობებში მობილობა განაგრძობს ფუნქციონირებას. დ. რისმენის აზრით, მობილობა ნაკლებადაა დამოუკიდებული იმაზე, თუ რას წარმოადგენს ადამიანი და რას აკეთებს ის. მთავარია, რას ფიქრობენ სხვები მასზე და რამდენად კომპეტენტურია ის, რომ შეძლოს სხვების მანიპულირება და რამდენად შეიძლება მისი მანიპულირება.\* სხვებზე ორიენტირებულ ადამიანს აქვს უნარი, დაინახოს უმნიშვნელო შესაძლებლობებიც კი, რომელიც მოცემულია სოციალურ გარემოში. მობილობის მისწრაფებები, სურვილები მის სოციალურ ხასიათშია ჩანერგილი. მთავარი პროდუქტი, რომელზეც იზრდება მოთხოვნა და მოთხოვნილება სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, არის არა რომელიმე მატერიალური პროდუქტი, არამედ პიროვნება. ასეთ საზოგადოებაში შეიძლება მსჯელობა როგორც “პროდუქტის დიფერენციაზე” (რომელიც დამახასიათებელია მონოპოლისტური კონკურენციისათვის), ისე პიროვნებათა დიფერენციაზე. ადამიანები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ბიზნესის, ხელისუფლებისა და პროფესიული ცხოვრების იერარქიაში სამსახურის მოსაპოვებლად, სოციალური სტატუსის დასამკვიდრებლად, ცდილობენ, აჩვენონ თავიანთი პიროვნული განსხვავებები.

გამძაფრებული კონკურენციის პირობებში ყველა ცდილობს, რომ მოხდეს პროდუქტის განსხვავება არა მარტო ხარისხისა და ფასის მიხედვით, არამედ უმნიშვნელო მახასიათებლებითაც, თუნდაც რეალამებით. მასმედია აქტიურადაა ჩართული პროდუქციის დიფერენციაციის პროცესში. ასეთივე ხერხებით, საშუა-

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 63

ლებებით მოქმედებენ ადამიანები თავის დასამკვიდრებლად, მაღალი სოციალური სტატუსის მოსაპოვებლად.

კონკურენციის ამ პროცესის (პროცედურის) სოციალურ ასპექტს, რომელიც მოიცავს პიროვნებებსა და სერვისებს, დ. რისმენი უწოდებს “მარგინალურ დიფერენციაციას” და განასხვავებს მას ეკონომისტების მიერ გამოყენებული ტერმინისაგან. ინდივიდები, ჯგუფები და ერები ავლენენ სიამაყეს, ზოგჯერ, ქედმაღლობასაც კი, იმ უმნიშვნელო განსხვავებების გამო, რომლებიც მათ გამოარჩევს სხვა ინდივიდების, ჯგუფებისა და ერებისაგან. მარგინალურ დიფერენციაციას, ზოგჯერ, მართლაც, ახასიათებს ეს სიამაყე (ზ. ფროიდმა შექმნა ფრაზა “ნარცისიზმი მცირე, უმნიშვნელო განსხვავების გამო“ ამ სიამაყესა და ქედმაღლობასთან დაკავშირებით). თავად დ. რისმენი მიიჩნევს, რომ ეს უფრო მღელვარებაა, შფოთვაა დაფარული კონკურენციის გამო და არა სიამაყე ან ქედმაღლობა. ნარცისიზმს უფრო სხვა, ძლიერი ელემენტები ახასიათებს.

სხვებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში მშობლებმა უნდა მოამზადონ, აღზარდონ მომავალი თაობა მძაფრი, ხშირად, დაუნდობელი კონკურენციისათვის, შთაუნერგონ მათ ის დირებულებები და ქცევის ნორმები, როლებიც მათ დასახული მიზნების მიღწევაში დაეხმარება. მათ უნდა ჩამოუყალიბდეს ისეთი სოციალური ხასიათი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ კონფორმულობას, ახალი პირობებისადმი ადაპტაციას. მაგრამ ბავშვებზე კონტროლი უკვე მშობლების კი არა, არამედ სკოლისა და თანატოლთა ჯგუფის ხელშია. ეს ეხმარება მათ, გარკვეულ პირობებში დაიკავონ თავიანთი ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში. მაგრამ ამ ავტორიტეტებს არ ახასიათებთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები. არჩევანის მკაფიო პრინციპებს, რომლებიც ახასიათებდა შინაგანად მართულ (საკუთარ თავზე ორიენტირებულ) ხასიათს, უკვე აღარ იყენებენ. რაც მთავარია, ადამიანებისათვის არ არის ნათელი, რომელი გზა უწყობს ხელს დაწინაურებას, რადგან საშუალო კლასის ზრდასთან ერთად, ძველი, იერარქიული მოდელები, ნიმუშები იშლება. ხშირად, მშობლები გაურკვეველ სიტუაციაში არიან და არ არიან დარწმუნებულები, როგორ უნდა აღზარდონ თავიანთი შვილები. რჩევისთვის ისინი მიმართავენ მათ თანამედროვეებს, აგრეთვე, მასმედიას. დ. რისმენი აღნიშნავს, რომ, სინამდვილეში, ისინი მიმართავენ თავად თავიანთ ბავშვებს (შვილებს). მიუხედავად ამისა, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ბავშვის აღზრდის ზოგიერთი მყარი სქემა. ეს ბავშვებისათვის იმის ნათელი მაგალითია,

რომ მათ მშობლებს აღელვებთ მათი აღზრდა, რომ ისინი მეტად არიან დამოკიდებული სხვებზე, ვიდრე საკუთარ თავზე.

მშობლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები ითვალისწინებს ბავშვის წახალისებას, შექებას. ეს კი, თავისთავად, ნიშნავს თავად მშობლების შექებას, წახალისებას, თვითდამკვიდრებას ბავშვის გამო, მაშინ, როდესაც ბავშვი წარმატებას აღწევს. სხვაზე თრიენტირებული ბავშვი გარკვეულ პრობლემას აწყდება: მას სთხოვენ, რომ მან წარმატებას უნდა მიაღწიონ, მაგრამ, ამავდროულად, მან უნდა განსაზღვროს, რა არის წარმატების მიღწევა. მისთვის ნათელი ხდება, რომ მისი საკუთარი თავის განსაზღვრა და თვითშეფასება დამოკიდებულია მის გარემომცველ წრეზე. უპირველეს ყოვლისა, სკოლის ამხანაგებსა და მასწავლებლებზე, შემდეგ კი თანატოლებსა და უფროსებზე. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს წრე ცდება შეფასებაში ან თავად არის არასრულყოფილი, ან აქვს დაბრკოლებები. მაშინ ადამიანს შეუძლია, სხვაგან შეარჩიოს მისთვის სასურველი წრე, საზოგადოება. დ. რისმენი მიიჩნევს, რომ მოწონება არის ერთადერთი არაორაზროვანი, ნამდვილი სიკეთე ამ სიტუაციაში: ადამიანი მაშინ აღწევს წარმატებას, როდესაც მას აქებენ, უწონებენ საქმეს. ამგვარად, მთელი ძალაუფლება და არა, უბრალოდ, ზოგიერთი ძალაუფლება ეპუთვნის ნამდვილ ან წარმოსახვით ჯგუფს, რომელიც იწონებს პიროვნებასა და მის საქმიანობას. ბავშვი მშობლების მიერ მის მიმართ გამოხატული რეაქციების საშუალებით სწავლობს, რომ, თავისთავად, არაფერი არ არის მნიშვნელოვნი და დაფასებული: არც ხასიათი, არც ის, რასაც ფლობს, არც სახელი და ნიჭი, არც მის მიერ შესრულებული სამუშაო. ყველაფერი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა ეფექტს, გავლენას ახდენს ის სხვებზე.( წარმატების მიღწევა თითქმის მეგობრების შემენის ტოლფასია: „To him that hath approval, shall be given more approval“.

ტიპური სხვაზე თრიენტირებული ბავშვი იზრდება პატარა ოჯახში, დახურულ ურბანულ საცხოვრებელში ან ქალაქებარეთ. ოჯახი, სახლი (home) აღარ არის საიმედო ადგილი განმარტოებისათვის. საცხოვრებელი სივრცე მცირდება. უფროს ნათესავებთან ერთად ცხოვრების მოდელი თანდათან უფრო იშვიათი ხდება. ბავშვი მშობელთა ქმოციური დაძაბულობის უშუალო მოწმე ხდება. ამ ახალი პირობების შედეგად, ბავშვი უკეთესად შეიმუცნებს საკუთარ „მე“-ს (Self-ს) სხვებთან მიმართებაში. ბავშვების პოზიცია სულ უფრო მყარდება. მშობლები დრმად არ არიან დარწმუნებულები და თვითდაჯერებულები არა მარტო სამუშაო და სოციალური ურთიერთობების სფეროებში, არამედ ბავშვების აღზრდის

საქმეშიც. მეტიც, მათ უკვე არ მიაჩნიათ, რომ ისინი ბავშვებზე უკეთესები არიან. მშობლები დიდ იმედებს ამყარებენ თავიანთ შვილებზე. ზოგი მიიჩნევს, რომ ეთიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, შვილები უკეთესი მოქალაქეები იქნებიან, ვიდრე მშობლები.

დ. რისმენის აზრით, მასმედიის – რადიოს, ტელევიზიის, ფილმების, კომიკსების – საშუალებებით, აგრეთვე თავიანთი თანატოლების საშუალებით, ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ, შეისწავლონ მშობლის ქცევის ნორმა და ეს ნორმა თავიანთ მშობლებს მოახვიონ თავს. შვილები ადარ ითვლებიან მშობლების საჯუთრებად.

მშობლები ხშირად მიმართავენ წიგნებს, ჟურნალებს, ხელისუფლების მიერ გამოცემულ ბროშურებს, რადიო და ტელეპროგრამებს, რომ მიიღონ რჩევა-დარიგებები შვილების აღზრდასთან დაკავშირებით. ისინი იგებენ, რომ არ არსებობენ პრობლემური ბავშვები, არსებობენ მხოლოდ პრობლემური მშობლები. თუმცა, მშობლების როლი მცირდება, მშობლები კვლავ ცდილობენ საქმეების გაკონტროლებას. მაგრამ, რადგან ისინი ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ თავში, ამიტომ მათი აღზრდის ხერხები, საშუალებები იცვლება. მათ არ შეუძლიათ წარმოაჩინონ თავი, როგორც მიბამვის ობიექტებმა. მათ არც დასჯა შეუძლიათ.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ მშობლების გამოსავალი, განსაკუთრებით, ზედა საშუალო კლასში, არის “პირადი” მეთოდები – ახსნისა და არგუმენტაციის სახით, უფრო ზუსტად, რაციონალური ახსნით მანიპულაცია. ასევე იქცევა შვილიც (ბავშვიც). ტრადიციით მართული ბავშვი ცდილობს, თავი შეაცოდოს მშობლებს, მათ გული მოულბოს. შინაგანად მართული ებრძვის ან უთმობს მშობლებს, ხოლო სხვაზე ორიენტირებული შვილი ახდენს თავისი მშობლების მანიპულირებას და თავადაც მანიპულირების ობიექტია.

სხვაზე ორიენტირებულ სახლში (home) მშობლებსა და შვილებს შორის პრობლემები ეხება ცხოვრების არასამუშაო მხარეს, რადგან სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ბავშვებისთვის არ არის სამუშაო არც ურბანულ სახლში და, თითქმის, არც გარეთ. არც უმცროს ძმებსა და დებზეა საჭირო ზრუნვა. ამერიკელი დედა, რომელიც არის განათლებული, ჯანმრთელი, ჭკვიანი, საქმიანი, კვალიფიციური და უნარიანი (გერგილიანი), მარჯვედ უვლის ბინას ან პატარა სახლს. თავისუფალი დრო, სახლისა და შვილების მოვლა, ხშირად, მისთვის თვითრეალიზაცია და სხნაა.

ამგვარად, მშობლები და შვილები მსჯელობენ (ან კამათობენ) ჭამისა და ძილის დროის შესახებ, მოგვიანებით კი, შვილების გაზრდასთან ერთად, ოჯახის მანქანის გამოყენებაზე. ასეთი კამათების დროს მშობლები ნაკლებად აღწევენ ადვილ გამარჯვებას.

დ. რისმენი მიიჩნევს, რომ სხვაზე ორიენტირებულ ჯგუფებში მშობლები თავიანთ შვილებში ამკვიდრებენ ფსიქოლოგიურ რადარს\* – მოწყობილობას, რომელიც არ არის დაუენებული რაიმე გარკვეული მიმართულებით მოძრაობის გასაკონტროლებლად.

ამგვარად, სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში მშობელთა როლი კიდევ უფრო სუსტდება. ახალ პირობებში ვითარდება მნიშვნელოვნად უფრო მოქნილი ხასიათი, რომელსაც შესწევს უნარი, სასწრაფოდ შეეგუოს მუდმივად ცვალებად სიტუაციებს. მშობლების ამოცანაა, ასწავლონ შვილებს გარშემო მყოფი ადამიანების მოწონების დამსახურება და მისკენ სწავლა. მშობელმა უნდა მოახდინოს შვილის ორიენტირება სხვაზე/სხვებზე. მშობლებს თავიანთი ხასიათის სტრუქტურის გამო არ შეუძლიათ, რომ ბავშვებს მისცენ ნათელი წარმოდგენა მათ ამოცანებსა და საზოგადოებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. როგორც წესი, გარედან მართული (სხვებზე ორიენტირებული) ბავშვები იზრდებიან მცირერიცხოვან ოჯახებში. სახლი უკვე აღარ არის “ციხე-სიმაგრე”, თაობებს შორის დისტანცია მცირდება. მშობლები შეიძლება გააკრიტიკონ და შეაფასონ ბავშვებმა. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. ტრადიციულ საზოგადოებაში ბავშვი ისწრაფვის, მოიპოვოს მშობლების კეთილგანწყობა, საკუთარ თავზე ორიენტირებულ (შინაგანი ორიენტაციის) საზოგადოებაში ბავშვი იბრძვის მათი უდლის წინააღმდეგ და ემორჩილება მათ, სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბავშვი ახდენს მშობლების მანიპულირებას და თავადაც მათი მანიპულირების ობიექტია.

როცა შინაგანად-ორიენტირებული საზოგადოება გზას უთმობს სხვაზე-ორიენტირებულ საზოგადოებას, მშობლების ავტორიტეტის ცვლილებასთან ერთად, თანდათან იცვლება უფროსი ავტორიტეტების კონფიგურაცია. ძირითადად, ექონომიკური მიზეზების გამო, აღმზრდებლი, მიძა ან დაქირავებული ტუტორი (ოჯახის მასწავლებელი), ფაქტობრივად, გაქრნენ საშუალო და მაღალი საშუალო

\*(ინგლისური radar – შემოკლებული radio detecting and ranging – რადიოლოგიატორისა და რადიოლოგიაციის შემოკლებული სახელწოდება – რაიმეს რადიოთი აღმოჩენა და მანძილის განსაზღვრა).

კლასების წარმომადგენელთა ოჯახებიდან. ბავშვი, რომელსაც აღმზრდელი ზრდიდა და განათლებას ტუტორი აზიარებდა, აცნობიერებდა ძალაუფლების უთანასწორობას სახლსა და საზოგადოებაში. როდესაც ის მიდის კერძო სკოლაში (პანსიონში) ან კოლეჯში, ჩანს, მასზე მასწავლებლები ვერ მოახდენენ გავლენას. ის არ ეკითხება მათ რჩევებს თავის თანატოლებთან ურთიერთობისა და თავისი ემოციური ცხოვრების შესახებ. აღმზრდელების ყოფნა ოჯახში ხელს უწყობს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების ემოციური ინტენსივობის შემცირებას. თუმცა, შვილმა (ბავშვმა) იცის, ვინ არის ოჯახის უფროსი, ის ამ სხვა “მოსამსახურებს” იყენებს მშობელთა ავტორიტეტის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ შინაგანად მართულ მშობლებს სურთ, რომ მათ შვილს უფრო დაბალი სტატუსის ადამიანებთან თბილი ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდეს. შინაგანად მართული (საკუთარ თავზე ორიენტირებული) ადამიანი, აღზრდილი ასეთ პირობებში, მემავთან (როსკიპთან) ან დაბალი სტატუსის სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ემოციურ შვებას გრძნობს. მას ეხერხება ადამიანებთან უპიროვნო ურთიერთობა და არ შეუძლია სხვა სახის ურთიერთობების დამყარება.

ბებიების ავტორიტეტი, თითქმის, ისევე, როგორც აღმზრდელების, შეზღუდულია. თანამედროვე ბინებში მათთვის არ არის ადგილი. მათ არც ეკონომიკური როლი აქვთ.

გაზრდილი პერსონილიზაციის შედეგად, რაც სხვაზე ორიენტაციის შედეგია, ოჯახში “უცხოები” სულ უფრო ნაკლებად ასატანია. ნათესავების პრობლემა და სტანდარტული სუმრობა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ბევრ კულტურაში, ახალ მნიშვნელობას იძენს და პოპულარული ხდება იქ, სადაც სენსიტიური (მგრძნობიარე), მაღალი ინდივიდუალობის მქონე ხალხი ცხოვრობს.

ბებია-ბაბუების როლი სხვაზე-ორიენტირებული ხასიათის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოა. განვითარების შედეგად მშობლების სუროგატები: უფროსი დები და ძმები – უკვე ადარ ასრულებენ მათ ადრინდელ მოვალეობას – უმცროსი დამის აღზრდას.

დ. რისმენი დაწვრილებით განიხილავს მასწავლებლის როლს ბავშვის სოციალიზაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ როდესაც ის წერს მასწავლებელზე, ყოველთვის გულისხმობს მასწავლებელ ქალს.

იმ პერიოდში, როდესაც შინაგანი მართვა (საკუთარ თავზე ორიენტაცია) უზრუნველყოფს საშუალო კლასის წარმომადგენლების კონფორმულობას, სკოლაში სწავლა შედარებით გვიან იწყება, რადგან საბავშვო ბაგა-ბადების რაოდე-

ნობა უმნიშვნელოა. მასწავლებლის ამოცანა, მირითადად, ბავშვებისათვის ეტიკეტის სწავლება და მათი ინტელექტუალური მომზადებაა. ეტიკეტი შეიძლება იყოს ორგვარი მინიმუმი და მაქსიმუმი. მინიმუმი გულისხმობს დისციპლინას, რაც საჭიროა საკლასო ოთახში წესრიგის დასაცავად, ხოლო მაქსიმუმი – დახვეწილობას, სინატიფებს, რაც აუცილებელია მაღალი სოციალური ფენის გოგონების კულტურულ ქალიშვილებად აღსაზრდელად და სხვებისგან გამოსარჩევად. სკოლების რიცხვი იზრდება, ისინი უფრო ხელმისაწვდომი და “დემოკრატიული” ხდება. მასწავლებლის მიზანია, ბავშვის აღზრდა საშუალო კლასის წარმომადგენლების მეტყველების, მანერებისა და წეს-ჩვეულებების შესაბამისად. აღზრდის შედეგი უნდა იყოს შვილების მიურ, მშობლებთან შედარებით, უფრო მაღალი სოციალური პოზიციის დაკავება. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვის ემოციურ მდგომარეობას, მის განცდებს, არ ცდილობს მისი შინაგანი სამყაროს გაგებას, მხოლოდ მისი ქცევის გარეგნულ მხარეზე ახდენს რეაგირებას. თუმცა, ამისათვის მასწავლებელს დროც კი არა აქვს. იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობას. მხოლოდ დისციპლინის დარღვევის დროს აწესრიგებს მათ შორის დამოკიდებულებას. ხშირად, უბრალოდ, მას არა აქვს ავტორიტეტი და დისციპლინის დამყარებასა და ურთიერთობების დარეგულირებას გაკიცხვისა და დასჯის საშუალებით ახერხებს. შინაგანად-მართულ საზოგადოებაში სკოლა, როგორც წესი, ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა პირად საკითხებს, მათ მიღრეკილებებს, გემოვნებას. საკუთარ თავზე ორიენტირებული საზოგადოების სკოლებში ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე სწავლობენ.

მასწავლებლის მოვალეობაა, ბავშვებმა შეისწავლონ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები. არავინ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და სურვილებს. აქ არც ჯგუფურ თანამშრომლობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სოციალური დისტანცია მასწავლებელთა და მოსწავლეს შორის, სკოლის გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია შინაგანად მართული ხასიათის ჩამოყალიბებისათვის. ყველაზე საყურადღებოა სკოლის მიერ აქცენტის გაკეთება მოსწავლის ინტელექტუალურ აღზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ბავშვის სოციალიზაცია მაღე მთავრდება. აქ, როგორც ვიცით, სოციალიზაციის მთავარი აგენტი ოჯახია. თავის თავზე ორიენტირებულ საზოგადოებაში სოციალიზაციის პროცესი უფრო ხანგრძლივია. აქ სკოლა (მასწავლებლები, თანაკლასელები) თა-

მაშობს გარევულ როლს. ბავშვი სწავლობს ურთიერთობისა და ქცევის გარეგნულ მხარეს, მანერებს. ბავშვი ეჩვევა იმ აზრს, რომ შეხედულება ადამიანზე იქმნება მისი საქმეების მიხედვით და არა „მისი მომხიბვლელი ლიმილის“ გამო. ბავშვის ინტელექტუალური მომზადება ემსახურება მის მომავალს, უნარიანად გაუძლვეს საქმეს. სკოლა იმავე მიმართულებით მოქმედებს, როგორც ოჯახი. ის მოსწავლის წინაშე სვამს ნათელ, დეტალებში შემუშავებულ მიზნებს. ამ მიზნებმა უნდა წარმართოს მთელი მისი მომავალი საქმიანობა და მის ცხოვრებას აზრი შესძინოს.

პროგრესული განათლება დაიწყო, როგორც მოძრაობა ბავშვების ნიჭის გადასარჩენად. ძირითადად, მისი მთავარი მიზანი, მისი მიღწევა იყო ბავშვის ინდივიდუალობის განვითარება. მასწავლებლის ყურადღების კონცენტრირება უფრო ბავშვის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე ხდებოდა, ვიდრე მის ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე. დ. რისმენი მიიჩნევს, რომ მისი თანამედროვე განათლების სისტემა, ხშირად, არ არის პროგრესული. რადგან ადამიანები უფრო სხვაზე ორიენტირებულები გახდნენ, თავისუფალი საგანმანათლებლო მეთოდები უფრო უშლის ხელს ინდივიდუალობის განვითარებასა და დაცვას.

პროგრესულმა სკოლებმა ხელი შეუწყო განათლების სისტემაში ბავშვთა სასკოლო ასაკის შემცირებას. ორი წლიდან ხუთ წლამდე ასაკის ჯგუფები სწავლობენ სკოლასთან ურთიერთობას არა აკრძალვებით, არამედ თამაშითა და ლიბერალური შეხედულების მქონე უფროსების საშუალებით. მათ ასწავლიან კოლეჯის ახალდამთავრებულები, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ბავშვის სოციალურ და ფსიქოლოგიურ შეგუებას, ვიდრე მათ აკადემიურ განვითარებას. ახალი მასწავლებლები უფრო სპეციალიზებულები არიან. ისინი უფრო მეტად უწყობენ ხელს სოციალიზაციას სხვადასხვა სფეროში. მაგ., მოხმარების, მეგობრობის, წარმოსახვისა და სხვ. სფეროებში. ძველი ტიპის მასწავლებულს, სურვილიც რომ ჰქონოდა, არ შეეძლო შეხებოდა ამ სფეროებს.

დ. რისმენი ყურადღებას ამახვილებს სკოლის არა მარტო შინაარსობრივ მხარეზე, არამედ მის ფორმაზეც. იგი აღნიშნავს, რომ სკოლის ფიზიკური მოწყობაც მიუთითებს მასწავლებლის ფუნქციის შეცვლაზე. გოგონები და ბიჭები ერთად სწავლობენ. მოსწავლეების განთავსება საკლასო ოთახში „არაფორმალურია“, მეგობრობის დიაგრამის შესაბამისად. არა ალფაბეტის, არამედ სოციომეტრული ფორმებით ხდება ამხანაგების განთავსება. შეიცვალა თავად მერხების ფორმაც. ისინი უფრო მოძრავი მაგიდებია, დია თაროებით. თავად მასწავლებელიც

ადარ ზის ამაღლებულ ადგილზე ან კათედრასთან მერხების წინ, არამედ “ოჯახურ წრეს” უერთდება. შეიცვალა სკოლის კლასის პედლებიც, თანამედროვე კლასის კედლები ბავშვთა ნახატებით ან მათი ფოტომონტაჟებით არის მორთული. ამგვარად, მათი პრობლემები კედლებიდან უყურებს ბავშვებს.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, თავად სკოლა კვლავ არის წარმოსახვის დესტრუქციის (განადგურების) ერთ-ერთი ორგანო (დაწესებულება).

ბევრი ბავშვის წარმოსახვა ქრება სიყმაწვილესთან ერთად. რაც რჩება, არის არც მხატვრული ხელობა და არც არტისტული ფანტაზია, არამედ გემოვნებისა და ინტერესების სოციალიზაცია.

სკოლის მოწყობასა და მიმართულებაში მომხდარი ცვლილებები ხელს უწყობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ბარიერის დანგრევას, ხოლო შემდგებ სტუდენტებს შორის სოციალურ და ფსიქოლოგიურ შეგუებას.

სხვაზე ორიენტირებული ბავშვი ადარ მალაგს თავის მოთხოვნებსა და ნახატებს თავისი საწოლის ქვეშ (როგორც ამას შინაგანად ორიენტირებული ბავშვები აკეთებდნენ. შინაგანად ორიენტირებული უფროსებიც, აგრეთვე, მალავდნენ დღიურებს). ის ჯგუფს უკითხავს თავის მოთხოვნებს და თავის ნახატებს კედლებზე პკიდებს. თამაში ახლა გახდა თავად სასკოლო დონისძიების ნაწილი, რომელსაც „რეალისტური“ მიზანი აქვს. უფრო ფართო გასაქანი აქვს ბავშვების გატაცებებს.

თანამედროვე სკოლაში მკვეთრად გაიზარდა მასწავლებლის, როგორც აზრის ლიდერის როლი.

ბავშვებს ასწავლიან თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობასა და ურთიერთობებს, აგრეთვე ლიდერობას.

რაც შეეხება დისციპლინას, დ. რისმენი მიიჩნევს, რომ მასწავლებელი, რომელიც არ იყენებს დისციპლინის დამყარების ძველ მეთოდებს, უფრო უძლებრია, ვიდრე მშობლები, რომლებსაც შეუძლიათ ამ მეთოდების გამოყენება.

სკოლებში ბავშვები სწავლობენ დემოკრატიას.

დ. რისმენი დაასკვნის, რომ არსებობს უცნაური მსგავსება სკოლის პატარა კლასის მასწავლებლის როლსა (როლისა, რომელიც პროგრესული კერძო სკოლებიდან გავრცელდა ბევრ საჯარო სკოლაში) და თანამედროვე ქარხანაში ინდუსტრიული ურთიერთობების დეპარტამენტის როლს შორის. წარმოებაში უურადღება გამახვილებულია მამაკაცებს შორის, აგრეთვე, მამაკაცებსა და

მენეჯმენტს შორის თანამშრომლობაზე; ტექნიკური უნარ-ჩვევები სულ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება.

ამგვარად, სხვაზე ორიენტირებულ ბავშვს სკოლაში ასწავლიან, როგორ უნდა დაიკავოს მან თავისი ადგილი საზოგადოებაში, სადაც ჯგუფს ნაკლებად აინტერესებს ის, თუ რას აწარმოებს, ვიდრე როგორია ჯგუფის შიდა ურთიერთობები, მისი მორალი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრესულმა განათლებამ ბავშვები იხსნა ნიჭის დაღუპვისაგან, სურვილების, ნებისყოფის მსხვრევისაგან. სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში მასწავლებლებს უფრო აინტერესებთ ბავშვის სოციალური და ფსიქოლოგიური ადაპტაცია, ვიდრე აკადემიური მოსწრება. გაიზარდა მასწავლებლის, როგორც აზრების წარმმართველის როლი. ადსანიშნავია, რომ მეთოდებმა, რომელთა მიზანი იყო ბავშვის განთავისუფლება ავტორიტეტების ტვირთისაგან და ამით მისი ინდივიდუალობის გახსნისათვის ხელშეწყობა, საბოლოო ჯამში, გამოიწვია სტანდარტიზაცია. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის მცდელობა, წარემართა მოსწავლის სულიერი ცხოვრების განვითარება, უცილობლად იწვევდა სტანდარტების გამომუშავებას. სკოლის როლი დაყვანილ იქნა მოხმარების სფეროში სოციალიზაციამდე, პიროვნული ურთიერთობების რეგულირებამდე. მასწავლებლის ძირითადი ამოცანაა ნონკონფორმიზმის ყოველგვარი გამოვლენის თავიდან აცილება. ის ხდება თავისებური მარეგულირებელი. მისი მეთოდები ნაკლებად განსხვავდება ოჯახში არსებული აღზრდის მეთოდებისაგან. ორივენი ხელს უწყობენ სხვაზე ორიენტირებული (გარედან მართული) საზოგადოების სოციალიზებული ინდივიდისათვის აუცილებელ ჩვევების ჩამოყალიბებას. ამ საზოგადოებაში თითოეული ჯგუფის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი საქმიანობის პროდუქციით (პროდუქტით), არამედ ურთიერთდამოკიდებულებებით. ამიტომ სხვაზე ორიენტირებული ბავშვის აღზრდის დროს აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მთავარია არა ცოდნა და წარმატებები, არამედ ჯგუფის მოთხოვნებისადმი შეგუების უნარი, ადამიანებით მანიპულირება, რომ მთავარია არა ჯგუფის საქმიანობის შინაარსი, არამედ მისი ფორმები. ამ მიზანს ემსახურება როგორც ოჯახი, ისე სკოლა.

ადამიანის ცხოვრების არც ერთ ეტაპზე თანატოლთა კოლექტივის როლი არ არის ისე დიდი, ძლიერი, როგორც ჭაბუქობაში. მეგობრების, ამხანაგების აზრი, ხშირად, უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მშობლებისა და მასწავლებლების ავტორიტეტი.

ბავშვი, რომელიც იზრდება თავის თავზე თრიუნგირებულ საზოგადოებაში, რაციონალობისა და თვითდისციპლინის მაღალი მოთხოვნებით, ნაკლებად განიცდის ასაკობრივი ჯგუფის გავლენას. აქ ბავშვის თავისუფალ დროს, მის გართობას არ ექცევა ყურადღება. მეგობრების წრე მკაცრადაა განსაზღვრული სოციალური ჩარჩოებით. ზოგჯერ, შესაძლებელია ბავშვის აღზრდა თანატოლთა ჯგუფისაგან შედარებით იზოლირებულად. თუმცა, სკოლაში მას აქვს ფორმალური კონტაქტი სხვა ბავშვებთან. ბევრი საკუთარ თავზე თრიუნგირებული ბავშვის ბედს წარმოადგენს მარტოობა სახლში, გარეთ, სკოლაში, საზოგადოების შიგნით.

რაც შეეხება გარედან მართულ (სხვაზე თრიუნგირებულ) საზოგადოებას, აქ თანატოლთა როლი სოციალიზაციის პროცესში ბევრად უფრო დიდია.

ასაკობრივი ჯგუფი იქმნება ასაკისა და სოციალური სტატუსის თანასწორობის საფუძველზე და არა გემოვნების ან ტემპერამენტის მიხედვით. კონფორმიზმის ახალი ტიპი მოითხოვს მუდმივად ცვალებადი სტანდარტებისადმი სწრაფ შეგუებას. ღირებულებები, რომლებიც ადრე ფულზე გადაიყვანებოდა, ახლა იზომება ასაკობრივი ჯგუფის მოწონებით. ასაკობრივი ჯგუფი ქმნის ქცევის, გემოვნებისა და შეხედულებების სტანდარტებს და მათ მბრძანებლურად უქვემდებარებს თავის წევრებს, მალაგს რა თავისი მოთხოვნების სერიოზულობას ტოლერანტობისა და კეთილგანწყობის ნიღბის ქვეშ. ბავშვებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მორალი – ჯგუფის მორალი. დ. რისმენის აზრით, თუ უფროსები მოსამართლები არიან, თანატოლები ნაფიც მსაჯულებს (ჟიურის) წარმოადგენენ, \* ე.ი. მათი ძალაუფლება, გავლენა მეტია.

თანატოლთა ჯგუფი ინდივიდსა და იმ ინფორმაციებს, ამბებს შორის იმყოფება, რომლებიც მოდის მასობრივი საშუალებებიდან.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები სოციალიზაციის აუცილებელი აგენტია (ფაქტორია). მასმედია დიდ გავლენას ახდენს ბავშვის აღზრდის პროცესზე, მაგრამ არ შეიძლება, რომ იგი მშობლების, მასწავლებლებისა და თანატოლთა ჯგუფის „თანავარსკვლავედისაგან“ იზოლირებულად განვიხილოთ. \* კულტურები მრავალი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ბავშვებსაც განსხვავებულად ასწავლიან ადამიანების, აგრეთვე, გამოსახულებების დიფერენცირებას. მთხობელნი (მთქმელები) ბავშვისათვის

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p. 91  
\* Ibid.. p. 106

ხატავენ, აღწერენ სამყაროს და, ამგარად, მის მეხსიერებასა და წარმოსახვას გარკვეულ ფორმას აძლევენ და საზღვრებს უწესებენ.

ტრადიციაზე დამოკიდებულ (ტრადიციით მართულ) საზოგადოებაში იყენებენ ზეპირ ტრადიციებს, მითებს, ლეგენდებს, სიმღერებს – როგორც ერთ-ერთ მექანიზმს საზოგადოებაში აღიარებული ღირებულებების გადასაცემად. ამბავს ბავშვს უყვება ოჯახის წევრი ან ოჯახთან დაახლოებული პირი. ამბების მოყოლა წარმოადგენს პრიმიტიულ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება სახლში სოციალიზაციის სხვა პროცესებთან ერთად. ტრადიციულ საზოგადოებაში სიმღერები, თქმულებები, ზღაპრები, ზეპირი ისტორიები სრულდება ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეგობრების მონაწილეობით. ამ წარმოდგენების ძირითადი დანიშნულება იყო მოზარდი თაობის გაფრთხილება იმის შესახებ, თუ რა ემართებათ იმ ადამიანებს, ვინც არ ემორჩილება თემს ან ზებუნებრივ ავტორიტებებს. გადმოცემულ ამბებში ყველოდნენ განთქმულ ადამიანებზე და მიუთითებდნენ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი და რა თვისებები ჰქონდეს მას. (მაგალითად, სიმამაცე და ამტანობა). თქმულებათა და სიმღერათა ზეპირი გადაცემის არსებითი ნიშანია მათი მუდმივი ცვლილება იმ ღირებულებათა სკალის შესატყვისად, რომელთა მიზანას მსმენელთა ცნობიერებამდე ცდილობს ინტერპრეტატორი. იგი ითვალისწინებს აუდიტორიის გემოვნებასა და განწყობებს. ეს გადმოცემები უზრუნველყოფს ქცევის მოდელებს – მოცემული საზოგადოებისათვის აუცილებელსა და განმსაზღვრელს. თქმულებებს, მოთხოვნებს, გადმოცემებს დიდი როლი აკისრია სოციალიზაციის პროცესში. ისინი წარმოადგენენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების წინამორბედებს.

როდესაც საზოგადოებები შედიან მოსახლეობის გარდამავალი ზრდის ფაზაში, იზრდება ოფიციალური სასკოლო სწავლება. შინაგანი ორიენტაციის (საკუთარ თავზე თრიენტაციის) საზოგადოებაში ძალიან დიდია ბეჭვდითი სიტყვის მასოციალიზებელი როლი. კითხვის სურვილი ბავშვებისა და დიდების დამახასიათებელი ნიშანია. მკითხველთა წრე, რომელმაც შეცვლა მთხოვნელის ადრინდელი აუდიტორია, უპიროვნოა. კავშირი მთხოვნელსა და მსმენელს შორის დარღვეულია. შეუძლებელია წინასწარ გაითვალისწინონ როგორც წიგნების გავლენის მასშტაბები, ისე მისი შედეგები. ლიტერატურის საშუალებით ხდება, აგრეთვე, სოციალური ხასიათის ჩამოყალიბება. შინაგან მართვაზე დამოკიდებულ საზოგადოებაში პრესის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ბავშვებს მიაწოდონ გარკვე-

ული ინფორმაცია უფროსთა როლების შესახებ, იმ როლების შესახებ, რომელთა შესრულებაც მათ მომავალში მოუწევთ.

ტრადიციით მართულ პიროვნებას ჰქონდა როგორც ცხოვრების, ისე მუშაობის შინაარსისა და ფორმის ტრადიციული სტანდარტები. ბეჭდვითმა სიტყვამ, სოციალიზაციის სხვა ფაქტორებთან ერთად, დაარღვია ორივე ეს სტანდარტი. სიტყვები არა მარტო დროებით გავლენას ახდენს ადამიანებზე, არამედ კიდეც ცვლის მათ. ისინი ან ახდენენ მათ სოციალიზაციას, ან, პირიქით, ხელს უშლის. დაბეჭდილ სიტყვას შეუძლია გეზი მისცეს მის აუდიტორიას ან, პირიქით, შეუძლია მისი დეზორიენტირება.

სხვაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში იზრდება მასობრივი კომუნიკაციის როლი. ამ სფეროშიც ბავშვები ადრე ხდებიან მისი მომხმარებლები. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ბავშვს აცნობენ არა უფროსთა სამყაროს, არამედ „სხვა“, „აბსტრაქტული“ ბავშვის სამყაროს; სხვებზე ორიენტაციის სტადიაში ბავშვი განიცდის რადიოს, ტელევიზიისა და კომიქსების გავლენას იმ მომენტიდან, როდესაც მას შეუძლია მოსმენა ან კითხვა. მასობრივი საშუალებები მოითხოვს ბავშვისაგან, რომ მან სამყარო დაინახოს როგორც ბავშვმა, ე.ი. როგორც სხვა ბავშვი ხედავს მას. ეს, ნაწილობრივ, ტექნიკური პროგრესის შედეგია და შესაძლებელი გახდა კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით. შთაბეჭდილებები ყოველთვის შედარებულია ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებთან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სხვადასხვა სოციალური ხასიათის ტიპები მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდებიან საზოგადოების წიაღში, კლინდებიან და ვითარდებიან ბავშვის აღზრდის საქმიანობაში, მუშაობაში, გართობასა და პოლიტიკაში.

შინაგანად მართულ (საკუთარ თავზე ორიენტირებულ) ადამიანს ტენდენცია აქვს, არ იფიქროს მუშაობაზე ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით. სხვაზე ორიენტირებული ადამიანი კი სამუშაოზე ფიქრობს ადამიანებთან დაკავშირებული წარმოდგენებით. მისთვის ადამიანები უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე მისი სამუშაო უნარები და თვისებები.

შინაგანად ორიენტირებული ადამიანი წარმოებას განიხილავს და განიცდის, როგორც ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ პროცესებს, ობიექტივირებულს სოციალური ორგანიზმის ჩარჩოებში, და არა როგორც ადამიანთა თანამშრომლობას, ადამიანთა შორის გარკვეული ურთიერთობის შედეგს. აქ ადამიანებს შეუძლიათ თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა მათ ერთმანეთი.

აქ პროდუქციაზე უფროა გამახვილებული ყურადღება, ვიდრე ადამიანურ ელემენტებზე. შინაგანად ორიენტირებულ საზოგადოებაში მთავარია მუშაობა, შემდეგ კი – გართობის, სიამოვნების და მოხმარების სფეროები. თავისუფალი დრო და გართობა მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.

ტრადიციაზე ორიენტირებული ადამიანი არ ირჩევს, იმუშაოს, გაერთოს თუ ითამაშოს. მისთვის ყველაფერი ტრადიციითაა გადაწყვეტილი. შინაგანად მართულ ადამიანს ცოტა დრო რჩება გართობისათვის, რადგან სამუშაო დღე გრძელია, თავად სამუშაო კი – ძნელი. სხვებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში თვით ადამიანები ხდებიან ცენტრალური პრობლემა. შრომა და თავისუფალი დრო აღიქმება როგორც ადამიანთა ურთიერთობის სფერო. მუშაობისა და თავისუფალი დროის სფეროები ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. სამუშაო დროის შემცირებამ დიდი ეფექტი მოახდინა. სხვებზე ორიენტირებული ხასიათი სულ უფრო და უფრო თავისუფალი დროისთვის და თავისუფალი დროის განმავლობაში ყალიბდება.

## § 6. დ. რისმენის პოლიტიკური სტილის ტიპები:

დ. რისმენი სოციალური ხასიათის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად პოლიტიკას მიიჩნევს.

მეცნიერი “უკლ მასაში” პოლიტიკას არ განიხილავს, როგორც სახელმწიფოს, ჯგუფების, პარტიებისა და კლასების მიერ განხორციელებულ საქმიანობას. იგი აანალიზებს მას, როგორც პროცესს, რომლითაც ადამიანები უგავშირდებიან პოლიტიკას; გვიჩვენებს სოციალიზებული ტიპების ემოციებსა და დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი.

პოლიტიკური სტილის, პოლიტიკით დაინტერესების მიხედვით, დ. რისმენი განასხვავებს შემდეგ ტიპებს – ინდიფერენტულები, მორალის ქადაგებლები და პოლიტიკური მოვლენების წინასწარ განმჭვრებულები („შინაგანი დოპესტერები“ – Inside dopesters)\*.

ინდიფერენტულები ორი ტიპისაა – ძველი და ახალი ტიპის. ძველად მხოლოდ დინასტია და მასთან დაახლოებულ დიდებულთა მცირე ჯგუფი მონაწილეობდნენ პოლიტიკურ საქმიანობაში, დანარჩენი მოსახლეობა კი შორს იდგა პოლიტიკისაგან. მაგრამ ეს არ იწვევდა ამ ინდიფერენტული ადამიანების აპათიას.

\* ინგლ. dopester – პირი, ვინც აანალიზებს და წინასწარ განჭვრებს მომავალ მოვლენებს პოლიტიკაში.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ ამერიკაში ძველი ტიპის პოლიტიკური ინდიფერენციზმი გავრცელებულია ტრადიციით მართულ ჯგუფებში, ძირითადად, იმიგრანტებსა და სოფელში მცხოვრებ აფრო - ამერიკელებს შორის. ტრადიციით ორიენტირებული ინდიფერენციზმის რიცხვი მცირება. მათ არ გააჩნიათ ელემენტარული პოლიტიკური წიგნიერება, ცოდნა და ორგანიზაციული გამოცდილება, აქვთ დაბალი სოციალური სტატუსი და არიან დარიბები. მათთვის დამახასიათებელია ატიტუდი, რომ პოლიტიკა არის არა მათი, არამედ სხვების საქმე. მათი ინდიფერენციზმი წარმოადგენს ძველი დროისა და შუა საუკუნეების მასების ინდეფერენციზმს.

უფრო მნიშვნელოვანნი არიან ის ინდიფერენციზმი ადამიანები, რომლებიც არ არიან ტრადიციით მართულნი და ელემენტარული პოლიტიკური ცოდნა-განათლება შეიძინეს. მათი ინდეფერენციზმი არ არის კლასიკური, ასეთი ტიპის ინდიფერენციზმები შეიძლება იყვნენ ან შინაგანად მართულნი, ან სხვებზე ორიენტირებულნი.

დ. რისმენის აზრით, ინდივიდი ორ შემთხვევაში შეიძლება ჩამოშორდეს პოლიტიკურ სარბიელს:

1) თუ პოლიტიკური სურათი, გარემო იმდენად საიმედოა, რომ მისი არავითარი მოქმედება არ არის საჭირო. ინდივიდი ასეთ შემთხვევაში გრძნობს, რომ მას საფრთხე არ ემუქრება და შეუძლია თავის თავს ნება მისცეს, იყოს პოლიტიკურად ინდეფერენციზმი.

2) თუ პოლიტიკური სარბიელი იმდენად არეულია, რომ მის მოქმედებას არ შეუძლია შედეგის მოტანა.

დ. რისმენი მიიჩნევს, რომ ინდეფერენციზმები, როგორც ახალი, ისე ძველი ტიპის, აშშ მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ. მათ მიღრეკილება აქვთ, განიხილონ პოლიტიკა ისე, თითქოს ისინი უბრალო მაყურებლები არიან. ახალი ტიპის ზოგიერთი ინდიფერენციზმისათვის დამახასიათებელია აპათიაც.

შინაგანად ორიენტირებულ პიროვნებებს მიღრეკილება აქვთ, პოლიტიკაში იყვნენ “მორალის მქადაგებლები”. საკუთარ თავზე ორიენტირებული ადამიანები სამუშაოთი არიან დაკავებულნი. მათ პოლიტიკაც სამუშაო სფეროდ მიაჩნიათ, ე.ი. მათი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი ისეთია, როგორც შრომითი საქმიანობისადმი. ისინი თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობას განიხილავენ როგორც მოვალეობას, რომელსაც ასრულებენ მათი ხასიათისათვის დამახასიათებელი სწორხაზოვნებით. შინაგანად ორიენტირებულ ადამიანს პოლიტიკა ინტელექტუა-

ლური ორიენტაციის გამო კი არ აინტერესებს, არამედ იგი პოლიტიკას იმიტომ მიმართავს, რომ დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, მას აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი თავისადმი ან სხვებისადმი, ან ორივე ერთად.

სხვაზე ორიენტაციის გავრცელებამ პოლიტიკურ არენას მოუტანა „შინაგანი დოპესტერები.” „შინაგანი დოპესტერი” შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ მას არაფრის გაკეთება შეუძლია პოლიტიკის შესაცვლელად. მას შეუძლია, ის მხოლოდ გაიგოს. შინაგანი დოპესტერების უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას არ იღებს პოლიტიკაში. პოლიტიკა შინაგანი დოპესტერისათვის, უმთავრესად, არის საშუალება ჯგუფური კონფორმულობის მისაღწევად.

შინაგანად ორიენტირებულ მორალის მქადაგებელს პოლიტიკაში მოაქვს ატიტუდი, რომელიც წარმოიშვა წარმოების სფეროდან, სხვაზე ორიენტირებულ „შინაგან დოპესტერს” კი პოლიტიკაში მოაქვს ატიტუდი, რომელიც წარმოიშვა მოხმარების სფეროდან.

საკუთარ თავზე ორიენტირებული პიროვნება, თუ ის, საერთოდ, პოლიტიკითაა დაინტერესებული, პოლიტიკურ სცენას (სარბიელს) უკავშირდება თავისი მორალით ან კარგად განსაზღვრული ინტერესებით, ან ორივეთი ერთად. იგი პატივს სცემს თავის შეხედულებებს, რადგან მიაჩნია, რომ შეხედულებები გარკვეული პოლიტიკური პრონციპების დაცვის საშუალებაა.

სხვაზე ორიენტირებული ადამიანი კი, თუ ის დაინტერესებულია პოლიტიკით და ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, პოლიტიკურ სარბიელს უკავშირდება, როგორც ვეტო ჯგუფის წევრი (ჯგუფისა, რომელსაც შეუძლია აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს სხვა ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები). ის თავის ჯგუფს ანდობს, დაიცვას მისი ინტერესები. დ. რისმენი მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ემოციის დაკარგვას მივყავართ სხვაზე ორიენტაციისაკენ. სხვაზე ორიენტირებული შეიძლება იყოს ტოლერანტული სხვების შეხედულებების მიმართ. ეს მხოლოდ მისი ტოლერანტული ხასიათით არ არის გამოწვეული. მისი აზრით, ეს, უბრალოდ, შეხედულებებია და მათ დიდი მნიშვნელობა არა აქვთ.

მორალის მქადაგებლები და „შინაგანი დოპესტერები,” ერთად აღებულნი, წარმოადგენენ განათლებული ადამიანების უმრავლესობას, მაგრამ ისინი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ.

ადამიანები, შესაძლოა, მთლიანად, სხვაზე ორიენტირებულნი იყვნენ, პოლიტიკის სფეროში კი – უფრო შინაგანად ორიენტირებულები (თავის თავზე ორიენტირებულები).

დ. რისმენის აზრით, თანამედროვე ახალგაზრდებს აქვთ ცოდნა-განათლება, შეიარაღებულნი არიან ელემენტარული პოლიტიკური საშუალებებით, მაგრამ ისინი პასიურობას იჩენენ, რადგან მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური საქმიანობა არ არის მათი საქმე. ახალგაზრდები აპრიორულად იღებენ იმას, რასაც მთავრობა სთავაზობს მათ. პოლიტიკისადმი ინდიფერენტულობა, ზოგჯერ, აპათიაში გადადის.

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ სხვაზე ორიენტირებული ადამიანი არ ეძებს ძალაუფლებას, პირიქით, გაურბის მას. იგი ნაკლებად პატივმოყვარე, ექსპლოატატორული და იმპერიალისტურია.\*

## § 7. დევიდ რისმენის უნივერსალური ტიპები

სხვაზე ორიენტირებული პიროვნება მიიღინდგის შეგუებისაკენ. ეს ნიშნავს, რომ ის ისწრაფვის, პქონდეს სხვების მოლოდინების შესაბამისი სოციალური ხასიათი. თუ სხვაზე ორიენტირებული ადამიანი ვერ აღწევს შეგუებას, იგი ხდება ანომიური, ზოგჯერ კი – ავტონომიური.

“ეულ მასაში” განხილულია სამი უნივერსალური ტიპი – შემგუებელი (adjusted), ანომიური (anomie) და ავტონომიური (autonomous).

შემგუებლები არიან ტიპური ტრადიციით მართულები, შინაგანად მართულები (საკუთარ თავზე ორიენტირებულები) ან სხვაზე ორიენტირებული ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხასიათის სტრუქტურით პასუხობენ თავიანთი საზოგადოების ან სოციალური კლასის მოთხოვნებს მოსახლეობის მრუდის გარკვეულ საფეხურზე. ასეთი ადამიანები შეესატყვისებიან მოცემულ კულტურას, თითქოს ისინი შექმნილნი იყვნენ საზოგადოებისთვის ისეთებად, როგორიც ისინი, სინამდვილეში, არიან. შემგუებლები არიან ისინი, რომლებიც ასახავენ თავიანთ საზოგადოებას, ან თავიანთ კლასს საზოგადოების შიგნით, უმცირესი დამახინჯებით.\*

გარდა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ხასიათებისა, რომლებიც ასახავენ თითოეულ საზოგადოებაში გაბატონებული კონფორმიზმის ტიპს, არსებობს ასევე გადახრები – ესაა ადამიანთა ჯგუფები, რომლებმაც ვერ შედ-

\* Riesman, D. The Lonely Crowd. (1953). New York, Yale University Press. (Original work published 1950). p. 275.

\* Riesman, D. (1953) The Lonely Crowd. New York. Yale University Press. (Original work published 1950). p 278.

ლეს ან არ სურდათ, შეგუებოდნენ საზოგადოების მოთხოვნებს. ყოველ საზოგა-დოებაში ის ადამიანები, რომლებიც არ შეესატყვისებიან შეგუებულთა დამახასი-ათებელ შაბლონს (ნიმუშს), შეიძლება იყვნენ ანომიურები ან ავტონომიურები.

ინგლისური anomie (*შექმნილია ე. დიურკემის anomique-დან (anomie-ის ზედ-სართავი სახელი), რაც ნიშნავს უმართავს. დ. რისმენი anomie-ს უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობს: ის, ფაქტობრივად, ცუდად შეგუებულის სინონიმური ტერმინია, მაგრამ ავტორი ამ უკანასკნელს არ იყენებს მისი ნებატიური დამატებითი მნიშვნელობის გამო. ე. დიურკემმა ეს ტერმინი იხმარა საზოგადოების მი-მართ, დ. რისმენი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი კი ამ ცნებას ხმარობენ ინდი-ვიდის დასახასიათებლად. ამერიკელი სოციოლოგი რობერტ კინგ მერტონი შემ-დეგნაირად განსაზღვრავს ანომიას: “ანომია არის იმ ადამიანის ცნობიერება, რომელიც აღმოჩნდა მორალური ფესვებისაგან მოწყვეტილი და არა აქვს მყარი საფუძველი თავისი ქცევისათვის, იმ ადამიანისა, რომელსაც არ გააჩნია მორა-ლური ვალდებულებები, ადამიანებთან ერთიანობის გრძნობა“\*.*

ანომია არის ყველა იმ ადამიანის თვისება, რომლებიც სოციალიზაციის მსხვერპლი აღმოჩნდნენ, რომლებმაც მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ გაართვეს თავი და ვერ შეძლეს შეგუება.

“ავტონომიური“ არიან ის პიროვნებები, რომლებსაც, მთლიანობაში, უნარი აქვთ, შეეგუონ თავიანთი საზოგადოების ქცევის ნორმებს (ეს უნარი, ჩვეულებ-რივ, არ გააჩნიათ ანომიურებს), მაგრამ ავტონომიურები თავისუფალნი არიან, აირჩიონ, დაემორჩილონ თუ შეეგუონ ამ ნორმებს. დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანები თავიანთ ქცევაში ემყარებიან მოცემული საზოგადოების ნორმებსა და მოთხოვნებს, მხოლოდ თავიანთი თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყ-ვეტილების საფუძველზე. აქ ლაპარაკია არა ქცევის დამოუკიდებლობაზე, არა-მედ დამოუკიდებელ ხასიათზე, ე.ი. ინდივიდის უნარზე, მიიღოს თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, შეძლო თუ არა მან, ამა თუ იმ მიზეზების გამო, ეს გადაწყვეტილება განეხორციელებინა ცხოვრებაში.

რადგანაც ანომია და ავტონომია ყოველთვის წარმოიშობა როგორც გადახ-რა მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული კონფორმიზმისგან, მათი სპეციფი-კა განისაზღვრება “შემგუებელთა“ ტიპური ხასიათის თვისებებით.

\* Merton, R. K. ( 1949). Social Structure and Anomie In *Social Theory and Social Structure*.Illinois. The Free Press. p. 24

პიროვნება, რომელსაც აქვს თავისი დროისა და ადგილისათვის შესაფერისი ხასიათი, არის “შემგუბეული”, მაშინაც კი, თუ ის უშვებს შეცდომებს ან აკეთებს ისეთ რამეებს, რაც მკვეთრად განსხვავდება მისი ჯგუფის, საზოგადოების მოლოდინებისაგან.

დამოუკიდებელი ხასიათი წარმოიშობა არა უცებ, არამედ საზოგადოების იმ ძალებთან ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში, რომლებიც სოციალიზაციის დროს ქმნიან კონფორმიზმის აუცილებელ ნაირსახეობას.

დ. რისმენი მიიჩნევს, რომ ეს სამი უნივერსალური ტიპი (შეგუბული, ანომიური, ავტონომიური), მსგავსად მის მიერ მოცემული ისტორიული სამი ტიპისა (ტრადიციით მართული, შინაგანად მართული, სხვებზე მართული), არის “იდეალური ტიპები” (მაქს ვებერის “იდეალური ტიპების” მნიშვნელობით), ე.ი. ისინი წარმოადგენენ ანალიტიკური მუშაობისათვის საჭირო კონსტრუქციებს.

თითოეული ადამიანი, გარკვეული ხარისხით, არის ერთ-ერთი ტიპი, მაგრამ არც ერთის დახასიათება არ შეიძლება, ზოგადად, სრულყოფილად, რომელიმე ამ ტერმინით. (მაგალითად, სულიერად ავადმყოფიც კი არ არის ანომიური ცხოვრების ყველა სფეროში. არც ავტონომიური პიროვნება შეიძლება იყოს მთლიანად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში). მიუხედავად ამისა, შეიძლება ინდივიდის დახასიათება იმ წესით, რომელშიც სჭარბობს ადაპტაციის ერთი ერთი ფორმა. ასევე შეიძლება საზოგადოების დახასიათება იმ შეფარდებითი სიხშირის შესწავლით, რომლის საშუალებითაც მასში ადაპტაციის ეს სამი ფორმა არსებობს, აგრეთვე, იმის დადგენით, ამ სამ ტიპს რა მნიშვნელობა აქვს სოციალურ სტრუქტურაში.

შეგუბული, ანომიური და ავტონომიური ტიპები უნივერსალურია, რადგან ისინი არსებობენ როგორც ტრადიციულ საზოგადოებაში (ნაკლებად), ისე შინაგანი ორიენტაციისა და გარეგანი ორიენტაციის საზოგადოებებშიც.

იმ საზოგადოებაშიც კი, რომელიც დამოუკიდებულია ტრადიციულ მართვაზე, არის ანომიურთა განსაზღვრული რიცხვი, რომელთაც არ შესწევთ უნარი, შეცვალონ, ან მშვიდად იგრძნონ თავი იმ როლებში, რომლებსაც ახალი საზოგადოება განუსაზღვრავს თავის დევიანტებს. ადამიანები, როლებიც აღიზარდნენ ტრადიციით ორიენტირებულ ოჯახში, შემდეგ, შესაძლოა, აღმოჩნდნენ ცუდად შეგუბეულები გარემომცველი პირობებისადმი საზოგადოებაში, რომელიც იმ დროისათვის შინაგან ორიენტაციაზე (თავის თავზე ორიენტაციაზე) იქნება დამოკიდებული. ანალოგიურად, სხვებზე ორიენტაციის გაზრდამ შეიძლება ანომიამდე მი-

იყვანოს როგორც შინაგანად ორიენტირებული, ისე ტრადიციით ორიენტირებული ტიპები.

ბევრად ნაკლებია ავტონომიური ტიპები, ადამიანები, რომელებსაც აქვთ უნარი, გადალახონ თავისი კულტურის საზღვრები, ყოველ დროსა და ყოველ ურთიერთობაში.

რაც უფრო რთულია საზოგადოება, მით უფრო მეტი წანამდვარი არსებობს, რომ მოხდეს მასში გაბატონებული კონფრონტიზმიდან გადახრა.

ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც ინდივიდის როლი მკაცრად არის განსაზღვრული და თაობიდან თაობას გადაეცემა, ავტონომია თითქმის უცნობია.

საკუთარ თავზე ორიენტირებულ (შინაგანი ორიენტაციის) საზოგადოებაში ავტონომიური პიროვნება საკუთარ თავს უკენებს ისეთივე ნათელ მიზნებსა და ამოცანებს და ისტრაფვის მათკენ, როგორც კონფორმიზმის ტიპური წარმომადგენელი – შემგუებელი პიროვნება, მაგრამ ამ ამოცანებს ის თავად წარმართავს და მოქმედებს თავისუფალი არჩევანისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტონომიური პიროვნებებისათვის მიზნები და მათკენ სტრაფვა არის რაციონალური, არაავტორიტარული და არაიძულებითი. რაც შეეხება შემგუებლებს, მათ ეს მიზნები, უბრალოდ, სხვებმა დაუსახეს. ავტონომიურები არიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ უნარი, იყვნენ თავისუფლები.

დ. რისმენი მიიჩნევს, რომ უფრო ადვილია ავტონომიის მიღწევა შინაგანად მართვაზე დამოკიდებულ ეპოქაში, ვიდრე თანამედროვე საზოგადოებაში.

ამაღლებული თვითშეგნება წარმოადგენს ავტონომიური ტიპის განმასხვავებელ ნიშანს სხვებზე ორიენტაციაზე დამოკიდებულ ეპოქაში.

დ. რისმენი მიუთითებს თავისი იდეალურად ტიპური კონსტრუქციების წმინდა თეორიულ მნიშვნელობაზე. ეს ტიპური კონსტრუქციები არ გამოიყენება რეალური ადამიანების განსაზღვრის მიზნით.

“ეული მასაში” ავტორი მის მიერ მოცემულ სოციალურ ტიპებს – ტრადიციით მართულს, შინაგანად მართულსა და სხვებზე ორიენტირებულს – უწოდებს ისტორიულს, რადგან თითოეული ტიპი ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი საზოგადოების გარკვეული ტიპისათვის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. დ. რისმენი პიროვნებათა ტიპებს ისტორიულ პერსპექტივაში იყენებს, რათა გააშუქოს შეგუებისა და ცვლილებების მნიშვნელოვანი პროცესები.

ამა თუ იმ მოცემულ კულტურაში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სოციალური ტიპი. ერთმანეთის გვერდით გვხვდებიან განსხვავებული სასიათის

სტრუქტურის ადამიანები. ამ მოვლენას ყველგან აქვს ადგილი, მსოფლიოს თით-ქმის ყველა ნაწილში. ხასიათის ადაპტაციის მრავალფეროვნება, ხასიათთა შერე-ვა გამოწვეულია ხალხთა მიგრაციით, ინდუსტრიალიზაციითა და სხვა ისტორი-ული ცვლილებებით (ამჟამად კი, გლობალიზაციით).

დ. რისმენი აღნიშნავს, რომ დღეს მიმდინარეობს დამახასიათებელი ბრძოლა სხვაზე ორიენტირებულებსა და საკუთარ თავზე ორიენტირებულებს შორის, ხო-ლო ტრადიციით ორიენტირებული ხასიათი თანდათან ქრება. ე.ი. ტრადიციით მართული ტიპი გზას უთმობს შინაგანად მართულს, ხოლო შინაგანად მართული – სხვებზე ორიენტირებულს. დ. რისმენი მიიჩნევს, რომ შინაგანად მართულ ადა-მიანებს წარმართავს გიროსკოპი, ხოლო სხვებზე ორიენტირებულებს – რადა-რი<sup>\*</sup>.

საზოგადოების ტიპებისა და სოციალური ხასიათის ცვლილებები, რა თქმა უნდა, უცებ არ ხდება. ეს არის რთული და ხანგრძლივი პროცესი, ზოგჯერ, მტკიცნეულიც.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიამ დიდ პოპულარობას, მაგრამ სკეპტიკურად უყურებს მის უნივერსალო-ბას და საკამათოდ მიაჩნია მისი სიზუსტე.

ზოგიერთი სოციოლოგი აღიარებს დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპო-ლოგიის დიდ პოპულარობას, მაგრამ სკეპტიკურად უყურებს მის უნივერსალო-ბას და საკამათოდ მიაჩნია მისი სიზუსტე.

ამერიკელი სოციოლოგი სტეფან კოული თავის წიგნში “სოციოლოგიური ორიენტაცია“ სვამს კითხვას, თუ რამდენად რეალურად ახასიათებს დ. რისმენის “სხვებზე ორიენტირებულის“ კონცეფცია თანამედროვე ამერიკელების ქცევას. იგი მიიჩნევს, რომ ადამიანთა უმეტესობა კონფორმულია ზოგიერთი გამოკვლეული ჯგუფისადმი და არა სხვა ჯგუფებისადმი. “ჯგუფებს, რომლებსაც ჩვენ პატივს ვცემთ და გვინდა შევეგუოთ, ეწოდება ჩვენი რეფერენტული ჯგუფები. ჯგუფები, რომლებიც არ მოგვწონს და გვინდა, მათგან განვხევავდებოდეთ, არის ნებატიუ-რი რეფერენტული ჯგუფები“. “შეიძლება ადამიანები იყვნენ სხვებზე ორიენტირე-ბულები, როდესაც ისინი ურთიერთქმედებენ იმ ჯგუფებში, რომლებიც მათ აირ-ჩიეს. იგივე ინდივიდები შეიძლება იყვნენ შინაგანად მართულები (საკუთარ თავ-

\*რადარი (ინგლისური radar – შემოქლებული radio detecting and ranging – რადიოლოგიატორისა და რადიოლოგიაციის შემოქლებული სახელწოდება) – ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ხდება ობიექტის აღმოჩენა, რადიო - ტალღების მეშვეობით, და, აგრეთვე, მანძილის განსაზღვრა

ზე ორიენტირებულები) თავიანთი მოქმედებისას იმ ჯგუფებში, რომლებიც მათ არ აურჩევიათ. ძირითადი არსი ის არის, რომ, გარკვეულწილად, ჩვენ ყველანი ვართ შინაგანად მართულები და ჩვენ ყველანი ვართ სხვებზე ორიენტირებულები“. “ადამიანთა უმრავლესობა კონფორმულია იმ ჯგუფებისადმი, რომლებსაც ჩვენ ვეკუთვნით. დ. რისმენმა დაინახა ეს, როგორც იმის დადასტურება, რომ ჩვენ გვევას სხვებზე ორიენტირებული პიროვნებები. ფაქტობრივად, მიდრეკილება გვაქს, შევეგუოთ იმ ჯგუფებს, რომლებიც ჩვენი რეფერენტულია.“\*

გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი ალექს ინკელსი თავის წიგნში „რა არის სოციოლოგია?“ აღნიშნავს, რომ წარსულში სოციოლოგები დიდ ენერგიას ხარჯავდნენ პიროვნების ტიპოლოგიების გამოგონებაზე. ამით ისინი ცდილობდნენ, აქესნათ ის განსხვავებები ქცევებში, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა საზოგადოებისათვის და რაც, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ჯგუფებისათვის იმავე საზოგადოების შიგნით. დ. რისმენმა თავისი ხასიათის ტიპები გამოიყენა ისტორიულ პერსპექტივაში, რომ აქესნა საზოგადოებაში მიმდინარე შეგუებისა და ცვლილებების პროცესები. ა. ინკელსი მიიჩნევს, რომ ასეთ მეთოდს გააჩნია საკმაოდ არამტკიცე საფუძველი, რომელზეც შეიძლებოდა სოციოლოგიური ანალიზის დაფუძნება. „ვერ მოასწრებ მობრუნებას, რომ სხვა სოციოლოგი გვთავაზობს სოციალური ტიპების ახალ წევებას. მაშინ ვისი ხასიათის ტიპები მივიღოთ, როგორც ავთენტიკური (სარწმუნო) და სოციალურად მნიშვნელოვანი? თუ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ იმ ტიპებს, რომლებსაც სხვადასხვა ავტორი განმარტავს, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ, ხშირად, ისინი ერთი და იგივე ძველი ხასიათებია, ოდონდ ახალი და მომხიბლავი სახელწოდებით მორთული, თუმცა, ისტორიული სქემა, ძირითადად, უცვლელია და მისი ნაწილები, არსებითად, იგივეა“.\*

ა. ინკელსის აზრით, დ. რისმენის ტიპები ჰგანან როგორც ვილფრედო პარეტოს, ისე უ. ტომასისა და ფ. ზნანეცის და, აგრეთვე, მაქს ვებერის ტიპებს. „სოციალური ტიპების შემქმნელებს უნდა ვთხოვთ, რომ უფრო ზუსტად განსაზღვრონ, რა არის ის ნიშნები, მაჩვენებლები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ შეგვეძლება, ერთი ტიპი განვასხვავოთ მეორისაგან. სამწუხაროდ, უფრო ახლოს გაცნობის დროს აღმოვაჩნთ, რომ არ შეიძლება უფრო ზუსტად დადგინდეს ამ ტიპების განმასხვავებელი ნიშნები. მაგ., ვარაუდობენ, რომ სხვებზე – ორიენტირებული განიცდის თავისი თანამედროვეების გავლენას. მაგრამ, ნათელია, რომ თა-

\* Cole, S. (1975). The Sociological Orientation. Chicago. pp. 96-97

ვიანთი თანამედროვეების გავლენას შეიძლება, გარკვეულწილად, განიცდიდნენ, აგრეთვე, როგორც ტრადიციით მართულები, ისე შინაგანად მართულები, თუ ისინი წარმატებულები არიან საზოგადოებაში. ამიტომ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენად განიცდის თითოეული ტიპი თანამედროვეების გავლენას და ცხოვრების რომელ სფეროში არის ეს გავლენა უფრო მნიშვნელოვანი. ჩვენ რომც შეგვეძლოს დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ცალკეული ნიშნები, რომლებსაც აღწერს დ. რისმენი, ნამდვილად არსებობს რეალურ ადამიანში, საიდან ვიცით, რომ, სინამდვილეში, ისინი ისე ერთიანდებიან, როგორც ავტორი წარმოგვიდგენს? და თუ ეს ცალკეული თვისებები სწორედ ისე ერთიანდებიან, როგორც მას წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ტიპები ნამდვილად არსებობენ იმ სოციალურ ჯგუფებში, რომლებისთვისაც, როგორც მას ჰგონია, ისინი ტიპური არიან?“(

ალექს ინკელსი ეჭვის ქვეშ აყენებს დ. რისმენის იმ შეხედულებასაც, რომ სხვების მიერ მართული (სხვებზე ორიენტირებული) ადამიანები წარმოიშობა სწორედ ამერიკის დიდი ქალაქების მაღალ საშუალო კლასში და უფრო შესამნევად – ნიუ-იორკში, ვიდრე ბოსტონში.

ა. ინკელსი მიიჩნევს, რომ მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა იმ თვისებების საიმედო და საფუძვლიანი გაზომვა, რომლებიც, სავარაუდოდ, ახასიათებს სხვადასხვა სოციალურ ტიპს. ასეთი გაზომვა ახლა, თანამედროვე პირობებში, შესაძლებელია. შედეგების ანალიზი აჩვენებდა, სწორია თუ არა დ. რისმენის პიპოთებები. ანალიზის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მისი სოციალური ხასიათის ტიპების სინამდვილისადმი აღეკვატურობის გაზომვა.

ბოლო დრომდე ასეთი გამოკვლევის ჩატარება უტოპიური იყო. მეცნიერებმა არ იცოდნენ, როგორ შეემუშავებინათ საჭირო ტესტები, არ გააჩნდათ მათი გამოყენების საშუალებები, არ შეეძლოთ გაეზომათ მათი მნიშვნელობა, კიდევაც რომ მიედოთ ასეთი შედეგები. ა. ინკელსის აზრით, თითოეულ მეცნიერს თავისუფლად შეეძლო, შემოეთავაზებინა სხვა სახის სოციალური ტიპები, რომ აეხსნა როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მოვლენები.

დღეს ტექნოლოგიურმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა, რომ სოციოლოგებსა და ფსიქოლოგებს შეემუშავებინათ ხასიათის ტესტები.

ა. ინკელსი აღნიშნავს: “ბევრი ადამიანი მუშაობს, რომ შეიმუშაოს დ. რისმენის მიერ აღწერილი პიროვნებათა ტიპების ობიექტური ტესტები. საინტერესოა, რომ, თუმცა, ემპირიულ გამოკვლევებს ატარებენ დ. რისმენისადმი სიმპათიურად

განტყობილი ადამიანები, ისინი, ჩანს, აწყდებიან ზოგიერთ იმ სიძნელეს, რომელ-  
საც ზემოთ ითვალისწინებდა ჩვენი თეორიული ანალიზი“.\*

ა. ინკელსს მაგალითად მოაქვს რილიების (The Rileys) მიერ ჩატარებული  
გამოკვლევა. მათ გამოკითხეს IX და X კლასების 2500 მოსწავლე. მკვლევრებმა  
ვერ შეძლეს, გამოეყოთ საკუთარ თავზე და სხვაზე ორიენტირებულები, რო-  
გორც წმინდა სოციალური ტიპები. მოსწავლეთა უმრავლესობაში ორივე ეს ტიპი  
მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალით არსებობდა.

ა. ინკელსი წერს: “ჩვენი ადრეული გამოცდილება მიუთითებს, რომ სოცია-  
ლური რეალობა უფრო რთულია, ვიდრე ამას ჩვენი თავდაპირველი სქემები გვთა-  
ვაზობს., სოციალური ცვლილებების გასაღები უფრო მოუხელოებელია, ვიდრე  
ჩვენ წარმოგვიდგენია. პიროვნების წმინდა სოციალური თვისებები, რომლებსაც  
თეორია განიხილავს, ძნელად მოსახლეობელი, ძნელი გასაზომი და რეალურ  
სიტუაციებში ძნელად გამოსაყოფია. სინამდვილეში, ხშირად, შეუძლებელია  
რთული იდეალური ტიპების პოვნა. პიროვნების ფსიქოლოგიის ეს წმინდა კომპო-  
ნენტები, შესაძლოა, სხვაგვარად იყოს დაკავშირებული, ვიდრე ეს იმ ადამიანებ-  
მა წარმოგვიდგინეს, რომლებმაც ისინი შექმნეს“.

მართლაც, დ. რისმენის სოციალური ტიპები იდეალურია, რადგან ცხოვრებაში  
არ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მთლიანად ან შინაგანად ორიენ-  
ტირებულნი იყვნენ ან სხვებზე მართულები. თავად ავტორიც აღნიშნავს, რომ  
ზოგჯერ ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ რომელიმე ტიპი, მისი ნიშნები, ხაზი  
გაგუსვათ მის მაჩვენებლებს. ხშირად, ზუსტად არ არის დადგენილი და ჩამოყა-  
ლიბებული მისი განმასხვავებელი მახასიათებლები.

მიუხედავად ამისა, დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია საინტე-  
რესოა მისი ორიგინალობის გამო. მან ყველაზე დიდი გაგრცელება და გამოყენე-  
ბა პპოვა, ყველა სხვა სოციოლოგიურ ტიპოლოგიასთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულია ტრადიციით მართული, საკუთარ თავზე ორიენტირებული  
და სხვაზე ორიენტირებული საზოგადოებებისა და პიროვნებების ძირითადი მა-  
ხასიათებლები:

\* Inkeles, A, (1964). What is Sociology? Prentice - Hall New Jersey. p 54.

**ტრადიციით მართული  
(ტრადიციაზე ორიენტირებული)  
საზოგადოება**

- ❖ კოლექტივისტური საზოგადოება
- ❖ ინდუსტრიამდელი საზოგადოება
- ❖ მჭიდრო ნათესაური კავშირები
- ❖ კონფორმულობის მაღალი ხარისხი
- ❖ ტრადიციული კულტურული ნორმების, სტანდარტების, წესჩვეულებების დაცვა, ტრადიციების ერთგულება
- ❖ რელიგიის გაბატონებული მდგომარეობა
- ❖ სოციალიზაციის ძირითადი აგენტი – ოჯახი
- ❖ სოციალიზაცია ადრე მთავრდება
- ❖ უფროსი თაობის სოციალური როლების უცვლელობა
- ❖ ძალიან დაბალი სოციალური მობილობა (არ ხდება სტატუსის შეცვლა)
- ❖ ქცევის მოდელების, ნიმუშების შეზღუდული რაოდენობა
- ❖ გაფართოებული ნათესაური ოჯახი
- ❖ პატრიარქალური ოჯახი
- ❖ პატრილოკალური ოჯახი
- ❖ ძირითადად, ენდოგამიური ქორწინება
- ❖ ზეპირი ტრადიციები, მითები, ლეგენდები – საზოგადოების კულტურის – ღირებულებებისა და ქცევის გადაცემის ერთ-ერთი მექანიზმი
- ❖ კონსერვატიზმი
- ❖ კონვენციალობა
- ❖ თავისი წრისადმი კონფორმულობა (შეგუება)
- ❖ სახლი – საზოგადოების წევრების „ციხე-სიმაგრე“.

**შინაგანად მართული (საკუთარ  
თაგზე ორიენტირებული)  
საზოგადოება**

- ❖ ინდუსტრიული საზოგადოება
- ❖ კაპიტალის დაგროვება
- ❖ მუდმივი ექსპანსია (გავლენის სფეროს გაფართოება)
- ❖ საზოგადოების ცხოვრების ცენტრია წარმოების სფერო, სადაც შრომა იძენს თვითკმარ მნიშვნელობას
- ❖ საზოგადოებაში ადამიანი ადიქტება, როგორც მოცემულ სფეროში (მუშაობის, წარმოების სფეროში) აუცილებელი თვისებების ერთობლიობა
- ❖ თავისუფალი დრო და გართობა მეორებარისხოვან როლს თამაშობს
- ❖ იზრდება პიროვნული სოციალური მობილობა
- ❖ სუსტდება ოჯახის როლი
- ❖ სოციალიზაციის პროცესი უფრო ხანგრძლივია
- ❖ სოციალიზაციის ძირითადი აგენტები – ოჯახი, სკოლა, მასწავლებლები
- ❖ მეგობრების წრე მკაცრადაა განსაზღვრული სოციალური ჩარჩოებით
- ❖ რაციონალიზმის, თვითდისციპლინის მაღალი მოთხოვნები.

**სხვაზე ორიენტირებული  
(სხვაზე მართული)  
საზოგადოება**

- ❖ პრიორიტეტი ეკუთვნის არა წარმოების, არამედ მოხმარების სფეროს
- ❖ აქ ძირითადი არის ადამიანი, ის წარმოადგენს ყურადღების მთავარ ცენტრს
- ❖ შრომა და თავისუფალი დრო, უპირველეს ყოვლისა, ადიქტება, როგორც ადამიანთა ურთიერთობების სფერო და არა დამოუკიდებელი, განუენებული სფეროები
- ❖ ასეთ საზოგადოებაში ადამიანები გახდენ მთავარი პროდლემა
- ❖ ინდივიდუალისტური საზოგადოება
- ❖ უბანიზაცია
- ❖ ხანგრძლივი სოციალიზაციის პროცესი
- ❖ შრომისა და დასვენების მკაფიოდ გამიჯვნა
- ❖ მაღალი ბიუროკრატიზაცია
- ❖ ინფორმაციის დიდი მოთხოვნილება
- ❖ სტანდარტიზაცია
- ❖ გაზრდილი სოციალური მობილობა
- ❖ სოციალიზაციის აგენტები – ოჯახი, სკოლა, თანატოლთა რე, მასმედია
- ❖ მასმედიის (განსაპუთრებით, ინტერნეტის, სოციალური ქსელების) დიდი როლი და გავლენა
- ❖ თანატოლთა დიდი გავლენა
- ❖ მცირებიცხვანი ოჯახი (ნუკლეარული ოჯახები)
- ❖ ეგალიტარული ოჯახი
- ❖ ნეოლოკალური ოჯახი
- ❖ სახლი აღარ არის „ციხე-სიმაგრე“.

**ტრადიციით მართული  
(ტრადიციაზე ორიენტირებული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ მისდევს ტრადიციებს
- ❖ ქცევები ზუსტადაა რეგულირებული გარედან ტრადიციული კულტურული ნორმებით, სტანდარტებით, მჭიდრო ნათესაური კავშირებით, რელიგიით, წესჩვეულებებით
- ❖ მჭიდრო ნათესაური კავშირები
- ❖ კონფორმულობა ჯგუფის ეთნოებისადმი
- ❖ მგრძნობიარე მკაცრი, მომთხოვნი და თავისთავად აშკარა ტრადიციისადმი
- ❖ კონფორმულობის მაღალი ხარისხი
- ❖ ტრადიციების ერთგულება
- ❖ ხელისუფლების სტრუქტურულისადმი დაქვემდებარება (მორჩილება)
- ❖ მის ქცევას საგულდაგულოდ აკონტროლებს და არგულირებს ოჯახი, კლანი, რიტუალი, რელიგია, კასტა
- ❖ სოციალიზაცია ადრე მთავრდება
- ❖ სოციალიზაციის ძირითადი აგენტი – ოჯახი
- ❖ მალე ამთავრებენ ზრდას, რომ მიიღონ მოზრდილთა როლები
- ❖ მოზრდილთა როლები უცვლელია
- ❖ სოციალური მობილობა ძალიან დაბალია – არ ხდება სტატუსის შეცვლა
- ❖ პაპავენ უფროსების (მშობლების, ნათესავების) ქცევებს
- ❖ ქცევის მოდელების, ნიმუშების რაოდენობა მცირეა
- ❖ დიდი ოჯახები გარემო. გაფართოებული ოჯახი (ნათესაური). პატრიარქალური და პატრილოკალური ოჯახი
- ❖ სოციალური სიმწიფე წინ უსწრებს ბიოლოგიურ სიმწიფეს
- ❖ სახლი არის მისი „ციხე-სიმაგრე“
- ❖ სურს, მოიპოვოს მშობლების კეთილგანწყობა
- ❖ სოციალური მობილობა და ინდივიდუალურია, რადგან საზოგადოებაში არ არის მათზე მოთხოვნილება

**საკუთარ თაგზე  
ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ აღრეულ ასაკში იქნება ინტერნალიზებულ მიზნებსა და ამოცანებს
- ❖ პიროვნული მობილობის ზრდა
- ❖ კაპიტალის სწრაფი დაგროვება
- ❖ მუდმივი ექსპანსია (გავლენის სფეროს გაფართოება)
- ❖ მგრძნობიარე ნორმებისადმი, რომლებიც ადრე ჩაუნერგებს უფროსებმა და რომლებიც მიმართულია განზოგადებული, მაგრამ წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანებისაკენ
- ❖ სწრაფვა გამდიდრებისაკენ
- ❖ სწრაფვა კარიერისაკენ (კარიერის გაეთვება)
- ❖ იდეალიზებული მშობლები
- ❖ შეჯიბრი დამბას შორის მშობლებთან კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ან გაკიცხვის თავიდან ასაცილებლად
- ❖ მშობლები მართავენ შვილებს
- ❖ შეიძლებს (დამბას) არ შეუძლიათ, იმოქმედონ როგორც თანატოლებმა (ისინი სხვადასხვა ასაკის არიან)
- ❖ ბავშვი იზრდება უფროსებით გარემოცულ სამყაროში, ხშირად, მშობლების მიერ შექმნილ მძიმე ატმოსფეროში
- ❖ ზოგჯერ, გონივრულობას მოკლებული მოთხოვნები
- ❖ მშობლებთა როლი კპლაზ მნიშვნელოვან როლს თამაშიბს, თუმცა, სუსტდება
- ❖ მოზარდი, გარკვეულწილად, შორდება სახლის გავლენას
- ❖ სუსტდება ოჯახის როლი
- ❖ მშობლები ბევრს მოითხოვს შეიძლისაგან (აგრეთვე, თვითი თავისგან)
- ❖ მშობელი აკონტროლებს შვილებს
- ❖ მშობელი მოითხოვს არა მარტო ქცევით კონფორმულობას, აგრეთვე, ხასიათის შესატყვისებასა და თვითდისცალინას
- ❖ ქცევის დეტალებს კი არა, არამედ საერთო პრინციპებს ექვემდებარება

**სხვაზე ორიენტირებული  
(სხვების მიერ მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ამ სოციალური ხასიათის ტიპს, ზოგჯერ, ამერიკულსაც უწოდებენ.
- ❖ მგრძნობიარები სხვების მოლოდინებისა და უპირატესობათ მიმართ
- ❖ თანატოლები და თანამედროვენი წარმოადგენენ ორიენტაციის წეროს
- ❖ პროდლემას წარმოადგენენ სხვა ადამიანები და არა მატერიალური გარემო
- ❖ მისი ხასიათი ყალიბდება მისი თანატოლებისა და თანამედროვების მაგალითზე, ისინი ახდენენ მათზე ზეგავლენას
- ❖ ის ნაკლებად უერადდებიანია საკუთარი გრძნობებისა და მისწრაფებების მიმართ
- ❖ ისწრაფის, პარმონიული ურთიერთობა დამკარის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან
- ❖ სურვილი, დაიმსახუროს მათი მოწონება და სიკვარული, დაქმებავსოს მათ
- ❖ ადვილად და ხშირად იცვლის თავის შეხედულებებს, თუ იცვლება საზოგადოებრივი აზრი
- ❖ მოქნილი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ შეეგულ მუდმივად ცვლებად სიტუაციებს
- ❖ მშობლების როლი კიდევ უფრო სუსტდება
- ❖ მშობლების ამოცანა – შეახვიოს ბავშვი, დაიმსახუროს გარშემოყოფი ადამიანების მოწონება
- ❖ ქცევის (მოქმედების) უშუალო მიზნებს მის წინაშე სკამს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ასაკობრივი ჯგუფი
- ❖ მშობლებს ადარ ძალუბო, ბავშვებს მისცენ ნათელი წარმოდგენა მის ამოცანებსა და საზოგადოებაზე
- ❖ მცირერიცხოვანი ოჯახი (ნუკლეარული ოჯახები)
- ❖ სახლი აღარ არის „ციხე-სიმაგრე“
- ❖ სიციალიზაციის პროცესი ხანგრძლივია
- ❖ ინდივიდუალისტური საზოგადოების წევრი

**ტრადიციით მართული  
(ტრადიციაზე ორიენტირებული)  
სოციალური ხასიათი**

**საკუთარ თაგზე  
ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
სოციალური ხასიათი**

**სხვაზე ორიენტირებული  
(სხვების მიერ მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ საზოგადოებაში მას უქავია მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი, ასრულებს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სოციალურ როლებს, ის ეკუთვნის საზოგადოებას და არ არის ზედმეტი (როგორც თანამედროვე საზოგადოებაში)
- ❖ თავისი წრისადმი კონფორმულობა (შეგუება)
- ❖ ზეპირი ტრადიციების ერთგული
- ❖ გადმოცემები უზრუნველყოფს მის, საზოგადოებისათვის აუცილებელი და განმსაზღვრული ქცევის მოდელებს.

- ❖ სოციალიზაციის პროცესი უფრო ხანგრძლივია
- ❖ სოციალიზაციის ძირითადი აგენტები – ოჯახი, სკოლა, მასწავლებლები
- ❖ მასწავლებლის დანიშნულება – მოზარდს უნდა ასწავლოს ქცევის გარეგნული მხარე, მანერები
- ❖ სკოლის, მასწავლებლის, სწავლის მიზანი – მოსწავლის ინტელექტურის ჩამოყალიბება
- ❖ ინდუსტრიული საზოგადოების წევრი
- ❖ მიზანსწრაფულობა
- ❖ საქმიანობა (საქმიანი)
- ❖ საქმიანი, პოზიტიური ლიდერობა
- ❖ გრძელვადიანი ცხოვრებისეული მიზნები
- ❖ ბავშვის ემოციურ მხარეს არ ექცევა ყურადღება
- ❖ ადამიანზე შეხედულება იქმნება მისი საქმეების მიხედვით (და არა მისი „მომხიბლავი დიმილის“ გამო)
- ❖ ყურადღება არ ექცევა ბავშვის მიდრევილებებს, გემოფნებას, თანატოლთა ჯგუფის წევრებთან დამოკიდებულებას
- ❖ მოსწავლეს ამზადებენ, რომ შემდეგ მან შეძლოს საქმის გაძლიერება (წარმართვა)
- ❖ სკოლა მოსწავლის წინაშე აქცნებს ნათელ, დეტალებში შემუშავებულ მიზნებს
- ❖ რაციონალიზმის, თვითდისციპლინის მაღალი შოთხოვნები.

**თანატოლთა წრე**

- ❖ ნაკლებად განიცდის ასაკორივი ჯგუფის გავლენას
- ❖ ბავშვის თავისუფალ დროსა და გართობას არ ექცევა ყურადღება
- ❖ მეგობრების წრე მკაცრადაა განსაზღვრული სოციალური ჩარჩოებით
- ❖ ბავშვის აღზრდა, ძირითადად, თანატოლთა ჯგუფისაგან იზოლირებულად ხდება

- ❖ ინდუსტრიული ტიპი – სხვაზე (გარეთ) ორიენტირებული
- ❖ შრომისა და დასვენების მკაფიოდ გამიჯვნა
- ❖ მაღალი ბიუროერატიზაცია
- ❖ მის ქცევას განსაზღვრავს მისი სოციალური ჯგუფები, მოდა, ინფორმაციის დიდი მოთხოვნილება
- ❖ ავტონომიური პიროვნება, რომელიც შედარებით არაკონფირმულია
- ❖ შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება კულტურისადმი
- ❖ რაციონალური მიზნები
- ❖ ბავშვის ინდივიდუალობის განვითარება
- ❖ მასწავლებელი ყურადღებას აქცევს არა მარტო მოსწავლის ინტელექტს, არამედ ბავშვის ემოციურ ცხოვრებას
- ❖ მასწავლებელს ბავშვის სოციალური და ფსიქოლოგიური შეგუება უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი აკადემიური მოსწრება
- ❖ მასწავლებელი – აზრების წარმართველი
- ❖ ავტორიტეტებისგან განთავისუფლება
- ❖ სტანდარტიზაცია
- ❖ სკოლის როლი დაყვანილია მოხმარების სფეროში სოციალიზაციამდე, პიროვნული ურთიერთობების რეგულირებამდე
- ❖ მასწავლებლის ძირითადი ამოცანა ნონკონფორმიზმის ყოველგარი გამოვლენის თავიდან აცილება
- ❖ მასწავლებელი – მარეგულირებელი
- ❖ საზოგადოებაში პიროვნების, ჯგუფის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი საქმიანობის შედეგით (პროდუქციით), არამედ მის წევრებს შორის ურთიერთობებით
- ❖ მთავარია არა ცოდნა და წარმატებები, არამედ ჯგუფის მოთხოვნებისადმი შეგუების უნარი, ადამიანებით მანიპულირება.

**საქუთარ თაგზე ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ სკოლაში მას ფორმალური კონტაქტი (და არა ურთიერთობა) აქვს სხვა ბავშვებთან
- ❖ პიროვნების სტაბილურობა
- ❖ შედარებითი დამოუკიდებლობა სხვების შეხედულებებისაგან
- ❖ ბავშვებისადმი მაღალი მოთხოვნები
- ❖ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა
- ❖ აღზრდის მიზანი – თავშექავება, ხასიათის სიძლიერე და ინიციატივის გამომუშავება
- ❖ საქსებით მოულოდნებლი როლები
- ❖ რაციონალიზაცია
- ❖ ბავშვს ადარ ასწავლიან, რომ მან შეძლოს არჩევანის გაკეთება, იპოვის საშუალებები დასახული მიზნების მისაღწევად – ამას ის დამოუკიდებლად უნდა აკეთებდეს
- ❖ ბავშვი იბრძვის მშობლების წინააღმდეგ და ემორჩილება მას.

**აღზრდის პირობები**

- ❖ მაღალი ავტორიტარიზმი
- ❖ დაშინებით, უხეშობით მიღწეული დისციპლინა
- ❖ მშობლების სიყვარული მიმართულია მიწონებული ქცევის დამონსტრირებაზე
- ❖ ოჯახის იერარქიული სტრუქტურა
- ❖ ოჯახის სტატუსზე ზრუნვა
- ❖ ძალაზე როიენტაცია
- ❖ მშობლებით უპირობო აღფრთოვანება
- ❖ პიროვნების რიგიდობა (ურყევობა)
- ❖ მოზარდის მარტობა სახლში, გარეთ, სკოლაში, საზოგადოების შიგნით
- ❖ ბეჭდვითი სიტყვა მისი მასოციალიზებელი როლი
- ❖ მეოთხევლთა წრე უპიროვნოა
- ❖ ბეჭდვითი სიტყვა – სოციალური ხასიათის ჩამოყალიბების ხელშეწყობი
- ❖ პრესის მთავარი მიზანი – ბავშვები აზიარონ (ასწავლონ, გასცნონ) უფროსების სოციალური როლები
- ❖ სიტყვები გავლენას ახდენენ ადამიანებზე, აგრეთვე, ცვლიან მათ
- ❖ დაბეჭდილი სიტყვა მიმართულებას/გეზს აძლევს აუდიტორიას ან პირიქით, შეუძლია მისი დაზორიენტაცია

**სხვაზე ორიენტირებული  
(სხვების მიერ მართული)  
სოციალური ხასიათი**

- (დამახასიათებელია ახალი საშუალო კლასისთვის)**
- ❖ დიდია მასობრივი კომუნიკაციების ზემოქმედება – შვილები აკრიტიკებენ და აფასებენ (შეფასებას აძლევენ) მშობლებს. მშობლების რეალისტური შეფასება
- ❖ ახდენს მშობლების მანიპულირებას და თავადაც არის მანიპულირების ობიექტი.

**აღზრდის პირობები**

- ❖ დაბალი ავტორიტარიზმი
- ❖ გონივრული დისციპლინა
- ❖ უპირობო სიყვარული
- ❖ ოჯახის თანასწორუფლებიანი სტრუქტურა (ეგალიტარული ოჯახი)
- ❖ ნამდვილი ზრუნვა ადამიანებზე
- ❖ პირად ურთიერთობაში ემოციურ ფაქტორზე თრიენტაცია
- ❖ პიროვნების მოქნილობა
- ❖ მთავარია არა ჯგუფის საქმიანობის შინაარსი, არამედ მისი ფორმები – ამას ასწავლიან როგორც ოჯახში, ისე სკოლაშიც.

**მასმედია**

- ❖ იზრდება მასმედიის როლი და გავლენა
- ❖ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ბავშვებს აცნობს არა უფროსების სამყაროს, არამედ „სხვა“, „აბსტრაქტული“ ბავშვის სამყაროს
- ❖ მასმედიის გავლენა ბავშვები დიდია

—

- ❖ ის ხალისით ამართდებს გარშემომყოფა მოლოდინებს (მისი ქცევა შეესაბამება სხვების მოლოდინებს)
- ❖ მასზე სხვები იმდენად ზემოქმედებენ, რომ ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც შთაგონებადი
- ❖ მოლიანად ექვემდებარება ბიუროკრატიულ ორგანიზაციებს
- ❖ სოციალური ხასიათის ამ კლასითა თან ახლავს აპათია
- ❖ მისოციის დამახასიათებელია „მომსარებლური ფსიქოლოგია“
- ❖ სშირად, მისი მოქმედების სტიმული, მოტივაცია და მიზნები არის ის, რომ სხვების მოქმედობის, თუნდაც, ეს მოწონება, შთაბეჭდილება იყოს ხანმოქლე

**საკუთარ თავზე ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ მყარი ცხოვრებისეული მიზნები და იდეალები
- ❖ მშობლების მიერ შექმნილი მძიმე ატმოსფერო
- ❖ პიროვნული, საკუთარი მისიის შეგრძება (გრძნობა)
- ❖ დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილება
- ❖ სხვების ქცევაზე საკუთარი შეხედულებების, წარმოდგენების შესაბამისად რეაგირება
- ❖ ნაკლებყურადღებიანი სხვა ადამიანების გრძნობებისადმი
- ❖ კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლია, უცემ გაწყვიტოს ურთიერთობები
- ❖ საკუთარი თავის კონტროლი
- ❖ პურიტანული ცნობიერება
- ❖ პიროვნული მისიის შეგრძება (გრძნობა)
- ❖ ოვითკონტროლი
- ❖ პასუხისმგებლობის შეგრძება
- ❖ ტრადიციული „შინაგანი პრინციპები“
- ❖ პოლიტიკაში ისინი არიან მორალის მქადაგებლები.

**სხვაზე ორიენტირებული  
(სხვების მიერ მართული)  
სოციალური ხასიათი**

- ❖ სოციალიზაციის პროცესში თანატოლთა როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია (დიდია)
- ❖ ლირებულებები იზომება ასაკობრივი ჯგუფის მოწონებით
- ❖ ასაკობრივი ჯგუფი ქმნის ქცევის, გემოვნებისა და შეხედულებების სტანდარტს, ჩატისა და მეტყველების სტილს, მანერას და მას უქვემდებარებს თავის წევრებს
- ❖ ტოლერანტობისა და კუთილგანწყობის ნიდაბი
- ❖ არსებობს მხოლოდ ჯგუფის მორალი
- ❖ თანატოლთა ძალაუფლება, გავლენა უფრო დიდია, ვიდრე უფროსების (თანატოლები ნაფიც მსაჯულებს წარმოადგენენ, უფროსები კი მოსამართლეები არიან)
- ❖ არ იცის, რაშია მისი ინდივიდუალობა
- ❖ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც მას მოსწონს
- ❖ არ იცის, რა სურს
- ❖ ნუკლეარული ოჯახი
- ❖ ეგალიტარული ოჯახი
- ❖ ნეოლიტური ოჯახი.
- ❖ ეგოცენტრიზმი
- ❖ პირადი წარმატება
- ❖ აქტიურობა და ბეჯითი შრომა
- ❖ ეფექტურობა და სარგებლიანობა
- ❖ პროგრესი
- ❖ მეცნიერების პატივისცემა
- ❖ კონფორმულობა უზრუნველყოფილია ტენდენციით, მგრძნობაირე იყოს სხვების მოლოდინებისა და უპირატესობათა მიმართ
- ❖ თანამედროვენი წარმოადგენენ თრიენტაციის წყაროს, ისინი მასას მისდევენ
- ❖ მისთვის მთავარია სხვა ადამიანები და არა მატერიალური გარემო
- ❖ სხვაზე ორიენტირებული პიროვნება მიიღების შეგუებისაკენ, კი. მიისწავების, პქონდექს ისეთი ხასიათი, როგორსაც მისგან მოელიან. თუ ის ვერ აღწევს შეგუებას, ხდება ანომიური, ზოგჯერ კი – ავტონომური.

## დასკვნა

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დ. რისმენმა თავის კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო ინდუსტრიულ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მრუდი, აგებული ფრენკ უ. ნოუტსტეინის მიერ. დ. რისმენის მიხედვით, მოსახლეობის ცვლილების სტადიებს შეესატყვისება კონფორმიზმისა და სოციალური ხასიათის გარკვეული ტიპი. მოსახლეობის პოტენციურად მაღალი მატების სტადიას შეესატყვისება ტრადიციული ხასიათი, მოსახლეობის თანდათანობითი ზრდის სტადიას – თავის თავზე ორიენტირებული ხასიათი, მოსახლეობის შემცირების დაწყების სტადიას – სხვაზე ორიენტირებული ხასიათი. მეცნიერი აქსიომად არ მიიჩნევს თავის თეზისს დემოგრაფიული სტრუქტურისადმი სოციალური ხასიათის შესატყვისობის შესახებ. არსებითად, დ. რისმენის ანალიზი ემყარება არა იმდენად მოსახლეობის ცვლილების მრუდს, რამდენადაც წარმოებისა და მოხმარების სფეროს შორის ურთიერთდამოკიდებულების შეცვლას.

თითოეული სოციალური ტიპი წარმოადგენს კონფორმულობის ან სოციალური მართვისადმი რეაქციის განსხვავებულ მოდელს.

დ. რისმენი “ეულ მასაში”, გარკვეულწილად, განსხვავებულად აღწერს კულტურის გავლენას პიროვნებაზე. მისი აზრით, სოციალური ხასიათის ეს ტიპები არის კულტურის შიგნით სხვა ისეთი ცვლილებების შედეგი, როგორიცაა: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ან ცვლილება, ეკონომიკურ, ინდუსტრიულ და სასოფლო ტექნიკის ცვლილებებთან ერთად, და ურბანიზაცია. მთავარი საკითხი არის ის, რომ კულტურა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, განსაზღვრავს, ვინ არის ის, როგორ იქცევა, პიროვნებისა და ხასიათის ნიმუშების ჩათვლით.\*

მაგრამ პიროვნება არ არის მხოლოდ კულტურის ნაყოფი. ადამიანი არ არის მექანიკური მოწყობილობა, რომელიც მორჩილად არის დაქვემდებარებული საზოგადოების დიქტატის. თითოეული ინდივიდი თავისი ჯგუფის კულტურის უბრალო გამოხატულება რომ იყოს, მაშინ თითოეული ჯგუფის კვალი წევრი ერთნაირი იქნებოდა. თითოეულ ინდივიდს გააჩნია თავისებური, უნიკალური ბუნება, რაღაც ისეთი, რაც მას სხვებისგან განასხვავებს. თითოეული ადამიანი არის ცალკე სისტემა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელობას, რომლებიც ქმნიან მის პიროვნებას. “თითოეული ადამიანი, სავსებით სოციალიზებულიც კი, ავტონომიური ერთეულია. არავინ წარმოადგენს რობოტს, რომელიც ავტომატურად მოქმედებს

\* Landis J. (1971). Sociology – Concepts and Characteristics. Belmont, California. p. 40.

მოცემული კულტურის შაბლონის მიხედვით. ყოველთვის არსებობს რაღაც სივ-რცე გარიაციებისა და ორიგინალობისათვის“<sup>\*</sup>:

“პიროვნება“ უფრო ფართო, ცნებაა ვიდრე “ხასიათი“, ხოლო “სოციალური ხასიათი“ უფრო ცნებაა, ვიდრე “ხასიათი“.

სოციალური ხასიათი არის პიროვნების ხასიათის შემადგენელი ნაწილი. ინდივიდს გააჩნია მეტი უნარი, შესაძლებლობები, ვიდრე საზოგადოება მოითხოვს მისგან. თუმცა, სრულიად არ არის ადვილი ამის განსაზღვრა, რადგან ეს, შესაძლოა, დამალული იქნა არა მხოლოდ სხვებისთვის, არამედ თავად ინდივიდის-თვისაც

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პიროვნება არის სოციალურად ნიშნადი იმ თვისებების მყარი სისტემა, რომელიც ახასიათებს ინდივიდს. იგი არის საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალური ურთიერთობების სისტემაში ინდივიდების ჩართვისა და ურთიერთქმედების პროცესში.

ხასიათი არის ინდივიდუალურისა და ტიპოლოგიურის რთული ერთობლიობა, მემკვიდრეობითი მონაცემების ურთიერთქმედების შედეგი, აგრეთვე, პიროვნების განვითარებისა და მისი აღზრდის პროცესში გამომუშავებული თვისებების ურთიერთქმედების შედეგი.

სოციალური ხასიათი წარმოადგენს იმ კომპონენტების ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია მთელი ჯგუფისათვის. ეს არის ხასიათი, რომელიც სჭირდება მოცემულ საზოგადოებას. იგი არის კლასების, ჯგუფების, რეგიონებისა და ეროვნებების ხასიათი. სწორედ სოციალური ხასიათი უწყობს ხელს იმას, რომ ინდივიდი ახორციელებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც მოცემული საზოგადოება მის წინაშე აყენებს.

სოციალურმა ხასიათმა უნდა უზრუნველყოს კონფორმიზმი. სოციალური ხასიათის სხვადასხვა ტიპი შეესატყვისება კონფორმიზმის გარკვეულ სახეებს. ასეთი კონფორმიზმი ახასიათებს მთელ საზოგადოებასაც.

სოციალური სტრუქტურები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ქმნიან სოციალურ ხასიათს, რომელიც სოციალიზაციის პროცესში ინდივიდუალობას ავსებს, ახადგურებს ან ასამარებს.

სოციალური ხასიათის სტრუქტურა უფრო მტკიცეა, ვიდრე სოციალური სტრუქტურა. საზოგადოება და სციალური ხასიათის სტრუქტურა შეიძლება განვითარდნენ სხვადასხვა სიჩქარით. სწორედ ეს შეუსაბამობა სოციალურად აუცი-

\* Шибутани Т. (1969). Социальная психология. Москва. стр. 50

ლებელ ქცევასა და ინდივიდუალური ხასიათით განპირობებულ ქცევას შორის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებას. მიუხედავად სოციალური ხასიათის მნიშვნელობისა, არ შეიძლება მისი როლის გაზიადება სოციალური განვითარების პროცესში.

ასეთია ზოგადი დასკვნები, მიღებული დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიის გაცნობის შედეგად.

ჩვენი მიზანი იყო, შეგვესწავლა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიის მიხედვით. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ ტიპოლოგიის დაწვრილებით განხილვა და ანალიზი.

ჩვენი აზრით, სწორედ დ. რისმენის ტიპოლოგია, სხვა მეცნიერ სოციოლოგთა ტიპოლოგიებისგან განსხვავებით, ყველაზე მეტად შეესაბამება თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს სოციალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას.

ეშირ შემთხვევაში, გარკვეული თეორია წარმოაგენს სოციალური კვლევის საფუძველს. დ. რისმენის თეორია სოციალური ხასიათისა და მისი ცვლილების შესახებ ჩვენი კვლევისთვის სტიმულის მომცემი ფაქტორი გახდა. კვლევის მიზანი იყო ამ ტიპოლოგიის ვერიფიკაცია ქართულ რეალობასთან დაკავშირებით.

### III თავი ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში

#### § 1. გენდერი და მისი არსი

სანამ განვიხილავთ ქალთა სოციალური ხასიათის ტიპებს თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში, საჭიროდ მიგვაჩნია, შევეხოთ გენდერ-სა და მის არსის, ზოგადად, და, კერძოდ, ქალთა საკითხებს.

თანამედროვე მეცნიერებებში ტერმინი “გენდერი” (gender), სქესის (sex) ბიო-ლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოცი-ოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (ასაკი, ეროვნება, სოციალური ფენა და სხვ.) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული, საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში ჩამოყალიბებული, მამაკაცებსა და ქალებს შორის სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი.

გენდერული როლების (მამაკაცებისა და ქალების) განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ტრადიციები, წეს ჩვეულებები, ღირებულებები და ნორმები, რომელებიც სოციალურ - სქესობრივ როლებს განსაზღვრავს.

დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (ოჯახის, სოციალურ – ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ, მართვისა და სხვ) არსებული ურთიერთობების ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი.

საქართველოში აღნიშნული პრობლემატიკა განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საკითხი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ამ პროცესების შესწავლა და განზოგადება საშუალებას იძლევა, შემუშავებული იქნება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

კაცობრიობა ქალებისა და კაცებისაგან შედგება. საზოგადოებაში მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ და განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, რაც ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების დონით არის განპირობებული. სქესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა, ამიტომ დღეს ეს საკითხი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, სოციალურ მეცნიერებებში კი მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.

სქესის სოციალური თეორია სქესთა შორის არსებული ტრადიციული, პატრიარქალური ურთიერთობების ეგალიტარული ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწინებს და უმთავრესი პრინციპის სქესთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებას გულისხმობს.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ მოითხოვა არსებული მასკულინური საზოგადოებრივი წევის, სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლა, აგრეთვე, ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპის ახლებურად გააზრება.

ამ პროცესის დინამიკის ანალიზის, მისი შედეგის განსაზღვრისა და მასზე ზემოქმედების ზომების შემუშავების დროს სოციოლოგების წინაშე დადგა სქესის კატეგორიების კონცეპტუალური დასაბუთების აუცილებლობა.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ სქესს აქვს ბიოლოგიური (sex) და სოციალური (გენდერ) კატეგორიები. ბიოლოგიური კატეგორია ადამიანის ბიოლოგიურ და ანატომიურ თავისებურებებს ითვალისწინებს, ხოლო სოციალური ანუ გენდერული სოციალურ - კულტურულ ასკექტებს მოიცავს. მთლიანობაში, სქესი ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთობლიობაა. ადამიანის სქესობრივი იდენტიფიკაცია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყალიბდება. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ამ ევოლუციური პროცესის პირველი რგოლი ქრომოსომული (გენეტიკური) ნაკრები - განაყოფიერებისას იქმნება და ორგანიზმის მომავალ გენეტიკურ პროგრამას განსაზღვრავს. ბავშვის დაბადების შემდეგ სქესობრივი იდენტიფიკაციის ბიოლოგიური ფაქტორები სოციალურით ივსება. არსებული გარემოვის ზეგავლენით ხდება სრული თვითაღქმა და მასთან დაკავშირებულ ინტერესთა, მოთხოვნილებათა, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება.\*

\* Lorber, J. (1982). Gender In Dorgatta (eds.). Encyclopedia of Sociology. N.Y. Macmillan Publishing Company.  
p.

ტერმინი "გენდერი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "**Genos**" დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი (ფორმა Gender მიმღეობის ფორმაა). გენდერი გულისხმობს, რომ მამაკაცების, ქალებისა და გარემოს ურთიერთკავშირის ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს არა სქესის, არამედ გვარის გამოცდილება, სადაც ქალის სოციუმი მთლიანი საზოგადოებრივი სისტემის ინტეგრაციურ ნაწილად განიხილება. ამასთან, სოციალური გამოკვლევების მეთოდოლოგიის პოზიციიდან, ცნებას "გენდერული ურთიერთობა" ერთმნიშვნელოვანი განმარტება არა აქვს.

დასავლეთის ქვეყნებში "გენდერულ გამოკვლევებს" ხშირად აიგივებენ ცნებასთან "ქალთა პრობლემების გამოკვლევები". ფართო მნიშვნელობით, ცნება "გენდერული ურთიერთობა" სქესთა სოციალურად ორგანიზებულ ურთიერთობას ნიშნავს. გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ეს ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობის ფენომენს და, შესაბამისად, დამკვიდრდა, როგორც გარკვეული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. გენდერის მიზანია ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას, ნიშნავს.

გენდერული კვლევები სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ პოლიტიკურ თეორიებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბდა ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობისადმი ისეთი მეცნიერული და პოლიტიკური მიდგომები, რომლებიც გენდერული გამოკვლევებისა და გენდერული პოლიტიკის სახელით არის ცნობილი. გენდერული გამოკვლევები და ტექნოლოგიები არა მხოლოდ ქალთა ფორუმების, არამედ გაეროს კომისიისა და განერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა დონეზე განიხილება, ხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და საერთაშორისო აქტებით გამყარება.

გენდერის საკითხთან დაკავშირებული არის ფემინიზმი (ფრ. **feminisme**, ლათინური **femina**-დან - ქალი). იგი არის ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპებზე მიზნად იქნა დასახული ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს სუფრაჟისტებს (ინგლისური სიტყვიდან **sufrage** ხმის უფლება) უწოდებდნენ. სუფრაჟიზმი აღმოცნდა

ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოგვიანებით კი გავრცელდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში პირველად ფინელმა ქალებმა მოიპოვეს წარმატება (1905 წ.), შემდეგ ნორვეგიელებმა და დანიელებმა. სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა 1918-1920 წლებში, როცა ქალებს საარჩევნო უფლება მისცეს ბელგიაში, გერმანიაში, პოლონეთში, კანადაში, აშშ და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. სუფრაჟიზმის წარმატებებმა დროებით შეაჩერა ქალთა პოლიტიკური მოძრაობის საერთო განვითარება და მომდევნო ორმოცი წლის განმავლობაში იგი სტაგნაციის მდგომარეობაში იყო. გამოდგინება ანუ "ქალთა აღორძინება" XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მისი ეპიცენტრი გახდა აშშ, სადაც სწორედ ამ წლებში შეინიშნებოდა სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციის, პირველ რიგში კი რასიზმის ლიკვიდაციისაკენ მიმართული დემოკრატიული პროცესების გააჭტიურება. ქალთა მოძრაობამ ახალი, ხშირად რადიკალური ფორმები შეიძინა, რაც მის სახელწოდებაშიც – "ქალთა განმათავისუფლებელი" მოძრაობა ("Women's Liberation") – აისახა. ემანსიპაციისათვის ბრძოლის ახალი ტალღა განპირობებული იყო დრმა სტრუქტურული ცვლილებებით სოციუმში, უპირველეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა შრომის წილის ზრდით.

60-იან და 70-იანი წლების დასაწყისში ფემინისტურმა მოძრაობამ რამდენადმე ექსტრავაგანტური ხასიათი მიიღო, რაც გამოვლინდა გამომწვევ, ტრადიციული საზოგადოებისათვის უჩვეულო ლოზუნგებში, პროტესტის გამოხატვის ფორმებში. ფემინისტები მიისწრაფოდნენ, გამოედვინებინათ ქალთა შეგნება, გაფთავისუფლებინათ საზოგადოებრივი ცნობიერება პატრიარქალური ორიენტაციისაგან.

ფემინისტური თეორიების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანწილად, ხელი შეუწყო სოციალურ-ცილოსოფიურმა და პოლიტიკურმა კონცეფციებმა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფემინიზმის განვითარების ახალი ეტაპი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ფემინიზმის შიგნით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: ლიბერალურ-რეფორმატორული, სოციალისტური და რადიკალური.

**ლიბერალურ-რეფორმატორული** მიმართულების წარმომადგენლები ქალთა უუფლებობის მიზეზს გარკვეული სამოქალაქო და იურიდიული უფლებების არარსებობაში ხედავდნენ. შესაბამისად, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად ისინი სოციალურ - ეკონომიკურ და სამართლებრივი რეფორმებს მიიჩნევდნენ.

**სოციალისტურმა მიმდინარეობამ მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზი მოახდინა.** ქალთა დისკრიმინაციის ძირითად მიზეზებად აქ კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა იქნა მიჩნეული.

იდეების მიხედვით ყველაზე უფრო გამორჩეული და გავლენიანი გახდა რადიკალური მიმართულება, რომელიც იკვლევდა ქალთა ჩაგვრის ზოგად, სიღრმისეულ საფუძვლებს. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით, ამგვარი სისტემაა პატრიარქატი ქალებზე მამაკაცების დომინირების სისტემა.

ამ პერიოდის ფემინისტურმა მოძრაობამ ბევრ წარმატებას მიაღწია. მოძრაობის ეფექტიანობაზე მეტყველებს საზოგადოებრივი ცნობიერების გასაოცარი ცალილებები და დასავლეთის ქამყნების პოლიტიკურ სტრუქტურებში მომხდარი რეალური ძვრები: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებსა (პარლამენტების, მთავრობებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ჩათვლით) და წარმოების მართვის სფეროში ქალთა წარმომადგენლობის ზრდა.

დღეისათვის, ზემოთ აღნიშნული სამი მიმდინარეობა ისეთი გამოკვეთილი სახით არ არსებობს, როგორც 60-იან წლებში. გარდა ამისა, გაჩნდა ახალი მიმართულებები: “კულტურული ფემინიზმი”, “ჰუმანური ფემინიზმი” “შავი ფემინიზმი” და სხვა.

XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ – კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ ოქორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოსმა-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვეურმა თავის ნაშრომში “მეორე სქესი”. პირველად სწორედ აქ დაისვა საკითხი კულტურაში ფემინურის ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს), როგორც ნორმიდან გადახრას.

**გენდერი და თანამედროვე ფემინიზმის ტიპოლოგია.** ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯუდით ლორბერი, რომელიც ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევრად ითვლება, თავის ნაშრომებში რეტროსპექტულად განიხილავს ფემინიზმის განვითარებას ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გენდერთან მიმართებაში იგი ფემინიზმის სამ ძირითად ტიპს გამოყოფს: რეფორმატორულს (gender reform feminism), რეზისტენტულს (gender resistance feminism) და

ქ.წ. ბუნტარულს (gender rebellion feminism). თითოეული ეს მიმართულება ფემინიზმის ზოგად თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობა.

ჩვენი აზრით, რეფორმატორული ფემინიზმი ყველაზე პროგრესულია, რომლის მიზანია საზოგადოებაში არსებული გენდერული სტრუქტურის ფარგლებში სქესთა თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის დამყარება, ქალთა პოტენციალის გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (განსაკუთრებით, ეკონომიკაში), მათი სოციალური სტატუსის ამაღლება. არსებული მდგომარეობის შესაცვლელად მათ საჭიროდ მიაჩნიათ ხანგრძლივი და თანამიმდევრული მუშაობა. რეფორმატორების ბრძოლის საშუალებები და მეთოდები არ არის რადიკალური, ზომიერებით გამოირჩევა და საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერთა და მოწონებით სარგებლობს.\*

## § 2. თანამედროვე ქართული საზოგადოება

### სტუდენტურ ფოკუსში

დ. რისმენი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საზოგადოებასა და სოციალურ ხასიათს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ნებისმიერი საზოგადოება ხელს უწყობს ისეთი სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას, რომელიც განაპირობებს მის ფუნქციონირებასა და განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ სოციალური ხასიათი უფრო მეტი მდგრადობით გამოირჩევა, ვიდრე თავად საზოგადოება.

თანამედროვე საქართველოს ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების დადგენისათვის აუცილებელია გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოების რეალობის ჩვენება, მისი სოციოლოგიური ანალიზი, რადგან, როგორ აღვნიშნეთ, საზოგადოება განაპირობებს სოციალური ხასიათის ფორმირებას.

სოციალური რეალობის შესახებ ცოდნის მიღების სხვადასხვა წყარო არსებობს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ავტორიტეტები, საღი აზრი. ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება, მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორი, მასმედია, ტრადიციები და სხვ. მაგრამ ყველა ეს საშუალება განსხვავდება სოციუმის მეცნიერული შემეცნებისაგან, სოციალური სისტემისადმი მეცნიერული მიდგომისაგან.

მხელოდ სოციოლოგიური (ან სოციალური) კვლევის საფუძველზე მიიღება სოციალური სინამდვილის აღეკვატური, მეცნიერული ცოდნა.

\* აღნიშნული პარაგრაფი, მირითადად, ეყრდნობა წიგნს „გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ (ავტორები: თ. კიკნაძე, ნ. დონაძე). 2006. თბილისი.

სოციოლოგიური კვლევა არის სოციალური რეალობის, მისი რომელიმე სფეროს შესახებ ახალი ცოდნის მიღების პროცესი. იგი წარმოადგენს პრობლემისადმი, შესასწავლი საკითხისადმი სიღრმისეულ მიღვმას. სოციალური კვლევა არის სოციალური სამყაროს შესახებ კითხვების ფორმულირებისა და მათზე პასუხების გაცემის პროცესი\*.

სოციალური ხასიათის სოციოლოგიური ანალიზი საჭიროა, დავიწყოთ თავად საზოგადოებიდან, როგორც სისტემიდან. ინდივიდების სოციალური ფუნქციების, როლების დიფერენციაციის საშუალებით ანალიზს მივყავართ ინდივიდამდე, როგორც გარევეული სოციალური ხასიათის პიროვნებამდე, სოციალურ ტიპამდე. მაგრამ კონკრეტული პიროვნება არ არის მხოლოდ სოციალური ტიპი. სოციალური როლების პიროვნული ინტეგრაცია უნიკალურია, ინდივიდუალურია და დამოკიდებულია განსაკუთრებული გარემოებების მთელ კომპლექსზე.

თანამედროვე საქართველოს ქალების სოციალური ხასიათის ტიპების დასახასიათებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თავად თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს სოციალური რეალობის ჩვენება. ამ მიზნით 2010 წლის შემოდგომაზე ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა. ჩვენი სამიზნე ჯგუფი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა.

რატომ ავირჩიეთ სამიზნე ჯგუფად სტუდენტობა? ჩვენი არჩევანის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით, საჭიროა, დავახასიათოთ სტუდენტობა, როგორც ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფი.

XXI საუკუნეში, ინფორმაციულ ეპოქაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა, მკეთრად ამაღლდა სტუდენტი ახალგაზრდობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო მასაში, განსაკუთრებით, შესატყვის ასაკობრივ ჯგუფებში. სტუდენტობა გახდა მასობრივი სოციალური ჯგუფი.

სტუდენტობა სოციალურ-პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფია. იგი როგორც ახალგაზრდობის, ისე ინტელიგენციის ნაწილია. სტუდენტები არ არიან მოწყვეტილი დანარჩენი საზოგადოებისაგან. ისინი საზოგადოების ყველა სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად (განსაკუთრებით, საერთო-ეროვნული გამოცდების შე-

\* Singleton, R.A. Fr. Straits, B.C., and Straits, M. (1993). Approaches to Social Research. New York. Oxford. Oxford University Press. (Original work published 1988). p. 46

მოღების შედეგად) შეიცვალა სტუდენტების სოციალური და გეოგრაფიული შემადგენლობა. სტუდენტობა ადარ წარმოადგენს რჩეულთა ხვედრს, იგი უპვე ადარ ითვლება განსაკუთრებულ პრივილეგირებულ ჯგუფად. მისი რიგები შეივსო რიგითი მოსამსახურების, მუშებისა და სოფლის ოჯახების შვილებით. სტუდენტების საზოგადოების სტრუქტურის შეცვლამ გამოიწვია სტუდენტთა წრის დემოკრატიზაცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს მათი ლირებულებების, ქცევის ნორმების, ინტერესებისა და შეხედულებების ლიბერალიზაციას, მიზნებისა და ამოცანების დემოკრატიზაციას. უმაღლესი განათლება სოციალიზაციის აუცილებელი ფაქტორი ხდება. როგორც გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკჰმი აღნიშნავდა, განათლების ძირითადი ფუნქციაა გაბატონებული კულტურის დირებულებების გადაცემა. განათლება წარმოადგენს სოციალურ ინსტიტუტს, სადაც წარმოებს პიროვნების ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური ფორმირება. უმაღლესი განათლება ეკონომიკური აუცილებლობაც გახდა. ქვენის, საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლეს განათლებაზე.

სტუდენტთა რიცხვის მკვეთრი ზრდა განაპირობებს და აძლიერებს ახალგაზრდობის კონცენტრაციას უნივერსიტეტებში, ზოგადად კი – თბილისსა და საქართველოს სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში (მაგ. ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და სხვ.). სწავლის პროცესის ინტენსიფიკაციის გამო მინიმუმამდეა დაყვანილი სტუდენტების კონტაქტები სხვა ჯგუფებთან. სტუდენტებს აერთიანებს მათი ჯგუფის ინტერესები და მათი ქვეყნების განვითარება. უმაღლესი განათლება სტუდენტებს აზროვნების უნარს უვითარებს.

სტუდენტობის, როგორც სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური და ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში.

“სტუდენტის” როლი განსაკუთრებულია. როგორც წესი, იგი შეუთავსებელია სხვა როლებთან (თუმცა, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ). სტუდენტებისთვის ტიპური არ არის სხვადასხვა ჯგუფის წევრობა. სტუდენტთა ურთიერთობები, ძირითადად, სტუდენტური საზოგადოების შიდაკონტაქტებით შემოიფარგლება. ლექცია-სემინარები, პრაქტიკუმები, ბიბლიოთეკები, რესურს-ცენტრები, კომპიუტერული ცენტრები, სპორტული შეჯიბრებები, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, სტუდენტთა კაფეტერიები და

სასადილოები, სტუდენტური ორგანიზაციები, ტურისტული მოგზაურობები, ექსპურსიები და მრავალი სხვა ერთობლივი დონისძიება ხელს უწყობს ყოველდღიურ შიდაჯგუფურ კონტაქტებს. სტუდენტების ცხოვრების წესი განსაზღვრავს მათ გაერთიანებასა და სოლიდარობას. ადამიანური ურთიერთობების არც ერთ ეტაპზე თანატოლთა ჯგუფის როლი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ახალგაზრდობაში. სტუდენტთა შეხედულებების, განწყობების, გემოვნების, დირექტულებების, ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაზე, პიროვნული თვისებების ფორმირებაზე, სოციალზაციაზე დიდ გავლენას ახდენენ მეგობარი-თანატოლები, ამხანაგი-სტუდენტები. სტუდენტები, სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით, უფრო ერთსულოვნები არიან, მათ აერთიანებთ მათი ინტერესებისა და ჯგუფების პრობლემების სპეციფიკურობა, ერთობლიობა.

“სტუდენტის“ როლი არის “სრული“, თუმცა, იგი დროებითია და განსაზღვრულია მხოლოდ რამდენიმე წლით.\* ამ როლის მოლოდინებიც და მოთხოვნებიც სპეციფიკურია. არ არსებობს აუცილებელი მითითებანი, როგორი უნდა იყოს ეს როლი (თუმცა, უნივერსიტეტების უმრავლესობას შემუშავებული აქვს სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები). როლის შემსრულებელი თავად წყვეტს, რა უნდა იყოს მისი როლის ზოგადი აღქმა, მისი დირექტულებები და ქცევის ნორმები. როლი, როგორც სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, მთლიანად არ განსაზღვრავს როლის შემსრულებლის ქცევას.

სტუდენტობის პერიოდი ის პერიოდია, რომელშიც ახალგაზრდა, ძირითადად, თავისუფალია ბევრი სოციალური გალდებულებისა და მოვალეობისაგან, სტუდენტებს ტვირთად არ აწევთ სხვადასხვა სოციალური ფუნქციის შესრულება. ერთი შეხედვით, ისინი დროებით თავისუფალნი არიან ცხოვრების რუტინისაგან.

სტუდენტთა ჯგუფის წევრების უმეტესობა ერთმანეთის მსგავსია სხვადასხვა მახასიათებლით. ისინი ახალგაზრდები არიან და სიცოცხლის ერთსა და იმავე საფეხურზე (სტადიაში) იმყოფებიან, ძირითადად, მსგავსი სოციალური მდგომარეობა გააჩნიათ, მათი დამოუკიდებელი მატერიალური შემოსავალი თითქმის ერთნაირია. ისინი მგრძნობიარენი არიან სულიერი დირექტულებებისადმი, მაგრამ არც მატერიალური დირექტულებებისადმი არიან გულგრილნი. მათ ახასიათებთ თვითრეალიზაციისაკენ, კარიერისაკენ მისწრაფება, შეუპოვრობა, გამბედა-

\* Allerbeck, K.R. (1970). Structural Conditions of Student Movements; Student Society and Student Role. Kün. p.p. 259 - 260

ობა და უკომპლექსობა, სიმტკიცე და შემართება, თავდადება და ერთგულება, მათი ასაკისათვის ნიშანდობლივი იმპულსურობა, მაქსიმალიზმი და რადიკალიზმი.

ფიზიკურ და სოციალურ მომწიფებას შორის არსებული პერიოდის გახანგრძლივება დაცს ასვამს სტუდენტის ცნობიერებას, მის ქცევას. ახალგაზრდებს სურთ, მოიპოვონ გადაწყვეტილებების მიღების უფლება და მოქმედების თავისუფლება, უფროსებთან თანასწორობა, რომლის არარსებობაც, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს ეწ. „მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტს“, „თაობათა შორის კონფლიქტს“.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა შეცვალა არა მარტო საზოგადოების მატერიალური ცხოვრება, არამედ ადამიანთა ცნობიერებაც. აღზრდა-განათლების შესახებ ლიბერალურმა შეხედულებებმა სტუდენტებს შედარებითი თავისუფლება მიანიჭა, შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი აზროვნება, არასტანდარტული მოქმედებები. როგორც სხვა მოქალაქეები - არასტუდენტები, ისე თავად სტუდენტები არა მარტო აღიარებენ, არამედ მოელიან კიდეც, რომ სტუდენტებს, ზოგჯერ, მიღრეკილება აქვთ ზომიერად „ექსესური“ (უკიდურესი, თავშეუკავებელი) ქცევისადმი. ის, რაც ყველა სხვისთვის დევიანტურ (ნორმიდან გადახრილ) ქცევად და კანონით დასჯად გადაცდომად ჩაითვლებოდა, სტუდენტთა „ოინბაზობის“ სახით სტუდენტებისთვის დასაშვები ქცევა. \*

მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების, განსაკუთრებით, ინტერნეტის, ეფექტურობის გაზრდამ დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტთა განწყობების, შეხედულებების, ლირებულებებისა და ქცევის ნორმების ფორმირებაზე. გაფართოვდა სტუდენტთა კონტაქტები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. ეს, განსაკუთრებით, შეუქცევადი პროცესის – გლობალიზაციის – შედეგია, ცხოვრების სწრაფმა ტექნიკა დააჩქარა ახალგაზრდების როგორც ბიოლოგიური, ისე ინტელექტუალური განვითარება, აგრეთვე, მათი ინტეგრირება არა მარტო ლოკალურ საზოგადოებაში, არამედ გლობალურ სამყაროში. მათ აინტერესებთ არ მხოლოდ საუნივერსიტეტო და სახელმწიფოებრივი საკითხები, ისინი ძალიან მგრძნობიარები გახდნენ მსოფლიო, გლობალური პრობლემებისადმი.

\* Allerbeck, K.R. (1970). Structural Conditions of Student Movements; Student Society and Student Role. Kün. p.p. 259 - 260

ცვლილებებმა საზოგადოებისა და მსოფლიოს განვითარებაში გავლენა მოახდინა სტუდენტებზე. ისინიც, თავის მხრივ, გახდნენ ცვლილებების ფაქტორი.\*

ახალგაზრდობა ყველაზე დინამიური და არამყარი სოციალური კატეგორიაა. იგი, როგორც ნებისმიერი სხვა ასაკობრივი ჯგუფი, საზოგადოების ორგანული ნაწილია და განიცდის საზოგადოებაში მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, სამართლებრივი, იდეოლოგიური და სხვ. ფაქტორების ზეგავლენას. თავად ახალგაზრდობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდული პრობლემები ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერთა, განსაკუთრებით, სოციოლოგთა შესწავლის ობიექტს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ჩვენი კვლევის ძირითად სამიზნე ჯგუფად ავირჩიეთ სტუდენტები, ძირითადად, სტუდენტი გოგონები, რადგან ჩვენი თემის ძირითადი საკითხის წარმოადგენს “ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები გარდამავალი პერიოდის საქართველოში“.

ჩვენ გამოვკითხეთ 61 სტუდენტი, რომლებსაც გავლილი აქვთ სასწავლო კურსი “სოციოლოგიის შესავალი“ და ფლობენ გარკვეულ ცოდნას სოციოლოგიის ისეთი ძირითადი კატეგორიების, ცნებებისა და საკითხების შესახებ, როგორიცაა: საზოგადოება, საზოგადოების სტრუქტურა, კულტურა, სოციალიზაცია, პიროვნება, სოციალური როლები, სოციალური ხასიათი, სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია, სოციალური ურთიერთობები, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური ორგანიზაციები, გლობალიზაცია, ტრანსფორმაცია, ტრანზიტული საზოგადოება, დევიაცია და სხვ.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა ერთ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის პიერ ბურდიეს აზრით, საზოგადოების განსაკუთრებულობა ის არის, რომ მას გააჩნია ორი ყოფიერება: ერთი მხრივ, როგორც ის მოცემულია ობიექტურად არსებულ სოციალურ სტრუქტურებში, ხოლო მეორე მხრივ კი, იგი არსებობს სოციალური აგენტების ცნობიერებაში. ამიტომ სოციოლოგის, როგორც მეცნიერების, შესწავლის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ობიექტური სტრუქტურები, არამედ მათი აღწერა აგენტების მიერ, აგენტების მიღვომა, დამოკიდებულება აღნიშნული სტრუქტურებისადმი.\*

\* ქვახახია ვ. (1974). ახალგაზრდობის სოციოლოგიური პრობლემები. თბილისი. გ.ვ. 20

\* Современная Социальная Теория: Бурдье, Гидденс, Хабермас. (1995). Новосибирск. стр. 68  
Социоанализ Пьера Бурдье. (2001). Москва. стр. 27.

ჩვენი მიზანი იყო, შეგვესწავლა სტუდენტების, სოციალური აგენტების, შეხედულებები თანამედროვე ქართული საზოგადოების შესახებ, გვეჩვენებინა მათ მიერ დანახული გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოება.

ჩვენი კვლევის მეთოდად ავირჩიეთ ნახევრად სტრუქტურული, არაფორმალური ინტერვიუ (მას, ხშირად, ჩაღრმავებულ ინტერვიუს უწოდებენ), რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს მეთოდი წარმოადგენს ყველაზე კარგ კვლევით ტექნიკას გარკვეული საკითხის შესახებ ადამიანთა შეხედულებების, აზრებისა და გრძნობების შესასწავლად. გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი ნორმან კ. დენზინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ინტერვიუ არის მონაცემთა შეგროვების ყველაზე უფრო პოპულარული ფორმა.\*

ნებისმიერი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მიზანია საპვლევი საკითხის სიღრმისებული შესწავლა. ის საშუალებას აძლევს რესპონდენტებს, საკუთარი სიტყვებით გამოხატონ და გადმოსცენ თავიანთი შეხედულებები და აზრები. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არა ინტერვიუერი, არამედ რესპონდენტთა პასუხები ქმნის ინტერვიუს თანამიმდევრობასა და სტრუქტურას, თითოეული ინტერვიუ უნდა მივუსადაგოთ კვლევის მონაწილეს\* (ზოგიერთი ავტორი კვლევის მონაწილეს და არა რესპონდენტს უწოდებს იმ პირებს, რომლებისგანაც ვიდებთ გარკვეულ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მათ უფრო დიდი როლი ენიჭებათ კვლევის პროცესის წარმართვის დროს).

ჩვენ მიერ არჩეული ინტერვიუს ტიპიდან გამომდინარე, შევადგინეთ ინტერვიუს გზამკვლევი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებისაგან მოვიპოვეთ ინფორმაცია შემდეგ საკითხზე: “ჩემი თვალით დანახული თანამედროვე საქართველო”. გზამკვლევში შევიტანეთ ის კითხვები, რომლებიც, შესაძლოა, წამოჭრილიყო ინტერვიუს პროცესში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კითხვების თანამიმდევრობა და სტრუქტურა დამოკიდებული იყო რესპონდენტების პასუხებზე, მათ ინფორმირებულობასა და გულახდილობაზე.

ინტერვიუს გზამკვლევის სავარაუდო ზოგადი კითხვებია:

1. თქვენი აზრით, რა სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს თანამედროვე ქართულ საზოგადოებას?

\* Denzin, N.K. (1989). Sociological Methods. London. Butterworth and Co(Publishers) Ltd. (Original work published in 1970). p.p. 185-209.

\* Esterberg, K. G. (2002). Qualitative Methods in Social Research. New York. McGraw-Hill. p. 87.

2. რა დადებით ტენდენციებს გამოყოფით გარდამავალი პერიოდის ქართულ საზოგადოებაში?

3. რა უარყოფით ტენდენციებს გამოყოფით გარდამავალი პერიოდის ქართულ საზოგადოებაში?

4. როგორ დაახასიათებთ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს?

5. იცვლება თუ არა ქართული კულტურა (ლირებულებები, ქცევის ნორმები და სხვ.)?

6. თქვენი აზრით, თანამედროვე საქართველოში სოციალიზაციის რომელი აგენტებია დომინანტური?

7. როგორ შეაფასებთ თანამედროვე ქართული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებას (ოჯახი, განათლება, რელიგია, პოლიტიკა, მასმედია და სხვა)?

8. თქვენი აზრით, განიცდის თუ არა თანამედროვე საქართველო სხვა ქვეშნების გავლენას? თუ ასეთი გავლენა არსებობს, რომელ სფეროშია ეს გავლენა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ტექნოლოგიები და სხვ.)?

9. როგორ გესახებათ ქართული საზოგადოების მომავალი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით გამოვკითხეთ 61 სტუდენტი (აქედან 41 – სტუდენტი გოგონა და 20 – სტუდენტი ვაჟი). გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით, ჩატარებული ინტერვიუებიდან გასაანალიზებლად შევარჩიეთ მხოლოდ 40 ინტერვიუ (20 – სტუდენტი გოგონასთან და 20 – სტუდენტი ვაჟთან ჩატარებული). რაც შეეხება გოგონებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, ნაწილის შერჩევა მოხდა ალბათური შერჩევის ტიპის – ლატარიის მეთოდის საშუალებით.

ჩვენი ინტერვიუს გზამკვლევის კითხვაზე: „თქვენი აზრით, რა სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს თანამედროვე ქართულ საზოგადოებას?” სტუდენტებმა გამოაგლინეს ადგილობრივი და გლობალური პროცესებისა და ცელილებების ცოდნა. სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები და ცვლილებები დაკავშირებულია გლობალიზაციასთან.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ XXI საუკუნეში ადამიანებს გლობალიზაციის, ცვლილებებისა და ყოვლისმომცველი ინფორმაციის პერიოდში უწევთ ცხოვრება. როგორც კვლევის მასალებიდან გამოიკვეთა, სტუდენტთა აზრით, გლობალიზაციის პროცესმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს, ყველა სეგმენტს დააჩ-

ნია თავისი კვალი. ეს პროცესი მიზნად ისახავს ერთიანი მსოფლიოს შექმნას, განსხვავებული საზოგადოებების, განსხვავებული ღირებულებებისა და ქცევის ნორმების შეჯერებასა და დაახლოებას. ამ პროცესში ქართული საზოგადოებაც აღმოჩნდა ჩართული. ამის შედეგია თვისებრივად და ოპერატორივად შეცვლილი ქართული საზოგადოება. ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები ბუნებრივია, რადგან ყოველი ეპოქა განსხვავებულ ღირებულებებს, ქცევის ნორმებს, ტრადიციებსა და ჩვეულებებს წარმოშობს. ქართულ საზოგადოებაში ცვლილებები თითქმის ყველა სფეროში მიმდინარეობს – ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და სხვ., ყველგან, სადაც ადამიანი მოღვაწეობს.

ერთ-ერთი სტუდენტი თ. ქ. (№17) აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქაში ყოველი დღე თავბრუდამხვევი ცვლილებების მომტანია. გლობალიზაცია – ქვეყნებს, ჯგუფებსა და ადამიანებს შორის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური განსხვავების წაშლის პროცესი – დიდ გავლენას ახდენს თითოეულ საზოგადოებაზე, მათ შორის ქართულზეც.

სტუდენტებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ზოგიერთი სტუდენტის აზრით, ახალი ათასწლეულის პროგრესი ქართულ საზოგადოებაზეც აისახება. გ. ლ. (2) აღნიშნავს, რომ ცვლილებები მხოლოდ ე.წ. „ვარდების რევოლუციიდან“ დაიწყო. დემოკრატიულმა რეფორმებმა საზოგადოების ცვლილებაც მოითხოვა, რადგან 7 წლის წინანდელი საზოგადოება დიდად არ განსხვავდებოდა კომუნისტურისაგან: გაბატონებული იყო კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებები, ნორმები და შეხედულებები. იმდროინდელი საზოგადოებისათვის დევიანტური ქცევა ყოველდღიურ ნორმად იყო ქცეული, ხოლო კანონდამრღვევები, ხშირ შემთხვევაში, დაუსჯელნი რჩებოდნენ. ყველაფერმა ამან ქმედია კრიზისამდე მიიყვანა და საზოგადოება თანამედროვე განვითარებას ჩამორჩა. საზოგადოებაში ცვლილებები გარდაუვალი იყო. ლ.გ. მიიჩნევს, რომ ახლა პროგრესი აშკარაა. დღევანდელი საზოგადოება უფრო ტოლერანტული, ლიბერალური და ერთიანია, ვიდრე შვიდი წლის წინ.

თითქმის იდენტურ შეხედულებას გამოთქვამს ერთ-ერთი სტუდენტი - გ. ზ. (№3). იგი მიიჩნევს, რომ „ეგრეთ წოდებული “ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

• სტუდენტთა ინტერვიუებიდან მოყვანილ ციტატებში დაცულია რესპონდენტთა მეტყველების სტილი. საერთოდ, ინტერვიუები მნიშვნელოვანია ქართული ენის თვალსაზრისითაც. ისინი იძლევა საინტერესო მასალას სტუდენტების მეტყველების სტილის, შინაარსისა და ფორმის შესახებ.

საზოგადოება როგორდაც გამოერკვა საღათას ძილისაგან და ნელ-ნელა დაიწყო დემოკრატიული რეფორმები, საზოგადოება უფრო აქტიური გახდა. მაგრამ ჩვენ დღესაც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება მთლიანად არის განთავისუფლებული საბჭოთა გადმონაშთებისაგან. თუმცა, აშკარად ინერგება ტოლერანტობა და ლიბერალური დირებულებები. მეტ-ნაკლებად ვისწავლეთ სხვების აზრების მოსმენა და პატივისცემა“.

გამოკითხული სტუდენტების დიდი უმცრავლესობა აღნიშნავს, რომ XX და XXI საუკუნეების ქართული საზოგადოებები ძირებულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ამის უმთავრეს მიზეზად, ძირითადად, ასახელებენ გლობალიზაციასა და ახალ ტექნოლოგიებს, რომლებმაც ბევრი რამ შეცვალეს: ინფორმაცია ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა, არა მარტო ადგილობრივ, არამედ მთელი მსოფლიოს ახალ ამბებს სწრაფად გებულობენ. შესაბამისად, საშუალება აქვთ, უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, თავის მხრივ, განათლება ხელმისაწვდომი გახდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის აღმშენებლობას. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში შესაძლებლობებთან ერთად გაიზარდა ადამიანთა მოთხოვნილებები, რამაც გამოიწვია სოციალური ინსტიტუტების მნიშვნელობისა და ფუნქციონირების ამაღლება. გაძლიერდა ეკონომიკური ინსტიტუტები (ბანკები, საფინანსო კომპანიები), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოები (პოლიცია), ჯანდაცვისა და განათლების ინსტიტუტები. ყველა ეს სიახლე და გარდაქმნა პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა, რასაც სოციალური რეფორმები მოჰყვა. გამოკითხულ სტუდენტთა ერთი ნაწილი დღევანდელობის დადებით მხარედ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ადამიანს აქვს არჩევანის თავისუფლება და თავისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება (ა. ქ.).

გამოკითხულ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი უარყოფითად აფასებს სოციალურ სიტუაციას თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში. ამ ნებატიური შეხედულების საიდუსტრიაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანის მოსაზრებას (სტილი დაცულია).

მ. ს. (21) აღნიშნავს: „არ მეგონა, რომ მოვესწრებოდი ქვეყანას, სადაც არ არსებობს სამართლიანი, ობიექტური და თავისუფალი აზროვნება. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ყველა ყველას კონკურენტია და თუ ერთი ნაბიჯით ჩამორჩი, წარმატებისაკენ მიმავალ გზასაც გადაუხვევ. ის,

რაც დღეს ხდება, არაფრით ჩამოუვარდება კაპიტალიზმის ყველაზე საშინელ პრინციპებს.”

მ. ღ. (8) კრიტიკულადაა განწყობილი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ: “ჩემი აზრით, არც ისე კარგად გვაქვს საქმე, მაგრამ საქართველო, რატომდაც, მოიაზრება, როგორც აყვავების, მშვიდობისა და აღმავლობის ხანაში მყოფი ქვეყანა. ეს მცდარი აზრი საზოგადოების სხვადასხვა ფქნამ აიტაცა და, ალბათ, სწორედ ამან გამოიწვია არასწორი შეხედულება რეალობის შეახებ“.

ლ. ს. (23) მიიჩნევს, რომ “თანამედროვე ქართული საზოგადოება სავსეა წინააღმდეგობებითა და ცვლილებებით. აქტუალურია ეკონომიკური პრობლემებიც. მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ ვიცით, რა გვინდა. რადიკალიზმი და გაუცნობიერებელი სწრაფვა ცვლილებებისაკენ, ხშირ შემთხვევაში, მიგვიყვანს ფატალურ შედეგებამდე. სამწუხაროა, მაგრამ ი. ჭავჭავაძის “ბედნიერი ერის“ კითხვისას საკმაოდ ბევრ საერთოს ვხედავ თანამედროვე და იმდროინდელ ქართულ საზოგადოებებს შორის“.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სტუდენტი, საერთოდ, დადებითად აფასებს საზოგადოებაში მიმდინარე პროგრესულ ცვლილებებს, გლობალიზაციის შედეგად დანერგილ სიახლეებს, მათ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ “ევროპეიზაციამ“, “ამერიკანიზაციამ“ და ზოგადად, გლობალიზაციის პროცესმა უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებაზე.

კრიტიკული შეხედულებები და შეფასებები, საერთოდ, დამახასიათებელია ახალგაზრდებისათვის, მაგრამ ზოგიერთი გამოკითხული სტუდენტის პასუხებში შეიმჩნევა მომავლისადმი უიმედო დამოკიდებულება, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საგანგაშოა. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. მ. ა. (25) – “ყველაფერი ძველებურადაა, არც არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება ისეთი ადამიანების ხელში, რომლებიც ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილები არიან. ქართველი ერი – ეს ის ერია, რომელსაც არ გააჩნია ამბიცია, იდგეს მოწინავე პოზიციებზე ყველაზარ და ყველა სფეროში. ეს ის ერია, რომელსაც არ სურს გარჯა, შრომა და მხოლოდ ღმერთის წყალობაზეა დამოკიდებული, ყველა ერთმანეთს შვალურებს და ასე გადის წლები უმოქმედობაში. ცხოვრება ნელ-ნელა უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება. ყველგან უსამართლობა, ბოლმა, შური და შიშია გამეფებული, თითქოს ყველას გვესმის ერთმანეთის, მაგრამ, სინამდვილეში ყველა ერთმანეთის მტრები ვართ. დღეს აღარავის უნდა შენი კეთილსინდისიერება, კაცომოყვარეობა და საონება. ყველა ცდილობს, რაღაც წაგვლიჯოს

თავისი სიამოგნებისათვის და ამის გამო სინდისიც არ შეაწუხებს. ღირებულს არაფერს უტოვებო მომავალ თაობას... დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანებს პრობლემას წარმოადგენს სწორედ ის, რომ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ხალხი კი პრაქტიკულად იგივე დარჩა. თითქოს ერთ ადგილას გავიყინეთ და არ გვაქვს იმის სურვილიც კი, რომ შევიცვალოთ, შევცვალოთ ჩვენი აზროვნება“. ასეთი გრძელი ციტატა ინტერვიუდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ მ. ა-სთან ჩატარებული მთელი ინტერვიუ ასეთი ნეგატიური სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

მე 4 კითხვა ეხება თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს.

საზოგადოება არის მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში ადამიანთა და სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობა.\* არ არსებობს საზოგადოება ურთიერთობების გარეშე, ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ურთიერთობათა ფორმა და შინაარსი, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ საზოგადოებისათვის.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების შეფასებისას გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოხატავს სახეშეცვლილი ურთიერთობების გამო. ქ. დ. (14) აღნიშნავს, რომ “თანამედროვე ქართული საზოგადოება მკვეთრად განსხვავდება იმ საზოგადოებისაგან, რომელიც არსებობდა რამდენიმე ათეული წლის წინ, როდესაც ადამიანებს შორის ურთიერთობები უფრო ახლო, მეგობრული და უშუალო იყო. დღესდღეობით კი საზოგადოებაში ეს თვისებები ნაკლებად შეიმჩნევა, ხალხში მიმდინარეობს გაუცხოების პროცესი. გაბრიელ გარსია მარგესმა ასე დაახასიათა XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესები – “დეპუმანიზაცია ოთხით მიჰქრის. მას სრულად ვეთანხმები“. თ. გ. (№3) მიიჩნევს, რომ “ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ უფრო მეტი ყურადღებით, სითბოთი და ერთმანეთის მიმართ პატივისცემით, მჭიდრო ნათესაური ურთიერთობით, შეიცვალა უფროსებისადმი დამოკიდებულება, გაცივდა ურთიერთობები, ადარ იგრძნობა მოკრძალება და პატივისცემა, განსაკუთრებით ვაჟებისაგან. ახალგაზრდების მოკრძალებული დამოკიდებულება უხეშმა ქმედებამ შეცვალა (თვით მშობლების მიმართაც კი). თანამედროვე მოზარდები გამოირჩევიან აგრესიული, უხეში დამოკიდებულებით უფროსებისადმი“.

ზოგიერთი ახალგაზრდა ნიკილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს თანამედროვე საქართველოში არსებული ადამიანური ურთიერთობების მიმართ: “დაი-

\* McIntyre, L. F. (2002). The Practical Skeptic. New York. McGraw-Hill. (Original work published 1999). p. 129

კარგა ერთმანეთის პატივისცემა და მეგობრობის რეალური გაგება; მეგობრებს აღარ აქვთ საერთო დირებულებები, მხოლოდ იმიტომ მეგობრობენ, ეს რადაცაში სჭირდებათ. ამ გაუცხოებამ კი გამოიწვია ხალხის “გაცივება“ - (ს.გ. №2)“ ასეთი-ვე სულისკვეთებით არის განმსჭვალული შემდეგი შეხედულება: “სახარბიელოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ჩვენი საზოგადოებისა და თითოეული პიროვნების წინაშე დგას უამრავი გადაუჭრელი პრობლემა: “ადამიანებს შორის გაციებული ურთიერთობები, უნდობლობა, ეჭვი და სხვ. ადამიანებს ჩვენს საზოგადოებაში თანაგრძნობის უნარი აღარ შექმორჩათ“ (თ.კ. №22).

შეშფოთების საფუძველს იძლევა არა მარტო ზემოთ მოტანილი ორი მო-საზრება, არამედ ის ფაქტი, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას აქვს იგივე შეხედულება, მეტ-ნაკლები პესიმიზმითა და აგრესიით შეზავებული.

მართალია, ახალგაზრდებს, საერთოდ, ახასიათებთ მაქსიმალიზმი, მაგრამ რაიმე მოვლენისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული საზოგადოების კულტურის ანა-ლიზის მცდელობა სტუდენტთა თვალსაწიერიდან. ინტერვიუს ჩატარების პრო-ცესში სტუდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ კულტურაზე, ზოგადად, და მის შემადგენელ ელემენტებზე: ლირებულებებზე, ქცევის ნორმებზე, ტრადიციებზე, ზნე-ჩვეულებებზე, შეხედულებებზე, ენასა და სხვ.

საზოგადოებას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც ურთიერთქმედებენ გარკვეულ ტერიტორიაზე და აქვთ საერთო კულტურა. არ არსებობს საზოგადო-ება კულტურის გარეშე და კულტურა – საზოგადოების გარეშე. “კოველი საზო-გადოება გარკვეული კულტურული ფენომენია, განსაზღვრული კულტურის მატა-რებელი. ყველა გარემოებაში საზოგადოების საფუძველია ცნობიერების შედეგი – გარკვეული დონის კულტურა. კულტურა საზოგადოების ერთ-ერთი ძირეული ნიშანია“.\*

კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია დირებულებე-ბი. სოციალურ მეცნიერებებში დირებულებების კვლევას დიდი მნიშვნელობა ენი-ჭება. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი საზოგადოების ყველაზე უკეთ დახასიათება შესაძლებელია მისი დირებულებათა სისტემის შესწავლის საშუალებით. დირებულებების, ანუ “სოციალური კოგნიციის (ან სოციალური

\* ქოდუა, ქ. (1998). სოციოლოგია. I ნაკვეთი, თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 13-14.

ცნობიერების) შესწავლა ნათელს ხდის, რას ფიქრობენ ადამიანები სხვებზე და საპუთარ ყოფით, ყოველდღიურ შემეცნებაზე, რაც თავისთავადაც საინტერესო ფენომენია, და, ასევე, იძლევა მასალას თეორიისათვის ადამიანების ყოველდღიური გაგებისა თუ შემეცნების თავისებურებათა შესახებ (ე. ფისკე, ჯ. ტეილორი, 1991).\*

ღირებულების ობიექტურობა-სუბიექტურობის საკითხი რთული და სადაცო. ღირებულების ცნების ობიექტური განხილვა ნიშნავს იმას, რომ შეფასების ობიექტი არსებობს შემფასებლისგან დამოუკიდებლად, ხოლო მიჩნეული სუბიექტი-ვისტური – როცა ღირებულება მთლიანად სუბიექტის განცდებსა და შეფასებაზე დამოკიდებულად აღიქმება.\*

ღირებულება, გარკვეულწილად, არის ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა. იგი ობიექტურია, რადგან ეხება ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობის ფაქტებს, მოვლენებს, პროცესებს. ამავდროულად, იგი სუბიექტურიცაა, რადგან მასში ასახულია სუბიექტის (ჩვენს გამოკვლევაში, სტუდენტების) მიერ დანახული ობიექტური რეალობა.

ადამიანებს ობიექტური რეალობისადმი აქვთ როგორც შემეცნებითი, ისე შეფასებითი დამოკიდებულება.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში სამიზნე ჯგუფის, სტუდენტობის, წარმომადგენლები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს რეალობის შეფასების დროს აკლენენ როგორც შემეცნებით, ისე შეფასებით დამოკიდებულებას. შეფასებით დამოკიდებულებას, როგორც წესი, თან ახლავს გარკვეული სუბიექტივიზმი. სტუდენტები, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდები და განსხვავებული დირებულებების, დირებულებათა იერარქიისა და ღირებულებათა სისტემის მქონე პიროვნებები, ბუნებრივია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ერთსა და იმავე სოციალურ ფაქტს, მოვლენას ან პროცესს.

მოვიყვანთ თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში ღირებულებების ცვლილებების შესახებ სტუდენტთა ზოგიერთ შეფასებას.

სტუდენტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ „ქართული საზოგადოება ისწრაფვის დასავლეთისაკენ და ინერგება დასავლური ღირებულებები: ადამიანის უფლებები, სიტყვის თავისუფლება, აზრის გამოხატვის უფლება, შემწყნარებლობა

\* პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში (2002). ჩიტაშვილი, გ. სოციალური ცვლილება და ღირებულებები: შინაგანი რეზისტენტობა დემოკრატიისადმი.. თელავი. სამოქალაქო განათლების პროექტი. გვ. 23.

\* ბეჭვაია, დ. (2007). აქსიოლოგია. თბილისი. გამომცემლობა „ნეკური“. გვ. 85.

და სხვ. ვნერგავთ რა ახალ ღირებულებებს, არ ვიგიშვებოთ ჩვენს ძველ ტრადიციებსა და ღირებულებებს და ვცდილობთ, ღირსეულად წარგხდგეთ მსოფლიოს წინაშე“. - (გ. ზ. №3). გ. ლ. (№2 – 22 წლის, ვაჟი) – „ჩვენ არა მარტო ვითვისებთ უმთავრეს ღირებულებებსა და ნორმებს, მირეულად, არამედ იმ უარყოფით მხარეებსაც, რომლებიც ყველა კულტურას გააჩნია. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ რადიკალურად ვეწინააღმდეგებით სიახლეს. ეს, ჩემი აზრით, სიახლისადმი შიშითაა გამოწვეული“. გ. კ. (№35) – „დღესდღეობით შეინიშნება ევროპული ღირებულებისადმი სწრაფვის ტენდენცია. ახალი ღირებულებების მიღებასთან ერთად, უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ადათ-წესები, რადგან ისეთი მცირე ერისათვის, როგორიც ჩვენ ვართ, ტრადიციებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.“

ზემოთ მოყვანილი ამონარიდები სტუდენტთა ინტერვიუებიდან გვიჩვენებს მათ პატივისცემასა და სიყვარულს ქართული ღირებულებების, ტრადიციების, ადათ წესებისა და სხვ. მიმართ, აგრეთვე, მათ მზაობას, მიიღონ ჩვენი საზოგადოების შესატყვისი ახალი დასავლური ღირებულებები. მიუხედავად დადებითი დამოკიდებულებებისა ახალი ღირებულებებისა და ქცევის ნორმებისადმი, ზოგიერთ სტუდენტს მიაჩნია, რომ ღირებულებათა ცვლილებისათვის საჭიროა დიდი დრო, თაობათა შეცვლა. დ.ჭ. (№39, – 20 წლის, ვაჟი) – “თანამედროვე ქართულ საზოგადოებში მრავალი ცვლილება მიმდინარეობს. იგი გარდამავალ პერიოდშია, რაც, ნაწილობრივ, იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოება ცდილობს, დააღწიოს კომუნისტურ ღირებულებებს და გადაერთოს დასავლურ ღირებულებებზე. ამ მიზნის მიღწევა საკმაოდ რთულია, რადგან ამას სჭირდება თაობათა ცვლა და დრო. გლობალიზაციის საუკუნეში ცვლილებებს ძალზე სწრაფი სასიათო აქვს. საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს მისთვის მისაღები ღირებულებები და ნორმები და, ამავდროულად, ფეხი აუწყოს გლობალიზაციას“.

კულტურული ცვლილებების გამო სტუდენტთა გარკვეული ნაწილი გამოიქვამს პროტესტს. მათ აქვთ შიში, რომ ქართული კულტურა დაკარგავს თვითმყოფადობასა და უნიკალურობას. ნ.ი. (№1 – 18 წლის, გოგონა) – “ყველაფერი იცვლება და ქართული საზოგადოება ნელ-ნელა უნდა დაემსგავსოს ცივილიზებულ ევროპას, შეითვისოს მისი ღირებულებები და თავისას ისე მოარგოს, რომ არ დაკარგოს თვითმყოფადობა და უნიკალურობა. არ უნდა ვეცადოთ მხოლოდ უარყოფითი ღირებულებების შეთვისებას“. ქ. ღ. (№14 – 18 წლის, გოგონა) – “მიუხედავად იმისა, რომ დასავლური ღირებულებების უმრავლესობა, ძალიან ხშირიად, ეწინააღმდეგება ქართულ ტრადიციულ ელემენტებს, თანამედროვე ქარ-

თველთა უმრავლესობა, მაინც, მათ ანიჭებს უპირატესობას და ვერ აცნობიერებს იმ საფრთხეს, რაც ამ პროცესს ახლავს თან. ეს ეროვნული იდენტობის დაკარგვაა, რაც რეალურ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის“. ლ.ს. (№23 – 19 წლის, ვაჟი) – „რა თქმა უნდა, დასავლური ღირებულებები, უმეტესწილად, კარგია, მისაბაძი და აქტიურად დასანერგი, მაგრამ გონიერებაა საჭირო, არ შეიძლება, ცვლილებებმა ქაოსური ხასიათი მიიღოს. დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს სწორედ ასეთი ხასიათი აქვს. თანამედროვე ქართული საზოგადოების კიდევ ერთი დიდი პრობლემაა ცრუფასეულობები – გვსურს, ვიყოთ ლიბერალურები, მაგრამ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, რა ფასეულობების მატარებელია ის. ალბათ, ესეც მოდაა.“

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ტრადიციები, წეს ჩვეულებები, ღირებულებები არის ძალიან მნიშვნელოვანი და ისინი არ ეწინააღმდეგება იმ ლიბერალურ, დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომელიც გავრცელებულია ევროპაში. გ. გ. (№24) – „ჩვენს საზოგადოებას საფუძვლად უდევს ძალზე საინტერესო კულტურა და ტრადიციები. დროთა განმავლობაში სწორედ ისინი წარმოადგენდნენ საზოგადოების მთლიანობის განმაპირობებელ მიზეზს.“ “დღესდღეობით ჩვენში ძალიან პოპულარულია დასავლური ღირებულებები: პიროვნების უფლებების ყველაზე მაღლა დაყენება, ლიბერალური დამოკიდებულება ყოველგვარი შეხედულების მიმართ, შემწინარებლობა ყველა რასის, რელიგიისა და ერისადმი და ა.შ.“ - (გ.ლ. №2).

მ.ა. (№13 – 17 წლის, გოგონა) – “კულტურა ეფუძნება როგორც რელიგიურ, ისე საერთო ღირებულებებს. თანამედროვე ქართული საზოგადოება მრავალგვაროვანია. იგი შედგება უამრავი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისაგან, რომლებიც ქართველების გვერდით ცხოვრობენ და აქვთ საკუთარი კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები. ამიტომ კულტურა ჩვენს საზოგადოებაში მრავალფეროვანია. იგი წარმოადგენს ეგროვული, აზიური და კავკასიური ხალხების კულტურების საინტერესო ნაზავს. აქ დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა აღმსარებლობა. ქართველი ერის კულტურა გამოირჩევა თვითმყოფადობითა და უნიკალურობით. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციების, ადათ-წესებისა და ჩვეულებების დაცვას, მაგრამ არ ეწინააღმდეგებიან ლიბერალური დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს, რაც ასე გავრცელებულია მსოფლიოში“.

ფ. ფუგუიამას აზრით, მოდერნიზაციის შედეგად ყველა ქვეყანა აუცილებლად მიიღებს დასავლურ დირებულებებს და ეს იქნება “ისტორიის დასასრული”<sup>\*</sup> ან მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის უდიდესი გამარჯვება.\*

საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ი. ა. ვასილენკო. მისი აზრით, დასავლეთელთა იმედი, რომ სხვა ხალხები მოდერნიზაციის გზით გახდებიან ისეთები, როგორებიც თავად არიან, ეს დასავლური აზროვნების ეგოცენტრული ილუზია.\* იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ გლობალიზაციას, შესაძლოა, მოჰყეს უკურეაქცია. დასავლური დირებულებების პროპაგანდას თითოეული კულტურა მიჰყავს მშობლიური კულტურის დირებულებათა დაცვისაკენ, დასავლური დირებულებებისადმი წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ნეილ სმელზერის აზრით, ჩვენ ვცხოვრობთ მაღალინსტიტუციონალიზმულ საზოგადოებაში.

ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორიც არის ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა, განათლება, ეკონომიკა, სამართალი, მასმედია და სხვ. დიდ როლს თამაშობს არა მარტო საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში, არამედ თითოეული ინდივიდის ცხოვრებაში.

ერთ ერთი კითხვა ეხება თანამედროვე ქართული საზოგადოების ინსტიტუტებსა და მათ ფუნქციონირებას, მათ როლს პიროვნებების სოციალიზაციის პროცესში. თავიანთ ინტერვიუებში სტუდენტები, ძირიადად, ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ მთავარ ინსტიტუტებზე: ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა, განათლება, მასმედია და სხვა

ოჯახის, როგორც სოციალიზაციის აგენტისა და სოციალური ინსტიტის შესახებ, სტუდენტები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. სტუდენტების უმრავლესობის აზრით, თანამედროვე საქართველოში ოჯახი არის სოციალიზაციის უმთავრესი აგენტი. მ. კ. – “პირველ რიგში, ოჯახი აყალიბებს ბავშვის აზროვნებას. მნიშვნელოვნად (და არა სრულად) განსაზღვრავს პიროვნების ქცევებს, შეხედულებებსა და პრინციპებს. ოჯახის მთავარი ფუნქცია ბაგშვების აღზრდა (აღმზრდელობითი ფუნქცია). იგი განსაზღვრავს მოაზროვნე, განვითარებული, პროგრესზე თრიუბირებული პიროვნების ჩამოყალიბებას”. ს. გ. – “ოჯახი არის ის, რაც ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანია. ოჯახში გაზრდილი ბავშვი ყოველთვის განსხვავებულია მიტოვებული

\* Фукуяма, Ф. Конец истории? (1994). // Философия истории. Антология. Москва. Аспект-пресс. стр. 290-291.

\* Василенко, И. А. (2000). Политическая глобальность. Москва. стр. 43-44.

ბავშვისაგან. ოჯახური სითბო შეუცვლელია“. №17 – თ. ქ. – “უპირველესი სოციალური აგენტი ოჯახია. ის უზრუნველყოფს ახალგაზრდა თაობისათვის კულტურული ღირებულებების გადაცემას, ადათ-წესების უზენაესობას. რწმენას აყალიბებს. ოჯახი ის ფუნდამენტია, რომელიც საფუძველს უქმნის საზოგადოების წევრების პიროვნებებად ჩამოყალიბებას“. №10. თ. გ. – “სოციალიზაციის პროცესში უველაზე დიდი გავლენა მაინც ოჯახსა და მშობლებს აქვთ, რადგან ძირეული ღირებულებების ჩამოყალიბება სწორედ აქ ხდება. ყველა ის ღირებულება, ქცევის ნორმები და ტრადიციები, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, ოჯახმა მასწავლა“.

ზოგიერთი სტუდენტი (მათი რიცხვი მცირეა) აღიარებს ოჯახის მნიშვნელობას სოციალიზაციის პროცესში, მაგრამ მიაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოში თანატოლთა ჯგუფი გახდა სოციალიზაციის მნიშვნელოვანი აგენტი. რ. ა. – “პიროვნების სოციალიზაციის პროცესში უმთავრეს როლს ასრულებს ოჯახი. ოჯახთან ერთად ინდივიდზე გავლენა აქვს მეგობრების წრეს, გარშემომყოფ ადამიანებს, ვისთანაც მას ახლო და ხშირი ურთიერთობები აქვს“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები უფრო განიცდიან თანატოლთა ჯგუფების გავლენას, რადგან ისინი ოჯახისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ. მ. ღ. (№8) – „XX საუკუნეში ოჯახი (ბავშვების აღზრდის დროს ტრადიციულ და პიროვნულ ფასეულობებზე იყო ორიენტირებული) იყო ძირითადი სოციალური აგენტი, XXI საუკუნეში სოციალიზაციის აგენტების იერარქია ასეთია – თანატოლთა წრე, მასმედია, ოჯახი და სკოლა (ოჯახსა და სკოლას ამჟამად ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება). ჩემთვის პრიორიტეტულია ოჯახი და თანატოლთა წრე“. ს. გ. – “ოჯახი არის სოციალიზაციის ძირითადი აგენტი. ბოლო დროს იგრძნობა თანატოლთა წრის ძლიერი გავლენა, რასაც, ხშირად, ოჯახის ღირებულებების უკანა პლაზე გადაწევა მოჰყება“.

ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში გაფართოებული ოჯახები სჭარბობს. ს. გ. – “თანამედროვე საქართველოში სჭარბობს გაფართოებული ოჯახი (რაც ეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული), ძირითადად, ქართული ოჯახები პატრიარქალურია. ეკონომიკურად შედარებით ძლიერი ოჯახები ეგალიტარულია, აგრეთვე, ნეოლოკალური (საცხოვრებელ ადგილსაც ეკონომიკური ფაქტორი განაპირობებს)“. № 13. (მ. ა. – გოგონა) – „ოჯახი მნიშვნელოვანია, ხშირია გაფართოებული ტიპის ოჯახები. ტრადიციებიდან გამომდინარე, დიდი

მნიშვნელობა ენიჭება ნათესაურ კავშირებს. იზრდება ნეოლოკალური ოჯახების რიცხვი.”

XXI საუკუნეში შეიმჩნევა ნუკლიარული, ეგალიტარული და ნეოლოკალური ოჯახების რიცხვის ზრდა. ნ. ი. – “ქრება გაფართოებული ოჯახი, სადაც თაობა-თა ერთად ცხოვრებას განსხვავებული ღირებულებების შეძენა-ათვისების მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბავშვების სოციალიზაციის პროცესში. კრცელდება ნუკლიარული ოჯახები“. ლ. დ. – “ახლა ეგალიტარული ოჯახებია, ძირითადად. გარკვეული დროის უკან არსებობდა პატრიარქალური ოჯახები“. პ. ხ. – “ქართულ ტრადიციულ ოჯახს ხელმძღვანელობს მამაკაცი, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებამ მოიტანა უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილება. ქალი არა მარტო გაუტოლდა მამაკაცს, ხშირ შემთხვევაში, წამყვანი როლიც დაეკისრა. გენდერულმა თანასწორობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ქალი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში“. №18 – თ. ა. – “ოჯახი მნიშვნელოვანია. ხშირია გაფართოებული ტიპის ოჯახები. ტრადიციებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათესაურ კავშირებს. იზრდება ნეოლოკალური ოჯახების რიცხვი“.

გამოკითხულ სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილის აზრით, ოჯახი კარგავს სოციალიზაციის ძირითად ფუნქციას. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს გამოიწვია მასმედიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (ინტერნეტისა და სოციალური ქსელების) მზარდება გავლენამ. ეს მოვლენა, დადებითობა ერთად, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოზარდებზე. ნ. ი. (თბილისი, 18 წლის, გოგონა) – “ოჯახის, როგორც სოციალიზაციის აგენტის, როლის დაკარგვას ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და მასმედიის როლების ზრდა ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში. მან დაჩრდილა სოციალიზაციის სხვა აგენტები“.

თითქმის ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ “რელიგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რადგან პიროვნების მრწამსი, იდეოლოგია და პრინციპები დამყარებულია რელიგიაზე. რელიგია და კულტურა ურთიერთდაკავშირებული სოციალური ფენომენებია“ (თ. კ); “ქართველი ხალხის კულტურის ძირითად ასაკებებს რელიგია განსაზღვრავს. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება” (ს. გ.); “რელიგია ჩვენთვის მძლავრ იარაღს – იდეოლოგიას წარმოადგენს. მართლმადიდებლობა ჩვენთვის სულიერი ხსნისა და სიმშვიდის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს. სულ უფრო მეტი ხალხი ცდილობს,

იაროს ეკლესიებში და იცხოვროს რელიგიურად“ (მ. ღ.); “დღეგანდელი ქართული საზოგადოება შემოტრიალდა ეკლესიისკენ, რაც იქრძალებოდა საბჭოთა რეჟიმის მიერ. ჩემი აზრით, სარწმუნოება შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ მაკონსოლიდორებელ ძალად“ (გ. კ); „უნდა აღინიშნოს რელიგიის განსაკუთრებული როლი ჩვენს საზოგადოებაში, თუნდაც იმიტომ, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე.“ (მ. ხ.); “ჩემი აზრით, რაც ყველაზე სასიხარულოა, გაიზარდა ინტერესი რელიგიისა და ეკლესიისადმი. უამრავი ახალგაზრდა დადის ეკლესიაში და ინარჩუნებს სულიერებას“ (№3 – გ. ზ.); “ქართულ საზოგადოებაზე დიდია რწმენის გავლენა, რომ არა ჩვენი რელიგიური ხასიათი, რაც გამოიხატება შემწყნარებლობით, ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით. რწმენა დიდი დოზით არსებობს ხალხში“ (№20 – ხ. მ.)

ასეთი შეხედულებების საპირისპიროდ, ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ გარკვეული ადამიანებისათვის ეკლესიაში სიარული არის მოდა. ეს არის კონფორმიზმის ერთ ერთი სახე, რომლის მიზანია სხვების მოწონების დამსახურება. ასეთი ადამიანები, უბრალოდ, ბაძავენ მორწმუნეთა ღირებულებსა და ქცევის ნორმებს. (თ. გ.) – “ზოგისთვის ეკლესიაში სიარული და ეკლესიური ცხოვრება უფალთან დაახლოების გზაა, ზოგისთვის კი მხოლოდ მოდა და სხვების მიბაძვა. მხოლოდ ეკლესიაში სიარული არ კმარა. მთავარია, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ თითოეული ჩვენგანის ქმედება“. „ახალგაზრდების ეკლესიაში სიარული ნაკლებადაა განპირობებული რწმენით“ (ს. გ.); „უბედურება ის არის, რომ ეკლესია იქცა თვალთმაქცთა და ორპირთა ფარად. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში არიან ისეთები, სანთლის ანთებითა და პირჯვრის გადაწერით რომ ცდილობენ უფალთან სიახლოვეს. შეიძლება, ესეც მოდას აყოლაა, ერთგვარი, მაგრამ რელიგია და მოდა ხომ ისე შორს არიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და მიწა. ჩანს, სხვებისთვის მიბაძვის ტენდენციაა, რაც ბუნებრივად დევს ჩვენში, არც ამ სიტუაციისას გამოირიცხა. არადა, სარწმუნოება სწორედ ის არის, რაც გულითა და სულით უნდა გწამდეს, უფრო მეტად, ვიდრე ყველა საქმე, რასაც ემსახურები. იქნებ, ტაძრებშიც ვერ შეხვიდე, იქნებ, სანთელიც ვერ აანთო, მაგრამ მადლი თესო და სიკეთე ახეირო, თორემ, აბა, იმას რა ფასი აქვს, ეკლესიიდან გამოსულს ხალხიც დაგავიწყდეს და თავიც“ (მ. ხ.) “ჩვენი საზოგადოების ნაწილმა არ იცის მართლმადიდებლობის ფუნდამენტური ღირებულებები და სწამს მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობასა და მათ წინაპრებს ეს რელიგია სწამდათ,

ანუ კონფორმისტები არიან“. (ლ. დ.); “ერთნი ცდილობენ, რელიგიას მოერგონ, მეორენი კი, პირიქით, ცდილობენ საკუთარ ცხოვრებას შეუფარდონ რელიგია. ბევრი ჩვენგანი სწორედ სხვაზე ორიენტირებულობის გამო ცდილობს, იყოს რელიგიური“. (რ. ა.); „მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მოდის გამო დადიან ეკლესიაში (მათი რიცხვი არცთუ ისე დიდია).“ (გ. ზ.); “ზოგიერთისთვის ეკლესიაში სიარული მოდაა, ზოგიერთისთვის ეკლესიაში სიარულის მოდაზე საუბარი, ზოგიერთი ფანატიკოსია, რაც დამღუპველია. ზოგი კი, უბრალოდ, სულიერი საზრდოს მისაღებად მიდის. ზოგი ეკლესიაში იმიტომ დადის, რომ სხვამ დაინახოს. ჩემთვის ფანატიზმი მიუღებელია, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული საზოგადოების საქმიანობა დიდ ნაწილი ფანატიკოსია“. (№23 – ლ. ს.)

გამოკითხული სტუდენტების მცირე ნაწილის აზრით, ახალგაზრდები არ არიან რელიგიურები, მათ მიღრეკილება აქვთ ათეიზმისაკენ. “ახლანდელი თაობა ათეიზმს ანიჭებს უპირატესობას, მომრავლდნენ დევიანტები, განსხვავებული ქცევებით, ჩაცმულობით, ლაპარაკის მანერით, სურთ ყურადღების მიპყრობა. მათ ჰგონიათ, რომ ურწმუნოება მაღალ სტატუსს ანიჭებს“. (ა. ჭ. №15 – 19 წლის, გოგონა); „ჩვენს საზოგადოებაში მომრავლდნენ ათეისტები. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანებს ეჭვი აღუძრა და ისინი ნაკლებ იჯერებენ რელიგიურ სასწაულებს, დარწმუნებას ფაქტების გარეშე. მიუხედავად მათი ურწმუნებისა, ქართველები ნაკლებად ამჟღავნებენ ამას, რადგან ჩვენს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს რელიგიას. მორწმუნე ადამიანი უფრო მისაღებია ხალხისთვის და მათ უფრო ჭავიან და წესიერად თვლიან.“ (ა. ჭ. №15)

ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის ქრისტიანობას, განსაკუთრებით, მართლმადიდებლობას. „ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიას, რომელსაც გლობალური ტენდენციები აშკარა საფრთხეს უქადის. ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო საუკუნეების განმავლობაში და მის დაცვას არაერთი მამულიშვილი შეეწოდა. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით იგრძნობა რელიგიისაგან განდგომა, ათეიზმის გაბატონება. რადგან რწმენა მორალური პრინციპებითა და ნორმებით გარკვეულ საზღვრებს ადამიანთა ქცევას. ბევრს კი სწორედ ამ შეზღუდვებიდან გათავისუფლება სურს“. (თ. ქ.)

რელიგიის შესახებ სხვადასხვა შეხედულების მიუხედავად, სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რელიგია არის სოციალიზაციის ერთ ერთი მთავა-

რი აგენტი (ზოგიერთი რესპონდენტის აზრით კი, ის ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალიზაციის პროცესში).

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები სოციალიზაციის აუცილებელი ფაქტორია. კულტურები მრავალი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ შორის მასმედიის შინაარსითა და ფორმით. ისინი განსხვავებულად ასწავლიან ადამიანებს სხვა ადამიანების, მოვლენების, პროცესების, შეფასებების, დიფერენცირებასა და აღქმას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე, XXI საუკუნეში, განსაკუთრებით გაიზარდა მასობრივი კომუნიკაციების როლი, ფუნქცია და გავლენა (განსაკუთრებით, ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და სხვა) სოციალიზაციის პროცესში.

საინტერესოა, გავეცნოთ სტუდენტთა შეხედულებებს თანამედროვე საქართველოში მასმედიის ფუნქციონირების შესახებ.

№ 3. (გ. ზ. – ვაჟი) – „თავისუფალი მედია ხელს უწყობს ჩვენს უშუალო მონაწილეობას ქვეყნის განვითარებაში“

ა. მ. (ქუთაისი, გოგონა) – “მასმედიის მიზანია, “დასავლურ მასაში” გაგვთქვითოს. ტელევიზიებისთვის მთავარია უფრო და უფრო მეტი მაყურებლის მიზიდვა და რეიტინგის გაზრდა, ხოლო რა გზებითა და ხერხებით მიაღწევენ მიზანს, მათთვის უმნიშვნელოა. მასმედია, საერთოდ, არ ითვალისწინებს ქართულ კულტურულ ფასეულობებს და, ხშირად, ისეთი მდარე ხარისხის პროგრამებს სთავაზობენ საზოგადოებას, რომლებიც გაკიცხვისა და კამათის მიზეზი ხდება, საგანმანათლებლო გადაცემებს ძალიან მცირე დრო ეთმობა. მასმედია გვთავაზობს უაზრო, იაფფასიან, პროპაგანდისტულ გადაცემებს. ზოგჯერ, მეჩვენება, რომ მასმედიის ერთადერთი დანიშნულება საზოგადოების გაბითურება და “დასავლური“ ცხოვრების წესის პროპაგანდაა. ის ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს ქართული კულტურის რდვევაში (ე.წ. ანომიაში)“.

სულ უფრო და უფრო იზრდება მასმედიის გავლენა საზოგადოებაზე. ახლა იგი იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზაციის პროცესში, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ მოვლენას “ტელეკრატიას“ უწოდებს. მ. კ. (20 წლის, გოგონა) – “სამწუხარო რეალობაა, რომ თანამედროვე მედია უფრო უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე, ვიდრე დადებითს. მასმედიის პრობლემა მწვავედ დგას ქართული საზოგადოების წინაშე და, ვფიქრობ, იგი დრმა და მნიშვნელოვან ანალიზს საჭიროებს. დღევანდელი საზოგადოება (განსაკუთრებით, ბავშვები) იმდენადაა კომპიუტერიზებული, გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმული, ტელევიზრანებს

მიჯაჭვული, რომ ისინი რეალურად ვეღარ აფასებენ მიმდინარე პროცესებს“. ქ. დ. (№14 – 18 წლის, გოგონა) – “საზოგადოების დკუმანიზაციის ერთ-ერთი ხელ-შემწყობი ფაქტორი არის ინტერნეტი. ქართველების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, თავისუფალი დროის ხალხთან გატარებას, ინტერნეტთან „ურთიერთობას“ – მსოფლიო დაავადებით დასწეულებას – ამჯობინებს“. თ. გ. (19 წლის, გოგონა) – აღნიშნავს, რომ ინტერნეტი დიდ შესაძლებლობებს აძლევს ადა-მიანებს, მათ შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის უმცირეს ვადაში მოპოვება, მაგრამ ამან გამოიწვია წიგნისადმი ინტერესის დაკარგვა. ს. გ. (გურია, გოგონა) – “თანამედროვე ქართული მასმედია ნაკლებ კომპეტენტურია. იგი ობი-ექტურად უნდა აშუქებდეს მოვლენებს, რომ საზოგადოებას მათი სადი განსჯის საშუალება მიეცეს“.

თ. გ. (გოგონა) – „ჩვენს ეპოქაში ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში თან-დათან იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა. ისინი სულ უფრო და უფრო ხდებიან კომპიუტერსა და ინტერნეტზე დამოკიდებულნი, დრო-ის უმეტეს ნაწილს ეკრანებთან ატარებენ, რაც, თავისთავად, აისახება მათი მსოფლმხედველობის, ღირებულებების, ქცევის ნორმების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებული ჩვეულებების შეცვლაზე“. №17 – “საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე უმთავრესი პასუხისმგებელი მედიასაშუალებებია. მათ ტექნიკურა-ლოდ არ უწოდებენ “მეოთხე ხელისუფლებას“. სწორედ მედია არის ის წამყვანი ძალა, რომელსაც ძალუდს ჩვენი საზოგადოების სიმპათია-ანტიპათიის განსაზღ-ვრა, პოლიტიკური განწყობილებების დამახინჯება. სამწუხაროდ, არაობიერებული, მიუკერძოებელი მედია, ხშირ შემთხვევაში, მძლავრად ზემოქმედებს ჩვენს ცნო-ბიერებაზე და მცდარ წარმოდგენებს გვიყალიბებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავ-შირებით“.

ზოგიერთი სტუდენტი უარყოფითად აფასებს მასმედიის მუშაობას საქარ-თველოში, № 20 (ბ. მ. – გოგონა) – „მასმედია ქვეყანას ზიანს აექნებს. ჩვენ ვერ გხდებით, სადაა სიმართლე, იმიტომ, რომ არსებობს იმდენი „სიმართლე“, გვი-ჭირს გარჩევა. თანამედროვე საქართველოში ხარისხიანი პრესა, ზოგადად, ხა-რისხიანი ინფორმაცია სანთლიოთ საქებარია. ტელევიზიაში თოქ – შოუების ძი-რითადი თემაა გაურკვეველი ხალხის პირადი ცხოვრების უინტერესო დეტალები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სიმართლეს მოკლებულნი ვართ“

თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შეფასების დროს, გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა განათლებაზე, როგორც სოციალურ ინსტიტუტზე.

სტუდენტებს გაცნობიერებული აქვთ განათლების როლი საქართველოს განვითარებაში, მათ პროფესიულ დახელოვნებასა და პიროვნულ ჩამოყალიბებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ განათლების ხელმისაწვდომობა განაპირობებს ქართული საზოგადოების მეცნიერულ და კულტურულ პროგრესს. ნ. დ. (№ 39 – 19 წლის, გოგონა) – “ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ხორციელდება რეფორმები, მათ შორის, განათლების სისტემაში, რომელშიც იგულისხმება მადალი ტაქნილოგიების, თანამედროვე პროგრამების, სწავლების მეთოდების, კომპიუტერული სისტემების დანერგვა. ქვეყნის ყველა რაიონში თანდათან განხორციელდება პროექტი “ირმის ნახტომი”, რომელიც ითვალისწინებს ყველა სკოლაში კომპიუტერულ სწავლებას. ახალგაზრდობის კომპიუტერული ცოდნით აღჭურვა დღევანდელი ცხოვრების უპირველესი მოთხოვნაა“; ს. მ. (გოგონა) – “განათლებას დიდი როლი აქვს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ქართულ საზოგადოებაში იგი სავალდებულო ხდება. უზრუნველყოფს ახალგაზრდების ინტელექტუალურ და ემოციურ აღზრდას, ხელს უწყობს ადამიანთა სოციალურ მობილობას.”

ცნობილი მეცნიერი ი.კ. უილიამ ფულბრაიტი წერდა, რომ უმაღლესი განათლების ძირითადი ფუნქციაა მომავალი თაობის განსწავლა, ადამიანთა ცხოვრების განვითარება, თავისუფალი და ცოდნით გასხივოსნებული აზროვნების განვითარება. მან ადამიანებსა და, საერთოდ, ხალხთა შორის ურთიერთობა უნდა გახდოს უფრო გონივრული, სამართლიანი და ჰუმანური.

ზოგიერთი სტუდენტი აკრიტიკებს სკოლებში არსებულ სიტუაციას. მ. ხ. (№2 – გოგონა) – “სკოლაში არც ერთი გაკვეთილი არ ტარდებოდა სრულად და, რაც ყველაზე სარკასტულია, ამ ყველაფრის მაპროფიცირებლები იყვნენ, პირველ რიგში, მასწავლებლები”.

სტუდენტთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოების სხვადასხვა ეკონომიკურ ფენად დაყოფა, რაც, მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, განათლების სისტემაში, ადამიანთა უთანასწორობის მიზეზი ხდება.

„ბევრს არ მიუწვდება ხელი სათანადო განათლების მიღებაზე. პრესტიჟულ სასწავლებლებში ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის წარმომადგენლები სწავლობენ. საზოგადოებაში შეიმჩნევა ელიტური განათლების ნიშნები“.

ხშირად, სტუდენტები ურთიერთსაპირისაპირო მოსაზრებებს გამოთქვამენ საზოგადოებაში განათლების ფუნქციისა და როლის შესახებ. ლ. ს. (ვაჟი) – “ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია, აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც ლოიალურად იქნება განწყობილი არსებული რეჟიმისადმი, არ ექნება პროტესტის გრძნობა. თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ თანამედროვე სახელმწიფოშიც ასეა. ერთი შეხედვით, სკოლებს აქვთ სრული თავისუფლება, თითქოს ყველაფერი იდგალურადაა, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა, რეალურად კი ყველაფერს სახელმწიფო მანქანა წყვეტს, თავისუფლება კი მოჩვენებითია“. მ. ღ. (№8 – გოგონა) – “რატომდაც, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ყველამ უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება და აიღოს დიპლომი, მიუხედავდ იმისა, რამდენად გამოსდის ეს ან იმსახურებს. შემდეგ კი “ქველმოქმედი ბიძიების“ დახმარებით დაიწყოს მუშაობა. რაც არაა მისასალმებელი. ხშირად, თავისი საქმის მცოდნე, ასე ვთქვათ, თამაშგარეთ რჩება“. მ. ა. (თბილისი, გოგონა) – “განათლება მნიშვნელოვანია. ზოგს სურს, ცოდნის მიღება და სასურველი პროფესიის შესწავლა, მაგრამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიზანია გავლენის მოპოვება და სიმდიდრის დაგროვება. ისინი იბრძვიან სტატუსისათვის, განათლებას კი პრესტიჟულობის გამო იღებენ“. ა. ჭ. (№15 – 19 წლის, გოგონა) – “დღევანდელ საზოგადოებაში ნაკლებია განათლების დონეც. მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობენ“.

ა. მ. (ქუთაისი, გოგონა) – “ადამიანები (დაბალი ფენის წარმომადგენლები) ცდილობენ, განათლების მეშვეობით ჩაიგდონ ხელში ეკონომიკური და ძალაუფლების ბერკეტები და აიმაღლონ სოციალური სტატუსი, ალბათ, ამ მიზეზით მიიღო განათლებამ ბოლო დროს მასობრივი ხასიათი (თუმცა, არც დიპლომის მიღების სურვილით შეპყრობილი ადამიანები უნდა დაგივიწყოთ, რომლებსაც მე, პირადად, “დიპლომანებს“ ვუწოდებდი. რეალურად, “გასანათლებლად“ ახალგაზრდების მცირე ნაწილი თუ აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში)“.

ზოგიერთი სტუდენტის აზრით, დადებით ცვლილებებთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემაში შეიმჩნევა უარყოფითი მოვლენები. წინა წლებთან შედარებით, შესუსტდა ახალი თაობის სტუდენტებს შორის ურთიერთობები, სტუდენტთა სოლიდარობა, რაც გამოწვეულია სწავლების საკრედიტო სისტემაზე გა-

დასვლით. სტუდენტები აქტიურად არ მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა ინდიფერენტულადაა განწყობილი არა მარტო პოლიტიკური საქმიანობისადმი, არამედ შიდასაუნივერსიტეტო პრობლემების მიმართ (მაგ. სწავლის გადასახადის ყოველწლიური გადასახადი, რაც მძიმე ტვირთად აწვება ზოგიერთი სტუდენტის ოჯახს; ლექციებს შორის დიდი შუალედები, არაპროფესიულად შედგენილი ცხრილები, ბუფეტების არარსებობა ყველა კორპუსში და მრ. სხვ).

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ XXI საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანატოლთა წრეს, რომელიც პიროვნების ინტერესებს, ღირებულებებს, ქცევის ნორმებს, ჩატვის სტილს, მეტყველების მანერას და მრავალ სხვ. აყალიბებს. თანატოლთა გავლენა განსაკუთრებით დიდია რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებზე, რომლებიც ოჯახებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ.

თ. ქ. (№17 – გოგონა) – “მნიშვნელოვანია თანატოლთა წრეც. მეგობართა მრწამსი და ღირებულებები განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა ქცევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ და ყოველი დღე ინოვაციებითაა აღსავსე”. თ. გ. (№10 – გოგონა) – “თანატოლთა წრე მხოლოდ მეგობრობას, გართობას არ ემსახურება. მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი სოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგენტია”.

პოლიტიკა არის ერთ ერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა აღმოჩნდა ის საკითხი, რომელზეც გამოკითხული სტუდენტები ყველაზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას. იმ სტუდენტების მოსაზრებებიც კი, რომლებიც ამ საკითხზე საუბრობენ საქმაოდ განსხვავებულია. ს. გ. №5 – “პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას. ქართული საზოგადოება, მეტ-ნაკლებად ინდიფერენტულია”. მ. ღ. №7 – “პოლიტიკა ჩემგან შორსაა (ძალიან არ მიყვარს). უბრალოდ, ზოგჯერ ძალზე მტკიცა გული იმაზე, რაც დღეს ხდება საქართველოში”. №17. თ. ქ. – “პოლიტიკური რაკურსით თუ განვიხილავთ, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ინდიფერენტულია პოლიტიკური საკითხების მიმართ, აპათიასაა მიცემული და არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორების ვერანაირ გზასა და საშუალებას ვერ ხედავს. აღნიშნული ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, რომ თუ ყველა ქართველი სკეპტიკურად განეწყო ამ საკითხების მიმართ და პოლიტიკური ამინდის შექმნაში არ მიიღებს მონაწილეობას, ჯანსაღი საზოგადოებას”.

ბის ჩამოყალიბების ყველა მცდელობა უპავე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება“.

№24. გ. მ. – “საქართველოს დღეს აქვს მპვეთრად გამოხატული დასავლური კურსი. სულ ახლახან დავიწყეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რაც არც ისე მარტივია. ჩვენ აღმოვჩნდით “გაუმართლებელი ექსპერიმენტის” მსხვერპლი, რომელმაც საქართველოს 70 წელიწადი დააკარგვინა, ამ ხნის მანძილზე დრო გაჩერებული იყო საქართველოსთვის. სოციალიზმი საბოლოოდ დაამარცხა ლიბერალურმა დემოკრატიამ, რომელსაც დღეს მეტოქე აღარ ჰყავს“.

№24. – “ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად გათიშულია, რადგან იგი პოლიტიკური კუთხით ინდიფერენტულია. საზოგადოებაში მორალის მქადაგებელთა სიჭარბეა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება აშკარად განიცდის პოლიტიკური აღდოს მქონე პიროვნებების დეფიციტს. ეს იწვევს პოლიტიკანობას. პოლიტიკა მხოლოდ ბინძური საქმეა და მასთან დაკავშირებული ადამიანებიც არ არიან სუფთა სინდისის“. ა. ც. (№40 – 19 წლის, ვაჟი) – „ჩვენს ქვეყანაში ერთპიროვნული, ავტორიტარული მმართველობაა“. მ. ლ. (№8 – 18 წლის, გოგონა) – “დემოკრატია ჩვენთან არ არის. მე დღევანდელ ვითარებაში ტოტალიზმს უფრო ვხედავ, ვიდრე დემოკრატიას ან ავტორიტარიზმს. მთავრობა დამნაშავეა, რადგან მისი პოლიტიკის ნაწილია ის ძვრები და სოციალური გადაგვარება, რაც დღეს საკმაოდ მზარდად მიმდინარეობს“. თ. კ. – „ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია მოჩვენებითი დემოკრატიის ფორმა“.

ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს სტუდენტები არა მარტო გულახდილად პასუხობდნენ ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს (ზემოთ მოცემულ ინტერვიუს გზამ-პვლევში შეტანილ სავარაუდო კითხვებს), არამედ თავადაც ამახვილებდნენ ყურადღებას ქართული საზოგადოების სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემაზე.

სტუდენტები თავიანთ ინტერვიუში შეეხნენ ისეთ საკითხს, როგორიცაა მიგრაციის პრობლემა. ეს პრობლემა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში ძალიან მწვავედ დგას. სტუდენტები გულისტკივილით ლაპარაკობენ როგორც სხვა ქვეყნებში მიგრაციის პროცესებზე, ისე თავად საქართველოში, მოსახლეობის გეოგრაფიულ გადაადგილებაზე. თ. თ. (№18 – 19 წლის, გოგონა) – “დღევანდელ საქართველოში სოფლის როლი ძალიან შესუსტებულია, ამიტომ ყველა ცდილობს, დედაქალაქში დაიმკვიდროს თავი. ვინც ეს ვერ მოახერხა, საზღვარგარეთ წასვლით უშველა თავი. მიგრაცია, როგორც წესი, ნორმალური მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის ეს უკვე პრობლემური გახდა, რადგან ქვეწიდან წასული მოქალაქეების რიცხვი კატასტროფულად დიდიაა“. ნ. ბ. (№16 –

წლის, გოგონა) – “კარგია გლობალურ პროცესებში ქართველების ჩართვა, მაგრამ საშინელებად მიმართია ის ფაქტი, რომ ბევრი ჩემი თანატოლი სკოლის პერიოდიდანვე გაიძახის, რომ საზღვარგარეთ წასვლა უნდა, რადგან ამ “დამპალ“ საქართველოში არაფერი ესაქმება“. თ. ქ. (№27) – “მაღიზიანებს ახალგაზრდების ახალი ტალღა, რომელიც მუდმივად ცდილობს, თავი დაადგიოს საქართველოს. იმიტომ გარბიან, რომ აქ არაფერი შეიცვლებაო. თუმცა, ნაწილობრივ, მესმის კიდევ ამ ადამიანების. თუ ცოდნა გაქვს და ფული შენი თვითმიზანი არ არის, ყველგან შეძლებ, რამეს მიაღწიო“. გ. გ. (№24) – “ბევრი ახალგაზრდა მიდის საზღვარგარეთ სასწავლებლად არა იმიტომ, რომ იქ დარჩენებ და სხვა ქვეყანას ემსახურონ, არამედ აითვისონ ყველა ის ასპექტი, რაც ჩვენში უფრო ნაკლებადაა ფეხმოკიდებული, საზღვარგარეთ კი უფრო მეტად ფასობს“.

სტუდენტები აქტიურად მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გენდერი და გენდერული თანასწორობა. ისინი აღნიშნავენ, რომ თანამედროვე საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ქალთა გარკვეული დისკრიმინაცია, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, როგორიცაა: ტრადიციული სტერეოტიპები, ოჯახური აღზრდა, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და სხვა ფაქტორები. ქალთა დისკრიმინაცია განსაკუთრებით შესამჩნევია რაიონებში მცხოვრებ ქართველებსა და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში.

რესპონდენტები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის საწყისი ფეხსვები ძველი დროიდან, ქართული ტრადიციებიდან მომდინარეობს. თავიდანვე ქართულ მენტალიტებში მამაკაცი სოციალური უფლებებითა და სტატუსით ქალზე უფრო მაღლა მდგომად მოიაზრებოდა. ზოგიერთი სტუდენტი გოგონას აზრით, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ქალების უფლებები ირდვევა. ვაჟების შედარებით მცირე ნაწილი ეთანხმება გოგონების ამ მოსაზრებას, უმრავლესობა კი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საქართველოში გენდერული ბალანსი დაცულია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. აღსანიშნავია, რომ როგორც გოგონების, ისე ვაჟების ნაწილი მიიჩნევს, რომ მამაკაცები უფრო ძლიერები, მობილიზებულები და აქტიურები არიან, ამიტომ ისინი უფრო უფლებამოსილები და პრივატულებულები უნდა იყვნენ და ეს ქართველებისთვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი მდგომარეობაა. თუმცა, ვაჟები გულახდილად აღიარებდნენ, რომ “თანამედროვე ქალები საზოგადოებაში, განსაკუთრებით ოჯახში, უფრო მეტ ფუნქციას, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანს, ასრულებენ“. თუ ადრე ოჯახის მარჩენალის ფუნქციას, ძირითადად,

მამაკაცები ასრულებდნენ, დღეს ეს სიტუაცია მკვეთრად შეცვლილია. ზოგ შემთხვევაში, ქალი არა მარტო მამაკაცივით ცდილობს ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ მთავარი “მარჩენალიც“ კი არის. სტუდენტი გოგონების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალის უპირველესი მოვალეობაა ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა. მაგრამ თანამედროვე პირობებში ახალგაზრდები მხოლოდ ამით არ კმაყოფილდებიან. ისინი აღნიშნავენ, რომ ოჯახში “მამაკაცისა და ქალის უფლება-მოვალეობები თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული“. XXI საუკუნემ მოიტანა ქალების აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გოგონებმა აღნიშნეს, რომ მათი სწავლის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, კარგი სამუშაოს შოვნა და კარიერის გაკეთება.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ შეხედულებები ქალისა და მამაკაცის სოციალური უფლებების, კულტურული ღირებულებებისა და ნორმების შესახებ ადამიანებს განსხვავებულად, სხვადასხვა ასაკში უყალიბდებათ. გენდერული თანასწორობის გაცნობიერებასა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი.

ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ცხოვრებამ მოიტანა უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილება. ქალი არა მარტო გაუტოლდა მამაკაცს, ხშირ შემთხვევაში, წამყვანი როლიც დაეკისრა. გენდერულმა თანასწორობამ მიგიყვანა იქამდე, რომ ქალი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში. (№18 – თ. თ. – 20 წლის, გოგონა) – „ჩვენს საზოგადოებაში გაიზარდა ქალის როლი. თუ ადრე ქალი მხოლოდ ოჯახსა და სამზარეულოსთან ასოცირდებოდა, დღეს მისი ხილვა დასაქმების ნებისმიერ სფეროშია შესაძლებელი. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ პატრიარქატიდან ეგალიტარიზმზე გადავდით, მაგრამ ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს. ჯერჯერობით, მაინც, მამაკაცი ითვლება ოჯახისა და ქვეყნის წამყვან ძალად (ქალთა უმრავლესობას ეს დისკომფორტს სულაც არ უქმნის)“. „გენდერული თანასწორობის“ პრინციპი ჩვენი საზოგადოებისათვის ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალურია“. (ა. მ. – 19 წლის, გოგონა). თ. გ. – №4 – “გენდერული თანასწორობა აშკარად იგრძნობა თანამედროვე საქართველოში. ქალები ისტრაფვიან კარიერისაკენ. ტრადიციული ქართული შეხედულება, რომ ქალს მხოლოდ ბავშვის აღზრდა ევალებოდა, შეიცვალა სუსტი სქესის კარიერული მისტრაფებით“. თ. თ. №18 – 20 წლის, გოგონა – “ქალები, მეტ-ნაკლებად, საზოგადოების აქტიური წევრები ხდებიან. არც

ერთ ჩემს ნაცნობ გოგონას არ სურს, რომ იყოს დიასახლისი, ალბათ, მალე ქალთა უფლებებიც სათანადო დონეზე დადგება“.

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, ახალგაზრდა თაობაში უფრო შეიმჩნევა გენდერული ბალანსის დაცვის მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობა, ზოგიერთი ახალგაზრდა მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში (მაგ. სამინისტროები, პროკურატურა, სასამართლო, საბანკო სისტემა, პარლამენტის აპარატი, განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა, სავაჭრო ორგანიზაციები და სხვ.) სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე (მაგ. მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სამსახურის უფროსები, დირექტორები, მენეჯერები, რედაქტორები, პროდიუსერები, პიარ-მენეჯერები და სხვ.).

სამწუხაოდ, უახლესი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ჩვენ ვერ შევძლით.

სტუდენტები გენდერულ პრობლემებზე საუბრის დროს ყურადღებას ამახვილებენ თავისუფალი დროის გამოყენებაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, ის ნაკლებად აქვთ და მათთვის მისი გამოყენების არეალიც შეზღუდულია.

რ. ა. (18 წლის, გოგონა) – “როდესაც თავისუფალ დროზე (გართობაზე, დასვენებაზე) ვმსჯელობთ, ერთი რამეა გასათვალისწინებელი. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის ქალი. თუ ის უზრუნველყოფილია მატერიალურად, ის იწყებს ფიქრს მეგობრებთან ერთად გართობაზე ან კარიერის მოწყობაზე. მაგრამ, როდესაც ქალი იძულებულია, იმუშაოს ოჯახის უზრუნველსაყოფად, მაშინ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება სამუშაო. თავისუფალი დრო, შესაძლოა, საერთოდაც არ დარჩეს და, შესაბამისად, მე-ჯგუფმაც ბოლო ადგილას გადაინაცვლოს“. ნ. ბ. – “თავისუფალი დრო ზოგს მომეტებულად აქვს და ზოგს საერთოდ არა აქვს”.

ზოგიერთი სტუდენტი გამოთქვამს პროტესტს საქართველოში არსებული გენდერული ასიმეტრიის გამო – “ჩემთვის მიუღებელი გენდერული უთანასწორობა კოშმარად მექცა. ვიდაცას მხოლოდ იმიტომ აქვს რადაცის უფლება, რომ მამაკაცია, მე კი ამის უფლება არა მაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ვარ და ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ქალების უმეტესობა ამას ეთანხმება. მეტიც, თავის მოსაზრებებს მომავალ თაობას სიამოვნებით ახვევს თავს“.

კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონე შეიძლება შევაფასოთ მასში ქალის მდგომარეობის მიხედვით. მისი ცივილურობის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სქესთა თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის საკითხი.

XXI საუკუნის დასაწყისში, გლობალიზაციის ეპოქაში, გენდერის პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო თეორიული დისკურსის თვალსაზრისით. მას, აგრეთვე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ქალთა პოტენციალის გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ჯანმრთელობის დაცვა, პოლიტიკადა სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

ცხადია, ახლა ქალების თვითრეალიზაცია, საკუთარი ღირსების შეგრძნება და თვითდარწმუნებულობა ბევრად უფრო იზრდება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალებში. ამის ერთ – ერთი მიზეზია განათლების მიღება, აგრეთვე, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ახალგაზრდა ქალები, მამაკაცების მსგავსად, არიან საკუთარ თავზე ორიენტრიებულები. მათი მთავარი მიზანია თვითდამკვიდრება და კარიერული წინსვლა.

საქართველოში თანდათან მკვიდრდება ეგალიტარული გენდერული სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიზაციისა და ადამიანთა უფლებების დაცვას.

სტუდენტების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ეიჯიზმის პრობლემაც. სანამ ამ საკითხთან დაკავშირებულ სტუდენტთა შეხედულებებს განვიხილავთ, საჭიროა, განვმარტოთ ტერმინი “ეიჯიზმი” (Ageism/agism – ინგლისური სიტყვიდან age – ასაკი) და ამ ტერმინით გამოხატული სოციალური მოვლენის არსი. ცნება “ეიჯიზმი” პირველად ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ ბატლერმა შემოიღო (1969 წ.). ეიჯიზმი აღნიშნავს დისკრიმინაციას, რომელსაც ერთი ან რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი ახორციელებს სხვა ასაკობრივი ჯგუფის მიმართ. რობერტ ბატლერი აღნიშნავს, რომ “ეიჯიზმი ასახავს ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ადამიანებში ლრმად გამჯდარ შფოთს (წუხილს) – პიროვნულ მიუღებლობასა და სიძულვილს დაბერების, აგადმყოფობის, შრომისუუნარობის მიმართ. აგრეთვე უსუსურობის, “უსარგებლობისა“ და სიკვდილის შიშს“.\*

ეიჯიზმი, ძირითადად, არსებობს ორი სახის: უფროსი თაობის მიერ ახალგაზრდა თაობის დისკრიმინაცია და ახალგაზრდა თაობის მიერ უფროსი თაობის

\* Butler, R. N. (1969). Age-ism: Another form of bigotry. Gerontologist, 1969, 9. pp. 243-246.

დისკრიმინაცია. ეიჯიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, გავრცელებულია თითქმის ყველა საზოგადოებაში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ის გლობალური ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ასაკობრივი დისკრიმინაციის სხვადასხვა სახე და ფორმა. მართალია, ეიჯიზმი შეიძლება შეეხოს ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფს, მაგრამ იგი, ძირითადად, გულისხმობს ხანდაზმულების (elderly) დისკრიმინაციას (იმ ასაკობრივი ჯგუფის დისკრიმინაციას, რომელსაც საზოგადოებაში ყველაზე დაბალი სტატუსი უკავია).

სტუდენტები გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებას ეიჯიზმის შესახებ. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოში ეიჯიზმი (ძირითადად, ასაკოვანი ადამიანების დისკრიმინაცია) ვლინდება ყოველთვის და ყველგან, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. დისკრიმინაცია განსაკუთრებით ეხება ხანში შესულ ქალებს, ეიჯიზმი იქცა მათი ცხოვრების თანაბრძევ პრობლემად. მათი აზრით, თუ აღრე ქართულ საზოგადოებაში ასაკოვანი ადამიანები ავტორიტეტითა და პრესტიჟით სარგებლობდნენ, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

სტუდენტი (18 წლის, გოგონა) – „ჩვენს საზოგადოებაში ეიჯიზმის პრობლემა ყოველთვის არ იყო აქტუალური. მან მკვეთრად გამოხატული ფორმა ბოლო 5 წელიწადში მიიღო. ეიჯიზმს ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე, ოჯახშიც კი. ოჯახში ეიჯიზმის კონფლიქტური შემთხვევების განმაპირობებელი მიზეზია უფროსებისა და ახალგაზრდების დირებულებებითა და შეხედულებათა განსხვავება. დღეს, როდესაც საშუალო თაობის წარმომადგენლები იშვიათად მუშაობენ, ხშირად, მატერიალური უზრუნველყოფა ახალგაზრდების პრეროგატივაა (მათი გარდაუვალი აუცილებელი მოვალეობა გახდა). ამან განაპირობა, რომ ახალგაზრდები ოჯახის ლიდერები არიან. მათ ეკუთვნით წამყვანი როლი. თუმცა, როგორც წესი, თანამედროვე ქართულ ოჯახებში მშობლები არიან ეწ. ლიდერები“.

სტუდენტი (20 წლის, გოგონა) - “ეიჯიზმის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას საქართველოში, თუ სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ ხდებოდა უფროსი თაობის მიერ უმცროსი თაობის დისკრიმინაცია, დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და უმცროსი თაობის მიერ ხდება უფროსი თაობის დისკრიმინაცია. ცვლილებები ძალიან სწრაფად მოხდა. სწორედ ამან გამოიწვია ის პრობლემური მდგომარეობა, რაც შეიქმნა. საკითხი საკმაოდ აქტუალურია.”

თავიანთ პრობლემებში ასაკოვანი ადამიანები, ხშირად, ახალგაზრდა თაობას ადანაშაულებენ. სწორედ ეს პროცესი ქმნის დაპირისპირებას ახალგაზრდა და ხანში შესულ თაობებს შორის. თავის მხრივ, ახალგაზრდებიც მიიჩნევენ, „რომ მოხუცებმა თავიანთი ცხოვრება უკვე განვლეს და მათ აღარაფერი მოეკითხებათ“.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ეიჯიზმი არსებობს არა მხოლოდ სამსახურში მუშაობისას, არამედ სამსახურში მიღების დროსაც. სტუდენტი (ვაჟი, 21 წლის) – “სამსახურში მიღების დროს უპირატესობა ენიჭება არა პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას, არამედ ასაკს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია თავად საქმისთვის“. სტუდენტი (გოგონა, 19 წლის) – “ბოლო პერიოდში, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის წარმოიშვა გარკვეული გაუცხოება და დაპირისპირება, რაც, ხშირად, კონფლიქტშიც გადადის. უფრო მეტიც, შეიმჩნევა გარკვეული მტრული დამოკიდებულება უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის, რაც, როგორც სახლში მეუბნებიან, ადრე არ იყო. ალბათ, ეიჯიზმის მთავარი მიზეზი ცხოვრების განსხვავებული ხედვაა“.

ზოგიერთი სტუდენტი ეიჯიზმთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს.

6. ჭ. (22 წლის, გოგონა) მიიჩნევს, რომ “დასავლური ტენდენციებს გავრცელებამ, ეკონომიკურმა თუ ტექნიკურმა წინსვლამ ურბანიზაციამ წინა პლანზე წამოსწია განსხვავებული დირექტულებები, მოთხოვნები საზოგადოების მიმართ. ამ ცვლილებებს ახალგაზრდები ბევრად უკეთ შეეგუვნენ და, ასე ვთქვათ, გაბატონდნენ. აქამდე უფროს თაობას პქონდა გზა სსნილი ყოველგვარი საქმიანობისაკენ. ახლა ისინი ვეღარ აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნებს. გზა უკეთ შეგუებულებს, ახალგაზრდებს, გაეხსნათ. დასრულდა ერთი თაობის სიძლიერე და დაიწყო მეორესი“.

სტუდენტი (21 წლის, ვაჟი) – “შესაძლებელია ეიჯიზმის დაძლევა, თუკი ასაკს მივუდგებით არა როგორც პრობლემას, არამედ როგორც ფაქტს. იქნებ, ეიჯიზმმა აღარც კი იარსებოს, თუკი თითოეული ჩვენგანი, როგორც მოხუცი, ისე ახალგაზრდა ეცდება დათმობას, გაგებასა და პატივისცემას, მიუხედავად ასაკისა. კონფლიქტის ძირითადი მიზეზია ძალა, რესურსები, სამართალი და სოციალური იდენტობა, აგრეთვე, განსხვავებული საკომუნიკაციო ენა“. (რესპონდენტთა მეტყველების სტილი ყველგან დაცულია).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, ძირითადად, ორი მოსაზრება გამოიკვეთა. სტუდენტთა დიდ ნაწილს (როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს) მიაჩნია, რომ საქართველოში ეიჯიზმი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორებითა და პირობებითაა გამოწვეული, მხოლოდ მცირე ნაწილის აზრით კი, ის გლობალური და ბუნებრივი, გარდაუგალი სოციალური მოვლენაა.

დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდობა გახდა ის ასაკობრივი სოციალური დირექტულება, რომელსაც უფრო აფასებენ, ვიდრე ასაკოვან ადამიანებს.

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი გ. გიდენსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ, “საზოგადოებაში, სადაც ძალიან ფასობს ახალგაზრდობა, სიცოცხლისუნარიანობა, ენერგიულობა და ფიზიკური მიმზიდველობა, ასაკოვანი ადამიანები უმნიშვნელოები ხდებიან“.\* მაგრამ ვერ დავეთანხმებით მის იმ მოსაზრებას, რომ რადგან ასაკოვანი ადამიანები საზოგადოების უფრო დიდ ნაწილს შეადგენენ, მათ უფრო მეტი პოლიტიკური გავლენა მოიპოვეს, ვიდრე ეს ადრე იყო. იგი მიიჩნევს, რომ ისინი ძლიერი პოლიტიკური ლობი არიან. ალბათ, ეს დებულება მისაღებია გაერთიანებული სამეფოს, კერძოდ ინგლისის, რეალობისთვის, მაგრამ თანამედროვე საქართველოში საპირისპირო, განსხვავებული სიტუაციაა.

გ. გიდენსი ეიჯიზმს მიიჩნევს ისეთივე იდეოლოგიად, როგორიც არის სექსიზმი და რასიზმი. არსებობს სხვადასხვა მცდარი სტერეოტიპი ხანშიშესული ადამიანების შესახებ, მაგ., თითქოს ასაკოვანი ადამიანები ნაკლებ კომპეტენტურები არიან, ვიდრე ახალგაზრდები. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსამსახურეთა (მუშავების) შრომის პროდუქტიულობა და სამსახურში ყოფნის ხანგრძლივობა, საშუალოდ, უფრო მეტია სამოც წელზე ასაკოვან ადამიანებში, ვიდრე ახალგაზრდებში.

საზოგადოებას, სადაც ასაკი წარმოადგენს ადამიანთა შეფასების მთავარ ქატეგორიას, მაიკლ იანგი და ტომ შალერი უწოდებენ „ასაკით შეზღუდულ საზოგადოებას“ (“Age-locked Society”). ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ასეთი ტიპის საზოგადოებაში ადამიანების საქმიანობას, პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებსა და იდენტობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებისა და ასაკოვანი ადამიანების სოციალურმა ჯგუფებმა უნდა ჩამოაყალიბონ ალიანსი და შექმნან უა-

\* Giddens, A. (1997). Sociology. Cambridge. Polity Press. (Original work published 1989). p. 134

საკო საზოგადოება, ე.ი. საზოგადოება ასაკის გარეშე, საზოგადოება ყოველგვარი ასაკობრივი დისკრიმინაციის გარეშე.\*

ჩვენი აზრით, თანამედროვე საქართველო “ასაკით შეზღუდული საზოგადოებაა“. ჩვენთან, როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, მთავარი ყურადღება ექცევა პიროვნების ასაკს და არა მის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პიროვნულ ნიშანთვისებებს, კომპეტენციას, გამოცდილებასა და ცოდნას.

როდესაც ვმსჯელობთ ეიჯიზმზე საქართველოში, ვგულისხმობთ არა საერთოდ ასაკობრივ დისკრიმინაციასა და ცრურწმენებს (წინასწარ შექმნილ არასწორ აზრს) ასაკობრივი ჯგუფების შესახებ, არამედ ასაკოვანი ადამიანების დისკრიმინაციას ახალგაზრდა თაობის მიერ. უფრო სწორი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ხელისუფლების იდეოლოგიამ ბევრად განსაზღვრა და ხელი შეუწყო ეიჯიზმის გაბატონებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგ. პოლიტიკაში, მეცნიერებაში, საგანმანათლებლო სისტემაში, სახელმწიფო ორგანოებში, სახელისუფლო აპარატსა და მრ. სხვ) და, ამის შედეგად, მის გამოძახილსა და გავლენას საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში (მაგ. ყოფით დონეზე). ეიჯიზმის პრობლემა ვლინდება, განსაკუთრებით, ქალების მიმართ, ყველა დონესა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

როგორც ზევით აღნიშნეთ, სტუდენტები ინტერვიუს დროს ყურადღებას ამახვილებენ არა მარტო ლოკალურ, ქართულ შიდასაზოგადოებრივ პრობლემებზე, არამედ გლობალურ საკითხებზეც.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, გარკვეულწილად, გააუმჯობესა ცხოვრება და დედამიწის მოსახლეობა მიუახლოვა “გლობალური სოფლის“ ნიმუშს. მაგრამ მშვიდობის დამყარება, სამართლიანობის გარანტია და გარემოს დაცვა – ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაჭრა მხოლოდ ტექნოლოგიით არ შეიძლება“.\*

ჯონ მასიონისი, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, აღნიშნავს, რომ ტექნოლოგიის საშუალებით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება სხვადასხვა ინფექციური დაავადება, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ადამიანები მისი მეშვეობით თავს აღწევენ მოწყენილობას. ამის შედეგად კაცობრიობას შეუძლია ბევრი პრობლემის გადაჭრა, მაგრამ ტექნოლოგია ვერ იძლევა სოციალური პრობლემებისაგან სწრაფი განკურნების რეცეპტს.

\* Young, M., and Schuller, T. (1991). The Arrival of the Ageless Society. New York p. 86.

\* Масионис, Дж. (2004). Социология. Питер. стр. 148-149.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო მეცნიერის ამ მოსაზრებას. ასევე, ის ზუსტად განსაზღვრავს იმ ახალ პრობლემებს, რომლებსაც ტექნოლოგია წარმოშობს. იგი აღნიშნავს, რომ, თანამედროვე კპოქისათვის დამახასიათებელია ისეთი პრობლემები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ვერც კი წარმოიდგენენ. მართალია, ინდუსტრიული საზოგადოებები იძლევიან მნიშვნელოვან შესაძლებლობებს პირადი თავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ხდება იმ ერთიანობის დაკარგვის ფასად, რომლითაც ადრე გამსჭვალული იყო ადამიანთა ცხოვრება.

როგორც ვნახეთ, გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება არ არის ერთგვაროვანი. არა მარტო სტუდენტები, არამედ მეცნიერებიც სხვადასხვანაირად აფასებენ მას, მის რაობას, მის მიერ გამოწვეულ დადგებით და უარყოფით შედეგებს.

გლობალიზაციის ძირითადი კონკრეტული შედეგი ისაა, რომ მან აქცია დადამიწა ზიარ ჭურჭლად, რომლის რომელიმე ცალკე აღებული ნაწილის იზოლაცია ამა თუ იმ მოცემული საზოგადოებრივი პროცესისაგან პრინციპულად შეუძლებელია. თუმცა, თვით ამ პროცესების გავრცელების სიჩქარე ფრიად არაერთგვაროვანია.\*

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გლობალიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები უდიდეს შესაძლებლობებს უქმნის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებს, აგრეთვე, მსოფლიოს თითოეულ მოქალაქეს. გლობალიზაცია შესაძლებლობებისა და გავლენების ურთულესი კომპლექსია, რომლის რაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება დიდი ზეგავლენა მოახდინოს მთელ მსოფლიოზე, ცალკეული ქვეყნების ფუნქციონირებასა და განვითარებაზე, ცალკეული ადამიანების ცხოვრებასა და ბედ-იღბალზე.

გლობალიზაციის მოვლენასთან დაკავშირებით არსებობს ორი ურთიერთგა-მომრიცხავი მოსაზრება. ერთი კონცეფციის თანახმად, გლობალიზაცია ბუნებრივი, დადებითი პროცესია და მისი შეჩერება შეუძლებელია. მეორე მოსაზრების მიხედვით, გლობალიზაცია არ წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს, იგი მიზანდასახულად იმართება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის მიერ და მას, ძირითადად, უარყოფითი შედეგები მოჰყვება.

ძალიან საინტერესოა იმ მოსაზრებების განხილვა, რომლებსაც გამოკითხული სტუდენტები გამოთქვამენ გლობალიზაციის მოვლენასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ისინი, თითქმის ყველა, საქართველოში მიმდინარე სოცია-

\* მელქაძე, ვ. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (2006). თბილისი. გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ მიერ. გვ. 9.

ლურ პროცესებს უკავშირებენ გლობალიზაციას. მათი აზრით, გლობალიზაციამ, ადამიანებს ეს გაცნობიერებული აქვთ თუ არა, ყველა ქვეყანა და პიროვნება გა-აერთიანა მსოფლიოს მჭიდრო ქსელში. გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ინოვაციურ პოტენციალზე, თა-ნამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და განვითარების შესაძლებლობებსა და უნარზე, მაღალკვალიფიციური კადრების არსებობაზე (XXI საუკუნეს “კომპეტენ-ტურობის” საუკუნეს უწოდებენ), ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვებაზე, გაფართოებასა და გაძლიერებაზე (დღეს იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრო-დუქტს წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე). აღნიშნული ფაქტორებისა და ამოცა-ნების განხორციელება ქვეყნის პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა.

გლობალიზაცია არის ერთ-ერთი საკითხი, რომლის შესახებაც განსაკუთრე-ბული ინტერესით საუბრობენ გამოკითხული სტუდენტები. მათი მოსაზრებები და შეხედულებები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მიუხედავად სხვადასხვა დამო-კიდებულებისა, ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ XXI საუკუნეში გლობალიზა-ცია, ძირითადად, მართავს ყველაფერს – ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურას, სამართალს, განათლებას, ოჯახსა და სხვ. მისით გამსჭვალულია სოციალური ცხოვრების ყველა სფერო, ყველა სეგმენტი.

სტუდენტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს რეალობის განხილვა მსოფლიო მოვლე-ნებისაგან დამოუკიდებლად. მათი აზრით, მთელი მსოფლიო, გლობალიზაციის მეშვეობით, დაკავშირებულია ერთმანეთთან და არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა (მიუხედავად იმისა, როგორია ქვეყანა: განვითარებუ-ლი, განვითარებადი თუ გარდამავალ პერიოდში მყოფი).

მართალია, სტუდენტთა შეხედულებები მრავალგვარია, მაგრამ, ძირითადად, შეიძლება გამოვყოთ მათი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ორი, ერ-თმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებათა ჯგუფი. სტუდენტთა ნაწილის აზრით, გლობალიზაცია ბუნებრივი პროცესია, რომელსაც პროგრესი და კეთილდღეობა მოაქვს როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე ცალკეული ქვეყნისა და ადამიანისთვის. გლობალიზაციას აღტერნატივა არ აქვს. მისი შეჩე-რება შეუძლებელია. გლობალიზაციის უაღტერნატივობის დასაბუთების მიზნით მათ სხვადასხვა მაგალითი მოჰყავთ. ისინი მიიჩნევენ, რომ არც ერთ ქვეყანას, თვით ზესახელმწიფოსაც კი, არ ძალუდს, ებრძოლოს ისეთ გლობალურ პრობ-

ლემებს, როგორიცაა: ნარკომანია, შიდსი, ინფექციური დაავადებები, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები, გარემოს დაბინძურება, ტერორიზმი და მრავალი სხვა. კაცობრიობის წინაშე მდგარი ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მთელი მსოფლიოს ძალისხმევით.

სამართლიანია მათი მოსაზრება, რომ XXI საუკუნე კაცობრიობის განვითარების, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნისა და გავრცელების ეპოქაა. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს წარმოების არნახულ განვითარებას, სხვადასხვა სახის ინფორმაციის სწრაფ გავრცელებასა და სხვ.

ს.ს. (№) – „გლობალიზაციის პირობებში ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიები მცირე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, განვითარების დიდი შესაძლებლობებს ქმნის. აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროსა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ეფექტური განვითარება და გამოყენება“.

ა.ი. (№) – „XXI საუკუნეში, ისევე როგორც XX საუკუნეში, კაცობრიობის წინაშე უამრავი პრობლემა დგას. განსხვავება ისაა, რომ ჩვენი საუკუნის პრობლემათა უმეტესობა გლობალური ხასიათისაა. მათი გადაჭრა მხოლოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გაერთიანებული ძალითაა შესაძლებელი. მხოლოდ ასე შეიძლება ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა, საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს, ადამიანთა ჯანმრთელობისა და კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მრავალი სხვა. რამდენადაც რთული და მასშტაბურია პრობლემები, იმდენად კომპლექსურია მათი გადაჭრის გზები, რაც მხოლოდ გაერთიანებულ მსოფლიოს ხელეწიფება“.

სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გლობალიზაციას მოაქვს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც. ის სხვადასხვა სახის საფრთხეს შეიცავს. გ.დ. (№) – „გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოები (განსაკუთრებით, პატარა სახელმწიფოები), თითქოს, კარგავენ დამოუკიდებლობას. თუ ადრე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც მისი განსაკუთრებით ეროვნული ფუნქცია, ახლა იგი მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საზოგადოების წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემა. ხშირად, ქვეყნების უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობებზე დიდ გავლენას ახდენენ რეგიონული ან მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები“.

ზოგიერთი სტუდენტის მწვავე კრიტიკასა და პროტესტს იწვევს სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხი და გარკვეული ეკონომიკური პრობლემები. აგრეთვე, კულტურათა შერწყმის პრობლემა. ლ.ლ. (№) აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პირობებში მცირე ქვეყნებს ემუქრება ეროვნული იდენტობის, ენისა და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა. ჩვენი ქვეყანაში არსებობს ბევრი ძალიან როგორც პრობლემა, რომლებსაც ჩვენი დემოგრაფიული პრობლემა ემატება. ჩვენ გვმართებს დიდი გონიერება და ძალისხმევა, რომ მომავალში არ თქვან: „აქ ოდესაც ყოფილა საქართველო...“

მართლაც, გლობალიზაცია არის მცდელობა, მოახდინოს დირებულებათა უნივერსალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, დიდ საფრთხეს შეუქმნის ქვეყნების ეროვნულ, უნიკალურ კულტურებს (განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ერების კულტურებს).

ქ. დ. (№14 – 18 წლის, გოგონა) – “ტექნიკურმა პროგრესმა საქართველოშიც, გლობალიზაციის პროცესის დახმარებით, საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი. ადამიანები უფრო დამოუკიდებელი გახდნენ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით. თუ ადრე რაიმე სამუშაოს შესრულებას რამდენიმე ადამიანის თანამშრომლობა სჭირდებოდა, XXI საუკუნეში მისი განხორციელება ერთ ადამიანს ტექნიკასთან “თანამშრომლობის” გზით უფრო ადგილად და უფრო მოკლე დროში შეუძლია“.

ა. ჭ. (№15 – 19 წლის, გოგონა) – “თანამედროვე ტექნოლოგიების დადებითი მხარე ისაა, რომ განათლება უფრო ხელმისაწვდომი გახდა. ინტერნეტი არის ყველაზე მარტივი საშუალება ცოდნის მისაღებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა თუ იყენებს მას ამისთვის“.

ნ. ბ. (№16 – 17 წლის, გოგონა) – “ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ამაღლებს განათლების დონეს“.

დღეს, ინფორმაციულ ეპოქაში, არა მარტო სოციალური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირება და მუშაობა, არამედ მათ შორის ეფექტური თანამშრომლობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული მათ მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხით.

სტუდენტები შეეცადნენ, თავიანთი თვალსაწიერიდან გაეანალიზებინათ არა მარტო სპეციფიკური ქართული საზოგადოებრივი მოვლენები და ცელილებები, არამედ გლობალური პროცესები. ისინი აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული და

სხვ. პრობლემა, რომლებიც გამოწვეულია როგორც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური, ისე ლოკალური ცვლილებებით.

სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია, როგორ საზოგადოებაში ცხოვრობენ. ისინი შეეცადნენ, ყოველმხრივ გაეანალიზებინათ თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო.

თ. ქ. (№17 – 18 წლის, გოგონა) „მე, როგორც ქართული საზოგადოების რიგითი წევრი (რა თქმა უნდა, გულშემატკივარიც) ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მისი შემდგომი განვითარების მიმართ. ვიმედოვნებ, რომ თითოეული ქართველის მცდელობა ჩვენი საზოგადოების მორალურ-ეთიკური გაჯანსაღებისაკენ იქნება მიმართული“. ხ. დ. (№22 – 19 წლის, გოგონა) “თანამედროვე ქართული საზოგადოება ყოველ წესს განიცდის ტრანსფორმაციას“. გ. გ. (№24 – ვაჟი) “დღევანდელ საზოგადოებაში კარგიც ბევრი ხდება! ვფიქრობ, რომ უფრო გაიზარდა ადამიანის შესაძლებლობები, უფრო მეტად ფასობს ცოდნა“. თ. ქ. (№27 – გოგონა) „მე მჯერა, რომ მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ოდესმე დრო თავისას იზამს და ჩვენც აღმოვჩნდებით XXI საუკუნეში, მოვიშორებთ პრიმიტიული მენტალიტების შეხედულებებს, მაგრამ არ დავკარგავთ ტრადიციებსა და ქართულ ერთობას“. ს.გ. (№ – 18 წლის, გოგონა) – “მიუხედავად რიგი პრობლემებისა, ვთვლი, რომ პესიმიზმის საფუძველი არ გვაქვს. საქართველო განვითარების გზას ადგას. იმედი მაქვს, გაუმჯობესდება ეკონომიკური გარემო, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში უთანასწორობის შემცირებას და იმ პრობლემების გადაჭრას, რაც ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული“. ხ.ზ. (№19 – წლის, გოგონა) – “იმედი მაქვს, კრიზისის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდება“. ხ.გ. (№20 – 19 წლის, გოგონა) – “ქვეყანა ნელ-ნელა მიიწევს განვითარებისაკენ“.

როგორც ვხედავთ, სტუდენტთა გარკვეული ნაწილი იმედით უყურებს ქართული საზოგადოების მომავალს, ეს ჩვენ თპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა ყოველთვის იდგა სხვადასხვა მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად.

ეს პრობლემა ზოგადსაკაცობრიო და ზოგადეროვნულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება.

XXI საუკუნის სოციოლოგიურმა პარადიგმამ მნიშვნელოვნად შეცვალა სოციალური სისტემისა და ადამიანისადმი, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და მიმართებისადმი მიღების მეთოდი. მან დღის წესრიგში დააყენა ადამიანის – სამყაროს ურთულესი ფენომენის – მრავალმხრივი, მასშტაბური და სიღრმისეუ-

ლი შესწავლა, აგრეთვე, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის კვლევა. საზოგადოება და პიროვნება სოციალური რეალობის – სოციუმის – ორი ურთიერთდაპირისპირებული და, ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებული მხარეა.

ცნობილია, რომ კაცობრიობის, ცივილიზაციის განვითარება სავსეა მრავალი დაბრკოლებითა და სიძნელით; მაგრამ თუ მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოების არსებობის, ფუნქციონირებისა და ცვლილებების ისტორიას გადავაჭლებოთ თვალს, ვნახავთ, რომ განსაკუთრებით რთული და წინააღმდეგობებით სავსეა ნებისმიერი გარდამავალი პერიოდი – ერთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის ეპოქა. განსაკუთრებით რთული, ხანგრძლივი და მტკიცნეული აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდი კომუნისტური რეჟიმიდან კაპიტალისტურ წყობამდე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა საზოგადოებისა და პიროვნების დამოკიდებულებების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა, გარკვეულწილად, ლოკალური ხასიათისაა, ის, მაინც, გლობალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რადგან ნებისმიერი ქვეყნის, საზოგადოების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ქვეყნების ფუნქციონირებასა და განვითარებასთან.

ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა ეს პრობლემა ქართული საზოგადოების განვითარების მაგალითზე, ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე, ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკიდან თავისუფალი საბაზო ეკონომიკაზე გარდა-მავალ ეტაპზე.

გვინდოდა გაგვენალიზებინა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოების სპეციფიკა, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

შევეცადეთ, წარმოგვედგინა ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის.

საზოგადოებასა და პიროვნებას შორის შემაკავშირებელ რგოლს, დამაკავშირებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სოციალური ხასიათი, რომლის ანალიზს ეძღვნება ჩვენი ნაშრომი.

თანამედროვე, XXI საუკუნემ დღის წესრიგში დააყენა დიდი გლობალური მნიშვნელობის სოციალური ამოცანის – ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორუფლებიანობის – უზრუნველყოფის საკითხი. ამ ამოცანის სწრაფ და სიღრმისეულად გადაწყვეტას განაპირობებს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური

პროცესების, სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვა გარდაქმნები.

თანამედროვე გარდამავალი პერიოდის საქართველოს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ქალთა საჯითხი, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზე დამოკიდებული იქნება ჩვენი მომავალი საზოგადოების დემოკრატიზაცია და პროგრესი.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა თანამედროვე ქართული საზოგადოების ქალთა სოციალური ხასიათი.

თუ გვინდა გავიგოთ მთელის (საზოგადოების) შემადგენელი ნაწილის არსი (პიროვნების არსი) ყურადღება უნდა გავამახვილოთ მთელზე (ე.ი. საზოგადოებაზე), რადგან ეს მთელია კვლევის ველი. \*

ვხელმძღვანელობთ რა ამ კონცეფციით, ქალთა სოციალური ხასიათის დადგენისა და ანალიზის მიზნით, სტუდენტურ ფოკუსში განვიხილეთ თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზაცია, მისი სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტი, მისოფის დამახასიათებელი ურთიერთობები და კულტურა. ასევე, სტუდენტთა და ექსპერტთა ფოკუსში გავაანალიზეთ თანამედროვე ქალების, როგორც საზოგადოების ერთერთი მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფის სხვადასხვა სოციალური მახასიათებელი, მისი სოციალური ხასიათის ტიპები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგის დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია: ტრადიციით მართული, შინაგანად მართული (საკუთარ თავზე ორიენტირებული), სხვაზე მართული სოციალური ხასიათი. სწორედ ეს ტიპოლოგია დაგვეხმარა, დაგვედგინა ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სოციალური მოაზროვნე პიერ ბურდიე სამართლიანად აღნიშნავს, რომ თეორია არ შეიძლება ჩაითვალოს დირექტულად, თუ მას ვერ ჩავაყენებთ რეალურ ემპირიულ გამოკვლევათა სამსახურში. საჭიროა ყველა სოციოლოგიური დასკვნა – ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევათა მონაცემებს ემყარებოდეს.

\* Тойнби, А. (1995). Цивилизация перед судом Истории. Москва. Издательство – Прогресс. Культура. стр. 134.

### § 3. ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე,

გარდამავალი პერიოდის საქართველოში სტუდენტურ ფოკუსში თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის ქართულ საზოგადოებაში არსებული ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესწავლისა და დადგენის მიზნით ჩავატარეთ სტუდენტთა სოციოლოგიური გამოკვლევა ფოკუს-ჯგუფის მეთოდით. ჯგუფების შერჩევის დროს გავითვალისწინეთ ფოკუს-ჯგუფის მეთოდით კვლევისათვის საჭირო ყველა პარამეტრი: ფოკუს-ჯგუფების რაოდენობა, თითოეული ჯგუფის წევრების რაოდენობა და შემაღენლობის პომოგენურობა.

სტუდენტთა შერჩევის აუცილებელი პირობა იყო მათი ინფორმირებულობა სოციოლოგიის გარკვეულ საკითხებში. შერჩეულ იქნა 4 ფოკუს-ჯგუფი. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 10 წევრისაგან. ყოველი ფოკუს-ჯგუფი იყო პომოგენური ასაკის, სოციალური სტატუსისა და განობრების დონის მიხედვით. 4 ფოკუს-ჯგუფიდან 2 იყო პომოგენური სქესისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დანარჩენი 2 კი – პეტეროგენური იმავე მახასიათებლების (სქესისა და საცხოვრებელი ადგილის) მიხედვით. I ფოკუს-ჯგუფი დაკომპლექტდა თბილისში დაბადებული 10 სტუდენტისაგან (5 გოგონა და 5 ვაჟი), II ჯგუფს შეადგენდა თბილისში დაბადებული 10 სტუდენტი გოგონა. III და IV ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაბადებული სტუდენტები (III ჯგუფი – რაიონში დაბადებული 10 გოგონა, IV ჯგუფი – რაიონში დაბადებული 5 სტუდენტი გოგონა და 5 სტუდენტი ვაჟი).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები იყვნენ თსუ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისა და სპეციალობის სტუდენტები (40), რომლებსაც შესწავლილი აქვთ გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერის დ. რისმენის სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია და ფლობენ გარკვეულ ცოდნას ტრადიციით ორიენტირებული, საკუთარ თავზე ორიენტირებული და სხვაზე ორიენტირებული სოციალური ხასიათების შესახებ, მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების შესახებ.

სანამ უშუალოდ კვლევის მონაცემებს შევეხებით, საჭიროა, მოკლედ განვიხილოთ ფოკუს-ჯგუფის მეთოდი, როგორც სოციალური ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდი განეკუთვნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. ის სიღრმისეულად შეისწავლის ჯგუფის წევრების შეხედულებებს, მოსაზრებებს,

აზრებსა და შეფასებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, გვიჩვენებს მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის წევრები რეპრეზენტატულად უნდა წარმოადგენდნენ გარკვეულ შესასწავლ ერთობას.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდით გამოკვლევის ჩასატარებლად წინასწარ ჩამოვაყალიბეთ სადისკუსიო გეგმა, რომელშიც შევიდა ის კითხვები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაისმებოდა სესიის დროს.

### **სადისკუსიო გეგმა (საგარაუდო კითხვები):**

- თქვენი აზრით, რა ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან, ზოგადად, თანამედროვე საქართველოს ქალები?
- რა ღირებულებებია მათვის მნიშვნელოვანი?
- თქვენი აზრით, რა ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან თანამედროვე ახალგაზრდა ქალები?
- გთხოვთ, დაასახელოთ ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე სტუდენტი გოგონებისათვის.
- სოციალიზაციის რომელი აგენტია მნიშვნელოვანი მათვის? (სოციალიზაციის რომელი აგენტი ახდენს ყველაზე დიდ გავლენას მათზე -ოჯახი, სკოლა, თანატოლთა წერე, მასმედია)?
- თქვენი აზრით, რომელი სოციალური აგენტი განსაზღვრავს პიროვნების სოციალიზაციას თანამედროვე XXI საუკუნეში?
- დასახელებული ღირებულებებიდან, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე ქალებისათვის: ოჯახი, მეგობრები, სამსახური (სამუშაო), თავისუფალი დრო (დასვენება, გართობა), რელიგია, პოლიტიკა.
- რომელი ტიპის სოციალურ ხასიათს მიაკუთვნებთ თქვენ თავს?
- რომელი ტიპის სოციალურ ხასიათს მიაკუთვნებთ, ზოგადად, თქვენს ახლობელ ქალებს (დედას, დას/დებს, ნათესავებს, მეზობლებს)?
- რომელი ტიპის სოციალურ ხასიათს მიაკუთვნებთ თქვენს ამხანაგებს (მეგობრებს)?
- თქვენი აზრით, რომელი სოციალური ხასიათია დომინანტური დღეგანდელ საქართველოში?
- რომელ უნივერსალურ სოციალურ ტიპს მიაკუთვნებეთ თქვენ თავს – შემზუებელს, ავტონომიურს თუ ანომიურს?

- პოლიტიკისადმი დამოკიდებულების მიხედვით რომელ ტიპს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს – ინდიფერენტულებს, მორალის მქადაგებლებს თუ „შინაგან-დოპესტერებს“?
- საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროს ანიჭებთ უპირატესობას? (გართობას – entertainment, პოლიტიკას – politics, ოჯახს – family, სკოლას – school, მეგობრებს – friends).
- ითვალისწინებთ თუ არა ვინმეს რჩევას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს? (მაგ. უძალლესში ჩაბარების, პარტნიორის, მეგობრის, მეუღლის არჩევის დროს, წიგნის წაკითხვისას, გასართობ დონისძიებებზე წასვლის დროს, ჩაცმის დროს და სხვ?).
- თუ ითვალისწინებთ, ვის რჩევას ითვალისწინებთ? (მაგ. მშობლები, და, მმა, მეგობრები, თანაბურსელები, საინფორმაციო საშუალებები, ლექტორები და სხვ. თუ ახდენენ გავლენას თქვენს გადაწყვეტილებებზე, გემოვნებაზე, შეხედულებებზე, შეფასებასა და სხვ?).
- გთხოვთ, დაახასიათოთ თანამედროვე საქართველოს ქალები (დ. რისმენის მიერ შემუშავებული სოციალური ხასიათის ტიპოლოგიის, მის მიერ დადგნილი კრიტერიუმების მიხედვით).
- გთხოვთ, განსაზღვროთ ჩვენი საზოგადოების ქალები სოციალიზაციის აგენტების იერარქია, ზოგადად (ოჯახი, სკოლა, თანატოლთა წრე, მასმედია).
- როგორია, ძირითადად, ქალების დამოკიდებულება შემდეგი დირებულებებისადმი (სოციალური ინსტიტუტებისადმი): ოჯახი, მეგობართა წრე, სამუშაო, (სამსახური, კარიერა), თავისუფალი დრო (გართობა, დასვენება), რელიგია, პოლიტიკა?

კითხვაზე: “თქვენი აზრით, როგორი არიან, ზოგადად, თანამედროვე ქართველი ქალები?” სტუდენტებმა მათ დასახასიათებლად დაასახელეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშან-თვისებები. მათი აზრით, გარდამავალი პერიოდის საქართველოს ქალებისთვის დამახასიათებელია შემდეგი დადებითი თვისებები: შრომისმოყვარეობა, პრაქტიკულობა და რაციონალიზმი, მეგობრობა, აქტიურობა, მიმტევებლობა, ლოიალობა, მოთმინება, საქმიანობა, სხვებზე მზრუნველობა, სიხალისე, თავდადებულობა, უანგარობა, მიმტევებლობა, თავდაჭერილობა, პრინციპულობა, ტაქტიანობა, სიკეთე, სიყვარული, ოპტიმიზმი, გულითადობა, ოჯახის სიყვარული, გულისხმიერება, მზაობა სხვების დასახმარებლად, თანამ-

შრომლობის უნარი, სიბეჭითე, დაძაბულობის განმუხტვა, ალტრუიზმი, რომან-ტიზმი და სხვ.

რაც შეეხება უარყოფით მახასიათებლებს, სტუდენტების აზრით, თანამედროვე ქართველი ქალებისათვის დამახასიათებელია: არამეგობრულობა, აგრესიულობა, პასიურობა, ყველაფრით უკმაყოფილება, არალოიალობა, მოუთმენლობა, მიმბაძელობა, უგოისტობა, უხალისობა, შურიანობა, პესიმიზმი, ორგულობა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ისეთ თვისებებს, როგორიცაა: ამბიციურობა, კარიერის-კენ სწრაფვა, თავდაჯერებულობა, ზოგი სტუდენტი დადებით თვისებად მიიჩნევს, ზოგი კი – უარყოფითად.

კითხვაზე: “ყველაზე მეტად რა თვისებები მოგწონთ თქვენს მეგობრებში (გოგონებში)?” სტუდენტები შედარებით განსხვავებულ თვისებებს აღნიშნავენ. მათი აზრით, თანამედროვე ახალგაზრდა ქალები არიან მიზანსწრაფულები, კარიერაზე ორიენტირებულები, სუბიექტურები, ავტონომიურები, რაციონალურები, ოპტიმისტები, საქმიანები, პუნქტუალურები, ამბიციურები, გულწრფელები, ინდივიდუალისტები, თავისუფლები, უკომპლექსოები, მიზანდასახულები, მოხერხებულები, ნიჭიერები, დამოუკიდებლები, გულგახსნილები, მაქსიმალისტები და სხვ.

კითხვაზე: “ყველაზე მეტად რა თვისებები არ მოგწონთ თქვენს მეგობრებში (გოგონებში)?” ფოკუს ჯგუფების მონაწილე სტუდენთა უმრავლესობა ასახელებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა: ინდიფერენტიზმი, მიმბაძველობა, მეშჩანობა, გაუნათლებლობა, გულქვაობა, უგულობა, პატივმოყვარეობა, სუბიექტურობა, ამპარტაგნობა, არაჟუმანურობა, იმპულსურობა, პროვინციალიზმი, უხეშობა, აგრესიულობა, ეშმაკობა, მოუთმენლობა, შურიანობა და სხვ.

როგორც ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ვხედავთ, სტუდენტები უფრო მკაცრ შეფასებას აძლევენ თავიანთ თანატოლ გოგონებს, ვიდრე, საერთოდ, ქალებს. თუმცა, საკუთარ თავზე საუბრისას ისინი ნაკლებ კრიტიკულები არია.

კითხვაზე: „რა მიგაჩნიათ პირად ბედნიერებად?“ სჭარბობს შემდგენ პასუხები: 1. კარგი ოჯახი (ქმარი, შვილები), 2. კარგი სამსახური (კარიერა), 3. მატერიალური კეთილდღეობა (მატერიალური კომფორტი), 4. წარმატება და მიღწევები, 5. მაღალი სოციალური სტატუსი, 5. უზრუნველი ცხოვრება და სხვ.

აქ ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი გოგონების უმრავლესობა თავს მიიჩნევს კარიერაზე ორიენტირებულ პიროვნებებად, ისინი პირველ ადგილზე, მაინც, ოჯახს აყენებენ. თუმცა, მათი აზრით, არც მატერია-

ლური კეთილდღეობა და მაღალი სოციალური სტატუსი არის ცხოვრებაში მეორეხარისხოვანი.

ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა სოციალიზაციის ძირითად აგენტებსა (ოჯახს, სკოლას, თანატოლთა წრესა და მასმედიას) და მათ გავლენას თანამედროვე ქართველი ქალის პიროვნების, სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა დიდმა უმრავლესობაში აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნე ინფორმაციული ხანაა და მასმედიის სხვადასხვა საშუალება (განსაკუთრებით, ინტრენტი, სოციალური ქსელები) დიდ როლს ასრულებს სოციალური ხასიათის ფორმირებული კურადღება გაამახვილებს ქალის მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციაზე თანამედროვე ქართულ ოჯახებში. ქართული ოჯახების ნაწილი კვლავ პატრიარქალურია, მაგრამ შეიმჩნევა ეგალიტარული ოჯახების რიცხვის ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახებში. გაფართოებული, პატრილოკალური ოჯახი გზას უთმობს ნუკლეარულ და ნეოლოკალურ ტერიტორიას.

რაც შეეხება სოციალიზაციის ერთ-ერთ აგენტს – სკოლას (განათლებას), სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მას ნააკლები მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქალების სოციალიზაციის პროცესში. თუმცა, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების შედარების დროს, ისინი გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ საუნივერსიტეტო განათლებას პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. რაც მთავარია, საუნივერსიტეტო განათლება, მათი აზრით, ხელს უწყობს მათ პროფესიულ და ოსტატებას, კარიერულ წინსვლას.

თანატოლთა წრეს გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მათი პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესში. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი თანატოლები – ამხანაგები, ხშირად, განსაზღვრავენ მათ ცხოვრების წესს, ურთიერთობებს, ქცევებს, გემოგნებას, ინტერესებსა და ღირებულებებს. თანატოლები ზეგავლენას ახდენენ მათი ჩატის სტილზე, ყოველდღიურ სამეტყველო ენაზე, ლაპარაკის მანერაზე, სხვადასხვა ფაქტისა და მოვლენების შეფასებაზე. განსაკუთრებით, სკოლაში სწავლის პერიოდში დიდია თანატოლების გავლენა. მათი ბევრი მეგობარი ყოფილი თანაკლასელია ან მეზობელი. ისინი ხშირად ითვალისწინებენ მათ რჩევებს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების დროს – მეგობრის, შეყვარებულის, ქმრის, პროფესიის, სასწავლებლისა და სხვა არჩევანის დროს. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სტუდენტური ცხოვრება

(განსაკუთრებით, ერთიანი სოციალური ჯგუფების არარსებობა) იშვიათად იძლევა ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებლობას. ამ პრობლემაზე ისინი გულისტკივილით ამახვილებენ ყურადღებას.

სტუდენტების აზრით, მასმედიის საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) გავლენა სოციალური ხასიათის ფორმირებაში არაერთგვაროვანია. პრესა და რადიო ნაკლებ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. კველაზე მნიშვნელოვანია ინტერნეტის გავლენა. ინტერნეტი ადამიანების ცხოვრებაში სულ მეტ დროს იკავებს. ზოგიერთი ახალგაზრდა, როგორც გოგონები, ისე ვაჟები, თანდათან დამოკიდებული ხდება ინტერნეტზე, ინტერნეტ-თამაშებზე, სხვადასხვა საკომუნიკაციო პროგრამაზე, სოციალურ მედიასა (სოციალურ ქსელებზე) და სხვ. მათ ამ დამოკიდებულების უარყოფითი მხარე გაცნობიერებული აქვთ, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავენ, უძლურები არიან, თავი დაადწიონ ამას.

სტუდენტთა ეს გულახდილი პასუხები ერთხელ კიდევ შეგვახსენებს XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნის ე. ფრომის შეხედულებას, რომ „ჩვენს კიბერნეტიზებულ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში იზრდება სიყვარული უსიცოცხლოსა და მექანიკურისადმი“. მხოლოდ სიტყვები “კიბერნეტიზებული” და “ინდუსტრიული” უნდა ჩავანაცვლოთ ტერმინებით – “კომპიუტერიზებული” და “პოსტინდუსტრიულით”, რაც ადეკვატურად ასახავს XXI საუკუნის რეალობას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქალების პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესში სოციალიზაციის აგენტებს, თავიანთი როლისა და მნიშვნელობის მიხედვით, ასეთი თანამიმდევრობა უკავიათ: ოჯახი, თანატოლთა წრე, მასმედია, სკოლა.

აღსანიშნავია, რომ ბევრი სტუდენტი სოციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად აგენტად მიიჩნევს რელიგიას, ხოლო ზოგიერთი სტუდენტი სოციალიზაციის აგენტთა იურარქიაში მას პირველ ადგილზე აყენებს.

კითხვაზე: “თქვენი აზრით, თანამედროვე ქართველი ქალების უმეტესობა რომელ უნივერსალურ ტიპს მიეკუთვნება: შემგუებელს, ანომიურსა თუ ავტონომიურს?“ სტუდენტთა პასუხები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ისინი აღნიშნავენ, რომ ძნელია, ქალები, ერთმნიშვნელოვნად, მივაკუთვნოთ რომელიმე უნივერსალურ ტიპს. ქალების უმრავლესობა არის შემგუებელი, მაგრამ თავად ეს შემგუებლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში შეიძლება იყვნენ ანომიურები, ზოგში კი – ავტონომიურები.

როგორც ნაშრომის მეორე თავში აღვნიშნეთ, შემგუებლები არიან ის ადა-  
მიანები, ვინც თავიანთი ხასიათის სტრუქტურით პასუხობენ მათი საზოგადოე-  
ბის, სოციალური ფენის ან სოციალური ჯგუფის მოთხოვნებს. ისინი შეესატყვი-  
სებიან მოცემულ კულტურას.

სტუდენტების აზრით, თანამედროვე ახალგაზრდა ქართველ ქალებს, მიუხე-  
დავად იმისა, რომ არიან, ძირითადად, შემგუებლები, აქვთ მისწრაფება, გახდნენ  
ავტონომიურები, განსაკუთრებით პირად ცხოვრებასა და კარიერაში. სამართლია-  
ნია დ. რისმენის მოსაზრება, რომ “ავტონომია” არის იდეალი, რომლის მთლია-  
ნად მიღება არასდროს არის შესაძლებელი\*. მართლაც, შეუძლებელია, საზოგა-  
დოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანი იყოს ავტონომიური, მთლიანად  
დამოუკიდებელი.

რაც შეეხება ანომიურობას, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობენ პი-  
როვნებები, რომლებიც არ სჩადიან, ზოგჯერ ან იშვიათად, დევიანტურ ქცევას.  
მაგრამ ანომიურად შეიძლება ჩავთვალოთ პიროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში,  
თუ დევიანტური საქმიანობა მისი ცხოვრების წესად არის ქცეული. თუ ამას გა-  
ვითვალისწინებთ, მათი აზრით, ანომიურთა რაოდენობა ქალებს შორის ძალიან  
მცირება.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დ. რისმენის შეხედულებას, რომ საარსებო  
საშუალებების მოპოვებისა და გადარჩენის შესაძლებლობების ძირითადი პირო-  
ბების ცვლილებები ზემოქმედებას ახდენს სოციალურ ხასიათზე.

აქედან გამომდინარე, მართებულია ზოგიერთი სტუდენტის შეხედულება,  
რომ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, შესაძლოა, შეცვალა ზოგიერთი ქალის სო-  
ციალური ხასიათი. მზეც ნებისყოფისა და გამძლეობის ქალები გახდნენ ავტო-  
ნომიურები. ხოლო ისინი, ვინც ვერ შეეგუა საზოგადოებაში მიმდინარე პროცე-  
სებს, იძულებული გახდნენ, გამხდარიყვნენ ანომიურები. ისინი სოციალიზაციის  
მსხვერპლი აღმოჩნდნენ, ვერ გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს  
და ვერ შეძლეს შეგუებოდნენ თანამედროვე, გარდამავალი საზოგადოების მოთხ-  
ოვნებს. “დამნაშავე საზოგადოების კრიტიკოსია“ – რობერტ მერტონის ეს სიტყ-  
ვები კარგად ხსნის ქალების დამნაშავეობის, დევიანტური ქცევის მიზეზებს.

სტუდენტების გამოკვლევის შედეგად დადგინდა ის ძირითადი ნიშან-თვისე-  
ბები, რომლებიც დამახასიათებელია, ზოგადად, თანამედროვე ქართველი ქალე-

\* Riesman, D. (1965). Faces in the Crowd. New Haven. Yale University Press. (Original work published 1952). p. 11.

ბისთვის, კონკრეტულად, ახალგაზრდებისთვის. სტუდენტების აზრით, ეს მახასიათებლებია: დამოუკიდებლობა, გერგილიანობა (ფხიანობა), მოხერხებულობა, საქმის დამოუკიდებლად გაძლოლის უნარი, სხვაზე/სხვებზე ორიენტირებულობა (თუმცა შესაძლოა, ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, მაგ. პროფესიისა და სამსახურის არჩევის დროს ისინი საკუთარ თავზე იყვნენ ორიენტირებულები, ხოლო ოჯახსა და ნათესაობასთან მიმართებაში, აღმსარებლობისა და სხვ. საკითხებში – ტრადიციაზე ორიენტირებულები).

ფოგუს ჯგუფების მეთოდით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არ არის რეპრეზენტატული. ის არ გამოხატავს საქართველოს ყველა რეგიონისა და ქალაქის, ყველა სოციალური ფენის, სოციალური ჯგუფისა და ასაკის პიროვნებების შეხედულებებს ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესახებ. მაგრამ ის, მეტ-ნაკლებად, ადგავატურად ასახავს რეალურ სურათს.

სასურველია, გაგრძელდეს გამოკვლევა, განსაკუთრებით, რაოდენობრივი მეთოდების – გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მკვლევართა ჯგუფის თაოსნობითა და ინტერვიუერთა დიდი რაოდენობის მონაწილეობით.

კითხვაზე: “როგორია, ძირითადად, ქალების დამოკიდებულება შემდეგი დირებულებებისადმი (სოციალური ინსტიტუტებისადმი) – ოჯახი, რელიგია, მეგობართა წრე, სამუშაო (სამსახური, კარიერა), თავისუფალი დრო (გართობა, დასვენება), პოლიტიკა – თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში?”. სტუდენტთა მიერ გაცემული პასუხების შედეგად მივიღეთ აღნიშნული დირებულებების შემდეგი იერარქია: 1. ოჯახი (I ადგილი – 33 სტუდენტი, II ადგილი – 7 სტუდენტი), 2. რელიგია (I – 4, II – 13, III – 7, IV – 7, V – 5, VI – 4). 3. მეგობრები (I – 1, II – 9, III – 19, IV – 8, V – 2, VI – 1), 4. სამუშაო /სამსახური, კარიერა/ (I – 2, II – 13, III – 10, IV – 13, V – 1, VI – 1), 5. თავისუფალი დრო /გართობა, დასვენება/ (I – 0, II – 0, III – 5, IV – 6, V – 17, VI – 12), 6. პოლიტიკა (I – 0, II – 1, III – 0, IV – 6, V – 12, VI – 21).

საინტერესოა, ეს მონაცემები შევადაროთ 1996 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კვლევას.

1996 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა კვლევა. გამოკითხული იყო 1200 რესპონდენტი. გამოკვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება შემდეგი ექვსი ძირითადი დირებულების მიმართ: ოჯახი,

სამუშაო, რელიგია, ნაცნობ-მეგობრები (“მფ-ჯგუფი”) და თავისუფალი დრო. კპლევის მონაცემებმა გვაჩვენა ღირებულებათა შემდეგი იერარქია:

- 1) ოჯახი, 2) მეგობრები, 3) სამუშაო, 4) თავისუფალი დრო, 5) რელიგია, 6) პოლიტიკა.

როგორც მკლევარი აღნიშნავს, მონაცემები არ აჩვენებს სხვაობას სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

რაც შეეხება პოლიტიკით დაინტერესებას, მონაცემები აჩვენებს, რომ კაცები უფრო არიან პოლიტიკით დაინტერესებულნი, ვიდრე ქალები. პოლიტიკით ყველაზე მეტ დაინტერესებას საშუალო ასაკის ჯგუფი ამჟღავნებს (36-55 წ.წ.).

ღირებულებათა იერარქიაში პრიორიტეტი ენიჭება ოჯახსა და მეგობრებს, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ “მფ-ჯგუფი” ადამიანისთვის მნიშვნელოვანი. \*

მართალია, ძნელია მასობრივი გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფის მეთოდის საშუალებით მიღებული მასალების ადეკვატურად შედარება-შეფასება, მაგრამ ეს გარკვეულ წარმოდგენას გვიჩნის ღირებულებათა იერარქიის ცვლილების შესახებ. თუ 1996 წლის გამოკვლევის შედეგად მეგობრების წრეს II პოზიცია ეკავა, ხოლო სამუშაოს – III, თავისუფალ დროს – IV და რელიგიას – V. 2010 წელს რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით კი, ქალებისა და სტუდენტების ცხოვრებაში. ჩვენს გამოკვლევაში რელიგიას მე-2 პოზიცია უკავია. ზოგიერთი სტუდენტი რელიგიას უფრო მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტად მიიჩნევს, ვიდრე ოჯახს. მეგობრების წრემ III ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო სამუშაომ – V-ზე. რაც შეეხება ოჯახსა და პოლიტიკას, ეს ინსტიტუტები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, იმავე პოზიციებს ინარჩუნებენ (შესაბამისად, I და II ადგილებს).

რა თქმა უნდა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდით მიღებული ინფორმაცია არ არის რეპრეზენტატული. ის ვერ და არ გამოხატავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სოციალური ფენის, სოციალური წარმომავლობის, ასაკისა და სხვ. ქალების დამოკიდებულებებს ზეგით აღნიშნული ღირებულებებისა და სოციალური ინსტიტუტების მიმართ, მაგრამ ის, გარკვეულწილად, გვაძლევს სოციალური სინამდვილის სურათს.

კითხვაზე: “სოციალიზაციის რომელ აგენტს ანიჭებენ უპირატესობას თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის ქალები?“ სტუდენტთა პასუხების მიხედვით

\* პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში (2002). ჩიტაშვილი, გ. სოციალური ცვლილება და ღირებულებები: შინაგანი რეზისტენტობა დემოკრატიისადმი. თელავი. სამოქალაქო განათლების პროექტი. გვ. 25.

შემდეგი სურათი გამოიკვეთა: 1. ოჯახი (I – 33, II – 4, III – 1), 2. მეგობრები (I – 4, II – 29, III – 15) /2. სტუდენტისათვის ოჯახსა და მეგობრებს თანაბარი მნიშვნელობა აქვს/, 3. მასმედია (I – 1, II – 2, III – 1), 4. სკოლა /განათლება/ (I – 0, II – 3). 4 სტუდენტი რელიგიას მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აგენტად, აქედან 2 სტუდენტი მას I ადგილს ანიჭებს, 2 კი – II-ს.

კითხვაზე: “ყველაზე ხშირად ვის რჩევებს ითვალისწინებთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს?” ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე სტუდენტების (4 ფოკუს-ჯგუფი, 40 სტუდენტი) პასუხები ასეთია: 1. ოჯახი (მას 22 სტუდენტი – კ.ი. გამოკითხულთა 55% – ანიჭებს უპირატესობას), 2. მეგობრები (მეგობრების რჩევებს, ძირითადად, 11 სტუდენტი – კ.ი. 27,5% – ითვალისწინებს), /რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია როგორც ოჯახის, ისე მეგობრების რჩევა. ხშირად, მათ შორის არჩევანს, თავად პრობლემა, საკითხი ან სიტუაცია განსაზღვრავს/ 3. სულიერი მოძღვარი (4 სტუდენტი – 10% – მიიჩნევს, რომ სასულიერო პირის რჩევა-დარიგებები ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის), 4. მასწავლებლები, ლექტორები (2 სტუდენტი – 5% – თავიანთი მასწავლებლებისა და, განსაკუთრებით, ლექტორების აზრს ითვალისწინებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს), 5. მასმედია (1 – 2,5%).

ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების დროს გამოიკვეთა სტუდენტების მოსაზრებები თანამედროვე საქართველოს ქალების სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხის შესახებ. მათ აღნიშნეს ისეთი სოციალური ინსტიტუტების მნიშვნელობის რიგითობა, როგორიცაა: ოჯახი, რელიგია, განათლება, სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა და მასმედია.

როგორც აღვნიშნეთ, დ. რისმენი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით გამოყოფს 3 ტიპს. ესენია: ინდიფერენტულები, მორალის მქადაგებლები და მომავალი პოლიტიკური მოვლენების განმჭვრეტელები (შინაგანი – დოპესტერები). მეცნიერი აღნიშნავს, რომ ეს ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პოლიტიკით და ინტერესების მიხედვითაც.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიების დროს სტუდენტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დ. რისმენის ამ ტიპოლოგიაზე.

ქვემოთ მოცემულია სტუდენტთა შეხედულებები ქალთა პოლიტიკური სტილის ტიპების შესახებ.

ლ. ლ. (თბილისი, ვაჟი) – “პოლიტიკა გადაწყვეტილებათა მიღების უწყვეტი პროცესია, რომელიც თითოეულ ჩვენგანზე და ჩვენს მომავალზე უდიდეს გავლენას ახდენს. პოლიტიკამ, შესაძლოა, განსაზღვროს ჩვენი დირსების საკითხიც“.

მ. გ. (გორი, გოგონა) – “დღევანდელი ჩემი თვალთახედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, უფრო თანამედროვე ინდიფერენტული ვარ, რადგან დღეს ქართული პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაშია და აუცილებელია ამ მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა, დღეს მე ამ პროცესში ჩართვა, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არ შემიძლია. მომავალში კი ამის უფრო მეტი შესაძლებლობა მექნება. ამან კი, შეიძლება, მომავალში ჩემი სოციალური ხასიათის ცვლილებაც გამოიწვიოს“.

ნ. ი. (თბილისი, გოგონა) – “ქალების (აგრეთვე, კაცების) უმრავლესობა ინდიფერენტულია. მათი ასეთი დამოკიდებულება ერთი მიზეზით არის გამოწვეული. ეს არის იმედგაცრუება პოლიტიკით, მრავალი “გაყალბებული” თუ “კარუსელჩატარებული” არჩევანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ადამიანთა აზრი სულაც არ თამაშობს როლს პოლიტიკის კეთებაში. მათი აქტიურობა დროის უბრალო კარგვაა. მაინც ყველაფერი ისე კეთდება, როგორც პოლიტიკოსები გადაწყვეტენ. ამიტომ ქართველ ხალხში ერთგვარი იმედგაცრუება გაჩნდა, ამიტომ გაჩნდნენ ინდიფერენტულები“.

ნ. ბ. (ქართლი, გოგონა) – „მე თანამედროვე ინდიფერენტულთა იმ ფრთას ვეკუთვნი, რომელიც ქართულ პოლიტიკას “დაღუპულად” მიიჩნევს. პოლიტიკა ჩემი საქმე არაა. ვთვლი, რომ დღევანდელ დღეს ქართული პოლიტიკა წმინდა წყლის “ბინძური საქმეა”, რადგან მას სრულიად არაკომპეტენტური ნაწილი ქმნის (ვინ მოთვლის, თითო თპოზიციონერი რამდენ პარტიაში იყო, ალბათ, პლურალიზმი განსხვავებულად ესმით). ცოტა გვყავს და სასწრაფოდ გვესაჭიროება შინაგანი დოკესტერები ანუ ადამიანები, რომელთაც პოლიტიკური ალლო აქვთ. არც მორალის მქადაგებლები უნდა იყვნენ ბევრნი. აი, ინდიფერენტულები კი, მგონი, უმრავლესობაში არიან.“

დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იმ თანამედროვე ინდიფერენტულებს, რომლებიც თვლიან, რომ “საქმე გადასარევადაა და მათი ჩარევა უბრალოდ ზედმეტია“, სუსტ ადამიანებად ჩავთვლი ასეთნი ძალიან ცოტანი იქნებიან, მაგრამ, ალბათ, უფრო რაიონებში, სადაც “სამთავრობო ტელევიზიები“ მოღვაწეობენ“.

ს. გ. (გურია, გოგონა) – „ჩემს რეგიონში პოლიტიკა უფრო განსჯის საგანია“.

რ. ა. – “ქალები თანამედროვე ინდიფერენტულები არიან, რადგან მათ ხელი მიუწვდებათ ყველანაირ ინფორმაციაზე, თუნდაც, ტელევიზიონით ყველა ტიპის ინფორმაცია გადაიცემა, მაგრამ მათ ეს, უბრალოდ, არ აინტერესებთ. ამასთანავე, მე ვფიქრობ, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არის „შინაგანი დოკებერი“. ისინი აკეთებენ პროგნოზირებას, რა შეიძლება მომავალში მოხდეს.

რაც შეეხება ქალის საქმიანობას პოლიტიკაში, მომავალში უფრო მეტ ქალს ვიხილავთ პოლიტიკაში“.

თ. ქ. (კახეთი, გოგონა) – „თავს ინდიფერენტულად მივიჩნევ (ქმედებით), თუმცა, აპათიაში არ ვარ გადასული. ვთვლი, რომ არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება თითოეული ქართველის ერთობლივი ძალისხმევით. რაც შეეხება, ზოგადად, ქართულ საზოგადოებას, ვთვლი, რომ ის სრულიად ინდიფერენტულია, სკეპტიკურად უყურებს პოლიტიკოსთა თითოეულ ნაბიჯს. სამწუხაროდ, ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ არსებული მდგომარეობა იმდენად ცუდია, რომ მისი გამოსწორების ნებისმიერი მცდელობა წინდაწინე მარცხითაა განწირული.

საინტერესოა, როგორ აფასებენ სტუდენტები თავიანთ თანატოლებს. შეფასებების დროს ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მათ რამდენიმე შეხედულებას.

თ. თ. (№18 – 19 წლის, გოგონა) – “ძალიან ამბიციური და მონდომებული ახალგაზრდები ტრიალებენ ჩემს ირგვლივ უნდათ, რომ მაღალ სოციალურ სტატუსს მიაღწიონ. აქვთ ლიდერული უნარები. ხშირად, ისინი ცვლილებებს დადებითად აფასებენ, რის მიმართ უფროს თაობას შეგუება უჭირს. მათ იმდენად აქვთ პრესტიჟის მოთხოვნილება, რომ არ იციან, რა მახასიათებლებით იყვნენ გამორჩეულები. ხშირად, რაიონის ახალგაზრდები გამოირჩევიან ლიდერული უნარებით, მოწადინებულობითა და პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვით“.

ნ. ბ. (№16 – 17 წლის, გოგონა) – “საჭიროა, ახალგაზრდა თაობამ გაიზიაროს პრობლემები და გაუწინდეს მათი აღმოფხვრის სურვილი“.

გ. მ. (ვაჟი, 18 წლის) – „თანამედროვე ახალგაზრდებისათვის, ეწ. „სვეცეპბისათვის“ პრიორიტეტულია კარგი ჩაცმა, მანქანა, თუ როგორ და სად ერთობა და ა.შ., არარაციონალური აზროვნება, ზედმეტად პრანქიაობა, კუდაბზიკობა, ამპარტავნობა – ადამიანების უარყოფითი თვისებები“.

ქვეომთ მოყვანილია ის ამონარიდები ინტერვიუებიდან, სადაც სტუდენტები აფასებენ ქართული მასმედიის მუშაობას.

მ. გ. (გორი, გოგონა) – „დღეს ტელევიზია თუ პრესა ნაკლებად ღირებულ პროდუქციას გვაწვდის. ჩვენ კი არ გვსურს ამ არასრულყოფილი ინფორმაციით სარგებლობა. როცა მთელი დღის განმავლობაში ერთი და იგივე ინფორმაცია ტრიალებს ყველა საინფორმაციო გამოშვებაში, ვფიქრობ, ეს აუდიტორიას უარყოფითად განაწყობს. მასმედია დღეს უარყოფით როლს ასრულებს“.

ი. ხ. (თბილისი, გოგონა) – “მასმედიამ ყველა აგენტს მნიშვნელობა დაუკარგა. XXI საუკუნე ინფორმაციისა და ტექნოლოგიების არნახული განვითარების საუკუნეა და ეს ყველაფერი, მასმედიაში განხორციელებული, დიდ როლს თამაშობს ადამიანთა და, განსაკუთრებით, ბავშვების ცხოვრებაში, რომლებიც დამოკიდებულები ხდებიან მათზე“.

“მედია მძლავრი სოციალური აგენტია, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ ფაქტებსა და მოვლენებს მისთვის ხელსაყრელ ჭრილში, იშვიათად კი, ობიექტურად განიხილავს. საბოლოო ჯამში, იგი იმას ემსახურება, რასაც არ უნდა ემსახურებოდეს. დღეგანდელი საზოგადოებისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ტელევიზია, მისი აუდიოვიზუალური მომხიბვლელობის გამო. დაიჩაგრა რადიო და პრესა, რომელიც, ყოველდღიური თანხის უქონლობის გამო, მაინც ხელმიუწვდომია. ბოლოს და ბოლოს, ტელევიზიამ შექმნა 25-ე კადრის ეფექტი, რომელიც იმორჩილებს ადამიანის ქვეცნობიერებას“.

თ. ა. (გოგონა) – “მასმედიას რაც შეეხება, სატელევიზიო გადაცემებს, ძირითადად, არ ვუყურებ. ჩემი აზრით, მისი პროგრამები ვერაფერი სახეიროა“.

დ. ყ. (სამაჩაბლო, გორი, ვაჟი) – “რეგიონებში მოსახლეობას არ შეუძლია, მიიღოს სანდო და ნამდვილი ინფორმაცია. ისინი უყურებენ მხოლოდ იმ ტელევიზიებს, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს. შესაბამისად, მოსახლეობა, ხშირად, ნათელ ფერებში აღიქვამს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს“.

ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების ძირითადი განხილვის საკითხი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იყო თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების დაღვენა სტუდენტურ ფოკუსში.

მსჯელობის დროს სტუდენტებმა გამოავლინეს თემის სიღრმისეული ცოდნა და დამოუკიდებელი ანალიზის უნარი.

მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე სტუდენტის მოსაზრებას.

ლ. ლ. (თბილისი, ვაჟი, 19 წლის) – “თავად დევიდ რისმენი აღნიშნავს, რომ მისი კლასიფიკაციით გამოყოფილი სოციალური ხასიათის ტიპები იდეალურია. აქედან გამომდინარე, ქართველი ქალის სრულიად მიკუთვნება რომელიმე ტიპი-

სადმი არასწორია, თან რთულია, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნება, დიფერენციაცია სხვადასხვა ასპექტის მიხედვით (მაგ. გეოგრაფიული განლაგება, ასაკი, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.)“.

ა. ი. (თბილისი, ვაჟი, 18 წლის) – “თანამედროვე ქართველი ქალის სოციალური ხასიათი საკმაოდ არაერთგაროვანია. მათ დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ სამივე ტიპი – ტრადიციით მართული, შინაგანად მართული (საქათარ თავზე ორიენტირებული) და სხვებზე ორიენტირებული. გასათვალისწინებელია მკვეთრი ტერიტორიული დიფერენციაცია. მე ვფიქრობ, ქალაქის მკვიდრი ქალები არიან ნაკლებად ტრადიციით მართულნი, ისინი უფრო შინაგანად მართულები არიან, რადგან შესამჩნევია, რომ თანამედროვე ქართველი ქალებისთვის უკვე აღარაა საკმარისი მხოლოდ ოჯახის მოვლა – დიასახლისის სტატუსი. უფრო ხშირად მათ უჩნდებათ სურვილი, რაღაც მეტს მიაღწიონ, თავადაც აიწყონ კარიერა და დასაქმდნენ. ეს ამბიციური, შინაგანად მართული ხასიათია. არ შეიძლება ქართველი ქალი რომელიმე კონკრეტულ ტიპს მივაკუთვნოთ. ქართველი ქალებისთვის არც მესამე ტიპის ხასიათია უცხო – სხვებზე ორიენტირებული ხასიათის ტიპი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ქალაქში, ისე რეგიონში მცხოვრებ ქალბატონებს“.

გ. ბ. (გოგონა, 18 წლის) – “სოციალური ხასიათის ამა თუ იმ ტიპის გამოვლენა მნიშვნელოვნად უკავშირდება სოციალურ გარემოს. ვარ საკუთარ თავზე ორიენტირებული. ვცდილობ, გამოვავლინო მეტი ინდივიდუალიზმი, ინიციატივა, თუმცა, ეს არ ცვლის ჩემს დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მიმართ. ძირითადად, ვეყრდნობი საკუთარ შეხედულებებს“.

თ. ქ. (კახეთი, გოგონა, 18 წლის) – “ქართველი ქალების დიდი ნაწილი ტრადიციითაა მართული, ადათები და ჩვეულებები არეგულირებს მათ ქცევებს და არსებული ნორმებიდან გადახრა უკვე ზნეობრივი პრინციპების დარღვევად მიაჩნიათ. ქალთა მცირე ნაწილი მიისწავის, იყოს შინაგანად მართული და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ იმოქმედოს. აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია ამ მხრივ არ შეიმჩნევა. ტრადიციებზე მიჯაჭვულობა აღინიშნება რეგიონებში, მაგ., ჩემს მშობლიურ კუთხეში – კახეთში, სადაც ევროპული დირექტები გვიან და მნელად აღწევს, ვიდრე ქალაქში“.

განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ სხვა სტუდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართულ საზოგადოებაში, ძირითადად, ორი ტიპის სოციალური ხასიათი ჭარბობს – ტრადიციით მართული და სხვაზე ორიენტირებული.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

6. ბ. (ქვემო ქართლი, გოგონა, 19 წლის) – “ქართული საზოგადოება, ძირითადად, ტრადიციით მართულები ვართ და, ხშირად, სხვაზე ორიენტირებულებიც. სხვებზე ორიენტირებულ პიროვნებებს – ქალებს – ხასიათს უყალიბებენ თანატოლები და თანამედროვენი. მათ ძირითად მიზანს საზოგადოებასთან პარმონიული ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს. ასეთი ადამიანები საზოგადოების ცალილებასთან ერთად იცვლიან დირებულებებს. ჩემთვის ცოტა საწყენია, რომ უფრო და უფრო სხვაზე ორიენტირებულნი ვხვდებით. ასეთი ხასიათის ადამიანები ინდივიდუალიზმის დაკარგვის გზას ადგანან და ბოლოს, შეიძლება, მასების წევრები გახდნენ. რეგიონებში მაცხოვრებელი ქალები, ძირითადად, ტრადიციით მართულნი არიან, რაც, ვთვლი, რომ რეგიონების “დახურულობითაა” გამოწვეული, ანუ სოფლის ცხოვრებაში ჯერ კიდევ ნაკლებად აღწევს დასავლური ღირებულებები და ქცევის ნორმები, ე.წ. “თავისუფალი ცხოვრების” წესი“.

ა. მ. (ქუთაისი, გოგონა, 18 წლის) – “არა მარტო ჩემს ქალაქს, ქუთაისს, არამედ მთლიანად დღევანდელ ქართულ საზოგადოებას თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ სჭარბობს ტრადიციებით მართული სოციალური ხასიათის ქალები (განსაკუთრებით ჩემი შშობლებისა და მათი წინა თაობები). თანდათან კი შემოდის ევროპული ღირებულებები, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ჯერ მზად არ არის, მიიღოს ეს ღირებულებები და იბრძვის მათ წინააღმდეგ. ჩემი ქალაქის საზოგადოებაში შეიმჩნევა სხვებზე ორიენტირებული სოციალური ხასიათის ელემენტებიც, კერძოდ, ხალხი ყოველთვის იმაზე ფიქრობს, სხვა როგორ შეაფასებს მის ქცევას, მოიწონებს, თუ უარყოფს და ა.შ.“.

სტუდენტთა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ თანამედროვე, გარდამაგალი პერიოდის საქართველოში არსებობს სამივე ტიპის სოციალური ხასიათი და არც ერთს უკავია დომინანტური მდგომარეობა.

თ. გ. (გორი, გოგონა, 19 წლის) – “თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში სოციალური ხასიათის სამივე ტიპი, უმეტეს შემთხვევაში, ერთად თანაარსებობს. მეც იმ ტიპის ქალებს მივეკუთვნები, რომლებშიც ეს სამივე ტიპია გაერთიანებული. სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული ხასიათის გამოვლენა მიწევს. ხშირად, სხვაზე ორიენტირებული ვარ და გარშემომყოფთა გავლენის ქვეშ ვექცევი.

უმეტეს შემთხვევაში, შინაგანად მართული ვარ, რაც გამოიხატება ჩემს დამოუკიდებლობასა და მიზანდასახულობაში. შიდა ქართლის, კერძოდ, გორის წარმომადგენელი ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, უმეტესობა სხვაზე ორიენტირებულია. მაგ. ჩემი კლასელები. მათზე დიდ გავლენას ახდენს სხვისი აზრი და მუდამ ფიქრობენ, სხვა რას იტყვის. ამიტომ, მათი ჩაცმის, ქცევის სტილი, ხშირად, მიბაძვით და სხვისი ყურადღებისა და მოწონების მიზნით არის განსაზღვრული. უფრო მეტად საკუთარ თავზე ორიენტირებული (შინაგანად მართული) არიან თანამედროვე საშუალო ასაკის ქალები. ისინი უფრო დამოუკიდებელნი, მიზანსწრაფულნი და “კარიერისტები“ არიან.

განსხვავებული სიტუაცია ქალაქებით, დაბებსა თუ სოფლებში. აქ ნათლად ტრადიციით მართული ქალები ცხოვრობენ, რომელთათვისაც მთავარია ოჯახი, რელიგია და მჭიდრო ნათესაური კავშირები. აქ, ასე ვთქვათ, ცივილიზაციას ჯერ კიდევ თავისი ქვალი არ დაუმჩნევია და ჯერჯერობით აქ ისევ პატიოარქიზმი დომინირებს“.

ს. გ. (გურია, გოგონა, 18 წლის) – “ჩემი აზრით, სოციალური ხასიათის ყველა ტიპი გარკვეული დოზით ყველა ადამიანშია გაერთიანებული. სოციალური ხასიათი ადამიანის ინდივიდუალობაზეცაა დამოკიდებული. თუ რეგიონებს გავითვალისწინებთ, ჩემი აზრით, იქ უფრო ტრადიციაზე ორიენტირება შეინიშნება, დიდ ქალაქებში, თბილისში, სადაც შედარებით ადგილად ვრცელდება ეგროპული ლირებულებები, შესაძლოა ქალები უფრო შინაგანად ორიენტირებულები იყვნენ, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ქართველი ქალები ჯერჯერობით მაინც ტრადიციაზე არიან ორიენტირებულნი, განსაკუთრებით, ჩემს რეგიონში – გურიაში. ჩემში, ვფიქრობ, რომ სამივე ხასიათის ტიპია შერწყმული“.

გ. მ. (თბილისი, ვაჟი) – “სოციალური ხასიათის ჩამოყალიბებას განაპირობებს ცხოვრების წესი. უნდა გავითვალისწინოთ ქალაქური ცხოვრების წესი და სოფლური ცხოვრების წესი. რაიონებში ქალების უმრავლესობა ტრადიციითაა მართული. ოჯახში მყარადაა შემორჩენილი მამაკაცის კულტი, ყველა გალდებულია, დაემორჩილოს მის აზრს. რაიონებში ქალები წარმოადგენენ სამუშაო ძალას, რომელიც აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის. ქალაქური სტილით მცხოვრები ქალების უმრავლესობისათვის (განსაკუთრებით, დედაქალაქში) დამახასიათებელია სხვებზე ორიენტაცია. ისინი ცდილობენ, მოქცენენ ისე, რომ სხვათა თვალში არ დაკარგონ პრესტიულობა (ჩემი დამოკიდებულება ამგვარი ქალ-

ბატონების მიმართ ნეგატიურია). ჩვენი საზოგადოება შინაგანად მართული ქალ-ბატონების ნაკლებობას განიცდის, თუმცა მათი რაოდენობა იზრდება“.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეხედულებები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის ქალების სოციალური ხასიათის, პოლიტიკური სტილისა და უნივერსალური ტიპების შესახებ.

Nº	ფოკუს ჯგუფის მონაწილეები	ტრადიციით მართლდი	საგეოგრაფიული თავისები	სხვაზე თორიქინგირებული	ინდივიდუალული	მორალის მქანაშეცვლი	პოლიტიკური მოვლენების უინაონაზე	იურიდიკული	ავტონომიური	ანიმიური
1.	რ. ა. (გოგონა, თბილისი)	v	v	v	v			v	v	
2.	თ. ქ. (გოგონა, კახეთი)	v	v	v	v			v	v	
3.	თ. ჭ. (გოგონა, თბილისი)	v		v	v		v	v	v	
4.	ნ. ნ. (გოგონა, რაჭა)	v		v	v			v	v	
5.	(კ. ა. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
6.	ქ. ღ. (გოგონა, შიდა ქართლი)	v	v	v	v			v	v	
7.	მ. გ. (გოგონა, გორი)	v	v	v	v					
8.	გ. მ. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
9.	თ. ჭ. (გოგონა, თბილისი)		v	v	v			v		
10.	ნ. ი. (გოგონა, თბილისი)	v		v	v			v	v	
11.	გ. ნ. (ვაჟი, თბილისი)	v		v	v			v		
12.	ს. გ. (გოგონა, გურია)	v	v	v	v			v	v	
13.	ლ. ღ. (ვაჟი, სამჩხაბლო)	v	v	v	v			v		
14.	მ. გ. (გოგონა, თბილისი)	v	v	v	v			v		
15.	ნ. დ. (გოგონა, ქუთაისი)		v	v	v					
16.	დ. ყ. (ვაჟი, სამაჩაბლო, გორი)	v	v	v	v			v	v	
17.	ს. გ. (ვაჟი, რაჭა)		v	v	v			v	v	v
18.	ნ. ბ. (გოგონა, თბილისი)	v	v	v	v			v		
19.	ა. მ. (გოგონა, ქუთაისი)	v	v	v	v	v	v	v		
20.	გ. გ. (ვაჟი, კახეთი)	v	v	v	v			v	v	
21.	მ. გ. (გოგონა, თბილისი)	v		v	v		v	v		
22.	ლ. ლ. (ვაჟი, თბილისი)	v		v	v		v	v		
23.	მ. ა. (გოგონა, თბილისი)	v	v	v	v		v	v	v	
24.	ა. ი. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
25.	მ. ნ. (გოგონა, იმერეთი)	v	v	v	v			v	v	
26.	ნ. გ. (გოგონა, თბილისი)	v		v	v			v		
27.	ა. კ. (გოგონა, იმერეთი)	v	v	v	v			v		
28.	კ. ს. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
29.	ს. ს. (გოგონა, რუსთავი)	v		v	v			v		
30.	დ. გ. (ვაჟი, რუსთავი)	v	v	v	v			v		
31.	თ. ნ. (გოგონა, კახეთი)	v		v	v			v		
32.	ნ. ნ. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
33.	ლ. ბ. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v		v	v	v	
34.	გ. რ. (ვაჟი, თბილისი)	v	v	v	v			v		
35.	ს. ხ. (გოგონა, კახეთი)	v	v	v	v			v		
36.	ნ. წ. (გოგონა, აფხაზეთი)	v	v	v	v		v	v	v	
37.	ნ. ქ. (გოგონა, თბილისი)	v	v	v	v			v		
38.	მ. ო. (გოგონა, სამეგრელო)	v		v	v			v		
39.	მ. გ. (ვაჟი, სამეგრელო)	v	v	v	v	v	v	v		
40.	თ. ჭ. (გოგონა, თბილისი)		v	v	v	v	v	v		

როგორც ცხრილიდან ჩანს, 16 გამოკითხული სტუდენტი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველოში ქალები არიან როგორც ტრადიციით მართულები (ძირითადად, რეგიონებში მაცხოვრებლების უმრავლესობა, განსაკუთრებით, სოფლად, და უფროსი თაობის წარმომადგენლები), საკუთარ თავზე ორიენტირებულები (მცირე ნაწილი; ძირითადად, თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მაცხოვრებლები და ახალგაზრდები), სხვაზე ორიენტირებულები (ძირითადად, ახალგაზრდები – თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მაცხოვრებლები).

8 სტუდენტის აზრით, გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოების ქალები, ძირითადად, ტრადიციით მართულები და საკუთარ თავზე ორიენტირებულები არიან.

6 სტუდენტი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართველი ქალების უმრავლესობა ტრადიციით მართულია, ნაწილი კი – სხვაზე ორიენტირებული.

2 სტუდენტის აზრით, თანამედროვე ქალების უმრავლესობა არის საკუთარ თავზე ორიენტირებული და სხვაზე ორიენტირებული.

მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველოში ქალთა მხოლოდ ერთი სოციალური ხასიათი არსებობს (2 სტუდენტის აზრით, – ტრადიციით მართულები, 2 სტუდენტის აზრით, – საკუთარ თავზე ორიენტირებულები). არცერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სხვაზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი არის გაბატონებული თანამედროვე საქართველოში.

დაბოლოს, შეგვიძლია შევაჯამოთ: 4 ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ (36) ტრადიციით მართული სოციალური ხასიათი დაასახელა, როგორც ქალთა ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული სოციალური ხასიათი, 32 სტუდენტმა – საკუთარ თავზე ორიენტირებული, ხოლო 26 – მა – სხვაზე ორიენტირებული.

სოციალური ხასიათის სამივე ტიპის თანაარსებობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოება იმყოფება გარდამავალ სტადიაზე, ხოლო ნებისმიერი გარდამავალი პერიოდის საზოგადოები-სათვის დამახასიათებელია სოციალური ხასიათის მრავალფეროვნება.

რაც შეეხება პოლიტიკურ სტილის სამ ტიპს, გამოკითხული სტუდენტები (30) აღნიშნავენ, რომ საქართველოში თანამედროვე ქალების დიდი უმრავლესობა, ისევე, როგორც მთელი მოსახლეობის დიდი ნაწილი (მათ შორის, სტუდენტებიც) პოლიტიკურად ინდიფერენტულები არიან (ძირითადად, ახალი ტიპის ინდიფერენტულები). 10 სტუდენტი კი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში არის პოლიტი-

კური მოვლენების განმჭვრეტელების („შინაგან – დოპესტერთა“) მცირე რიცხვი. მხოლოდ 2 სტუდენტი ასახელებს მორალის მქადაგებელს და ამ პოლიტიკური სტილის პიროვნებებად პოლიტიკოსებს მიიჩნევს.

რაც შეეხება უნივერსალურ ტიპებს, აქ შემდეგი მაჩვენებლებია: შემგუებელი და ავტონომიური ერთდროულად არის 13, მხოლოდ ერთი აღნიშნავს, რომ ის ხან არის შემგუებელი, ხან კი ავტონომიური, იშვიათად კი – ანომიური, როგორც ყველა პიროვნება. საერთოდ, 28 სტუდენტი მიიჩნევს, რომ ის არის შემგუებელი.

ცხრილიდან ჩანს, რომ ერთმანეთისაგან არ განსხვავდება გოგონებისა და ვაჟების, რეგიონში მაცხოვებლებისა და თბილისელების შეხედულებები ქალთა სოციალური ხასიათის, პოლიტიკური სტილისა და უნივერსალური ტიპების შესახებ.

#### **§ 4. თანამედროვე საქართველოს ქალების სოციალურ ხასიათთა ტიპები ექსპერტთა ფოკუსში**

ინტერვიუების დროს ექსპერტები შეეხენ თანამედროვე საქართველოში არსებულ სხვადასხვა პრობლემას, მათ შორის ქალთა ეიჯიზმსა და პოლიტიკურ აქტივობას.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასაკობრივი დისკრიმინაცია, ეიჯიზმი, მრავალ ქვეყანაში არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი უფრო ფართო მასშტაბისაა, ვიდრე რასობრივი ან გენდერული უთანასწორობა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეიჯიზმის ერთ-ერთი სახე – ახალგაზრდა თაობის მიერ ასაკოვანი ადამიანების დისკრიმინაცია – გავრცელებულია თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოშიც.

ახლა განვიხილოთ ექსპერტთა შეხედულებები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებული ეიჯიზმის პრობლემასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი ექსპერტი (მ. კ.) აღნიშნავს, რომ „ასაკობრივი – უფროსი თაობის – დისკრიმინაციას ვხვდებით ყოველი ფეხის ნაბიჯზე: იქნება ეს ტრანსპორტში, პროფესიულ საქმიანობასა თუ სხვ. უფროსი თაობა (განსაკუთრებით, ქალები) განიცდის დისკრიმინაციას. ისინი, თითქოს, ზედმეტები გახდნენ ყველგან. ზრდილობა და პატივისცემით მოპყრობა მათ მიმართ იშვიათობად იქცა. იცით, დღეს ყველას უფრო მეტი პრობლემა აქვს, ვიდრე მათი მოგვარების შესაძლებლობა.

ახალგაზრდებისაც მესმის, ისინი თვითდამკვიდრებისათვის იბრძვიან, თუმცა რა ფორმით, სხვა საკითხია: “ეიჯიზმის“ პრობლემა, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ყველგანაა“.

მეორე ექსპერტი (ხ. მ.) მიიჩნევს, რომ “ეიჯიზმი, ანუ ერთი თაობის მიერ მეორის ჩაგვრა – დისკრიმინაცია, ალბათ, ცხოვრების ყველა სფეროშია – დაწყებული პროფესიული სფეროდან, დამთავრებული პოლიტიკით. გადაჭრით იმის თქმა – რომელი თაობა განიცდის დღეს დისკრიმინაციას, რომელი არ არის. უფროსები თავს დაჩაგრულად გრძნობენ, თითქოს ფუნქცია დაკარგეს. ისინი (განსაკუთრებით, ქალები) გადიზიანებული არიან და მათი გადიზიანებაც გასაგებია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი ცდილობენ თვითმდაკვიდრებას და ამ დროს, თითქოს, ეზედმეტებათ უფროსების აზრი, მათი რჩევები, შენიშვნები და სწორედ ეს ქმნის მათ შორის უთანხმოებას.

ეიჯიზმი ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით ახალი პრობლემაა. ჩვენთან გლობალიზაცია ისე ერთნაირად შემოიჭრა ცხოვრების ყველა სფეროში, რომ გარდაული რყევები გამოიწვია საზოგადოების შიგნით, მათ შორის სხვადასხვა თაობაშიც. ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვიყავით ყოველთვის, სადაც უფროსის პატივისცემა, დაფასება, მათი აზრის გაზიარება იყო სრულიად ჩვეულებრივი, წესად ქცეული მოვლენა, ამდენად ის, რომ ეიჯიზმის პრობლემა დღეს არსებობს საქართველოში, შემთხვევითი არ არის“. (ექსპერტთა მეტყველების სტილი ყველგან დაცულია).

მესამე ექსპერტის აზრით, “დისკრიმინაციას განიცდიან უფროსი ასაკის ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, ისინი რჩებიან სამსახურის გარეშე და მორალურ უსარგებლობასთან ერთად, მათი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუსაძლისი ხდება. ვერც ერთ სამუშაო ადგილზე ვეღარ აცხადებენ პრეტენზიას, არ იღებენ კონკურსებში მონაწილეობას. მათი ცოდნა და გამოცდილება არავის აინტერესებს. მართალია, სამსახურში მოდიან ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდები, თუმცა ძველი გამოცდილებაც საჭიროა.

ეიჯიზმის გამოვლინება ოჯახებშიც შესამჩნევია. იცვლება მენტალიტები, უფროს თაობას იშვიათად სცემენ პატივს, მხოლოდ და მხოლოდ ჭადარის გამო და ესეც მცირდება.

უფროსებისადმი უპატივცემულობა შეიგრძნობა ყველგან, მათ შორის ტრანსპორტშიც.

სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმებმა განაპირობებს მათი უსამსახუროდ დარჩენა. რეფორმატორებს მიაჩნიათ, რომ ძველი კადრები, თუნდაც გამოცდილი, კადრები რეფორმას ისევ ძველი გზით წაიყვანენ“.

როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, “საქართველოში ეიჯიზმის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ. ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო პოლიტიკის გატარება „გზა ახალგაზრდებს“. ხდება ხანში შესული ადამიანების გათავისუფლება მხოლოდ ასაკის გამო. ეს მოვლენა იწვევს ხანში შესულთა დაძაბულობასა და შიშს, ზოგჯერ კი, დეპრესიას. ხდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ერთმანეთთან დაპირისპირება. თანამედროვე საქართველოში, პროფესიული თვალსაზრისით, ასაკი ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად იქცა“.

ერთ-ერთი ექსპერტი (50 წლის, ქალი) სამართლიანად მიიჩნევს, რომ “ასაკობრივი ცვლა ქვეყანაში რეგულირებული უნდა იყოს. ახლა ახალგაზრდების მიერ ხდება ძველი, გამოცდილი კადრების ჩანაცვლება. სახელმწიფო ორგანოებში თითქმის აღარ არის ძველი კადრები. ახალგაზრდები, ჩემი აზრით, მოუმზადებელი არიან. ეიჯიზმი დღეს პრობლემაა საქართველოში. დისკრიმინაციას განიცდიან საშუალო ასაკის ადამიანები“. ეს ექსპერტი პარალელს ავლებს ე.წ. შევარდნაძის პერიოდსა და ახლანდელ მდგომარეობას შორის. იგი აღნიშნავს, რომ “ეიჯიზმის პრობლემა დაიწყებს მაშინ, როდესაც შევარდნაძის პერიოდში იგრძნობოდა ახალგაზრდების დისკრიმინაცია ხანდაზმულთა მიერ, რადგან სახელმწიფო ორგანოებში მხოლოდ ძველი, გამოცდილი კადრები იყვნენ და “სიკვდილამდე“ არ თმობდნენ ადგილს. ამის შემდეგ მოხდა რეფორმა, რის შემდეგაც ძველი კადრები შეიცვალა ახალგაზრდა კადრებით, ანუ ბაბუებისა და ბებიების თაობა შეცვალა შვილიშვილთა თაობა, ხოლო მამათა და დედათა თაობა, ფაქტობრივად, უსამსახუროდ დარჩა. დღესაც შეინიშნება, რომ უფრო საშუალო ასაკის ადამიანები არიან უმუშევრები. რაც შეეხება თანამდებობაზე მყოფთა ასაკს, უმაღლესი შეიძლება 40 წლის იყოს“.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეიჯიზმი ნებისმიერ საზოგადოებაში არსებული ბუნებრივი, გარდაუვალი მოვლენაა და იგი არ უნდა მიციჩნიოთ პრობლემად.

ექსპერტი რ. გ. (55 წლის) აღნიშნავს, რომ “ეიჯიზმი არის სრულიად ბუნებრივი პროცესი და იგი მიმდინარეობდა, როგორც წარსულში, ისე დღეს და მომავალშიც და განაგრძობს “არსებობას“. იგი ვლინდება ყველგან, სადაც ორი თაო-

ბის წარმომადგენლები არიან. ეიჯიზმი გამოვლინებას პოულობს ლირებულებებში, ცხოვრების სტილსა და ინტერესებში. დისკრიმინაცია არ ხდება ერთი რომელიმე თაობის მიერ განუწყვეტლად. ანუ, რაღაც დრომდე უფროსი თაობა ახდენს უწვროსი თაობის დისკრიმინაციას. ეს საკითხი პრობლემური არის მხოლოდ იმიტომ, რომ უფროს თაობას უჭირს სადაცების ხელიდან გაშვება და ამ ფაქტს ძალიან მწვავედ განიცდიან. მას დაემატა ისიც, რომ საქართველოში ბოლო დროს ეს ცვლილებები ძალიან სწრაფად განხორციელდა. მაგრამ ეს არ წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. ეიჯიზმი გლობალური პროცესია და ის ბუნებრივად მიმდინარეობს.”

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეიჯიზმი დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნისათვისაცაა (თუ არა ყველასთვის) დამახასიათებელი, მაგრამ იქ ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობის კონცენტრი მდგომარეობა ნორმალურია, სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ კარგი პენსიონ, რაც განაპირობებს მათ დირსეულ არსებობას.

ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პირობებს, არამედ იმ სულიერ-მორალურ ატმოსფეროსაც, რომელშიც ადამიანებს უწევთ ცხოვრება. ასაკი ასაკოვანი ადამიანებისათვის მხოლოდ მაშინ ხდება პრობლემა, როდესაც ისინი საპენსიო ასაქს აღწევენ და ნებაყოფლობით უწევთ უარის თქმა საარსებო წყაროსა და საყვარელ საქმეზე, მაგრამ მათი განცდები მწვავე და მტკიცნეულ ხასიათს იღებს, როდესაც ეს ხდება არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით. განსაკუთრებით მძაფრია მათი განწყობები, როდესაც უჩნდებათ ე.წ. „უსარგებლობის“, „უფუნქციობისა“ და ხვალინდელი დღის შიში.

ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს სისტემური, ზნეობრივი მიდგომა და პოლიტიკა ასაკოვანი ადამიანების პრობლემების მიმართ.

საგულისხმოა, ექსპერტების მოსაზრებები თანამედროვე ქალების, მათ შორის, სტუდენტი გოგონების, პოლიტიკური აქტიურობის შესახებ.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველოს ქალების უმრავლესობა პოლიტიკურად ინდიფერენტულია. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ 2 სახის ინდიფერენტიზმზე – ტრადიციულსა და ახალზე. საქართველოში ძველი ტიპის პოლიტიკური ინდიფერენტიზმი გავრცელებულია ტრადიციით მართულ

---

ექსპერტთა მეტყველების სტილი ყველგან დაცულია.

ჯგუფებში, ძირითადად, რაიონებში (განსაკუთრებით, სოფლად) მცხოვრებ ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. ეს შემდეგი მიზეზებით შეიძლება აიხსნას: დაბალია მათი საერთო განათლება (განსაკუთრებით, პოლიტიკური), არ არიან ინფორმირებულები (ბევრ მათგანს არ მიუწვდება ხელი პრესაზე, რომელიც, შედარებით, ობიექტურია; ხოლო სატელევიზიო არხები რეალური სიტუაციის შელამაზებულ სურათს ხატავენ; ინტერნეტი კი იქ დიდ იშვიათობას წარმოადგენს), არა აქვთ ორგანიზაციული გამოცდილება და, რაც მთავარია, მათ ამისთვის საჭირო დროც კი არ გააჩნიათ (მთელი მათი ყოველდღიური საქმიანობა ოჯახება და საკარმიდამო მეურნეობაში მძიმე შრომით შემოიფარგლება). მათთვის დამახასიათებელია ატიტუდი, რომ პოლიტიკა არ არის მათი საქმე.

რაც შეეხება ახალი ტიპის ინდიფერენტულ ქალებს, მათი რიცხვი, ტრადიციულ, კლასიკურ ინდიფერენტულებითან შედარებით, მნიშვნელოვნად დიდია. მათ გააჩნიათ სათანადო ცოდნა და პოლიტიკური წიგნიერება, ინფორმაცია და ორგანიზაციული გამოცდილება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი, მაინც, არ იჩენენ პოლიტიკურ აქტიურობას, არ ერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში.

როგორც დ. რისმენი აღნიშნავს, თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდი ორ შემთხვევაში შეიძლება იყოს ინდიფერენტული: 1. როდესაც, პიროვნების აზრით, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია ნორმალურია და მას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ მას შეუძლია, პოლიტიკურად ინდიფერენტული იყოს. 2. როდესაც, პიროვნების აზრით, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია იმდენად არეულია, რომ მის ქმედებას შედეგი არ მოჰყება.

ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველოს ქალების უმრავლესობის ინდიფერენტიზმის საფუძველს წარმოადგენს ისეთი ინდიფერენტიზმი, რომლის მიზეზი არის მათი პესიმისტური დამოკიდებულება ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. ხშირად, ასეთი ინდიფერენტიზმი აპათიაში გადადის. ქალების გარკვეული ნაწილი (მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია), თავიანთი ინდიფერენტიზმის მიზეზად ქვეყნაში არსებულ წარმატებულ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობას მიიჩნევს.

რაც შეეხება შინაგანად ორიენტირებულ ქალებს (ისინი თანამედროვე ქალების უმრავლესობას წარმოადგენენ დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში), მათ მიღრეცილება აქვთ, იყვნენ “მორალის მქადაგებლები“. როგორც თითქმის ყველა შინაგანად ორიენტირებული ადამიანი, ისინი, ძირითადად, სამუშაოთი (სამსახურით) არიან დაკავებულები. ასეთი ტიპის ქალები პოლიტიკასაც ისეთივე

სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან, როგორც შრომით საქმიანობას. თუ ისინი პოლიტიკურ საქმიანობაში ერთვებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვან თავიანთი კანონიერი ინტერესები. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვების მიმართაც.

სხვაზე ორიენტირებული ქალები არიან, ძირითადად, შინაგანი დოპესტერები – ისეთი პიროვნებები, რომლებიც აანალიზებენ და წინასწარ განჭვრებებს მომავალ პოლიტიკურ მოვლენებს. თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკურ საქმიანობაში. ასეთი ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ, ძირითადად, არ შეუძლიათ, რაიმე შეცვალონ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. მათ ხელეწიფებათ მხოლოდ მისი გაგება. პოლიტიკა მათთვის არის ჯგუფური შეგუების (კონფორმულობის) მიღწევის საშუალება. მათ პოლიტიკისადმი არ გააჩნიათ ემოციური დამოკიდებულება.

ექსპერტების აზრით (ეს მათი მოსაზრება ემთხვევა დ. რისმენის შეხედულებას), მორალის მქადაგებლები და შინაგანი დოპესტერები, ერთობლიობაში, განათლებული ქართველი ქალების უმრავლესობას წარმოადგენენ. მაგრამ მათი წილი როგორც მთელ მოსახლეობაში, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში მცირეა.

საინტერესოა ექსპერტების შეხედულება ახალგაზრდა ქალების, კერძოდ, სტუდენტი გოგონების პოლიტიკური მრწამსის, პოლიტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ზოგიერთი ექსპერტი თანამედროვე ახალგაზრდას “მდუმარე თაობას” უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე, XXI საუკუნის ქართველ სტუდენტებს აქვთ სათანადო პოლიტიკური ცოდნა-განათლება, ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას არა მარტო ადგილობრივი, არამედ გლობალური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ და შეიარაღებულები არიან სხვადასხვა პოლიტიკური საშუალებით. ისინი პოლიტიკური პასიურობით გამოირჩევიან. სტუდენტების უმრავლესობის აზრით, „პოლიტიკა მათი საქმე არ არის“. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ მათი უპირველესი ამოცანა არის განათლების მიღება და “კარიერის გაკეთება“, შემდეგ კი, თავად ცხოვრება განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ ინტერესებს“. ასეთი სტუდენტების ინდიფერენტულობა პოლიტიკისადმი, ზოგჯერ, აპათიაში გადადის.

გამოკითხული ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სტუდენტების მხოლოდ გარკვეული რაოდენობაა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს

საზოგადოების ყველაზე აპოლიტიკური ნაწილი. ისინი აღნიშნავენ, რომ ასეთი სტუდენტებისათვის დამახასიათებელია აპათია და პოლიტიკური ინდიფერენციზმი.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გავრცელებული შეხედულება სტუდენტთა აპოლიტიკურობისა და ინდიფერენციზმის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. სტუდენტების გარკვეულ ნაწილში, არსებობს გარკვეული პოლიტიკური ვნებათა-დელვა (მდელვარება). მაგრამ ეს სტუდენტები, ე.წ. “შინაგან ემიგრაციაში” იმ-ყოფებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ახლა მხოლოდ პოლიტიკური მომზადებისა და არა პროტესტის გამოხატვის დროა. ექსპერტთა ეს ნაწილი აღნიშნავს, რომ იზ-რდება სტუდენტთა პოლიტიკური შეგნებულობა, სოლიდარობა და ორგანიზებულობა. ამან კი, შესაძლოა, სათავე დაუდოს ახალ ახალგაზრდულ მოძრაობასა და პროტესტს.

ამჟამად კი, სტუდენტთა ძალიან მცირე რაოდენობა გამოხატავს პროტესტს საერთო დემოკრატიული და სოციალური ხასიათის მოთხოვნებით. ისინი გამოდიან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების დასაცავად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ექსპერტთა შეხედულებები და შეფასებები სტუდენტთა პოლიტიკური აქტიურობის შესახებ შეიძლება დავყოთ 4 ურთიერთგამომრიცხავ ჯგუფად: 1. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, “სტუდენტები აპრიორულად იდებენ იმას, რასაც მთავრობა სთავაზობს მათ. სტუდენტების უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლებას, მის მიერ გატარებულ რეფორმებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, განათლებისა და სხვ. სფეროებში). ამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზები სტუდენტთა სერიოზული მასობრივი პროტესტისათვის.

2. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე სტუდენტობის უმრავლესობა აპოლიტიკურია. ახალგაზრდების აზრით, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვ. მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ მათ პოლიტიკურ აქტიურობას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. მათი ეს ინდიფერენციზმი, ხშირად, აპათიაში გადადის.

3. ექსპერტთა მესამე ჯგუფი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სტუდენტების ნაწილი პოლიტიკურად აქტიურია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყოველწარივ ცდილობს, ხელი შეუშალოს ახალგაზრდული ოპოზიციის პროგრე-

სულ მოძრაობას, მათი პროტესტი უახლოეს პერიოდში გარკვეულ შედეგებს მოიტანს.

4. სტუდენტების პოლიტიკური ორიენტაციების შეფასების დროს განსაკუთრებით კრიტიკულები არიან ექსპერტები A და C. მათი აზრით, სტუდენტების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური და სოციალური ინფანტილიზმი, იდეური მოუმწიფებლობა.

ნებისმიერი საზოგადოების ცივილური ყოფიერებისა და მისი განვითარების დონის მაჩვენებელია ქალების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვ. მდგომარეობა.

გამოკითხული ექსპერტების უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოში ქალების უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა გაუარესდა, განსაკუთრებით კი, როგორც თავად ქალები აღნიშნავენ, გაუსაძლისი გახდა მათი ეკონომიკური პირობები. ამის შედეგად, მკვეთრად გაიზარდა როგორც შიდამიგრაციის, ისე ემიგრაციის პროცესები, რომლებიც, ძირითადად, შეეხმ ახალგაზრდა და ასაკოვან ქალბატონებს. არასახარბიელო ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია სხვადასხვა რეგიონის ქალების თავმოყრა (საცხოვრებლად და სამუშაოდ) საქართველოს დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით, თბილისში. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. აქ გაჭირვებამ ბაზრებსა თუ ბაზრობებზე, ქუჩებსა და საერთო ბინებში ერთმანეთს შეახვედრა და დაუკავშირა სხვადასხვა რეგიონის ქალები – განსხვავებული სოციალური გამოცდილებისა და ასაკის, განათლებისა და სოციალური სტატუსის, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის, ოჯახური სტატუსისა და სოციალური ხასიათების მქონე ქალები, რომლებმაც, ძირითადად, თავის თავზე აიღეს ოჯახის რჩენა, შვილებისათვის განათლების მიცემის მძიმე ტვირთი.

ამ გეოგრაფიულმა მობილობამ დააჩქარა ქალაქური ცხოვრებისადმი მათი ადაპტაცია, ზოგჯერ, ასიმილაციაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის რეალური შეგუება ახალი ცხოვრების წესისადმი. ეს უფრო “კვაზი კონფორმულობაა” ანუ “ფსევდოშეგუებაა”. ამჟამად, თბილისში მცხოვრები ეს ქალბატონები მარგინალური კულტურის წარმომადგენლები არიან. ისინი მოწყდნენ თავიანთ ფუძეს, ძველ, ჩვეულ, სოციალურ-კულტურულ გარემოს და ჯერ კიდევ ვერ ეზიარნენ და ვერ გაითავისეს ახალი დირებულებები და ქცევის ნორმები. ისინი ცდილობენ თვითრეალიზაციასა და თვითდამკვიდრებას დიდი ქალაქებში, მაგრამ ეს ძალიან როული და ხანგრძლივი პროცესია.

რაც შექება სოციალურ ხასიათს, ეს ქალები, ძირითადად, თავის თავზე ორიენტირებულები არიან, თუმცა, მათ შორის მრავლადაა ტრადიციით მართული. სხვაზე ორიენტირებულები აქ იშვიათად გვხვდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქალები, რომლებზეც მათ ყურადღება გაამახვილეს, ძირითადად, შემგუებლები არიან, რადგან შეძლეს, მეტ-ნაკლებად, შეგუებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლილ ეკონომიკურ პირობებს, თუმცა, მათი ცხოვრებიდან გამომდინარე, ისინი ინდიფერენტულები არიან პოლიტიკური პროცესების და კულტურული მოვლენების მიმართ.

ახალგაზრდობა, კერძოდ სტუდენტობა, შემგუებელი აღმოჩნდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების მიმართ. ექსპერტების აზრით, ამ ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფში სხვებზე ორიენტირებული ხასიათი თანდათან უფრო იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით, თანატოლებთან ურთიერთობის დროს. თუმცა, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში ისინი არ არიან სხვაზე ორიენტირებულები. გარკვეულ სფეროში (მაგ. სწავლა-განათლება, სამსახური) ისინი თავის თავზე არიან ორიენტირებულები), ხოლო სხვა სფეროებში (მაგ. ოჯახი, ნათესაობა, რელიგია) ისინი ტრადიციით მართულები არიან.

ასეთია, მოკლედ, ექსპერტთა შეხედულებები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში არსებული პრობლემებისა და ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესახებ.

## § 5. ქალთა ისტორიები

ტრანსფორმაციულ საქართველოში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, პოლიტიკური და სხვ. მდგომარეობის გაცნობისა და მათი სოციალური ხასიათის ტიპების დადგენის მიზნით, შევისწავლე ქალთა ისტორიები (50 ამბავი), მოთხოვთ ფონდის „დია საზოგადოება-საქართველო“ ქალთა ეროვნული პროგრამის კონკურსის – „რაიონში მაცხოვრებელ ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა“ – მონაწილეობა მიერ.

ქალთა ისტორიებში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებზეც მათი ავტორები განსაკუთრებით ამასვილებენ ყურადღებას. ქალთა ისტორიებში განხილულია თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველო-

ში, კერძოდ კი, რეგიონებში (უმთავრესად, სოფლებში) არსებული სხვადასხვა პრობლემა: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, მიგრაცია, ოჯახური ძალადობა, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის (ჰიგიენის) დაცვის საკითხები და სხვ.

ქალთა ისტორიების ავტორთა დიდი უმრავლესობა რეგიონებში ცხოვრობს და ქარგად იცნობს იქ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვ. მდგომარეობას. ეს ნათლად ჩანს მათ მიერ მოთხრობილ ამბებში.

ქალბატონები დაწვრილებით აანალიზებენ მათ რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოში არსებული რთული და მძიმე ეკონომიკური ვითარება ყველაზე მეტად ვლინდება ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

ქალთა ისტორიების ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევა, რასაც მოჰყვა მოსახლეობის დიდი ნაწილის უმუშევრობა და გაჭირვებული ყოფა. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა სოფლად. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, სოფლის მოსახლეობა უფრო მძიმე პირობებში იმყოფება. თითქმის არ მუშაობს ფაბრიკა-ქარხნები, დაკეტილია ორგანიზაციებისა და საწარმოების, ბაგა-ბაღებისა და ბიბლიოთეკების უმრავლესობა. სოფლის მეურნეობაც ნელა ვითარდება. მართალია, სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გადაეცა მიწა კერძო საკუთრებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ არა აქვს კუთვნილი მიწის დამუშავების საშუალება. „სოფლის მეურნეობა, შესაბამისი ტექნიკისა და მატერიალური სახსრების უქონლობის გამო, თემის განვითარების ნაცვლად, მოსახლეობის თვითგადარჩენის რეჟიმში მუშაობს“ (№12 – ახალციხის რაიონი), „ტექნიკის არარსებობა მხოლოდ ოჯახისათვის სამყოფი მოსავლის მოყვანის საშუალებას იძლევა“ (№3 – ბოლნისის რაიონი, სოფელი ხატის სოფელი). ავტორების აზრით, სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. საქართველოში შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ძირითადად, სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი დააზარდა, ვინც მხოლოდ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ამარადარჩა. ზოგიერთ რაიონში მდგომარეობას ართულებს ათასობით ლტოლვილთა ნაკადი.

ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებების შედეგად, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლად მაცხოვრებელი ქალების უმრავლესობა. ადრე დასაქმებულ ქალთა დიდი ნაწილი ახლა უმეშევარია. ბევრი ქალის საქმიანობად მხოლოდ დიასახლისობა იქცა, რის გამოც ისინი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორდნენ.

რეგიონებში ქალების დასაქმება (უმუშევრობა) დიდ სოციალურ პრობლემად იქცა. ქალების უმეტესობა საკარმიდამო მეურნეობაში მუშაობს. მცირეა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ პირთა წილი. „სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობა საკმაოდ მძიმე და აუტანელი შრომის ფასადი ირჩენს თავსა და ოჯახს. სამწუხაროდ, მათი შრომის ანაზღაურება არ არის მაღალი და, შესაბამისად, ნაკლებ ეფექტურია. მათ ხშირად უწევთ მუშაობა როგორც საკუთარ, ასევე, სხვების ნაკვეთებზე, კერძო მეწარმეთა ვენახებსა და ზვრებში, დაბალანაზღაურებად და ქალის ორგანიზმისათვის მძიმე სამუშაოზე, დაქირავებულ მუშებად, რაც, ბუნებრივია, დაღს ასვამს მათ ჯანმრთელობას. ეს, ასევე, მეტად მძიმედ აისახება მომავალი თაობის აღზრდაზე“ (№7 – თელავის რაიონი, სოფელი რუისპირი), ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სოფლად, ფიზიკურად ყველაზე მეტად ქალები არიან დატვირთულები. ხშირად, მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან უმაღლესი განათლების მქონე ქალები, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი ნიჭის, შრომისა და ენერგიის გამოყენება პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. უმუშევრობა, არსებული მძიმე ყოფითი პირობები ბევრ ქალს (ისევე, როგორც მამაკაცებს) აიძულებს, სამუშაოს საძებნელად ქვეყნის დიდ ქალაქებს (განსაკუთრებით, თბილისი) მიაშუროს. ქალების არცთუ მცირე ნაწილი სამუშაოდაა წასული საზღვარგარეთ, სოფლის ბევრი მკვიდრი მუშაობს (ან კრიმინალურ საქმიანობაშია ჩართული) საბერძნეთში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, იტალიასა და სხვ., სადაც ისინი, ძირითადად, მათი განათლებისა და სოციალური სტატუსის შეუფერებელ ადგილებზე მუშაობენ. მიგრაციის გამო ხშირად ირდვენა ოჯახები, რაც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს მომავალ თაობაზე – შვილებზე. მიგრაცია აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოში. „მამაკაცების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ერთი ნაწილი კი აქ, დაუსაქმებლობის გამო, აზარტული თამაშების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ტყვეობაში უქვევა“ (№5 – გურჯაანის რაიონი, სოფელი ჩუმლაყი).

მიგრაციასა და დევიაციასთან ერთად, ქალებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს გენდერული ასიმეტრია, ადრეული ქორწინება, ეიჯიზმი და ინფორმაციული ვაკუუმი, რაც ხელს უშლის მათ ჩართვას რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ თუ არ მოხდა დროული და ადეკვატური რეაგირება რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შესაძლოა, ქართული სოფლები დაიცალოს ახალგაზრდებისაგან, რადგან სოფლად არ არსებობს შრომისა და თავისუფალი დროის გატარების, გართობა-დასვენების პირობები.

ქალთა ისტორიების ავტორები აღნიშნავენ, რომ „უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ქვეყანაში არსებული როგორც ბუნებრივი, ასევე ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტური რეალიზება“ (№13 – ტეიტულის რაიონი, სოფელი საწირე).

ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რომლის მოგვარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მცხოვრები ქალებისათვის, არის ოჯახური ძალადობა. ამ საკითხზე მსჯელობს ქალთა ისტორიების ბევრი ავტორი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (მაგ. ქახეთი, ქართლი, სვანეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო, მცხეთა-მთიანეთი და სხვ.). ისინი აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, ოჯახური ძალადობა ძალიან გავრცელებული სოციალური მოვლენაა, თუმცა, ძალზე ძნელია ამგვარი ფაქტების გამომჟღავნება, რადგან მათ საზოგადოებისაგან ან საგულდაგულოდ მალავენ, ან, გამოაშკარავების შემთხვევაშიც კი, არ ხდება მათზე სათანადო რეაგირება.

როგორც ავტორები მიუთითებენ, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ფიზიკური აგრესია, რასაც ქმრები ავლენენ ცოლების მიმართ. ასევე, არსებობს შვილების მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტები. სშირია, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ძალადობისა (ქალის მუდმივი კონტროლი, ეჭვიანობა, მამაკაცური პრივილეგიების გამოყენება, ქმრის დიქტატი, საკუთარი მშობლებისა და მეგობრებისაგან იზოლაცია, მუქარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დედამთილის ან მულის უარყოფითი როლი ცოლ-ქმრის ურთიერთობაში და სხვ.) და ეკონომიკური ძალადობის ფაქტები.

სშირად, ოჯახურ ძალადობას არ მიიჩნევენ დანაშაულად. საზოგადოება პასიური და გულგრილია ასეთი ფაქტების მიმართ. სვანეთის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სვანეთში თავად დაზარალებულის ოჯახისა და გვარის დიდ სირ-

ცხვილად მიაჩნიათ ძალადობის ფაქტების გახმაურება. მათთვის ეს ტაბუდადებული თემაა. უფრო მეტიც, „ქალების უმეტესობა ვერ აცნობიერებს, რომ ისინი ძალადობის მსხვერპლნი არიან, იმდენად არიან მიჩვეულნი ამ ფაქტებს“ (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). ისინი ნაკლებად რეაგირებენ ასეთ დევიანტურ ქცევაზე და შემწყნარებლები არიან მოძალადების მიმართ. ზოგჯერ, თავად ქალებიც ხდებიან მოძალადები ოჯახის სხვა წევრების (მაგ. რძლების) ან ბავშვების მიმართ.

ქალთა ისტორიების ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ოჯახური ძალადობა არ არის მხოლოდ იმ ოჯახის პრობლემა, სადაც ეს ძალადობა ხდება. ეს არის ზოგადსაზოგადოებრივი სოციალური პრობლემა. მას დიდი ზიანი მოძებს არა მარტო ძალადობის მსხვერპლთათვის, არამედ ოჯახის სხვა წევრებისთვისაც, განსაკუთრებით, მოზარდი თაობისათვის. „სავალალოა, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ოჯახური ძალადობა. ძირითადად, ძალადობის მსხვერპლნი არიან ქალები, აგრეთვე, ბავშვები. ძალადობის ფონზე იმსხვრევა ბავშვების მომავალი“ (სამეგრელო). „ძალადობა არის კომპლექსური პრობლემა, რომელიც შედგება ინფორმაციული, პოლიტიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მხარეებისაგან“ (გურია). ოჯახურ ძალადობას სავალალო შედეგი მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის, რადგან ის აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ქალთა ისტორიების ავტორების აზრით, პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია ინდივიდუალურად, ცალკეული პირების მიერ. საჭიროა მთელი საზოგადოების ძალისხმევა, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, სამართალდამცავი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედინის გააქტიურება. აუცილებელია, აგრეთვე, ადამიანის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ძალადობის ფაქტებზე, ტრეფიკინგზე საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა კი, თავად ქალების გააქტიურება, საკუთარი უფლებების დაცვა.

ბოლო პერიოდში ოჯახური ძალადობის მასშტაბისა და სიხშირის გაფართოების მიზეზია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ფსიქოლოგიური დაბაძულობა, აგრესიულობა, ადამიანთა მიერ თავიანთი არასრულფასოვნებისა და „უსარგებლობის“ შეგრძნება, საკუთარი ინტერესებისა და უნარების რეალიზაციის შეუძლებლობა, ცვალებადი პირობებისადმი ადაპტაციის უუნარობა, მარგინალიზაცია. განათლების დაბალი დონე განაპირობებს სამოქალაქო ცნობიერების დაბალ დონეს.

**დასკვნა.** ქალთა ისტორიებმა (ამბებმა) მოგვცა მდიდარი მასალა თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში (ძირითადად, რეგიონებში) ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების დასადგენად. როგორც მათი ცხოვრების სტილის შესწავლამ გვიჩვენა, ისტორიების ავტორების უდიდესი უმრავლესობა საკუთარ თავზე ორიენტირებული ქალია.

მიუხედავად მათ შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა (სხვადასხვა ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური სტატუსი, წარმომავლობა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური ჯგუფები, ეროვნება, აღმსარებლობა, ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, განათლება, კულტურა და სხვ.), მათ ლიდერული თვისებები აქვთ და ცვლილებებზე ორიენტირებულები არიან. მათი ძალისხმევა და მოქმედება განსაზღვრულია შინაგანი მოტივაციითა და პრინციპებით, მიმართულია ზუსტად განსაზღვრული მიზნებისაკენ. ისინი ის-წრაფიან საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისათვის. ქალთა ისტორიების ავტორები ცდილობენ, აქტიურად ჩაებან მათი რეგიონების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წამოიწყონ ბიზნესი, რითაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობენ არა მარტო საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ სხვა ქალების, განსაკუთრებით, შეჭირვებულების, საარსებო პირობების გაუმჯობესებას. ისინი აქტიურად ეხმარებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს. ბევრი მათგანი ცდილობს, დააფუძნოს არასამთავრობო ორგანიზაციები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარების, იურიდიული საკონსულტაციო სამსახურები. მათი მიზანია რეგიონებში მივიწყებული ხელობებისა და ყოფითი ტრადიციების (კერვა, ქსოვა, ქარგვა, თექაზე მუშაობა) შესწავლა, განვითარება, აღორძინება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა (№45 – ლაგოდეხის რაიონი). ავტორების აზრით, რეგიონებში აუცილებელია „უფლებამოსილებითი“ (*empowering education*) განათლების ცენტრების შექმნა.

ქალთა ისტორიების ავტორების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყონ რეგიონის ქალების დასაქმებას, ინფორმირებულობას, ოჯახური ძალადობისაგან დაცვას, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მათ ჩართვას. მათი ამოცანაა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

ქალთა ისტორიების ავტორების დიდ ნაწილს აქვთ საპუთარ თავზე ორიენტირებული ხასიათისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშან-თვისება. ისინი არიან აქტიურები, ამბიციურები, მიზანდასახულები, რაციონალურები, თავის თავში დარწმუნებულები, კარიერაზე ორიენტირებულები, ინიციატივიანები, საქმიანები, დისციპლინირებულები, მობილიზებულები, მიზანსწრაფულები, მობილურები, მატერიალისტები, ცვლილებებზე ორიენტირებულები, რისკიანები, დამოუკიდებლები, კრიტიკულად მოაზროვნები და სხვ.

როგორც ქალთა ისტორიების ანალიზმა გვიჩვენა, რეგიონებში (განსაკუთრებით, სოფლად) ქალების მდგომარეობა ძალიან მძიმეა. საერთო უმუშევრობის ფონზეც კი, ბევრად უფრო დაბალია ქალთა დასაქმება. ისინიც კი, ვინც დასაქმებულია, ხშირად, ქალისთვის შეუფერებელ, ძალიან მძიმე შრომას ეწევიან. ქალები, ზოგჯერ, გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლი არიან. რაიონებში, ისევე, როგორც დიდ ქალაქებში, გავრცელებულია ეიჯიზმი (განსაკუთრებით, ხანშიშესული ქალების დისკრიმინაცია იმ სამსახურებშიც კი, სადაც მათი გამოცდილება აუცილებელი და მნიშვნელოვანია). მათ ეკონომიკურ სიდუხჭირეს ართულებს მათი არაინფორმირებულობა ადამიანის უფლებების, გენდერული თანახურობის შესახებ, დაუცველია მათი ჯანმრთელობაც. ბოლო პერიოდში მიგრაციამ ფართო მასშტაბი მიიღო. სოფლებს (აგრეთვე, რაიონულ ცენტრებს), სამუშაოს საძებნელად, უამრავი ადამიანი ტოვებს. მათ შორის ბევრია ახალგაზრდა ქალი, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თვითრეალიზაცია და თვითდამკვიდრება დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ.

სოფლად მცხოვრები ქალების დიდი უმრავლესობა, მათი ცხოვრების სტილით, არის ტრადიციით მართული. ისინი დამოკიდებულები არიან, ძირითადად, თავიანთ ოჯახებზე (ეკონომიკურად, ფსიქოლოგიურად, მორალურად და სხვ.), როგორც ნებისმიერი ტრადიციაზე ორიენტირებული ხასიათის მქონე პიროვნება, ისინიც მისდევენ ტრადიციებს, მათი ქცევები რეგულირებულია გარედან, ტრადიციული კულტურული ნორმებით, მჭიდრო ნათესაური კაგშირებით, რელიგიით, წეს-ჩვეულებებით. ტრადიციით მართული ქალების ტიპები ნიშანია კონფორმულობა მათი წრისადმი, ჯგუფის ეთიკისადმი. მათ ქცევას აკონტროლებს და არეგულირებს რელიგია, ოჯახი, რომელიც არის გაფართოებული, პატრიარქალური და პატრილოკალური. მათი სოციალიზაციის ძირითადი აგენტია ოჯახი. მათთვის დამახასიათებელია პასიურობა, მინიმალური სოციალური და ინდივიდუალური მობილობა, ხელისუფლების სტრუქტურებისადმი მორჩილება.

რაც შეეხება სხვაზე მართულ სოციალურ ხასიათს, ის იშვიათად გვხვდება რეგიონებში (განსაკუთრებით, სოფლად), რადგან იქ არ არსებობს მისი ჩამოყალიბებისათვის საჭირო და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვ. პირობები.

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებულია ახალი, ცვალებადი სოციალური სიტუაციისადმი რეგიონის მოსახლეობის (კერძოდ, ქალების) ადაპტაციის უნარი და ხარისხი. სწორედ კონფორმულობა განაპირობებს სოციალური ხასიათის ტიპს. როგორც წესი, ქალებმა, რომლებიც არიან ტრადიციით მართულები (ტრადიციაზე ორიენტირებულები), ვერ შეძლეს ძველი ცხოვრების სტილის შეცვლა, პატრიარქალური ურთიერთობების დაძლევა, ახალი, XXI საუკუნის შესატყვისი გენდერული სტანდარტების ათვისება, საკუთარი უფლებების დაცვა, ინფორმაციული ვაკუუმის დაძლევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა (ეს პრობლემები, განსაკუთრებით, არაქართველ მოსახლეობას აწუხებს. მისთვის პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე, სახელმწიფო ენის – ქართული ენის არასაფუძვლიანი ცოდნა). ამიტომ, ბევრი მათგანი აღმოჩნდა გარიყელი და შეავსო მარგინალთა რიგები. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რეგიონში მცხოვრები მამაკაცებიც. მათ შორის იმატა ანომიური ტიპების რიცხვმა. მამაკაცები, ძირითადად, არიან ტრადიციაზე ორიენტირებულები, ახალი ან ძველი სტილის პოლიტიკური ინდიფერენტულები, აგრეთვე, შემგუებლები. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქალები უფრო არიან საკუთარ თავზე ორიენტირებულები, ვიდრე მამაკაცები. საკუთარ თავზე ორიენტირებული ქალები (მათ შორის, ქალთა ისტორიების ავტორები) ავლენენ ინიციატივას, დამოუკიდებლობას. მათთვის დამახასიათებელია დასახული მიზნებისა და ამოცანებისაკენ სწრაფვა და მათი განხორციელება. თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების წარმატება დამოკიდებულია არა მარტო შრომასა და ნიჭზე, არამედ შეგუებისა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარზე. სწორედ ამ თვისებებით ხასიათდებიან რეგიონებში მცხოვრები საკუთარ თავზე ორიენტირებული ქალები (განსაკუთრებით, ქალთა ისტორიების ავტორები), რომლებიც ახალ ვითარებაშიც კი ახერხებენ თვითონეალიზაციასა და თვითდამკვიდრებას. მათ აქვთ საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი თვისებები: დამოუკიდებლობა, გერგილიანობა, მოხერხებულობა, პრაქტიკულობა, საქმის გაძლიერება, დამუშაოსადმი შემოქმედებითად მიღვომის უნარი. მათ აქვთ მოქნილი ხასიათი, ეგუებიან მუდმივად ცვალებად სიტუაციებს. ისინი არიან მგრძნობიარები სხვების მოლოდინებისა და უპირატესობათა მიმართ, ცდილობენ, დაიმსახურონ სხვების

მოწონება. ამ მახასიათებლების გამო ისინი, გარკვეულწილად, სხვაზე ორიენტირებულებიც არიან.

რეგიონებში სხვაზე ორიენტირებული ქალების (აგრეთვე, კაცებიც), რაოდჯნობა მცირება. ისინი, ძირითადად, დაკავშირებული არიან დედაქალაქთან (სწავლობენ ან მუშაობენ თბილისში) და ცდილობენ, თავიანთი ცხოვრების სტილი შეუსაბამონ ახალ ვითარებას.

რეგიონში მცხოვრები ქალების დიდი უმრავლესობა არის პოლიტიკურად ინდიფერენტული (მათი უმეტესობა არის ძველი სტილის ინდიფერენტული, ხოლო მცირე ნაწილი კი – ახალი სტილის) და შემგუებელი. აღსანიშნავია, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალები უფრო შემგუებლები აღმოჩნდნენ ახალი, ცვალებადი პირობების მიმართ. ხშირად ისინი ოჯახის მარჩენალის ფუნქციასაც კი ასრულებენ, რაც იწვევს მათი სოციალური სტატუსის ამაღლებას.

საქართველო დაადგა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას, ტარდება გარკვეული რეფორმები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა, კანონმდებლობა, სასამართლო და სხვ. თანამედროვე ქართული კანონმდებლობა აღიარებს ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ ჯერ კიდევ შეინიშნება გენდერული ასიმეტრია.

\* \* \*

სხვადასხვა სოციოლოგიური მეთოდის საშუალებით (ტრიანგულაციური მიდგომით) ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს ქალთა სხვადასხვა სოციალური ხასიათის ტიპებისათვის.

ქვემოთ მოცემულია ეს ტიპები:

**ტრადიციით მართული  
(ტრადიციაზე ორიენტირებული)  
თანამედროვე ქართველი ქალი**

- ❖ მისღებს ტრადიციებს
- ❖ ქვევები ზუსტადაა რეგულირებული გარედან ტრადიციული კულტურული ნორმებით, სტანდარტებით, შეიძრო ნათესაური კავშირებით, რელიგიით
- ❖ რელიგიის დიდი ზეგავლენა
- ❖ კონფორმულობის მაღალი ხარისხი
- ❖ ტრადიციების ერთგულება
- ❖ ხელისუფლების სტრუქტურებისადმი მორჩილება
- ❖ სოციალიზაციის ძირითადი აგენტი – ოჯახი
- ❖ გაფართოებული ოჯახი
- ❖ პატრიარქალური ოჯახი
- ❖ პატრილუკალური ოჯახი
- ❖ სახლი არის მისი „ციხე-სიმაგრე“
- ❖ მინიმალური სოციალური მობილობა
- ❖ მინიმალური ინდივიდუალობა
- ❖ მკაფიოდ განსაზღვრული სოციალური როლები
- ❖ პოლიტიკაში ინდივერგნტული
- ❖ შემგუებელი
- ❖ მასმედის საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის უკრიტიკოდ მიმღები.

ტრადიციით მართული სოციალური ხასიათი, ძირითადად, დამახასიათებელია რეგიონებში, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.

ტრადიციით მართული არის საშუალო და ასაკოვანი ქალების დიდი უმრავლესობა.

ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილია ტრადიციაზე ორიენტირებული.

**საკუთარ თავზე ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
თანამედროვე ქართველი ქალი**

- ❖ პიროვნული მობილობის ზრდა
- ❖ მიზანდასახულობა და მიზანსწრაფვა
- ❖ წინასწარ განსაზღვრული მიზნები და ამოცანები
- ❖ გრძელვადიანი ცხოვრებისეული მიზნები
- ❖ სწრაფვა კარიერისაპარ
- ❖ თვითდამყიდვებისა და თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა
- ❖ სოციალიზაციის პროცესი უფრო ხანგრძლივია
- ❖ ოჯახი – მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი სოციალიზაციის აგენტი
- ❖ განათლების (სკოლის, უმაღლესი განათლების) – მასოციალოზებული როლის გაზრდა
- ❖ განათლებისკენ სწრაფვა
- ❖ მასმედია სოციალიზაციის ერთერთი აგენტი
- ❖ საქმიანი, გერგილიანი, ლიდურული თვისებები
- ❖ შექნილი სტატუსი, პიროვნების შეფასება მისი საქმეების მიხედვით
- ❖ რაციონალიზმის, თვითდისციალინის მაღალი მოთხოვნები
- ❖ ნაკლებად განიცდის ასაკობრივი ჯავაზის გავლენას
- ❖ მეგობრების წრე მკაცრადაა განსაზღვრული სოციალური ჩარჩოებით
- ❖ პიროვნების სტაბილურობა
- ❖ შედარებითი დამოუკიდებლობა სხვების შეხედულებებისაგან
- ❖ ბავშვებისადმი მაღალი მოთხოვნები
- ❖ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა
- ❖ აღზრდის მიზანი – თავშეგავება, ხასიათის სიმღლავრე და ინიციატივის გამომუშავება
- ❖ საჭებით მოულოდნელი როლები
- ❖ რაციონალიზაცია
- ❖ ოჯახის იერარქიული სტრუქტურა
- ❖ ძირითადად, გაფართოებული ოჯახი
- ❖ პატრიარქალური ოჯახი
- ❖ რელიგიის დიდი მნიშვნელობა
- ❖ ძირითადად, პოლიტიკურად ინდივერგნტულები
- ❖ მცირე ნაწილი – „მორალის მქადაგებლები“
- ❖ ძირითადად, შემგუებლები
- ❖ ისწრაფვიან აგზონომიურობისაქნ.

**სხვაზე ორიენტირებული  
თანამედროვე ქართველი ქალი**

- ❖ მგრძნობიარენი სხვების მოლოდნებისა და უპირატესობათა მიმართ
- ❖ თანატოლები და თანამედროვენი წარმოადგენენ ორიენტაციის წყაროს
- ❖ მისი ხასიათი ყალიბდება მისი თანატოლებისა და თანამედროვების მაგალითზე, ისინი ახლებენ მათზე ზეგავლენას
- ❖ პორბლებას წარმოადგენენ სხვა ადამიანები და არა მატერიალური გარემო
- ❖ ისწრაფვის, პარმონიული ურთოვობა დამყაროს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან
- ❖ სურვილი, დაიმსახუროს მათი მოწონება და სიყვარული, დაემსგავსოს მათ
- ❖ ადვილად და ხშირად იცვლის თავის შეხედულებებს, თუ იცვლება საზოგადოებრივი აზრი
- ❖ მოქნილი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ შეეგუოს მუდმივად ცვალებად სიტუაციას
- ❖ მშობლების როლი კიდევ უფრო სუსტდება
- ❖ სოციალიზაციის პროცესში თანატოლთა ძალიან მნიშვნელოვანი როლი და ზეგავლენა
- ❖ ქცევის შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავს თანატოლთა წრე და მასმედია
- ❖ მასმედიას (განსაკუთრებით, ინტერნეტის, სოციალური ქსელების) დიდი ზეგავლენა, მათზე დამოკიდებულება
- ❖ მცირერიცხოვანი ოჯახი (ნუდლებური ტჯახები)
- ❖ ეგალიტარული და ნეოლოკალური ოჯახების რაოდენობის გაზრდა
- ❖ სახლი ადარ არის „ციხე-სიმაგრე“
- ❖ სოციალიზაციის ხანგრძლივი პროცესი.
- ❖ ინდივიდუალისტები
- ❖ მის ღირებულებებსა და ქცევებს განსაზღვრავენ მისი სოციალური ჯგუფები
- ❖ ინფორმაციის დიდი მოთხოვნლება
- ❖ რაციონალური მიზნები
- ❖ ავტორიტეტებისაგან განთავისუფლება
- ❖ სტანდარტიზაცია
- ❖ მთავარია არა ცოდნა და წარმატებები, არამედ ჯგუფის მოთხოვნილებისადმი შეგუების უნარი, ადამიანებით მანიპულირება

**საკუთარ თავზე ორიენტირებული  
(შინაგანად მართული)  
თანამედროვე ქართველი ქალი**

- ❖ პიროვნული, საკუთარი მისიის შეგრძნება
- ❖ დამოუკიდებლობისაკენ მიღრეცილება
- ❖ სხვების ქცევაზე საკუთარი შეხედულებების, წარმოდგენების შესაბამისად რეაგირება
- ❖ ნაკლებად კურადღებიანი სხვა ადამიანების გრძნობებისადმი
- ❖ ნაკლებად განიცდის ასაკობრივი ჯგუფის გავლენას
- ❖ აღზრდის მაღალი ავტორიტარიზმი
- ❖ პიროვნების რიგიდობა (ურყევობა)
- ❖ საკუთარი თავის კონტროლი
- ❖ პასუხისმგებლობის შეგრძნება
- ❖ ტრადიციული „შინაგანი პრინციპები“

საკუთარ თავზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი დამახასიათებელია, ძირითადად, დიდ ქალაქებსა და რეგიონებში მცხოვრები ქალებისათვის, როგორც ახალგაზრდებისათვის, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის.

**სხვაზე ორიენტირებული  
თანამედროვე ქართველი ქალი**

- ❖ აღზრდაში დაბალი ავტორიტარიზმი
- ❖ გონივრული დისციპლინა
- ❖ პიროვნების მოქნილობა
- ❖ პირად ურთიერთობებში ემოციურ ფაქტორებზე ორიენტაცია
- ❖ ასაკობრივი ჯგუფი ქმნის ქვეყნის, მოთხოვნილებებისა და შეხედულებების სტანდარტს, ჩატიმისა და მეტყველების სტილს, მანერას
- ❖ ტოლერანტობისა და კეთილგანწყობის ნიღაბი
- ❖ თანატოლთა ძალაუფლება, გავლენა უფრო დიდია, ვიდრე უფროსების
- ❖ პირადი წარმატება
- ❖ შემგუებელი
- ❖ პოლიტიკაში ინდიფერენტულები.

სხვაზე ორიენტირებული ხასიათი დამახასიათებელია, ახალგაზრდა ქლებისათვის (აერძოდ, კარიერაზე ორიენტირებულებისათვის).

## დასკვნა

სოციოლოგიური ცოდნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სოციოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. ნებისმიერი კვლევის მიზანია, გარკვეულ თეორიაზე დაყრდნობით, რელევანტური მეთოდების გამოყენებით და სწორად განსაზღვრული პროცედურების საშუალებით მივიღოთ სოციალური რეალობის ობიექტური სურათი და მოვახდინოთ მასზე რეფლექსია.

დ. რისმენის თეორია, მისი სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია საფუძველი გახდა ჩვენ მიერ სოციოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად. გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა და დაგვეგძინა ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს გარკვეული ტრანსფორმაციული პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ძირეულ ეკონომიკურ ცვლილებებთან – წარმოების პროცესები თანდათან გზას უთმობს მომხმარებლურ პროცესებს. მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად იცვლება პოლიტიკური, კულტურული, სამართლებრივი და სხვ. პირობები. პირობების შეცვლა კი განაპირობებს შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. ეს პროცესი არის ძალიან ხანგრძლივი და, ამასთანავე, როცენი.

საზოგადოების ტიპის ცვლილებასთან ერთად, იცვლება სოციალური ხასიათი, რადგან ნებისმიერი საზოგადოება აყალიბებს ისეთ სოციალურ ხასიათს, რომელიც განაპირობებს მის ფუნქციონირებასა და განვითარებას. მართალია, სოციალური ხასიათი დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა პირობებზე, მაგრამ იგი უფრო მეტი მდგრადობით გამოირჩევა, ვიდრე თავად საზოგადოება.

ისევე, როგორც ქართული საზოგადოების გადასვლა თვისებრივად ახალ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაზე ძალიან ნელა და ძნელად მიმდინარეობს, ასევე ნელა ხდება ახალი სოციალური ხასიათის – სხვაზე ორიენტირებული ხასიათის ჩამოყალიბება. ახლა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობაზე შეიძლება ლაპარაკი და არა შედეგზე. შესაბამისად, იცვლება ქალების, როგორც ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის, სოციალური ხასიათი. მაგრამ ეს ცვლილება განსაკუთრებით ნელა, არათანამიმდევრულად და უსისტემოდ მიმდინარეობს.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე საქართველოში, ერთდროულად თანაარსებობს ქალთა სოციალური ხასიათის 3 ტიპი: ტრადიციით მართული (ტრადიციაზე ორიენტირებული), შინაგანად მართული (თავის თავზე ორიენტირებული) და სხვაზე მართული (სხვებზე ორიენტირებული). რთულია იმის თქმა, რომ გარდამავალი პერიოდის ქართულ საზოგადოებაში სოციალური ხასიათის რომელი ერთ ტიპია დომინანტური. ეს გარკვეულწილად, სოციალური სტრუქტურის შემადგენელი ელემენტების დიდი მრავალფეროვნებით არის განპირობებული.

კვლევის შედეგების გაანალიზების დროს ჩვენ ვეყრდნობით არა მარტო სტუდენტებსა და ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფის მეთოდით მიღებულ ინფორმაციას, ქალთა ისტორიებს, არამედ ჩვენს პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას – როგორც ჩვენი საზოგადოების, სხვადასხვა სოციალური ერთობისა და ჯგუფის რიგითი წევრის, ასევე როგორც პედაგოგისა და ლექტორის გამოცდილებას. ჩვენ, როგორც სოციალურ აქტორს, ურთიერთობები გვაქვს სხვადასხვა ასაკის, სქესის, სტატუსის, წარმოშობის, განათლების, კულტურის, აღმსარებლობის, ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვ. ადამიანებთან. ეს ურთიერთობები ხდება ყოველდღიურად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს ოჯახში, ნათესავ-მეგობრებთან, მეზობლებთან, ნაცნობებთან, კოლეგებთან, თანამშრომლებთან შეხვედრები და ურთიერთობები, თუ კონტაქტები თეატრებში, კონცერტებზე, ქუჩაში, მაღაზიებში, ბაზრობასა თუ ბაზარში.

მეთოდი, რომელიც ჩვენ თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოში ქალთა სოციალური ხასიათის ტიპების შესასწავლად ვიყენებდით რამდენიმე წლის განმავლობაში, წარმოადგენდა ჩართულ, გაუმჯდავნებელ დაკვირვებას. ეს მეთოდი მე, როგორც სოციოლოგს, ადეკვატურად მიმაჩნია ჩვენი კვლევის ჩასატარებლად.

რატომ ჩართული დაკვირვება? როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენ თავად გართ ჩვენი საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური სისტემის აქტორი და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრი. ამან კი შესაძლებლობა მოგვცა (ჩვენი პროფესიული თეორიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით), დავკვირვებოდით ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს. ჩვენმა პიროვნულმა სოციოლოგიურმა ხედვამ განაპირობა, აგრეთვე, საკითხის შესწავლა და გაანალიზება.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე საქართველოში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სამართლებრივი ცვლილებები. ქალების უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანებისთვის, მნელი აღმოჩნდა ახალ, თვისებრივად შეცვლილ საზოგადოებასთან ადაპტაცია. მათ გაუცხოებას ამბაფრებს მათი მძიმე ეკონომიკური და მორალური მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანისთვის უფუნქციოდ დარჩენა (ისინი გარიყელები აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა სფეროებიდან, რაც შეიძლება აიხსნას ტოტალური უმუშევრობით). საზოგადოების შესამჩნევი პრობლემა გახდა ეიჯიზმი – ასაკობრივი დისკრიმინაცია, რომელიც ყოველთვის იყო დამახასიათებელი ნებისმიერი საზოგადოებისათვის; მაგრამ ის, ძირითადად, გამოიხატებოდა უფროსი თაობის მიერ ახალგაზრდა თაობის დისკრიმინაციაში. ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი იყო უფროს-უმცროსობის, უფროსი თაობის დაფასებისა და პატივისცემის ტრადიცია. სამწუხაროდ, ახლა ჩვენს საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა უფროსი თაობის დისკრიმინაციამ (ამაზე გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა ამახვილებს ყურადღებას. ჩემი აზრით, სტუდენტთა დაინტერესება და შეშფოთება ამ პრობლემით დადგებითი მოვლენაა). ეიჯიზმის პრობლემას ვხვდებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე, დაწყებული ყოველდღიური ურთიერთობით და დამთავრებული სახელმწიფო პოლიტიკით.

ქალების უმრავლესობისათვის მნელი აღმოჩნდა ტრადიციულ შეხედულებებზე, ღირებულებებსა და ქცევის ნორმებზე უარის თქმა, ახლის მიღება და გათვალისწინება. მათ ამ რეზისტენტობას (წინააღმდეგობას) ამბაფრებს შეცვლილი სოციალური ურთიერთობები.

ზემოთ აღნიშნული ქალებისათვის, მათი მახასიათებლებისა და ნიშან-თვის სებებიდან გამომდინარე, ძირითადად, დამახასიათებელია ტრადიციული სოციალური ხასიათი, იშვიათად კი – საკუთარ თავზე თრიენტირებული.

იმ ქალებისათვის, რომლებმაც შეძლეს შეგუება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პირობებთან, დამახასიათებელია საკუთარ თავზე თრიენტირებული სოციალური ხასიათი.

ახალი თაობის ქალები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განსხვავებულ სოციალურ ხასიათს ამჟღავნებენ. თანატოლებთან ურთიერთობის დროს დომინანტურია სხვაზე თრიენტირებული სოციალური ხასიათი, სამსახურ-

ში, ძირითადად, – საკუთარ თავზე თრიენტირებული, ხოლო ოჯახსა და ნათესა-  
ვებთან მიმართებაში, რელიგიის სფეროში ისინი, ხშირ შემთხვევაში, ტრადიცია-  
ზე თრიენტირებულები არიან.

ჩვენს ქვეყანაში ერთდროულად მიმდინარეობს ცვლილებები ეპონომიკაში,  
კლასობრივ სტრუქტურასა და სულიერ სამყაროში. ეს ცვლილებები რთული და  
მტკიცნეულია და წარმოშობს წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს.

აღსანიშნავია ე. ფრომის შენიშვნა: „თუ სოციალური წყობა ყურადღებას  
არ აქცევს ან არღვევს ადამიანის ძირითად მოთხოვნილებებს, მაშინ ასეთი სა-  
ზოგადოების წევრები შეეცდებიან, შეცვალონ საზოგადოებრივი წყობა, რომ ის  
თავიანთი ადამიანური მოთხოვნილებების შესაბამისობაში მოიყვანონ. თუ მისი  
შეცვლა არ ხერხდება, მაშინ ასეთი საზოგადოება, ალბათ, კრახს განიცდის,  
თვითგანადგურებისა და სასიცოცხლო ძალების არარსებობის გამო“.\*

მართალია, ერთი საზოგადოებრივი წყობიდან – კომუნისტური წყობიდან  
მეორეზე – ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა ბუნებრივი, აუცილებელი  
პროცესია და მას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ საზოგადოებამ (განსაკუთ-  
რებით, ხელისუფლებამ) უნდა შეძლოს ტრანსფორმაციული პერიოდის თანმდევი  
სოციალურ-ეპონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების რეგული-  
რება.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალ პერიოდში მომხდარი ცვლილებები ზე-  
გავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებზე,  
არამედ ქართული სოციუმის თითოეულ წევრზე, მის პირად ცხოვრებაზე. შეიძ-  
ლება თამამად ითქვას, რომ ადამიანები უფრო მტკიცნეულად განიცდიან ტრან-  
სფორმაციულ პროცესებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ხანგრძლივი და არათანა-  
მიმდევრულია. თანამედროვე ეკონომიკურმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა, სამარ-  
თლებრივმა და კულტურულმა გარდაქმნებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს თა-  
ნამედროვე საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა.  
ახალ სოციალურ-ეპონომიკურ ცვლილებებს მთელი ქვეყანა, ზოგადად, და, კერ-  
ძოდ, მისი მოქალაქეების უმეტესობა ეკონომიკურად და სულიერად მოუმზადებე-  
ლი შეხვდა.\*

\* Фромм, Э. (1992). Душа Человека. Из плена иллюзий. Москва. Издательство «Республика». стр. 332.

\* ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში. (2009). სტატია – მერაბიშვილი, ე. მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარება როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელო-  
ვანები პირობა. გამომცემლის „უნიკურსალი“. გვ. 114.

გარდამავალ პერიოდში საქართველოში განვითარებული პროცესების შედეგად ქვეყნის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყერება: მდიდრები – 5%, შეძლებულები – 10%, საშუალოდ უზრუნველყოფილები – 10%, ნაკლებად უზრუნველყოფილები – 20%, ღარიბები – 45% და ღატაკები – 10%. როგორც ვხედავთ დარიბთა, ღატაკო და სიდარიბის რისკის ზონაში მყოფთა ხედრითი წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენს დაახლოებით 85%-ს.\*

ზემოთ მოყვანილი მონაცემები არასახარბიელოა. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ გარდამავალი პერიოდისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სილარიბის მასშტაბისა და სიღრმის ზრდა. მაგრამ, ადსანიშნავია, რომ თითოეული ამ მაჩვენებლის უკან დგანან ოჯახები, ადამიანები, სოციალური ჯგუფები, თვისებრივად შეცვლილები და რაოდენობრივად შემცირებულები.

ტრანზიცია გახდა არა მარტო ყოფიერების ნამდვილი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ იდეოლოგიაც, რომელიც ამართლებს პოსტ-კომუნისტური ხელისუფლების ყველა მარცხს, აგრეთვე მიღიონობით ადამიანის გატანჯულ მდგომარეობას.\*

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმციულმა ცვლილებებმა შედარებით გააუარესა საქართველოს ქალების უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, განსაკუთრებული დადი დაასვა მათ უოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები (განსაკუთრებით, ე.წ. საშუალო ფენის სხვადასხვა ასაკის ქალბატონები, პოლიტიკოსები, მენეჯრები, ბიზნესმენები და ა.შ. –ახალგაზრდები, მათ შორის, სტუდენტები და სხვ. წარმატებულები არიან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იმედია, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება უახლოეს მომავალში. იგივე მოსაზრება აქვს გამოკითხულ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები მკვეთრად გააუმჯობესებს არსებულ სოციალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პირობებს. ამას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალთა საკითხის მიმართ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკას.

გამოკვლევამ დაადასტურა დ. რისმენის შეხედულება, რომ რეალურ ცხოვრებაში არც ერთი პიროვნება არ არის მხოლოდ ერთი სოციალური ხასიათის.

\* მასალები აღებულია ქურნალიდან „სოციალური ეკონომიკა“, (2006), №2.

\* Sabedashvili, T. (2002). Women in the decade of transition: the care of Georgia. Tbilisi (Publishing House "Legă"). გვ. 7.

სოციალური ხასიათის ტიპები, როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავდა, შეიძლება იდეალურადაც მივიჩნიოთ, რადგან ისინი რეალურისთვის ტიპურია, მაგრამ წმინდა სახით არსად არსებობს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ ქალთა სოციალური ხასიათის შესწავლა არ საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ნებისმიერ მეცნიერებაში, მათ შორის სოციოლოგიაში, დასკვნები, როგორც წესი, არასდროს მიიჩნევა საბოლოოდ. დასკვნები შეეხება მხოლოდ კვლევის შედეგად მიღებულ სოციალურ ინფორმაციას. ისინი ყოველთვის დიად კითხვებისა და შემდგომი გამოკვლევებისათვის. არც ერთ კვლევას არ ძალუდს, ბოლომდე ამოწუროს რომელიმე მნიშვნელოვანი თემა ან საკითხი. ყოველთვის რჩება სიკრცე სხვა მკვლევართა მუშაობისათვის.

## გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე, ლ. (2006). გარდამავალი ხანის ეკონომიკა. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS).
2. გაფრინდაშვილი, ლ. (2006). ქართული კულტურის გენდერული პარადიგმები: ინტერდისციპლინური და ინტერტემპორალური პერსპექტივა. ავტორუფერატი. თბილისი.
3. განსხვავებული აზროვნება, სახელმძღვანელო ევროპელ ქალთა კვლევებში. (2005). თბილისი. “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”.
4. გენდერი და საზოგადოება. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. (2006). თბილისი.
5. გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა. (2005). თბილისი. პოლიგრაფიული საწარმო “დობერა”.
6. გენდერის აქტუალური საკითხები. (1998). თბილისი. გაეროს განვითარების პროგრამა “ქალები განვითარების პროცესში”.
7. გენდერული თეორიების ანთოლოგია. (2002). თბილისი. “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”.
8. ზურიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ. და ჯორბენაძე, რ. (2003). კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა. თბილისი. შპს “პოლიგრაფ+”.
9. თევზაძე, გ. (2002). ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია.
10. კიგნაძე, თ. (2001). ქალი და პოლიტიკა. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. კიგნაძე, თ. და დონაძე, ნ. (2006). გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (Centre for social sciences).
12. მაღრაძე, გ. (2007). სოციალური გავლენების ფსიქოლოგია. თბილისი. გამომცემლობა “უნივერსალი”.
13. მელქაძე, ვ. (2006). მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS).

14. ნადირაშვილი, გ. (1975). პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი.
15. პიროვნება, კულტურა, საზოგადოება. სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. (2010). ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. გამომცემლობა “უნივერსალი“.
16. პიროვნება, კულტურა, საზოგადოება. სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. (2010). ე. კოდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი.
17. პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციული პროცესი საქართველოში. (2002). ოქლავი. სამოქალაქო განათლების პროექტი. (CEP).
18. საბედაშვილი, თ. (2006). ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS).
19. სურმანიძე, ლ. (2001). ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები. თბილისი. გამომცემლობა “ნეკერი“.
20. ქალები. სიტუაციის პროფილირება საქართველოში. (2002). თბილისი.
21. ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში. სტატიების კრებული. (2009). თბილისი. გამომცემლობა “უნივერსალი“.
22. წერეთელი, მ. (2000). ქალთა უფლებები მათი დირექტულებების თვალსაზრისით. თბილისი.
23. წერეთელი, მ. (2006). გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS).
24. ხომერიკი, ლ. (2006). გენდერი და პოლიტიკა. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (Centre for social sciences).
25. ხომერიკი, ლ. და ჯავახიშვილი, მ. (2005). ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოსი. თბილისი. ფონდი „დია საზოგადოება – საქართველო“.
26. Ageism. Stereotyping and prejudice against Older Persons. (2002). Massachusetts. A Bradford Book.
27. Allerbeck, K. R. (1972). Some structural conditions for youth and student movements. International Social Science Journal. Volume XXIV. No. 2.

28. Balliet, B.J. (2002). Women, Culture and Society. New Brunswick. Kendall /Hunt Publishing Company. (Original work published 1992).
29. Bonvillain, N. (1998). Women and Men. Cultural Constructs of Gender. New Jersey. Prentice Hall.
30. Bytheway, B. (1995). Ageism. Philadelphia. Open University Press.
31. Calasanti, T.M., and Slevin, K.F. (2001). Gender, Social Inequalities, and Aging. New York. Alta Mira Press. (Original work published 1998).
32. Caucasus Higher Education in Transition. (2004). Tbilisi. Published by the Civic Education Project – Caucasus. Printed by SMArt Std.
33. Cole, S. (1975). The Sociological Orientation. An Introduction to Sociology. Chicago. Rand McNally College Publishing Company.
34. Disch, E. (2003). Reconstructing Gender. A Multicultural Anthology. New York. McGraw-Hill. (Original work published 1997).
35. Elder, G. H. (1972). The Social Context of Youth Groups. International Social Science Journal. Volume XXIV. No. 2.
36. Goffman, E. (1966). Encounters. Two Studies in the Sociology of Interaction. Indiana. The Bobbs-Merrill company, Inc. (Original work published 1961).
37. Hale, S. M. (1990). Controversies in Sociology. Toronto. Copp Clar Pitman Ltd. A Longman Company.
38. Hughes, M., Kroehler, C.J., and Vander Zanden, J.W. (2002). New York. McGraw-Hill. (Original work published 1986).
39. Inglehart, R. and Baker, W. E. (2000, February). Modernization, Cultural Change, and the Persistence of Traditional Values. American Sociological Review. Volume 65. Number 1.
40. Inkeles, S. (1964). What is Sociology? New Jersey. Prentice-Hall. (Original work published 1961).
41. Issues and Approaches for the Caucasus. (2000). Tbilisi. Civic Education Project – Caucasus.
42. Katz, R.S. (2006). The Georgia Regime Crisis of 2003-2004, A Case Study in Post-Soviet Media Representation of Politics, Crime and Corruption, Stuttgart, ibidem-Verlag.
43. Katz, R.S. (2006). The Georgian Regime Crisis of 2002-2004. A Case Study in Post-Soviet Media. Stuttgart, Ibidem-Verlag.
44. Kirk, G. and Okazawa-Rey, M. (2004). Women's Lives. Multicultural Perspectives. New York. McGraw-Hill. (Original work published 1998).

45. Lindsey, L.L. (2005). Gender Roles. A Sociological Perspective. New Jersey. Prentice Hall. (Original work published 1997).
46. Lorber, J. (2001). Gender Inequality. Feminist Theories and Politics. Los Angeles, California. Roxbury Publishing Company. (Original work published 1998).
47. McIntyre, L. (2002). The practical skoptic. Core Concepts in Sociology. New York. McGraw-Hill. (Original work published 1999).
48. Richardson, L., Taylor, V., and Whittier, N. (2004). Feminist Frontiers. New York. McGraw-Hill. (Original work published 1983).
49. Riesman, D. (with Glazer, N.) (1965). Faces in the Crowd. New Haven and London: Yale University Press. (Original work published 1952).
50. Riesman, D. (with Glazer, N., and Denney, R.) (1953). The Lonely Crowd. New York. Doubleday Anchor Books. (Original work published 1950).
51. Roszak, Th. (1969). The Making of a Counter Culture. Reflections on the technocratic society and its youthful opposition. New York. Anchor Books Edition.
52. Rush, R. G. (1972). The radicalization of middle-class youth. International Social Science Journal. Volume XXIV. No. 2.
53. Sabedashvili, T. (2002). Women in the decade of transition: The Case of Georgia. Tbilisi. Publishing House “Legा”.
54. Schneider, L., and Silverman, A. (2003). Global Sociology. New York. McGraw-Hill. (Original work published 1997).
55. Searle, J. (1972). The Campus War. A Sympathetic Look at the University in Agony. Middlesex. Pelican Books.
56. Smelzer, N.J. (1995). Sociology. New Jersey. Prentice Hall. (Original work published 1981).
57. Spates, J. L., and Levin, J. (1972). Beats, hippies, the hip generation and the American middle class: an analysis of values. International Social Science Journal. Volume XXIV. No. 2.
58. Spencer, M. (1981). Foundations in Modern Sociology. Scarborough. Ontario. Prentice-Hall. Canada Inc.
59. Stone, L., and McKee, N.P. (2002). Gender and Culture in America. New Jersey. Prentice Hall. (Original work published 1999).
60. Zygulski, K. (1972). Sociological approaches to the culture of youth. International Social Science Journal. Volume XXIV. No. 2.

61. Американская Социология. (1972). Социология, Перспективы. Проблемы. Методы. Москва. Издательство «Прогресс».
62. Антология Гендерной Теории. (2000). Минск. Пропилей.
63. Гидденс, Э. (1999). Социология. Москва. Издательство «Эдиториал УРСС».
64. Гидденс, Э. (2001). Социология. Москва. Издательство «Эдиториал УРСС».
65. Кикнадзе, Т. Р. (2002). Социально-культурная и духовная трансформация современного общества: Гендерной аспект. Москва. «Социально-гуманитарные знания».
66. Кон, Т. С. (1967). Социология личности. Москва. Издательство политической литературы.
67. Масионис, Дж. (2004). Социология (9-е издание). Москва, Санкт-Петербург. Издательский дом «Питер».
68. Некоторые вопросы воспитанья студенческой молодежи. (1975). Тбилиси. Издательство Тбилисского Университета.
69. Руткевич, Е. Д. (1993). Типология социального характера Д. Рисмена. Социологические исследования. №3.
70. Руткевич, Е. Д. Социальный характер и его проявление, основная личность. Личность как социальный феномен. <http://ariom.ru/wiki/djeidkismem/>
71. Смелзер, И. (1994). Социология. Москва. «Феникс».
72. Томпсон, Дж. Л. и Пристли, Дж. (1998). Социология. Москва. Издательство «Инициатива».
73. Фромм, Э. (1992). Душа Человека. Москва. Издательство „Республика”
74. Холл, К., Линдсей, Г. (1997). Теория Личности. Москва.